

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია „ორიონი“

ნინო დოგორჯიშვილი

ენა, იდენტობა და საისტორიო კონცეპტები

რელიგიური ისტორიოგრაფიის
წყაროთა ინტერპრეტაციის ცდა



ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების
ფონდი **რუსთაველის ფონდი**

Rustaveli Foundation

for Georgian Studies, Humanities and Social Sciences

აღნიშნული პროექტის დაფინანსება დაიწყო ეროვნულ სამეცნიერო ფონდში და დასრულდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია, არ ასახავდეს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) შეხედულებებს.

The designated project was launched at the Georgian National Science Foundation and was accomplished by the financial support of the Foundation for Georgian Studies, Humanities and Social Sciences (Rustaveli Foundation). Any idea in this publication belongs to the author and may not represent the opinion of the Foundation for Georgian Studies, Humanities and Social Sciences itself.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

© ნინო დობორჯგინიძე, 2010



გამომცემლობა „ნეკერი“, 2010

ISBN 978-9941-416-52-1

სარჩევი

შესავალი	5
ნაწილი I	11
I თავი	
რელიგიური ისტორიოგრაფია და ენისა და ხალხის ურთიერთმიმართების პრობლემა.	11
II თავი	
დიამერიზმები და ბიბლიურ ხალხთა და ენათა ნუსხები იუდაისტურ და ქრისტიანულ ტრადიციაში	22
III თავი:	
ქრისტიანული ტრადიციის ძირითადი რედაქციები	39
ნაწილი II	63
I თავი	
რელიგიური ისტორიოგრაფია და დისკუსია არასამწერლობო ქართველური ენების შესახებ	64
II თავი	
დისკუსია დიამერიზმების იბერებთან დაკავშირებით	70
III თავი	
დიამერიზმების ფრაგმენტთა ფუნქციისათვის ძველ ქართულ ტრადიციაში	83
IV თავი	
XI საუკუნის ქართული საისტორიო კონცეფცია	94
V თავი	
ქართული ენის ლეგიტიმაციის საკითხი შუა საუკუნეებში	100
დამატება	
დიამერიზმების ძველი ქართული თარგმანები	112
რეზიუმე	126
ბიბლიოგრაფია	135

წიგნი ეძღვნება
გიორგი ხავეთასის სსოვნას

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში ქართული ენის სოციალური ისტორიის საკითხებია განალიზებული. მისი მიზანია იმ განსხვავებული კონცეპტუალური „შინაარსების“ რეკონსტრუქცია, რომლითაც დროდადრო ივსებოდა, ან რომლისგანაც იცლებოდა ხოლმე ქართული ენა.

ამგვარი სოციოლინგვისტური ისტორია, პირველ რიგში, ენისა და ხალხის ურთიერთმიმართების ისტორიაა; ამავე დროს, იგი არის ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურული იდენტობის, ანუ ამა თუ იმ დონეზე გამოხატული „სუბიექტური მიკუთვნებულობის“ ისტორია, ნების გამოხატვა, სად, რის ნაწილად და ვის შთამომავლად აღიქვამს ესა თუ ის ჯგუფი თავს (ან, სხვები აღიქვამენ მას) და რა არის მისი, როგორც ერთობის, ამოსაცნობი, სხვა ჯგუფებისგან განმასხვავებელი ნიშნები. ამ ნიშანთაგან ენა და წარმომავლობა უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანი მარკერებია, რომლებიც კონკრეტულ ჯგუფს ეთნოსად, ხალხად აყალიბებს. შესაბამისად, ნაშრომის თემაა არა ენის „შინაგან“, ბუნებრივ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც, როგორც წესი, ისტორიულ გრამატიკაში აღინერება ხოლმე, არამედ ქართული ენის ფუნქციონირების პრობლემატიკა მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე; არა ენაში განვითარებული პროცესების ლოგიკა ან რომელიმე ლინგვისტური კანონზომიერება, არამედ ისტორიულად დადასტურებული ცვალებადი მიმართებები, რომლებიც ენასა და ამ ენის მატარებელს შორის არსებობდა.

ქართული ენის სოციალური ისტორიისთვის რელევანტური პირდაპირი წყაროები, ანუ ქართულ ენასთან ქართველის, უფრო სწორად, კონკრეტული ტექსტების ავტორის, მიმართების ამსახველი მასალა, ისტორიულად დადასტურებული კონცეპტუალიზაციები, შედარებით გვიანდელია. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი მიმართებების ამსახველი ტექსტები პირველად მაშინ ჩნდება, როცა ქართველები იწყებენ თარგმანთან დაკავშირებული საკითხების, თარგმანის, როგორც მშობლიური ენის სხვა ენასთან შეხვედრის პროცესის, ანალიტიკურ გააზრებას. ეს უკანასკნელი პირველად X-XII საუკუნეების მთარგმნელთა კომენტარებში ჩნდება. მთარგმნელობითი კომენტარები, ანუ ძირითად ტექსტზე დართული მეტატექსტები, პირდაპირი წყაროა მთარგმნელთა თვითშეგნების მოდელირებისა და იმ საინტერესო მიმართების რეკონსტრუქციისათვის, რომელიც არსებობდა ენას, ამ ენის მატარებელსა და მის საქმიანობას (იგულისხმება როგორც ორიგინალური შემოქმედება, ასევე თარგმნა) შორის. უფრო ადრინდელ, V-X საუკუნეების ძეგლებში, თარგმანებსა თუ ორიგინალურ ლიტერატურაში, ჩვენ თვითონ გვიხდება ამ მიმართებათა რეკონსტრუქცია; მათგან განსხვავებით, X-XII საუკუნეების მეტატექსტებში მთარგმნელები ან ავტორები თავად მოგვითხრობენ ამ მიმართებათა შესახებ ტექნიკურ (ტერმინოლოგიის) თუ იმპლიციტურ (მეტაფორების) დონეზე.

ქართველ სწავლულთა კულტურული, ნაციონალური თუ რელიგიური იდენტობის, ქართული ენის ისტორიული განვითარების შესახებ შუა საუკუნეებში მე საგანგებოდ ვმუშაობდი ალექსანდრე ჰულბოლდტის ფონდის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში. კვლევის შედეგები მონოგრაფიის სახით 2009 წელს დაიბეჭდა გერ-

მანიაში.¹ სხვა საკითხებთან ერთად მასში აღწერილია შუა საუკუნეებში ქართული ენის ლეგიტიმაციის, მისი გავრცელების სფეროების, პოზიციების განსაზღვრის, მნიშვნელოვანი საფეხურები, კერძოდ, ენის ფუნქციური და თვისობრივი ლეგიტიმაციის ეტაპები.² როგორც ირკვევა, შუა საუკუნეების ქართული ენის განვითარების ეს საფეხურები მის ორმაგ ლეგიტიმაციაშიც აისახა: ერთი მხრივ, პოლიტიკური ლეგიტიმაცია ნაციონალური ისტორიის რეკონსტრუქციით (ლეონტი მროველი) და, მეორე მხრივ, რელიგიური ლეგიტიმაცია ქართულისთვის განსაკუთრებული მისიის დაკისრებით, ქართულისთვის ე. წ. წმინდა ენების „ბადალი“ არგუმენტის გამოძენით (იოვანე ზოსიმე).³

წინამდებარე ნაშრომი ზემოხსენებულ მონოგრაფიაში დასმული პრობლემატიკის, კერძოდ, XI-XII საუკუნეების საქართველოში შემუშავებული ენის, ისტორიისა და ქართველთა თვითშეგნების მაკონსტრუირებელი „სახელმძღვანელო“ ტექსტების გენიალოგიის შესწავლის ცდაა. ამ თვალსაზრისით იგი მართლაც წინა კვლევის, შესაბამისად, წინა მონოგრაფიის, უშუალო გაგრძელებაა; თუმცა პერიოდი, რომელსაც ის უმთავრესად მიემართება და წყაროები, რომელთაც ის ეყრდნობა, ქრონოლოგიურად ბევრად უსწრებს X-XII საუკუნეებში ქართველ მნიგნობართა კულტურული, რელიგიური თუ ნაციონალური იდენტობის ფორმირებას, შესაბამისად, შუა საუკუნეების ქართულ წყაროებს, თარგმანებზე დართულ მეტატექსტებს, რომელთა ანალიზს ეყრდნობა წინა მონოგრაფია.

ამჯერად წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებულია გვიანანტიკურობის რელიგიური ისტორიოგრაფიის უცხოენოვანი წყაროები და ამ წყაროთა რეცეფცია შუა საუკუნეების უცხოურ და ქართულ ისტორიოგრაფიაში. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ქართულის, უფრო ზუსტად, იბერიულის, როგორც ერთ-ერთი უძველესი სამწერლო ტრადიციების მქონე ენისა და ქართველთა „ნათესავის“ ყოფის, როგორც უნივერსალური ისტორიის განუყოფელი ნაწილის, ამსახველი ეს წყაროები ნაშრომში წარმოდგენილი იქნება არა პალეოგრაფიის, ან საისტორიო მეცნიერებათა,⁴ არამედ სწორედ ისტორიული სოციოლინგვისტიკის თვალთახედვით. მე არ ვიკვლევ – არც მაქვს საამისო გამოცდილება, კომპეტენცია – როგორი უნდა ყოფილიყო კავკასიის იბერების ის დამწერლობა, რომელსაც რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროები, უფრო ზუსტად, გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების უნივერსალური ისტორიის საყოველთაოდ გაზიარებული ტოპოსი, დიამერიზმები, ახ. წ.ა. 218-235 წლიდან მსოფლიოს თხუთმეტ სამწერლო ენათა შორის (შდრ. οἱ ἑπιστάμενοι γράμματα; qui litterati sunt) ერთ-ერთ პირველს ასახელებენ; რა ასო-ნიშნებისგან შედგებოდა, რომელ ცნობილ დამწერლობას იყენებდა ან ენათესავებოდა იგი (პალეოგრაფიული თვალთახედვით); რამდენად ავთენტური იყო ეს წყაროები და რა მეთოდოლოგიით

1 Doborjginidze 2009 (=Sprachen und Kulturen des christlichen Orients, Bd. 17), Heijer - Emmel - Krause - Schmidt: 2009.

2 ქართულ ენაზე ამ საკითხთა შესახებ იხ. დობორჯგინიძე 2009: 13-29.

3 ამ მონოგრაფიის ორივე ვერსია, როგორც გერმანული, ასევე ქართული, 2005 წელს დაიკარგა. 2009 წელს დაბეჭდილ მონოგრაფიაში მხოლოდ გერმანული ვერსიის აღდგენა მოხერხდა, ისიც ნაწილობრივ. სამომავლოდ იგეგმება მონოგრაფიის ქართული ვერსიის გამოცემა.

4 ამ შემთხვევებში – პალეოგრაფიული ან საისტორიო მეცნიერების თვალთახედვით – რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროთა ღირებულება სულ სხვაგვარი კრიტერიუმებით შეფასდებოდა.

უნდა შემოწმდეს მათი სანდოობა, რამდენად შეეფერება ან ასახავს რეალობას რელიგიურ კონტექსტში ჩამოყალიბებული ეს ტოპოსები და ა.შ. (საისტორიო თვალთახედვით). როგორც ვთქვი, მე მაინტერესებს ისინი ზოგადად კულტურის ისტორიის, უფრო ზუსტად, ისტორიული სოციოლინგვისტიკის პოზიციიდან:

- როგორ აფასებენ ამ წყაროთა ავტორები ენისა და ხალხის ურთიერთმიმართების საკითხებს, რომელი ნიშნების მიხედვით ანიჭებენ ენებსა და ხალხებს კულტურული ნიშნით გამორჩეულობის სტატუსს და ათავსებენ მათ „წმინდა ისტორიაში“ (შდრ. *Historia sacra*);⁵
- რა კონკრეტულ კულტურულ-ისტორიულ რეალობას ეხმაურება ეს ტექსტები, შესაბამისად, რომელ ტენდენციათა ასახვას ცდილობს მათი შემდგენელი;
- იბერების შესახებ არსებულ რომელ წყაროებს შეიძლება ეყრდნობოდეს გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების რელიგიური ისტორიოგრაფია;
- როგორ, რა ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ გარემოში შემუშავდა უნივერსალური ისტორიის ტოპოსები და როგორ აისახა იგი ქართულ საისტორიო მწერლობაში;
- რა პრინციპებს, მოდელებს დაეყრდნო ქართულის, როგორც განსაკუთრებული, საყოველთაო მისიის მქონე ენის, ლეგიტიმაციის პროცესი;
- როგორ მოხდა ქართველთა ყოფის ამსახველი თავდაპირველი ამბების, როგორც საყოველთაო ისტორიის განუყოფელი ნაწილის, ლეგიტიმაცია და რა პრინციპები დაედო საფუძვლად ისტორიის ლეონტი მროველისეულ კონცეფციას (უნივერსალური ისტორიის კონცეპტი, ლვთიკურთხეული მეფის იდეა, ღვთისმშობლის წილხვდომობის იდეა, ენის გამორჩეულობის იდეა და ა.შ.);

ეს საკითხები არის ერთი ნაწილი იმ პრობლემატიკისა, რომელიც გამოიკვეთა ქართულ წყაროებში სხვადასხვა პერსპექტივით (საისტორიო, ფილოლოგიური, რელიგიური და ა.შ.) დასმული საკითხების ფართო კონტექსტში განხილვისა და, შესაბამისად, ქართული მასალის ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე. ეს უკანასკნელი ეყრდნობა გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში შესაბამისი პრობლემატიკისათვის შემუშავებულ კონცეპტებს.

ამ პრობლემატიკის საკითხთა კომპლექსური კვლევა, რომელიც განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში რუსთაველის ფონდის) პროექტის ფარგლებში⁶, მიზნად ისახავდა გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნე-

5 როგორც ცნობილია, ბაბილონისდროინდელი ამბების ინტერპრეტაციით რელიგიურმა ისტორიოგრაფიამ მსოფლიოს ხალხები ორ ნაწილად გაყო: ისტორიის ნამდვილ შვილებად, ანუ „წმინდა ისტორიის“ მონაწილე სამოცდათორმეტ (ზოგიერთი წყაროს მიხედვით სამოცდაათ) ეთნოსად და დანარჩენ სამყაროდ, რომელსაც სამართლიანობისა თანასწორუფლებიანობის მოყვარე დასავლელი მეცნიერები „ისტორიის გერებს“ (*Stiefkinder der Geschichte*) უწოდებენ (შდრ. Borst 1957: 292).

6 პროექტი: *ძველი ქართული ბიბლიური ტექსტებისა და მათი კომენტარების ლინგვისტურ-ტექსტოლოგიური ანალიზი და გამოსაცემად მომზადება 2006-2009 წლებში მუშავდებოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის (2008 წლიდან – რუსთაველის ფონდის) სამეცნიერო გრანტის ფარგლებში. წინამდებარე ნაშრომი ამ პროექტის ერთ-ერთი ნაწილია (მეოთხე ამოცანა: ძველი ქართული სამწერლო ტრადიციების შესახებ არსებული დღემდე უცნობი უცხოენოვანი რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროთა შესწავლა, მონოგრაფიის გამოსაცემად მომზადება).*

ბის რელიგიური ისტორიოგრაფიის (ბერძნული, ლათინური, სირიული, კოპტური, სომხური) დღემდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი წყაროების კვლევას, ამასთანავე, ამ წყაროთა ირგვლივ ევროპულ საისტორიო დისკუსიებში (ძირითადად XIX საუკუნის ბოლოსა და XX-ის დასაწყისში) გამოთქმული და გაზიარებული თვალსაზრისების მოძიებას და შესწავლას.

კვლევის შედეგები წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში ძირითადად განხილულია ის თეორიული კონცეპტები, რომლებიც გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების რელიგიურმა ისტორიოგრაფიამ შეიმუშავა ენისა და ხალხის ურთიერთმიმართების პრობლემასთან დაკავშირებით. აქვე გაანალიზებულია რელიგიური ისტორიოგრაფიის მთავარი ოპოზიცია: უნივერსალიზმი და ისტორიზმი, რომელსაც უშუალოდ უკავშირდება საყოველთაო ისტორიის კონცეფცია – დიამერიზმები და მოსეს ხალხთა დაფები, ანუ ბიბლიური წარმოშობის მქონე სამოცდათორმეტი (ზოგიერთი ტრადიციის მიხედვით – სამოცდაათი) წმინდა ეთნოსისა⁷ და ენის ტოპოსების ჩამოყალიბება. ნაშრომში ცალკეა განხილული დიამერიზმების, როგორც ტექსტის, სტრუქტურა და ტიპოლოგია, მისი რეცეფცია სხვადასხვა კულტურულ, ისტორიულ და რელიგიურ ტრადიციაში. აქვე წარმოდგენილია დიამერიზმების ძირითადი რედაქციების ბერძნული ტექსტები (უფრო სწორად, საკვლევი საკითხისთვის საინტერესო რუბრიკები) ქართული თარგმანებითურთ.

ნაშრომის მეორე ნაწილში გაანალიზებულია გვიანანტიკურობის რელიგიურ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული კონკრეტული კონცეპტები, რომელთაც დაეყრდნო საქართველოში ენის, ისტორიისა და ქართველთა წარმომავლობის სალეგიტიმაციო ტექსტები; შესაბამისად, განხილულია შუა საუკუნეებში ქართველთა ენისა და ისტორიის კონცეპტუალიზაციის საკითხები; ამასთანავე, ამა თუ იმ უცხოენოვან თხზულებათა ფრაგმენტები, რომლებიც ჩვენი ისტორიისთვის, უფრო ზუსტად, საისტორიო მწერლობისთვის სრულიად ახალ ან ნაკლებად ცნობილ ამბებს ეხება (მაგალითად, უძველესი ცნობები სამწერლო და არასამწერლო ქართველური ენების შესახებ, არაბული და კოპტური ცნობები იბერიულისა და ქართულის იდენტიფიკაციისათვის და ა.შ.).

მონოგრაფიაში წარმოდგენილი უცხოენოვანი წყაროები ქართველთა ენისა და ისტორიის საკმაოდ ძველ, ქართულ საისტორიო წყაროებში, ასევე, ჩვენთვის ცნობილ უცხოენოვან წყაროებში, ნაკლებად დოკუმენტირებულ პრობლემატიკას ეხება და, ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. როდის, სად, რა კონტექსტში ჩნდება პირველი უცხოენოვანი ცნობები ქართულის, ან ზოგადად, ქართველური ენების შესახებ? როდის აღმოაჩინეს ძველი კულტურული სამყაროს ცნობილმა ისტორიკოსებმა ჩვენი წინაპარი, როგორც ენობრივად უცხო? რა წარმოდგენისა იყვნენ ქართველური ტომების ენისა და სამწერლო ტრადიციების შესახებ? ნაშრომში გაანალიზებული წყაროებით შევეცდები ნაწილობრივ მაინც გავცე პასუხი ამ კითხვებს, ყოველ შემთხვევაში, იმის მიხედვით, რაც III საუკუნიდან მოყოლებული

7 ბერძნული ტერმინი *τὰ ἔθνη*, ასევე მისი ლათინური ეკვივალენტი *gentes, populi* ქართულად გადმომაქვს ტერმინით ეთნოსი. ვფიქრობ, იგი უფრო ადეკვატურია, ვიდრე თანამედროვე ტერმინი ხალხი, რომელიც თავისი შინაარსით აშკარად განსხვავებულია გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ტერმინებისგან: *τὸ ἔθνος, gens*.

XVIII საუკუნის ჩათვლით რელიგიურ ისტორიოგრაფიაში მიღებულ, გაზიარებულ თვალსაზრისად, ტოპოსად ითვლებოდა.

ქართველთა ისტორიის შესახებ უცხოენოვან წყაროთა ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი სიმონ ყაუხჩიშვილმა, თინათინ ყაუხჩიშვილმა, ილია აბულაძემ, ზაზა ალექსიძემ და სხვა ცნობილმა ისტორიკოსებმა თარგმნეს და შეისწავლეს.⁸ რაც შეეხება დიამერიზმებსა და მოსეს ხალხთა დაფებს, მათი ადრინდელი, მესამე საუკუნისეული ნუსხები იპოლიტე რომაელისა და იულიუს აფრიკანუსის, გასაგები მიზეზების გამო,⁹ აქამდე ქართული ისტორიოგრაფიის საგანგებო განსჯის საგანი არ ყოფილა.

რაც არ უნდა სადავო იყოს რელიგიურ კონტექსტში შემუშავებული ეს ტოპოსები, მათი წარმომავლობა და სანდოობა, ფაქტია, რომ III საუკუნიდან მოყოლებული ორიგინალური იბერიული დამწერლობა თუ იბერიელთა სამწერლო ტრადიციები ძველ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, ბერძნულ, ლათინურ, სირიულ, სომხურ, საეკლესიო სლავურ და არაბულ წყაროებში, ერთ-ერთი ყველაზე ნათლად ჩამოყალიბებული ტოპოსია; იგი ასახავს III-XVIII საუკუნეების კულტურულ სამყაროში, ერთმანეთისგან გეოგრაფიული, ისტორიული თუ რელიგიური თვალსაზრისით მკვეთრად დაშორებულ ტრადიციებში საყოველთაოდ გაზიარებულ თვალსაზრისს, რომელსაც, როგორც ირკვევა, კარგად იცნობს და არაერთხელ იმონებს იუდაისტური ისტორიოგრაფია და თალმუდურ-მიდრამული ეგზეგეტიკური წყაროები.

დიამერიზმების ასე ადრეულ ნუსხებში მოხსენიებული იბერების კავკასიის იბერებთან გაიგივების პრობლემა XIX საუკუნის ბოლოსა და XX-ის დასაწყისში ევროპული საისტორიო დისციპლინის მწვავე კამათის საგანი იყო.¹⁰ ევროპელ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ კავკასიის იბერები, მათი აზრით, იმ დროისათვის ნახევრად ველური ხალხი, არ უნდა ყოფილიყო მოხსენიებული III საუკუნის წყაროებში კულტურული ნიშნით გამორჩეულ თხუთმეტ ხალხს შორის. მაგრამ უცხოენოვან წყაროთა კვლევამ აჩვენა, რომ დიამერიზმების იბერებისა და კავკასიის იბერების იდენტიფიკაციის საკითხები, XIX-XX საუკუნეებისგან განსხვავებით, ნაკლებად იყო

8 სამეცნიერო სერიებში: *საქართველოს ისტორიის უცხოენოვანი წყაროები, უცხოელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ, ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ*, ასევე ცალკე გამოცემების სახით დაიბეჭდა ს. ყაუხჩიშვილის, თ. ყაუხჩიშვილის, ილ. აბულაძის, ზ. ალექსიძის და სხვა ქართველ მეცნიერთა მიერ ნათარგმნი სხვადასხვა ეპოქის ბერძნული, არაბული, სომხური, სპარსული წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი.

9 1936 წელს, როცა სიმონ ყაუხჩიშვილმა გეორგიკის I ტომში დაბეჭდა იპოლიტე რომაელის ქრონიკების ლათინური ვერსია VI-VII საუკუნეებისა, იპოლიტე რომაელის ქრონიკის ბერძნული ტექსტი საერთოდ არ იყო ცნობილი და ვარაუდობდნენ, რომ ლათინური ვერსია არასწორად მიენერებოდა იპოლიტე რომაელს. ბერძნული ტექსტი გაცილებით გვიან, 1956 წელს, იოვანა მაძრიდის მუზეუმში და გამოაქვეყნა ალან ბაუერმა (Bauer 1956). ს. ყაუხჩიშვილი რომ საგანგებოდ არ ჩერდება VI-VII საუკუნეების ამ ვერსიაზე, როგორც ქართველთა სამწერლო ტრადიციის შესახებ წყაროზე, სრულიად ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით VI-VII საუკუნეების ლათინურ წყაროზე ბევრად უფრო ადრინდელი ცნობებიც გვაქვს.

10 ამ დისკუსიის ამსახველი სტატიები სულ ცოტა 10 წლის განმავლობაში იბეჭდებოდა სოლიდური თეოლოგიური ჟურნალის: “*Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft*” (ძველი აღთქმის სამეცნიერო ჟურნალი) ფურცლებზე. რამდენადაც მე ვიცი, ქართული სამეცნიერო საზოგადოების მხრიდან მას არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. დისკუსიის ამსახველი მასალები იხ. დობორჯგინიძე 2005: 190-207; Krauß 1899: 1-14; მისივე 1900: 38-43; მისივე 1906: 33-48; Nestle 1905: 210-213; Poznanski 1904: 301-308.

საკამათო შუა საუკუნეებში: სირიული, კოპტური თუ არაბული ისტორიოგრაფიის ძეგლები მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული, ზოგჯერ განმარტებით, ან ხშირად განმარტების გარეშე ანაცვლებენ დიამერიზმების ეთნონიმებს: Ἰβηρις, Iberi (Iberii) კავკასიის იბერების, ანუ ქართველების აღმნიშვნელი ტერმინებით: Georgii, Gurgani / Gurzani.¹¹

ნაშრომის I ნაწილში წარმოდგენილ ენათა და ხალხთა თავდაპირველი ისტორიის კონცეფციას, დიამერიზმების ცალკეული რედაქციების, ზოგადად, ენათა და ხალხთა მიმართების ამსახველი ტექსტების გენიალოგიას და მათი ტექსტუალური ტიპოლოგიის ცალკეულ საკითხებს პირდაპირ უკავშირდება X-XII საუკუნეებში ქართული ენის, ისტორიისა და ქართველ მნიგნობართა იდენტობის სალეგიტიმაციო ტექსტური კორპუსის შექმნა. შემთხვევით არ ამბობს ეფრემ მცირე, რომ საჭიროა „წერით დაიდვას მოსაწყენებელი“¹² ანუ დაკანონდეს, სანდო წყაროებით გამყარებული ლეგიტიმური საფუძველი შეექმნას ქართველთა ენობრივ, კულტურულ თუ რელიგიურ დამოუკიდებლობას, ავტოკეფალიას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო „ჩუენი ნათესავის“ (ლეონტი მროველი) ყოფის ამსახველი თავდაპირველი ამბების, როგორც საყოველთაო ისტორიის განუყოფელი ნაწილის, ლეგიტიმაციისათვის შუა საუკუნეების კულტურულ სამყაროში.

ენის, ისტორიისა და ქართველ სწავლულთა იდენტობის მაკონსტრუირებელი ტექსტების პარალელურად ნაშრომში ტიპოლოგიური თვალსაზრისით იქნება გაანალიზებული შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში მსგავს კულტურულ, ენობრივ და საისტორიო კონტექსტში შექმნილი კონცეპტები.

11 დიამერიზმებში მოხსენიებული იბერების იდენტიფიკაციის პრობლემა შუა საუკუნეების სირიული და კოპტური წყაროების მიხედვით ნაშრომის ერთ-ერთ თავში იქნება წარმოდგენილი.

12 ეფრემ მცირის ამ თხზულების სათაურია: *უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენების* (ბრეგაძე 1959).

ნანილი I

I თავი

რელიგიური ისტორიოგრაფია და ენისა და ხალხის ურთიერთმიმართების პრობლემა.

1. რელიგიური უნივერსალიზმი და ენათა წარმომავლობა

სანამ XVIII-XIX საუკუნეებში დაიწყებდნენ ინდოევროპული პროტოენის მეცნიერეული კრიტერიუმებით აღწერას, ენათა წარმომავლობისა და სტატუსის საკითხთა ძიებას არც თუ იშვიათად კურიოზულ შედეგებამდე მიჰყავდა ამ და მსგავსი საკითხებით დაინტერესებულები.¹³ ძველი კულტურული სამყაროს თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან რეგიონში დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა თვალსაზრისი თავდაპირველი ენის, მისი დაყოფის, ენათა და ხალხთა ერთიანობისა და ხალხთა განსახლების შესახებ.

ამ თვალსაზრისების მრავალფეროვნებას განაპირობებდა სხვადასხვა ისტორიული, სოციალური, კულტურული და გეოგრაფიული გარემო, რომლებიც განსხვავებულ პირობებს უქმნიდა ენებს მათი „გარეგანი“ განვითარებისთვის, ამა თუ იმ რეგიონში დასამკვიდრებლად და სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქციების მოსაპოვებლად. სწორედ ეს გარემო განსაზღვრავს ყველაზე მეტად ენის „გარეგანი“ განვითარების კანონზომიერებებს, მისი საზოგადოებრივი და სოციალური განვითარების ისტორიას, „შეიმუშავებს“ ენებთან ურთიერთობის წესებს, ანაწილებს მათ ფუნქციურ სფეროებს. ქვემოთ მოკლედ წარმოვადგენ ამ თვალსაზრისით სხვადასხვა კულტურული სამყაროსთვის დამახასიათებელ ზოგიერთ ტენდენციას.

დამოკიდებულება ენების მიმართ ძველევგიპტურ და ჩინურ სამყაროში გარკვეულწილად ერთმანეთის მსგავსი იყო: ორივე სამყარო შიგნიდან ღია იყო მრავალფეროვნებისა და ცვლილებების მისაღებად, კომპრომისების დასაშვებად, გარედან კი – ჩაკეტილი და უცხოთვის ძნელად მისაწვდომი. სწორედ კომპრომისი და მრავალფეროვნების „შემწყნარებლობა“ დაედო საფუძვლად ეგვიპტის ისტორიის დასაწყისს – უცხო დინასტიებისა და ხალხების სწრაფ ასიმილაციას; ამ პროცესს მხოლოდ ებრაელები ეწინააღმდეგებოდნენ, დანარჩენი ხალხი კი არა მარტო ენების ცვალებადობასა და, შესაბამისად, ენათა მრავალფეროვნებას აღიარებდა, არამედ დამწერლობისაც.

ძველევგიპტური ჰიერატული დამწერლობის შეცვლა ჯერ ახალევგიპტური დემოტურიტით და ბოლოს – კოპტურიტით, „ბუნებრივად“ ტოვებდა ეგვიპტის სივრცეში ადგილს არამარტო ამ ენებისთვის, არამედ თითოეული ამ დამწერლობისთვისაც.¹⁴

13 კაცობრიობის თავდაპირველი ენისა და ენათა წარმოშობის პრობლემების შესახებ დისკუსიები იხ. Albertz 1989(2):1-18; Borst 1957-1961; Eco 1997; Grimm 1862; Hille-Coates 2000a: 129-147; Hubig 1989 (Bd. 1): 158-182; Kaczmarek 1989 (Bd. 1): 65-88; Schraetter 1989 (Bd. 1): 1-41.

14 ძველი კულტურული მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ენათა და ეთნოსთა მიმართების შესახებ ჩამოყალიბებული თვალსაზრისების განხილვისას ძირითადად ვხელმძღვანელობ არნო

ყოველ შემთხვევაში, ახ. წ. ა. IV საუკუნემდე ჯერ კიდევ ესმოდათ ძველევგიპტური; როგორც ვთქვი, ენათა მრავალფეროვნების მიმართ ამგვარი შემწყნარებლობა მხოლოდ ამ სამყაროს შიგნით ვრცელდებოდა. გარედან კი ორივე მათგანი იზოლირებულ რეგიონად რჩებოდა; ერთი – უდაბნოს სარტყლით საიმედოდ დაცულ მხარედ, რომელშიც იოლად ვერ შეაღწევდა და, მით უმეტეს, ვერ დამკვიდრდებოდა უცხო, განსაკუთრებით ენობრივად უცხო; მეორე კი „დაცული“ იყო ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი განათლებისა და კულტურის ელემენტებით, რომლებიც სრულიად მიუწვდომელი იყო უცხოთათვის, მათ შორის ენობრივი უცხოთათვის და, ამდენად, დიდ ბარიერს ქმნიდა ენათა მრავალფეროვნების „შესაწყნარებლად“.

თუ არ ჩავთვლით ეხნატონის მცდელობას, ამ სამყაროს არასოდეს გაუწევია ანგარიში ენობრივი უცხოთა და, საერთოდ, ენათა მრავალფეროვნებისთვის; უფრო ზუსტად, არასოდეს უძებნია ენათა ნაირგვარობის თეოლოგიური საფუძველი და ახსნა; სამყაროს „ბედი“ ძველევგიპტური რელიგიური წარმოდგენების მიხედვით მისი შექმნისას უკვე გადაწყვეტილი იყო, ვინაიდან თვითონ სამყაროს შექმნა აღიქმებოდა, როგორც უკანასკნელი დიდი ცვლილება.¹⁵

ამგვარი შეხედულება ენათა მრავალფეროვნებაზე სულაც არ ნიშნავს, რომ ეგვიპტელები ან ჩინელები ენათა განვითარებაში ისტორიულობის პრინციპს ვერ ხედავდნენ; უბრალოდ, ეს პრინციპი, ისევე, როგორც ეგვიპტის შემთხვევაში, მხოლოდ ამ სამყაროს ფარგლებში „მოქმედებდა“. რაც შეეხება დანარჩენ სამყაროში ენათა და ხალხთა მრავალფეროვნებას, როგორც ისტორიული განვითარების შედეგს, ეს მათ ნაკლებად აინტერესებდათ; ამის ერთ-ერთი მიზეზი კი იყო ის, რომ რელიგიურ ისტორიოგრაფიაზე მეტად საწყისის ახსნით, ანუ ეგზეგეტიკით იყო ორივე სამყარო დაინტერესებული.

ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით ძველ ინდოეთსა და ძველ აღმოსავლეთზე, რომელთა რელიგიურ მემკვიდრეობაში ენებისა და ხალხთა მრავალფეროვნების თეოლოგიური დასაბუთება მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.¹⁶ სწორედ აქ გვხვდება პირველად ბიბლიური განყოფისა და ხალხთა და ენათა საწყისისა და მათი დაყოფის მოტივები, ასევე სიმბოლური ციფრი სამოცდათორმეტი.

მაგრამ მთელი სერიოზულობით ეს მრავალფეროვნება პირველად მათ აღიარეს, რომელთაც ხალხს კია არა, ხალხთა ოჯახს უწოდებენ ენობრივი სიჭრელის გამო. ბუნებრივია, რომ სწორედ ძველმა ბერძნებმა მოაქციეს თავდაპირველი ენისა და ენათა დაყოფის პრობლემები მწყობრ ფილოსოფიურ სისტემაში.

ანტიკურ პერიოდში ამ საკითხებს, ცხადია, არ იკვლევდნენ, როგორც დამოუკიდებელ საენათმეცნიერო პრობლემატიკას, თავდაპირველი ენის და, საერთოდ, ენაში პირველის (πρῶτος), სიტყვათა საწყისის, ძიებას შემეცნების თეორიას უკავშირებდნენ¹⁷ და ძირითადად ფილოსოფიურ-თეოლოგიურ დისკურსში განიხილა-

ბორსტის ფუნდამენტური მონოგრაფიითა (Borst 1957-1961) და უმბერტო ეკოს ნაშრომით (Eco 1997).

15 ამის შესახებ ვრცლად იხ. Borst 1957: 42; Frankfort 1948:50.

16 ამის შესახებ იხ. Fürer-Heimendorf: 1953; Borst 1957: 74-89.

17 ენათა წარმომავლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი ერთ მთავარ კითხვაში იყრიდა თავს: არის თუ არა ენა შემეცნების იარაღი (ἄργανον) და აქვს თუ არა მას შემეცნებითი ღირებულება, გვეხმარება ის თუ არა ჭეშმარიტების დადგენაში.

ვდნენ.¹⁸ ენათა მრავალფეროვნების, ანუ თავდაპირველი ენის დაშლა-დანაწილების შედეგად ენათა ისტორიის დასაწყისი სწორედ ბერძნებმა შეამჩნიეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ენების წარმოშობისა და დაყოფის, ან მათი მრავალფეროვნების „შემწყნარებელი“ ბერძნული მითები საკმაოდ მცირეა.¹⁹

მიუხედავად ამგვარი დამოკიდებულებისა, არც ძველი ბერძნები, ისევე როგორც სხვა დახურული კულტურები, ენათა წარმომავლობისა და მრავალფეროვნების პრობლემების ძიებისას ისტორიზმის პრინციპის აღიარებამდე არ მისულან. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ, განსხვავებების მიუხედავად, თითოეული ამ კულტურათაგანი რელიგიური უნივერსალიზმით ეძებდა და ხსნიდა საწყისისა და მრავალფეროვნების მიზეზს. უნივერსალიზმი და ისტორიზმი კი ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლუსებია და, ბუნებრივია, სადაც ერთია, იქ მეორეზე ნაკლებად „ზრუნავენ“. სწორედ ამის გამო იყო, რომ ისინი ამ საკითხების ძიებისას მეტ-ნაკლებად მსგავს თვალსაზრისებს ავითარებდნენ და ენასა და რელიგიას მჭიდროდ უკავშირებდნენ ერთმანეთს.

2. ისტორიზმი და ენათა წარმოშობისა და მრავალფეროვნების თეორიები

ენისა და რელიგიის ამგვარი სიახლოვე თავისთავად ნიშნავდა ენის რელიგიურ სანქციონირებას, რაც მართო ზეპირ ენას, ზეპირ სიტყვას კი არა, წერილობით სიტყვასაც ეხებოდა. ამის ტიპური მაგალითია იუდაისტური სამყარო, რომელშიც სწორედ წერილობით დაფიქსირებული საკრალური სიტყვა, ძველი აღთქმა, იქცა კანონად.

რელიგიის სიტყვის ორგვარმა გამოხატულებამ – ზეპირი და წერილობითი – პრაქტიკული, ჰერმენევტიკული ფუნქცია შესძინა თეოლოგიის მსახურ გრამატიკასა²⁰ და მის წესებს, როგორც მოსამზადებელ წინა ეტაპს ეგზეგეტიკისა, რომელიც ჯერ რჯულის წიგნის სიტყვათა საიდუმლო კოდიფიცირებას, შემდეგ კი მის გაცოცხლებასა და ახსნა-განმარტებას ცდილობდა.

ის, რომ საწყისისა და მრავალფეროვნების ძიებაში ისტორიზმის პრინციპისთვის გაჩნდა ადგილი, რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა; მათგან ორ უმთავრესს ასახელებენ:

1). თანდათან პრობლემური გახდა განსხვავება ზეპირ და წერილობით სიტყვას

18 ამ თეორიების შესახებ იხ. Gessinger, Rahden (Hgg.) 1989; Schrastetter 1989, Bd. 1.

19 ენების წარმოშობასთან დაკავშირებული პრობლემატიკის მიმოხილვა იხ. Eco 1997.

20 შდრ. გვიანანტიკურობიდან მოყოლებული შუა საუკუნეებში საბოლოოდ დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ ფილოლოგიას, ან ნებისმიერ სხვა მეცნიერებას, მხოლოდ ნაწილობრივ, გარკვეულ ეტაპამდე, შეუძლია სამსახური გაუწიოს თეოლოგიას: განმარტოს რელიგიური ტექსტის „ზედაპირზე“ ისტორიულ-ფილოლოგიური მხარე (შდრ. ძველ ქართულ ენაში დამკვიდრებული ტერმინი „თხრობისაებრი განმარტება“); რაც შეეხება თეოლოგიური ტექსტის სიღრმისეულ მნიშვნელობას, იგი სცდება ფილოლოგიის, საერთოდ, მეცნიერების ფარგლებს და მხოლოდ „სახისმეტყუელებით“, „სახე-მოღებით“ ან „აღყვანებით“ (შდრ. *ἐξ ἀκροῦς*, *ἐξ ὑποστο-* *ύιν*, *ἐξ ἀναγνώσεως*) არის შესაძლებელი. ამ საკითხების შესახებ იხ. Dörrie 1974; Hahner 1973, Neuschäfer 1987; Schaublin 1974; Schaublin 1992: 132-173; Schaublin 2005; Schlieben 1974; Schlieben 1979.

შორის (იგულისხმება ზეპირი და წერილობითი რელიგიური ტექსტი), რამაც რაბინულ და განსაკუთრებით ქრისტიანულ ტრადიციაში ეგზეგეტიკური კომენტარის პირველი ნაწილის, ისტორიული (ἐξ ἱστορίας), ანუ, როგორც ძველ ქართულ ტრადიციაში ეძახდნენ, „თხრობისაებრი“ განმარტების²¹ საჭიროება გააჩინა.

2). გასაგები მიზეზების გამო შესამჩნევი გახდა სხვაობა „ძველ სჯულსა“ და „ახალ კანონს“ შორის, ეს კი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა ისტორიული ცნობიერებისთვის, რელიგიური ისტორიოგრაფიისთვის.

ამ დიდი ცვლილებების („ძველი“ და „ახალი“ კანონის ოპოზიცია) შემდეგ რელიგიურმა ისტორიოგრაფიამ შექმნა ახალი კონტექსტი, რომლის „მონაწილე“ ენები²² განსაკუთრებულ სტატუსს, კერძოდ „წმინდა“ ენების (lingua sacra) წოდებას იძენენ და, აქედან გამომდინარე, ენათა დიფერენცირების ისტორიულ საფუძველს ქმნიან.

დანარჩენები კი, ამ განსაკუთრებული სტატუსის არმქონე ენები, ვერ „ეგზეგეტიკა“ ამგვარ იერარქიულ დამოკიდებულებას და თავდაპირველ დროში დაბრუნებას ცდილობენ, რათა სწორედ იქ, კაცობრიობის საწყის პერიოდში, „დააფიქსირონ“ თავიანთი ისტორიის დასაწყისი და ამით აჩვენონ, რომ ნებისმიერი შემდგომი ცვლილება, ანუ მათი ისტორია, ამ ღვთაებრივის გეგმაზომიერი განვითარებაა. ამით ისინი „პოულობენ“ შეძლებისდაგვარად ძველ წინაპარს ბიბლიური გენიალოგიის ხეზე და აქედან იწყებენ საკუთარი ისტორიის ათვლას.

ასე ჩაეყარა საფუძველი ქრისტიანულ ისტორიოგრაფიას, რომელმაც საუკუნეების მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შექმნა როგორც კონკრეტული ქვეყნის, ასევე მსოფლიო ისტორიოგრაფიაში.

რელიგიური ისტორიოგრაფიის საფუძველი ყველაზე მეტად იუდაიზმის სამყარომ მოამზადა თავისი რჯულის წიგნით; იგი პირველია მსოფლიო ლიტერატურაში, რომელშიც ერთი ღმერთის ხელდასხმით დროსა და სივრცეში მომხდარი ამბებია აღწერილი; ამბები, რომლებიც საწყისსა და მრავალფეროვნებას, მათ შორის ენათა საწყისსა და მრავალფეროვნებას, აღწერს.

ამ ისტორიულობის მიუხედავად, ძველი აღთქმის შესახებ რელიგიურ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული მეტ-ნაკლებად ჰომოგენური თვალსაზრისები ენათა და ხალხთა წარმოშობისა და მათი მრავალფეროვნების შესახებ თავისი არსით

21 გვიანანტიკურობისა და განსაკუთრებით შუა საუკუნეების ფილოლოგიური მეცნიერება ვითარდებოდა ბიბლიის ეგზეგეტიკასთან მჭიდრო კავშირში. ბიბლიის, როგორც ძნელად გასაგები, საიდუმლო, დაფარული შინაარსის მქონე წინასწარმეტყველური ტექსტის განმარტებათა მეთოდები და სისტემა ქრისტიანულმა ეგზეგეტიკამ ანტიკურობის ფილოლოგიური მოძღვრებიდან ისესხა. მან კარგად მიუსადაგა ჰომეროსისა და სხვა ძველი ბერძენი ავტორების ტექსტების კვლევისა და ინტერპრეტაციის მდიდარი ტექსტოლოგიური გამოცდილება ბიბლიის საიდუმლოებათა განმარტებას, სახისმეტყველებით ახსნას. შუა საუკუნეების ბიბლიის ფილოლოგიასა და პერმენეტიკაში დამკვიდრებული ამ კონცეპტების რეცეფციის შესახებ ძველ ქართულ ტრადიციაში, ასევე, წმინდა წერილის ორნაწილიანი კომენტარის (თხრობისაებრი, სახისმეტყველებითი) და ეგზეგეტიკური განმარტებების ტიპოლოგიის შესახებ იხ. დობოროჯგინიძე 1998: 52-80; იქვე, 84-135.

22 ამაში, პირველ რიგში, იგულისხმება ებრაული და ბერძნული, როგორც ძველი და ახალი კანონის ენები; შემდგომში მათ ემატება რომაელთა იმპერიის ძლიერებით სანქციონირებული ლათინური ენა. ამ სამი წმინდა ენის ლეგიტიმაციისა და დანარჩენ ენათა განსხვავებული სტატუსის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდები.

მაინც რჩება ისტორიზმის საწინააღმდეგო მიმართულებად. მართალია, მას აინტერესებს საწყისი და მრავალფეროვნება, მაგრამ საწყისი აინტერესებს არა განვითარების ისტორიის თვალსაზრისით, ანუ საწყისი, რომელიც იმანენტურად იშლება, ვითარდება, სახეს იცვლის და ა. შ., არამედ საწყისი, როგორც ნორმა ყველაფერი შერმდეგდროინდელისთვის, საწყისი, როგორც გამოცხადება. მრავალფეროვნება მისთვის არის არა განვითარების ისტორიული კანონზომიერება, არამედ ამ საწყისის მიზნობრივი, ღვთაებრივი ნებით წინასწარ განსაზღვრული და დაგეგმილი ცვალებადობა.²³ ამგვარი ისტორიული ცნობიერება, რა თქმა უნდა, უფრო ეგზეგეტიკურია, ვიდრე ისტორიული.

ეს ეგზეგეტიკური ისტორიოგრაფია დაბადების წიგნის მეათე თავში გადმოცემული ხალხთა და ენათა განყოფის ამბებით იწყებოდა; ამბებით, რომლებიც ბიბლიურ გენიალოგიას და „წმინდა ისტორიას“ დაედო საფუძვლად. მასში ასახული იყო ენათა და ხალხთა წარმოშობის შესახებ მანამდე გამოთქმული და მეტ-ნაკლებად გაზიარებული უმთავრესი თვალსაზრისები: ღმერთმა შექმნა ადამიანები და მათ ენა უბოძა. ეს ენა ზუსტად „ფარავდა“ საგნებს, ანუ, ამ საგანთა აღსანერად ზედგამოჭრილი იყო.²⁴ ღმერთი ადამს ებრაულად ელაპარაკებოდა; ადამის შთამომავლებიც ერთი ენის მატარებლები იყვნენ. თავდაპირველად ბაბილონში დაირღვა ეს ერთიანობა სამოცდათორმეტ ხალხად და ენად.

ბაბილონისდროინდელი ამბების ინტერპრეტაცია ძირითადად ორ ტრადიციად იყოფა: პირველისთვის ამოსავალია დაბადების მეათე წიგნი, რომლის მიხედვით ენათა განყოფა ბუნებრივი, თავდაპირველი ენის იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე კანონზომიერება იყო; მეორე ტრადიცია კი ეყრდნობა არა მეათე, არამედ მეთერთმეტე წიგნის კონცეპტს, რომ ენათა და ხალხთა შერევა არის მედიდური და ღმერთის უარყოფელი ადამიანების დასასჯელად მოვლენილი რისხვა.²⁵

3. ხალხთა და ენათა ბიბლიური გენიალოგია (დიამერიზმების ტექსტუალური ტიპოლოგია)

განსხვავებული ინტერპრეტაციების მიუხედავად, გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების რელიგიურ ისტორიოგრაფიაში, ასევე პატრისტიკულ ლიტერატურაში, ჩამოყალიბდა მკვეთრად ნორმირებული ტოპოსი, რომელიც ეგზეგეტიკის და არა ისტორიოგრაფიის კრიტერიუმებით აღწერს თავდაპირველი ენის დაშლის, ენათა ისტორიის დასაწყისისა და მისი შემდგომი განვითარების პრობლემატიკას. ამ პრობლემის ცალკეული საკითხები, უფრო ზუსტად, ტექსტები, რომლებიც შეიცავს ცნობებს ძველი კულტურული ხალხების, მათ შორის იბერიელების, სამწერლო ტრადიციების შესახებ, აქ გაანალიზებული იქნება ისტორიული სოციოლინგვისტიკის, ზოგადად კულტურის ისტორიის თვალთახედვით.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, რელიგიურ ისტორიოგრაფიაში არაერთი, წმინ-

23 შდრ. *ἑρὰ οἰκισμῶν*.

24 შდრ. Borst 1957: 7.

25 ამ ტრადიციათა შესახებ დანვრილებით იხ. Eco 1997.

და მეცნიერული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საისტორიო ძეგლი შეიქმნა; მათგან განვიხილავ მხოლოდ ერთი ტიპის ტექსტებს, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა რელიგიურ, ისტორიულ და გეოგრაფიულ არეალში. ეს არის ხალხთა და ენათა ბიბლიური განყოფის ნუსხები, ანუ დიამერიზმები (Διαμερισμὸς τῆς γῆς εἰς τοὺς τρεῖς υἱοὺς τοῦ Νῶε, ლათინური ვერსიების მიხედვით – Terrae divisiones tres filios Noe, ან Divisio terrae tribus filiis Noe). იგი ძველი საეკლესიო ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტოპოსი იყო, რომელიც მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ ჩარჩოში აღწერდა ბაბილონისდროინდელ ამბებს. დიამერიზმების ყველაზე ძველი რედაქცია დაცულია იპოლიტე რომაელის ქრონიკაში (თხრობა გრძელდება 234-235 წლებამდე), რომლის სრული სათაურია Συναγαγὴ χρονια καὶ ἑτῶν ἀπὸ κτίσεως κόσμου εἰς τῆς ἑξεστῶτης ἡμέρας.²⁶

ქრისტიანული ისტორიოგრაფია ითვლის დიამერიზმების მრავალრიცხოვან ლიტერატურას, რომელთა პირველი მეცნიერული კლასიფიკაცია გუთშმიდის სახელს უკავშირდება. მან საგანგებოდ მოუყარა თავი დიამერიზმებისა და ე.წ. მოსეს „ხალხთა დაფების“ ტექსტებს როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ ტრადიციაში და 24 ძირითად ჯგუფად დაალაგა ისინი;²⁷ მანვე გამოყო ტექსტოლოგიური ნიშნების მიხედვით დიამერიზმების რეცენზიათა უმთავრესი ტიპები. ა. გუთშმიდი დიამერიზმების თავდაპირველ ვერსიად მიიჩნევს დღეისათვის უცნობ არქეტიპულ ტექსტს, რომელიც სამი რედაქციის შემცველი ნუსხებით უნდა გავრცელებულიყო მომდევნო საუკუნეებში:

- **კოდექსი A 1 (Codex A 1)**, რომლისგანაც მომდინარეობს შემდეგი ვერსიები: ა) კოდექსი A 2, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, ბ) იპოლიტე რომაელის ქრონიკა, გ) ქრონიკა, რომელიც დაწერილია 354 წლამდე, დ) მეექვსე საუკუნის ბიზანტიური ქრონიკა, ე) პასკალური ქრონიკები და ვ) ის ვერსია, რომელიც შემონახულია ეპიფანეს თხზულებაში *Ἀγχαλωτῆς*.
- **ქრონიკა**, რომელსაც იულიუს აფრიკანუსისეულ რედაქციას ეძახიან და რომლის ინტერპოლაცია შემონახულია ევსტათი ანტიოქელის მეოთხე საუკუნისეულ ვერსიაში. მისგან მომდინარეობს XI-XII საუკუნეების ქრონოგრაფის, იოვანეს თხზულებაში დაცული ვერსია, (*Ioannis Zonarae epitome historiarum*)²⁸, გიორგი სვინგელოზისა და სიმეონ ლოგოთეტის რედაქციები, ასევე გრიგოლ ბარ-ჰებრეოსის მიერ ინტერპოლირებული ვერსია.
- **კოდექსი B (Codex B)**, რომელიც შემონახულია შემდეგი ვერსიების სახით: ა) ვერსია, რომელიც დაცულია ხელნაწერში Matritensis Nr. 121, გ) ალექსანდრიულ ქრონიკაში დაცული ვერსია.

ქვემოთ წარმოვადგენ ა. გუთშმიდის მიერ შემუშავებული სქემის სრულ ვარიანტს, რომელიც რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროებით დაინტერესებულ მეცნიერებს უდაოდ დაეხმარება; მითუმეტეს, რომ მისი მონოგრაფია არა მარტო

26 იპოლიტეს ქრონიკის ბერძნული ორიგინალი, რომელიც ა. ბაუერმა აღმოაჩინა მადრიდის ნაციონალური ბიბლიოთეკის ბერძნულ ხელნაწერთა შორის (Codex Graec. 121), დიამერიზმების ერთ-ერთი ყველაზე სრული ვერსიაა, მის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდები.

27 Gutschmid 1894: 585-717.

28 ამ რედაქციის ბერძნული ტექსტი იხ. Pinder, Büttner-Wobst 1841; Banchich 2009.

ჩვენში, არამედ ევროპაშიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს:

თავდაპირველი ვერსია (Codex archetypus)

კოდექსი A 1 (Codex A 1), რომლისგანაც მომდინარეობს შემდეგი ვერსიები: ა) კოდექსი A 2, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, ბ) იპოლიტე რომაელის ქრონიკა, გ) ქრონიკა, რომელიც დაწერილია 354 წლამდე, დ) მეექვსე საუკუნის ბიზანტიური ქრონიკა, ე) პასკალური ქრონიკები და ვ) ის ვერსია, რომელიც შემონახულია ეპიფანეს თხზულებაში <i>Ἀρχαῖωτά</i>.	ქრონიკა, რომელსაც იულიუს აფრიკანუსისეულ რედაქციას ეძახიან და რომლის ინტერპოლაცია შემონახულია ევსტათი ანტიოქელის მეოთხე საუკუნისეულ ვერსიაში. მისგან მომდინარეობს XI-XII საუკუნეების ქრონოგრაფის, იოვანეს თხზულებაში დაცული ვერსია, (<i>Ioannis Zonarae epitome historiarum</i>)²⁹, გიორგი სვინგელოზისა და სიმეონ ლოგოთეტის რედაქციები, ასევე გრიგოლ ბარ-ჰებრეოსის მიერ ინტერპოლირებული ვერსია.	კოდექსი B (Codex B), რომელიც შემონახულია შემდეგი ვერსიების სახით: ა) ვერსია, რომელიც დაცულია ხელნაწერში Matritensis Nr. 121, გ) ალექსანდრიულ ქრონიკაში დაცული ვერსია.
იპოლიტეს ქრონიკის ლათინური ვერსია (<i>liber generationis</i>) და მისგან უშუალოდ მომდინარე არნობიოსისეული ვერსია; ქრონიკა, რომელიც შემონახულია ხელნაწერში: Matritensis Nr. 84; ინტერპოლირებული ანტიოქიური ქრონიკა, რომელსაც ეყრდნობა სამოელ ანელის ქრონიკა; ქრონიკა, რომელიც 813 წლამდეა დაწერილი და მისგან მომდინარე ვერსიები: <i>Ἐκλογαὶ ἱστοριῶν</i> და თეოდოსი მელიტიანელის ქრონიკა; გიორგი ჰამარტოლის ინტერპოლირებული ვერსია.	გიორგი კედრენოსისეული ვერსია; ვერსია, რომელიც ინტერპოლირებულია ევტუხი პატრიარქის თხზულებაში.	ლათინურენოვანი ქრონიკა, რომელიც ცნობილია შემდეგი სახელწოდებით: <i>Excerpta utilissima Latino-barbara</i> და მისი სავარაუდო ბერძნული ორიგინალი; ვერსია, რომლის ინტერპოლაცია შემონახულია ხელნაწერში Vindobonensis Nr. 171; ვერსია, რომელიც დაცულია პასკალურ ქრონიკებში (<i>Chronicon paschale</i>).

როგორც გუთშმიდმა აჩვენა, დიამერიზმების ტექსტებს მეტ-ნაკლებად საერთო სტრუქტურა და შინაარსი აქვს.³⁰ ამ სტრუქტურიდან მან რვა ძირითადი რუ-

29 ამ რედაქციის ბერძნული ტექსტი იხ. Pinder, Büttner-Wobst 1841; Banchich 2009.

30 დიამერიზმების შემცველი წყაროების უმეტესობა დაზიანებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. რვავე რუბრიკა სულ რამდენიმე წყაროში დასტურდება, დანარჩენები მეტ-ნაკლებად ავსებენ ერთმანეთს. დიამერიზმების სტრუქტურისა და შედგენილობის დადგენისას ა. გუთშმიდი დაზიანებულ და ნაკლებ წყაროთა მონაცემებსაც ითვალისწინებდა.

ბრიკა გამოყო:

- I. შესავალი ნაწილი, რომელშიც განხილულია: ა. ნოეს შთამომავალთა სამკვიდრებლები და მათი საზღვრები, ბ. სამი დიდი მდინარე, რომლებიც ნოეს შთამომავალთა ტერიტორიებზე მიედინება, გ. მოკლე თხრობა ბაბილონის გოდლის მშენებლობისა და ენათა განყოფის შესახებ.
- II. საკუთრივ განყოფის ტექსტი, რომელიც რამდენიმე ქვერუბრიკას შეიცავს: ა. სემის, ქამისა და იაფეტის შთამომავალთა ჩამონათვალი და მათგან წარმოშობილი ეთნოსების მამამთავართა სახელები, ბ. ეთნოსები მათი ტერიტორიების მიხედვით, **გ. სემის, ქამის და იაფეტის იმ შთამომავალთა ჩამონათვალი, რომელთაც ანბანური დამწერლობა აქვთ (ან ანბანურ დამწერლობას იყენებენ, წერა იციან)**, დ. ბიბლიური წარმომავლობის ეთნოსების განსახლების საზღვრები, ე. ქვეყანათა ჩამონათვალი, ვ. კუნძულთა ჩამონათვალი, ზ. სასაზღვრო მდინარეთა ჩამონათვალი.
- III. სამოცდათორმეტი ენის ჩამონათვალი.
- IV. მონათხრობი ეთნოსების განყოფისა და მათი მიგრაციების შესახებ.
- V. ნაკლებად ცნობილი ეთნოსები და მათი განსახლების ადგილები.
- VI. მათათა ჩამონათვალი.
- VII. მდინარეთა ჩამონათვალი.
- VIII. ქალაქების ჩამონათვალი შვიდი კლიმატური ზონის მიხედვით.

დიამერიზმების ცალკეული ნაწილები დამოუკიდებელი ტოპოსების სახით ვრცელდებოდა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. ამ გზით უნდა მოხვედრილიყო მათი ფრაგმენტები ძველ ქართულ მწერლობაშიც.³¹

დიამერიზმების შექმნის საფუძველი გახდა ნოეს სამი ძის შთამომავალთა ჩამონათვალი, რომელიც შესაქმის მე-10 თავისა და შესაბამისად, ნეშტთა წიგნის (ნეშტთა I, 4-24) მიხედვითაა მოღწეული. სწორედ ამ ტექსტს ეყრდნობა როგორც ქრისტიანულ, ასევე იუდაისტურ და ისლამურ ტრადიციაში შექმნილი დიამერიზმების განსხვავებული ვერსიები, ამავე ტექსტის ეთნონიმებისა და ტოპონიმების მეშვეობით აიხსნება დიამერიზმების რადიკალურად განსხვავებული იკითხვისები. აქ წარმოვადგენ საყრდენი ტექსტის სრული ვარიანტის ძველ ქართულ თარგმანს:

ესე შობანი ძეთა ნოესთანი: სემ, ქამ, იაფეთ. და იშვნეს მათდა ძენი შემდგომად წყლით რღუნისა. ძენი იაფეთისნი: ღამერ და მაგოგ და მადაიმ და ავან და ელიოსან და თობელ და მოსოქ და თირას. და ძენი ღამერისნი: ასქანაზ და რიფათ და თორლამა. და ძენი ავანისნი: ელისა და ტარშის, კიტენი, როდენი. ამათგან განიყვნეს ჭალაკნი წარმართთანი ქუეყანასა მათსა, თვთუელი ენად-ენად ტომთა შინა მათთა და ნათესავთა შინა მათთა.

ხოლო ძენი ქამისნი: ხუს და მესარაიმ, ფუდ და ქანაან. ხოლო ძენი ხუსისნი: სავა და ლევილათ და სავათა და რელმა და სავაკათა. ხოლო ძენი რელმასნი: სავან და დათან. ხოლო ხუს შვა ნებროთ. ამან იწყო გმირ-ყოფად ქუეყანასა ზედა. ესე იყო გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღმრთისა. და იქმნა დასაბამ მეფობისა მისისა ბაბილონი, ორეკი, აქადი და ხალანი ქუეყანასა სენარისასა. ქუეყანისა მისგან გამოვიდა

31 ენათა და ეთნოსთა განყოფის ბაბილონისდროინდელი ამბები, ანუ სამოცდათორმეტი ეთნოსისა და ენის ჩამონათვალი (გუთშმიდის კლასიფიკაციით – III რუბრიკა) რამდენიმე ფრაგმენტითაა შემონახული ძველ ქართულ წყაროებში. ამ წყაროებს ქვემოთ დავუბრუნდები.

ასურ და აღაშენა ნინევი და ქალაქი რომოთი და ხალანი და დასე საშუალ ნინევისა და საშუალ ხალანისა – ესე ქალაქი დიდი. და მესრაიმ შვნა ლუდიმელნი და ემატიმელნი და ლავიიმელნი და ნეფთალიმელნი და პატროსონიმელნი და ხასლორიმელნი, ვინა გამოვიდა მიერ ფილისტიმ და ფთორიმელნი. ხოლო ქანაან შვა სიდონ პირმშოდ და ქეტელი და იებოსლელი, ამორეველი და გერგესეველი და ასსელი და არუკეველი და ასენეველნი, და არადელნი და სამარეელნი და ამათეველნი და ამაათი. და შემდგომად მათსა განეთესნეს ტომნი ქანანელთანი. და იყვნეს საზღარნი ქანანელთანი სიდონითგან და ვიდრე შესლვადმდე გერარად და ლაზად და ვიდრე შესლვადმდე სოდომად და გომორად, ადამად და სევოიმად ვიდრე ლასადმდე. ესე ძენი ქამისნი ტომთა შინა მათთა და ენათა მათთა და სოფელთა მათთა.

და სემისა იშვნეს მისდაცა, მამისა ყოველთა ძეთა ებერისთასა, ძმისა იაფეთისა, ძმისა უზუცესისა. ძენი სემისნი: ალიმ და ასსურ და არფაქსად და ლუდ და არამ და კაინან. და ძენი არამისნი: ოს და იულ და ლათერ და მოსოხ. და არფაქსად შვა კაინან. ხოლო კაინან შვა სალა. და სალა შვა ებერ. და ებერისა იშვნეს ორნი ძენი. სახელი ერთისა – ფალეკ, რამეთუ დღეთა მისთა განინანილა ქუეყანა და სახელი ძმისა მისისა იეკტან. ხოლო იეკტან შვა ელმოდად და სალეფ და ასარმოთ და იერარ და დორრა და ლაზილ და დიკლა და გეზარ და აბიმიელ და სავარ და უფილ და ევილატ და იოზაბ. ესე ყოველნი ძენი იეკტანისნი. და იქმნა დამკვდრება მათი მასსითგან ვიდრე მოსლვადმდე სოფირად, მთად აღმოსავლისა. ესე ძენი სემისნი ტომთა შინა მათთა, ენათებრ მათთა, სოფელთა შინა მათთა.

ესე ტომნი ძეთა ნოესთანი ნათესაობისაებრ მათთა, თესლისაებრ მათისა. ამათგან განეთესნეს ჭალაკნი ნათესავთანი ქუეყანასა ზედა შემდგომად წყლით რლუისა.³²

როგორც ზემოთ ვთქვი, არსებობს თვალსაზრისი, რომ დიამერიზმების საფუძველი გახდა არა „დაბადების“ მეთე, არამედ მეთერთმეტე თავი, ანუ არა კაცთა მოდგმის გაყოფის, არამედ მათი დასჯის ამბავი:

და იყო ყოველი ქუეყანა ბაგე ერთ და ჳმა ერთ ყოველთა. და იყო ძრვასა მათსა აღმოსავალით გამო, პოვეს ველი ქუეყანასა სენარისასა და დაემკვდრნეს მუნ. და პრქუა კაცმან მოყუასსა: მოვედით გამოვზილნეთ ალიზნი და გამოვაცხუნეთ იგინი ცეცხლითა. და იყო მათდა ალიზი ქვა და და ასფალტოსი იყო მათდა თივა. და თქუეს: მოვედით, ვიშენოთ თავთა თვსთათვს ქალაქი და გოდოლი, რომლისა თავი იყოს ვიდრე ცადმდე. და ვყოთ თავთა თვსად სახელი პირველ განთესვისა ჩუენისა პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა. და გარდამოვიდა უფალი ხილვად ქალაქისა და გოდლისა, რომელი აღაშენეს ძეთა კაცთასა და თქუა უფალმან ღმერთმან: აჰა ნათესავი ერთ და ბაგე ერთ ყოველთა. და ამას იწყეს ყოველთა ქმნად და ან არა დააკლდენ მათგან ყოველნი, რაოდენთაცა ინებონ ქმნა. მოვედით, გარდავიდეთ და შეურინეთ მათ ენანი მუნ, რაჟთა არა ესმოდის თვთეულსა ჳმა მოყუისსა. და განსთესნა იგინი უფალმან მუნით პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა. და დასცხრნეს მაშენებელნი ქალაქისა და გოდლისანი. ამისთვს ეწოდა სახელი მისი შერევნა, რამეთუ მუნ შეურივნა უფალმან ბაგენი ყოვლისა ქუეყანისანი. და მუნით განთესნა

32 გიგინეიშვილი, კიკვიძე 1989: 87-88.

უფალმან ღმერთმან პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა.³³

დიამერიზმების თავდაპირველი ვერსია, რომლის მიხედვითაც III-XVIII საუკუნეებში არაერთი რედაქცია შეიქმნა იუდაისტურ, ისლამურ და ქრისტიანულ ტრადიციაში, ცნობილია „მცირე დაბადების, ანუ იოზეფების წიგნის“ სახელით (ὁ Ἰωσήφ καὶ ἡ λεπτή Γένεσις). იგი ახ. წ.ა. I საუკუნით თარიღდება.³⁴ ებრაულად დაწერილი ეს აპოკრიფი II საუკუნეში ითარგმნა ბერძნულად, ბერძნულიდან – ეთიოპურად. დღეისათვის შემონახულია ერთადერთი, ძალზე დაზიანებული ეთიოპური ხელნაწერი, რომლისგანაც ტექსტი ითარგმნა ჯერ ლათინურად, შემდეგ კი ევროპულ ენებზე.³⁵

მცირე დაბადების ტექსტში მხოლოდ ნაწილობრივ, ჩანასახის სახით იკითხება ა. გუთშმიდის მიერ III-XVIII საუკუნეების ვერსიებზე დაყრდნობით გამოყოფილი დიამერიზმების რეკონსტრუქციანი სტრუქტურა. მასში არც ბიბლიური სამოცდაათი თუ სამოცდათორმეტი ფიგურირებს და არც სამწერლო ტრადიციის მქონე თხუთმეტი ენის ჩამონათვალი. ამ უკანასკნელთაგან პირველი დღეისათვის ცნობილი წყაროების მიხედვით იოსებ ფლავიოსის ისტორიაში ჩნდება, ხოლო მეორე – სამწერლო ტრადიციების მქონე ენათა და ხალხთა ჩამონათვალი – თითქმის ერთდროულად, მაგრამ ორი განსხვავებული ვერსიით იკითხება იპოლიტე რომაელისა და სექსტუს იულიუს აფრიკანუსის თხზულებებში.

შუა საუკუნეებში დიამერიზმების ნაკლებ ვერსიათა ქართულად თარგმნასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე წყაროთა რედაქციული და ტექსტუალური მიმართების პრობლემატიკა ქართველთა ენისა და ისტორიის კონცეპტუალიზაციის კონტექსტში, ჩვენი ისტორიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დიამერიზმების ზოგიერთი ვერსია, მონოგრაფიის II ნაწილში იქნება განხილული.³⁶ სხვადასხვა კულტურულ ტრადიციაში დიამერიზმების ცალკეული ტოპოსების რეცეფციასთან დაკავშირებულ საკითხებს ამჯერად განვიხილავ ზოგადად ენათა წარმომავლობისა და განყოფის შესახებ რელიგიური ისტორიოგრაფიის ძირითადი ტენდენციების ჩვენების მიზნით; დიამერიზმების საკმაოდ რთული სტრუქტურიდან ნაშრომში შევცხები II რუბრიკის ტექსტებს, უფრო ზუსტად, მის ორ ქვერუბრიკას:

ა) სემის, ქამის და იაფეტის მოდგმის ენათა და ხალხთა ჩამონათვალი,

ბ) იმ ხალხთა ჩამონათვალი, რომელთაც ანბანური დამწერლობა აქვთ (ან ანბანურ დამწერლობას იყენებენ, წერა იციან).

ეს ტოპოსი დამწერლობის მქონე ან მცოდნე თხუთმეტი ხალხის შესახებ იუდაისტურ და ისლამურ ისტორიოგრაფიაშიც აისახა; III საუკუნიდან მოყოლებული თალმუდის ტექსტის განმარტებებში, ხელნაწერთა სქოლიოებსა თუ მინაწერებში სხვადასხვა ეგზეგეტიკურ საკითხებზე მსჯელობისას არაერთგზის დასტურდება ცნობა დამწერლობის მქონე ხალხთა (მათ შორის იბერიელების) შესახებ. ქრისტიან-

33 გიგინეიშვილი, კიკვიძე 1989: 88-89.

34 „მცირე დაბადების, ანუ იოზეფების წიგნის“ არქეტიპისა და მომდევნო საუკუნეებში შესრულებული თარგმანების, ასევე თარგმანთა ტექსტობრივი ურთიერთმიმართებების შესახებ იხ. Dillmann: 1874.

35 მცირე დაბადების ტექსტს გავეცანი გერმანული თარგმანის მიხედვით. იხ. Ewald 1850. განსაკ. გვ. 250-254.

36 იბერიელთა სამწერლო ტრადიციების, ასევე არასამწერლო ქართველური ენების შესახებ დიამერიზმებში დაცული ცნობები განხილულია შემდეგ სტატიებში: დობორჯგინიძე 2005: 190-207; Doborjginidze 2006: 89-98; დობორჯგინიძე 2007: 253-266.

ნულის პარალელურად ნაშრომში ამ ტოპოსის შემცველი თალმუდურ-მიდრაშული და ისლამური წყაროებიც იქნება განხილული.

რელიგიურ კონტექსტში შექმნილი ეს ტოპოსი თხუთმეტი სამწერლო ენის შესახებ დიამერიზმების ყველაზე საინტერესო ნაწილად იქცა და III-XVIII საუკუნეების წყაროებში თითქმის უცვლელი სახით გავრცელდა, როგორც საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისი, ტოპოსი. ჩვენთვის საინტერესო ეს რუბრიკა ისტორიული სოციოლინგვისტიკის და ზოგადად კულტურის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების უფლებას იძლევა: იბერიული დამწერლობისა თუ იბერიული სამწერლო ტრადიციების არსებობა ძველ კულტურულ სამყაროში მკაფიოდ ჩამოყალიბებული და საყოველთაოდ გაზიარებული აზრია, რომელიც თითქმის უცვლელად მეორდება III-XVIII საუკუნეების როგორც ქრისტიანულ, ასევე იუდაისტურ წყაროებში, ერთმანეთისგან რელიგიურად, ქრონოლოგიურად და გეოგრაფიულად დაშორებულ ტექსტებში.

როგორც ზემოთ ვახსენე, ამჯერად ჩვენთვის რელიგიური ისტორიოგრაფიის ზოგადი ტენდენციებია მნიშვნელოვანი და არა კონკრეტული წყაროს თავისთავად საინტერესო ანალიზი; კერძოდ, რამ განაპირობა ძველი კულტურული სამყაროს რელიგიურ ისტორიოგრაფიაში, ქრისტიანულ, იუდაისტურ და ისლამურ ტრადიციაში, ენათა სანყისისა და მრავალფეროვნების შესახებ თვალსაზრისის ასეთი ერთგვაროვნება.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავ ამ ჟანრის ტექსტებისთვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს ცალკეულ ტრადიციაში, თითოეული ტრადიციის, ზოგ შემთხვევაში კი ტრადიციის ცალკეული რედაქციების ყველაზე მნიშვნელოვან ტექსტუალურ საკითხებს; ამაში, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ ამა თუ იმ ტრადიციაში შემუშავებული მოტივისა და ჩამონათვალის ისტორიულ და სოციო-კულტურულ წინაპირობებს, წერილობით და ზეპირ წყაროებს, რომელთაც კონკრეტული ეპიზოდი ეყრდნობა, საკვლევი საკითხისთვის საინტერესო ზოგიერთი განსხვავებული იკითხვის ტექსტოლოგიურ ანალიზს და ა.შ. ცალკეული ტრადიციის განხილვისას, როგორც ვთქვი, მხოლოდ ზოგად ტენდენციებს და კვლევისთვის გამორჩეულად საინტერესო წყაროთა მონაცემებს გამოვყოფ.

II თავი

დიამერიზმები და გიგლიურ ხალხთა და ენათა ნუსხები იუდაისტურ და ქრისტიანულ ტრადიციებში

1. იუდაისტური ტრადიციის ტექსტები

ენათა და ხალხთა განყოფის ადგილის, ბაბილონის, ინტერპრეტაციისათვის იუდაისტურმა და, აქედან მომდინარე, ქრისტიანულმა ტრადიციამაც მცდარი ხალხური ეტიმოლოგია აირჩია და ბაბილონი განმარტა, როგორც შერევა, აღრევა.³⁷ იუდაისტური სამყაროსთვის ამგვარი არჩევანი ბუნებრივი იყო. ქრისტიანულ ეგზეგეტიკაში კი გაცილებით გვიან შემუშავდა ის ინტერპრეტაცია, რომელიც ბაბილონისეულ ამბებს განმარტავდა არა როგორც ღმერთის რისხვას და სასჯელს, არამედ როგორც მისი კეთილი ნების აღსრულებას, რომლის საიდუმლოებას სულიწმინდის მოვლინებისას შეიცნობდა კაცობრიობა. იუდაისტური ტრადიციისთვის კი ბაბილონი დარჩა სიმბოლოდ ნიმროდის ძალაუფლებისა, რომელიც ღვთის ხალხის, იუდეველების წინააღმდეგ იყო მიმართული და ამიტომაც დაინგრა იგი ღმერთის განგებით.

იუდაისტური ტრადიციის ძირითადი ვერსიების მიხედვით ბაბილონის ამბავი შემდეგნაირადაა მოთხრობილი: გოდლის მშენებლებს, პირველ რიგში კი მათ მეთაურს, სურდათ ცის სიმაღლემდე აღმართათ კოშკი, რაც, რა თქმა უნდა, დიდი ძალაუფლების სიმბოლო იქნებოდა.³⁸ ასეთი რამ კი, თუ იგი ღმერთის ნებისა და თანადგომის გარეშე ხდება, ადამიანის მედიდურობა და თავხედობაა და აუცილებლად ისჯება, ისევე, როგორც დაისაჯნენ ბაბილონის მაშენებელნი. სამართლიანად მიუთითებენ, რომ დასჯის ამგვარი მოტივი მოსეს რელიგიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია და იგი პირველად იუდაისტური ტრადიციის ტექსტებში ჩნდება.³⁹ ბიბლიის ფრაზა, რომ ღმერთმა მაშენებელთა ენები „შეურივნა“, მომდევნო პერიოდის ეგზეგეტიკისთვის – ეს ეხება თითქმის ყველა რელიგიურ ტრადიციას, რომელშიც ეს მოტივი მეტ-ნაკლები ერთგვაროვნებით გამოჩნდა – უდიდეს თავსატეხად იქცა. აქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა მოხდა სინამდვილეში, როგორ გაითიშა ენები, ღმერთმა სამოცდათორმეტი ახალი ენა შექმნა თუ ძველი, უკვე არსებული ენები შეცვალა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ აშკარაა, იუდაისტური ტრადიციის მიხედვით ენა და ხალხი ერთმანეთის იდენტური ცნებებია და, შესაბამისად, ადამიანთა მოდგმის მრავალფეროვნებას ენათა შერევა წარმოქმნის. საერთოდ, ენების განყოფის მოტივი და მისი მიზეზების ძიება კი არ არის ამ ეპიზოდის ავტორისთვის მთავარი, არამედ თვალსაზრისი, რომელიც იუდაისტური რელიგიური ისტორიოგრაფიის ხასიათს განსაზღვრავს: მხოლოდ ღმერთი არის ისტორიის შემოქმედი, ყველაფერი, რაც მისი ხელდასხმის გარეშე შეიქმნება, უსა-

37 სინამდვილეში ეს სიტყვა ნიშნავს „ღმერთის სახლს“ (ბაბ-ილი).

38 მსოფლიო ბატონობის, როგორც რელიგიური იდეის შესახებ იხ. H. Gross 1953: 64; ასევე Bruce 1991; Gussmann 2008.

39 ამ ტრადიციის ტექსტების მიმოხილვა იხ. ა. ბორსტის მონოგრაფიაში (Borst 1957: 114-133; 188-218); აქ გვ. 118.

თუოდ განადგურდება.⁴⁰

ამ ტენდენციას ასახავს იუდაისტური ვერსიების, და ზოგადად, ენათა და ხალხთა განყოფის ტოპოსის შემცველი ამოსავალი ტექსტები, ზემოთ დასახელებული ებრაული აპოკრიფი, „მცირე დაბადება“ და იოსებ ფლავიოსის საისტორიო თხზულება *Ἰουδαϊκὴ Ἀρχαιολογία*.⁴¹ აქვე შევნიშნავ, რომ არც მცირე დაბადების აპოკრიფი და არც ფლავიოსის ისტორია არ შეიცავს დიამერიზმების ყველაზე საინტერესო რუბრიკას დამწერლობის მქონე / წერა-კითხვის მცოდნე ეთნოსების შესახებ, ისინი მხოლოდ ეთნოსებისა და ენების ნუსხას გვთავაზობს. სამწერლო ტრადიციის მიხედვით გამორჩეული სემის, ქამისა და იაფეტის შთამომავალთა ჩამონათვალი, ანუ კულტურის ნიშნით გამორჩეული მსოფლიოს თხუთმეტი ენა, როგორც ვთქვი, პირველად იპოლიტე რომაელის ქრონიკაში ჩნდება.

რა უნდა დასდებოდა საფუძვლად დაბადების მეათე წიგნში მოცემულ ეთნოსების ჩამონათვალს? ამ საკითხის ირგვლივ მომუშავე ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ჩამონათვალი მართლაც არაერთგვაროვანი ტექსტია და იმდროინდელი საისტორიო-გეოგრაფიული ცოდნის გარდა, ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა წყაროს არასწორ, ან გულუბრყვილო ინტერპრეტაციას, კომპილაციას ან კიდევ კონკრეტულ კულტურულ არეალში გავრცელებული ლეგენდების ლიტერატურულ გადამუშავებას წარმოადგენს. ამის შედეგად ჩამონათვალში უსისტემოდაა გამოყენებული დაყოფის გეოგრაფიული, ეთნოლოგიური, ენობრივი თუ პოლიტიკურ-ისტორიული პრინციპები. დროთა განმავლობაში იგი შევსებული ჩანს ისტორიოგრაფიასა და გეოგრაფიაში დაგროვილი გამოცდილებითა და ცოდნით. გადამუშავებათა ტექსტოლოგიური იდენტიფიკაცია ამ ეტაპზე საკმაოდ ძნელია, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში არასწორი ჩანს მათი ტრადიციული დაკავშირება ამა თუ იმ ავტორთან.⁴² იუდაისტურ ტრადიციას, ჩანს, დიდად არ ანუხებდა ეთნოსთა და ენათა ჩამონათვალში არსებული სერიოზული სხვაობები, გარკვეულ კულტურულ-ისტორიული კონტექსტის გავლენით ტექსტში მოგვიანებით ჩართული სახელები, მისთვის ამ ტექსტში მთავარი იყო ის, რაც მოსეს რელიგიის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა: მთელი სამყარო, ყველა ენა და ყველა ეთნოსი, ერთი ადამიანის შთამომავლები არაინ; ეს ადამიანი არის ნოე და იგი იაჰვემ აკურთხა. რაც შეეხება ამ შთამომავალთა სახელებს, ეს მეორეხარისხოვანია, შესაბამისად, ნაკლებად მნიშვნელოვანია ის პრობლემებიც, რაც მათი აღმნიშვნელი სახელების იდენტიფიკაციას ახლავს თან.⁴³

მართალია, იუდაისტურ ტრადიციას არ აინტერესებდა ნოეს შთამომავალთა სახელების იდენტიფიკაცია ისტორიული თვალსაზრისით, სამაგიეროდ იგი ყოველთვის მკაცრად იცავდა რიცხვთა მისტიკის ძველალექსიურ ტრადიციას და, ამდენად, რაბინული ეგზეგეტიკის ტექსტებში შემონახული დიამერიზმები, რომელთა

40 შდრ. Borst 1957: 119.

41 ფლავიოსის ისტორიის ბერძნული ტექსტი იხ. Clementz 2004

42 ამის შესახებ იხ. Borst 1957: 121-125; W. Brandenstein 1953: 57-83; E. Dhorme 1932: 28-49.

43 ბიბლიური წარმომავლობის ეთნოსების (შესაბამისად, ენების) განყოფის იოსებ ფლავიოსისეული ნუსხის ძველი ქართული თარგმანი, ისევე, როგორც სხვა უცხოენოვან ავტორთა ნუსხის ძველი ქართული ფრაგმენტები, წარმოდგენილი იქნება მონოგრაფიის დამატებაში: დიამერიზმების ძველი ქართული თარგმანები.

უმეტესობა იოსებ ფლავიოსის ტექსტს ეყრდნობა (განსაკუთრებით ენათა და ეთნოსთა ჩამონათვალი), ნაკლებად აჩვენებდა განსხვავებულ იკითხვისებს, პირიქით, ეს ჩამონათვალი მკაცრად კანონიზებული იყო და სწორედ ეს იცავდა ტექსტს თვითნებური ცვლილებებისგან.

იოსებ ფლავიოსის თხზულებაში იუდაისტური ტრადიციის ყველა ძირითადი ტენდენცია იკითხება. მისთვის ბაბილონი, პირველ ყოვლისა, ცოდვით დამძიმებულია დასჯის ადგილია და არა განსხვავებულ ენათა და ეთნოსთა ისტორიის დასაწყისი:

ლმერთმან უბრძანა მათ, რაათა, უკუეთუ განმრავლდენ, გარდაისახლებოდინ, რაათა არა მბრძოლ იყვნენ ურთიერთას, არამედ მოქმედნი მრავალსა ქუეყანასა, უხუად მიიღებდენ ნაყოფთაგან. ხოლო იგინი უმეტრებისა მიერ ურჩ ქმნენს ღმერთსა და ამისთჳს, განსაცდელსა შთავრდომილნი, მგრძნობ იყვნეს ცოდვისა. და ვინათგან ყუაოდეს სიმრავლითა სიჭაბუკისაჲთა, კუალად ღმერთმან განაზრახა მათ ქმნაჲ გარდამკვდრებისაჲ. ხოლო იგინი, არა სახიერებისა მისისაგან მგონებელნი ქონებად კეთილთა, არამედ ძალსა მათსა მიზეზად თჳსისა ღონიერებისად მეჭუელნი, არა ირწმუნებდეს. ხოლო შესძინეს მერმეცა ურჩ-ქმნად მცნებასა ღმრთისასა და განზრახვად გონებასა შინა, ვითარმედ განზრახვით აწუევეს მათ გარდამკვდრებისა მიმართ, რაათა, განყოფილნი, ადვილად ჯელჰყრობილ იქმნენ.⁴⁴

ქვემოთ დავასახელებ რამდენიმე ტენდენციურ მოტივს, რომელიც მომდევნო საუკუნეების რაბინული ეგზეგეტიკის მეტ-ნაკლებად ჰომოგენურ ტექსტებს ახასიათებს და რომლებიც საკვლევი საკითხისთვის მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო:

ა) ებრაული, ადამის, და, ამდენად, კაცობრიობის თავდაპირველი ენა, **ყველაზე სრულყოფილია** სხვა ენათა შორის; რაც შეეხება დამწერლობას, აქ სირიულს ეკუთვნის პირველობა. მართალია, ებრაელთა შჯულის წიგნი ითარგმნა ბერძნულად ღმერთის განგებით, მაგრამ ბერძნული მაინც ბევრი სამარცხვინო ამბისა და ტყუილის ენაა; ის კი, რაც ებრაულად გამოითქმის, წმინდაა.

ამ კონტექსტში რაბინული ეგზეგეტიკა, პირველ ყოვლისა, სირიულის განსაკუთრებულობას აღიარებს. თალმუდის კომენტატორები მიიჩნევენ, რომ თორა განკუთვნილია სამოცდაათივე ბიბლიური წარმომავლობის ეთნოსისთვის, რათა წმინდა ისტორიის მონაწილე სამოცდაათმა ეთნოსმა და ენამ, აქედან სემის ოცდაექვსმა, ქამის ოცდაათმა და იაფეტის თოთხმეტმა შთამომავალმა, მოისმინოს და მიიღოს იგი.⁴⁵ ამდენად, სამოცდაათივე წმინდა წარმოშობის ეთნოსს შეუძლია თორას მიღება. ებრაელების უპირატესობა კი იმაშია, რომ მათ შემოინახეს იგი. თალმუდის მიხედვით კარვობის დღესასწაულზე შვიდი კვირის განმავლობაში მსხვერპლად შეიწირება სამოცდაათი ხარი, რაც სწორედ ბიბლიური წარმომავლობის სამოცდაათ ეთნოსს შეესაბამება; მხოლოდ მერვე დღეს შესწირავენ ხარს, რომელიც ღვთის რჩეული ერთადერთი ეთნოსის სიმბოლოა. მართალია, ღმერთმა შექმნა სამოცდაათი მოდგმა, მაგრამ აირჩია მათგან მხოლოდ ერთი; ამ რჩეულის

44 6. მელიქიშვილი 1987: 101-102.

45 თალმუდის ამგვარი მინაწერების შესახებ ქვემოთ ვრცლად გვექნება საუბარი დიამერიზმებში მოხსენიებული იბერებისა და მათი დამწერლობის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით.

ენა, ებრაული, ღვთის ხმაა.⁴⁶ ებრაულის გამორჩეულობის ამ ტენდენციას აღიარებს ზეპირი თუ წერილობითი რაბინული ეგზეგეტიკის თითქმის ყველა წყარო, რომელშიც კი ენათა საწყისისა და მრავალფეროვნების პრობლემებია განხილული ბაბილონის ამბების კონტექსტში.⁴⁷ იგი დღემდე ცოცხალია იუდეველთა ცნობიერებაში, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო – იუდეველებს აღარ ესმით საკუთარი ენა – გამორჩეულობის არგუმენტებმა ზეპირი ენიდან წერილობით ენაზე, ანუ ძველ ალტექმაზე, გადაინაცვლა.⁴⁸

ბ) იუდაიზმი ქრისტიანობისა და ისლამის ხანგძლივ და წინააღმდეგობებით სავსე გარემოცვაში არსებობდა; ეს გარემოცვა, ისევე როგორც ირანული და ჩინური მოტივები, ყველაზე მკაფიოდ სწორედ საწყისისა და მრავალფეროვნების, მათ შორის ენათა საწყისისა და მრავალფეროვნების, შესახებ არსებულ თქმულებებში აისახა. ეს იყო იუდაისტური სამყაროს მცდელობა, რაღაცნაირად ელიარებინა „სხვისი“ არსებობა, თუმცა ეს სულაც ვერ ცვლიდა ამ ტრადიციისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელ ნიშანს, ბოლომდე დარჩენილიყო ჩაკეტილ, ნებისმიერი სახის ინტეგრაციისგან „დაცულ“ სამყაროდ. სამართლიანად მიუთითებენ, რომ სხვადასხვა ტრადიციის გავლენების მიუხედავად, იუდაისტურმა სამყარომ მაინც ვერ „აღმოაჩინა“ და, მით უმეტეს, ვერ მიიღო სამყაროს ისტორიული მრავალფეროვნება. მაგრამ სწორედ ეს ჩაკეტილობა და იზოლირება, მოსეს ხუთწიგნეულისა და ბიბლიური წმინდა ისტორიის უნივერსალურობა და მისი რაბინული ინტერპრეტაცია იყო ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა, რომელმაც ძველი აღმოსავლეთის ეს ერთადერთი ხალხი, როგორც ყველაზე ჩაკეტილი და სხვათაგან მკვეთრად იზოლირებული ერთიანობა, დღემდე მოიტანა.⁴⁹

ამ თეოლოგიურ კონტექსტში შექმნილი დიამერიზმების იუდაისტური ნუსხები უმეტეს შემთხვევაში უაღრესად საიმედო საისტორიო წყაროს წარმოადგენს. ამის საუკეთესო ნიმუშია დიამერიზმების რედაქცია, რომელიც დაცულია ახ. წ.ა. 94 წელს იოსებ ფლავიოსის მიერ შექმნილ ისტორიულ თხზულებაში: 'Ισθαικὴ Ἀρχαιολογία. ფლავიოსის ეს თხზულება შეიცავს მხოლოდ ნოეს შთამომავალთაგან წარმოშობილი სამოცდათორმეტი ეთნოსის ჩამონათვალს. ჩვენთვის საინტერესო ტოპოსი სამწერლობო ტრადიციის მქონე ენების შესახებ, როგორც ზემოთ ვთქვი, პირველად იპოლიტე რომაელის ქრონიკაში ჩნდება.

ფლავიოსის ეს თხზულება ჩვენი ისტორიისთვის მეტად საინტერესო ძეგლია. იგი ძველ საქართველოში კარგად ცნობილი ავტორი იყო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და ჟამთაღმწერელი ხშირად იმონებენ ამა თუ იმ ადგილს მისი თხზუ-

46 Gorion 1918 (Bd. 3): 119.

47 აქ პირველ ყოვლისა იგულისხმება ეგრეთწოდებული მიდრაშიმები (განმარტებების კრებული), რომლებშიც მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული მეთერთმეტეს ჩათვლით თავს იყრიდა ის კომენტარები, რომლებიც ღვთისმსახურების დროს იყო საჭირო. ისინი ძირითადად ანონიმურია, შესაბამისად, ჭირს მათი დათარიღება.

48 მეოცე საუკუნის ცნობილი ებრაელი სახალხო პოეტის, ხაიმ ნახმან ბიალიკის სიტყვით, ეს ტრანსფორმაცია ენიდან წიგნზე იგივეა, რაც ებრაელთა ენის დამუწვება. შდრ. „ჩვენ აღარ გვაქვს პირი, რომლისგანაც რამის სწავლას შევძლებდით, გარდა ერთი პირისა, ეს არის წიგნის პირი; სხვა პირი აღარა გვყავს, ვინაიდან ჩვენი ხალხი აღარ ლაპარაკობს“. იხ. H. J. Schoeps 1953: 276.

49 შდრ. Borst 1957: 218.

ლებებიდან.⁵⁰ XI-XII საუკუნეებში Ἰσθμιακὴ Ἀρχαιολογία ითარგმნა კიდეც ქართულად.⁵¹ იუდაისტური ისტორიოგრაფიის ეს პირველწყარო მნიშვნელოვან ცნობებს გვანდის კავკასიის რეგიონში მცხოვრები ეთნოსების, მათ შორის ქართველური ტომების, შესახებ. თ. ყაუხჩიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ფლავიოსის თხზულებები ამ თვალსაზრისით, თარგმნა ფრაგმენტები, რომლებშიც მოთხრობილია ქართველური წარმოშობის ეთნოსთა ცხოვრების და სხვა ტომებთან მათი ურთიერთობის ამსახველი ამბები. ფლავიოსის ცნობები ავტორმა გააანალიზა სხვა ბერძნულ საისტორიო წყაროებთან მიმართებაში და შეისწავლა კავკასიის ეთნონიმებისა და ტოპონიმების გავრცელების ისტორიული და გეოგრაფიული საზღვრები.⁵²

იოსებ ფლავიოსის ეს თხზულება საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს როგორც ქრისტიანული, ასევე იუდაისტური ისტორიოგრაფიისთვის, რომლის მიხედვითაც ამა თუ იმ ძველი წყაროს მონაცემთა სანდოობას ამოწმებდნენ ხოლმე. სამართლიანად შენიშნავდნენ ცნობილი ევროპელი ისტორიკოსები, რომ ფლავიოსის აღწერილობაში მოხსენიებული ეთნოსების და ქვეყნების სახელები, ისევე როგორც მასში აღწერილი ამბები, მართლაც სანდოა⁵³ და მათი იდენტიფიკაცია, თუ არ ჩავთვლით სხვადასხვა პერიოდში ტექსტში გაჩენილ არასწორ იკითხვისებს, თითქმის ყოველთვის ხერხდება.⁵⁴ აქ მოკლედ შევჩერდები დიამერიზმების ერთ-ერთი პირველი მკვლევრის, არნოლდ გუთშმიდის მიერ გასწორებულ ერთ იკითხვისზე, რომელიც საკითხთან პირდაპირ კავშირში არაა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენი ისტორიისათვის საინტერესო ცნობას წარმოადგენს.

როგორც ა. გუთშმიდი, ასევე სხვა მეცნიერები, საგანგებოდ მიუთითებდნენ, რომ იოსებ ფლავიოსის მართლაც ზუსტ აღწერილობაში გამოცანას წარმოადგენდა ეთნოსი, რომელიც მოიხსენიებოდა სახელით: οἱ Ῥηγῖνες. ვნახოთ ეს ფრაგმენტი: Ἰαφῆθου μὲν οὖν τοῦ Νωέου παιδὸς ἦσαν ἑπτὰ ὑιοί. κατοικοῦσι δὲ οἱ αὐτοὶ ἀπὸ Ταύρου καὶ Ἀμάνου τῶν ὀρίων ἀρξάμενοι· καὶ προῆλθον ἐπὶ μὲν τῆς Ἀσίας ἄχρι ποταμοῦ Ταναΐδος, ἐπὶ δὲ τῆς Εὐρώπης ἕως Γαδείρων, γῆν ἣν ἔτυχον καταλαμβάνοντες, καὶ μηδεὶνδὲ προκατοικῆσαντος τὰ ἔθνη τοῖς αὐτῶν ἐκάλουν ὀνόμασι·

Γομαρὸς τοὺς Γαλάτας·

Μαγῶγης τοὺς Σκύθας·

Μάδης τοὺς Μήδους·

Ἰσάνιος τοὺς Ἰσάνας καὶ πάντας Ἑλλήνας·

Θάβηλος τοὺς Ἰβήρας·

50 ამის შესახებ იხ. ნ. მელიქიშვილი 1987: 7-8; თ. ყაუხჩიშვილი 1983: 40-59; ივ. ჯავახიშვილი 1977: 215-216, 249, 257.

51 იოსებ ფლავიოსის ისტორიის ძველი ქართული თარგმანი: „მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყვაობისანი“ XI-XII საუკუნეებშია ნათარგმნი უცნობი მთარგმნელის მიერ და ჩვენამდე მოღწეულია XIII საუკუნის ხელნაწერით. როგორც ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამომცემელი, ნ. მელიქიშვილი, ვარაუდობს, თხზულების ბოლო ნაწილი (XVI-XX ნიგნები) გვიან, XIX საუკუნეში, უნდა ეთარგმნათ. იხ. ნ. მელიქიშვილი 1987: 83.

52 იხ. თ. ყაუხჩიშვილი 1983: 40-76.

53 შდრ. Die Josephische Bearbeitung der Völkertafel enthält in der Hauptsache lauter bekannte Namen und bedarf keiner weiteren Erklärung (A. Gutschmid 1894: 601).

54 შდრ. Gutschmid 1894: 598-603.

Μόσχοχος τοὺς Καππάδοκας·
 Θειρᾶς τοὺς Θρᾶκας·
 Γομάρου δὲ τριῶν σῖνι γεινομένων,
 Ἀσχάναξος οἱ σῖνι Πηγῖνες ὑπὸ τῶν Ἑλλήνων καλλοῦνται·
 Ριφάθης τοὺς Παφλαγόνους·
 Θυγράμης τοὺς Φρύγας·
 Ἰωάννου δὲ τριῶν παίδων γεινομένων,
 Ἐλισᾶς τοὺς Ἀιολεῖς·
 Θαρσός τοὺς Κίλικας·
 Χέθιμος τοὺς Κυπρίους.⁵⁵

ამ ფრაგმენტის ძველი ქართული თარგმანი,⁵⁶ სავარაუდოდ, ეყრდნობა ბერძნული ტექსტის ვრცელ რედაქციას, რომელიც ამა თუ იმ ეთნოსთან დაკავშირებით შედარებით ვრცელ განმარტებას გვთავაზობს:

„ხოლო იაფეთოსს უკუე ნოხოეს ყრმისა, იყენეს ძენი შჳდნი. და მკჳდრ არიან ესენი ტავროსს და ამანოეს მთათაგან დამწყებელნი და შთამოვლენ ასიად ვიდრე მდინარედმდე ტანასასა, ხოლო ევრუპეს შინა – ვიდრე ლადირთადმდე. მიწევნულნი ქუეყანასა, რომელი დაემთხვა და არავიეთისა მკჳდრობისათჳს, წარმართნი სახელითა მათითა უწოდნეს, რამეთუ ან ელლინთა მიერ ღალატად წოდებულნი, ხოლო ღომარად სახელდებულნი. [...] მაღოგნი დაამკჳდრნა, ხოლო სკვთას მის მიერ სახელდებულნი. და იაფეთოსს უკუე ყრმათაგან – იოვანოესსა და მადოესა, მადოეს ვიდრემე მადელნი იქმნებიან წარმართნი, რომელნიცა ელლინთა მიერ მიდად იწოდებიან, ხოლო იოვანოესგან – იონიად და ყოველნი ელინნი იქმნებიან. დაამკჳდრეს უკუე თოვილოსცა თოვილთასა, რომელნი ან ივირად იწოდებიან. ხოლო მესქინნი, მესხოეს მიერ აღშენებულნი, ან კაპპადუკად იწოდებიან და რამეთუ დასაბამითგანისა სახელისა მათისა მერმეცა ნიში იჩუენებვის, რამეთუ ქალაქი არს მათ შორის და ანცა მაზაკად, ცხადმოყოფელი გულისჳმის-ყოფად შემძლებელთაჲ ესრეთ ოდესმე სახელისდებასა ყოვლისა ნათესავისასა. ხოლო თირას თირად უწოდა, რომელთა ემთავრა, ხოლო ელლინთა თრაკად გარდასახელნეს იგინი. და ესოდენნი ვიდრემე ნათესავნი იაფეთოსს ყრმათაგან დაემკჳდრებიან. ხოლო ღომაროესგან სამთა ძეთა ქმნილთა, ასხანოს, ვიდრემე ასხანოზნი დაამკჳდრნა, რომელნი ან რიგინად ელლინთა მიერ იწოდებიან. ხოლო რიფათის – რიფათელნი, პაფლაღონად სახელდებულნი; და თორლამის უკუე – თორლამელნი, რომელნი თნებისაგან ელლინთაჲსა ფრგად იწოდეს. ხოლო იოვანოესგან, იაფეთოსსა, მის მიერცა სამთა ყრმათა ქმნილობასა, ელისეს – ვიდრემე – ელისელ, რომელთა ემთავრა, ხოლო ან ეოლნი არიან; ხოლო თარსოს – თარსთა, რამეთუ ესრეთ იწოდებოდა ძუელად კილიკია და მომასწავებელ უკუე ესე, რამეთუ ტარსოდ მათ მიერ უპატიოსნესი ქალაქთა

55 იოსებ ფლავიოსის ტექსტი მოტანილია პ. მიულენჰოფის მონოგრაფიის მიხედვით (Müllenhoff 1892: 266)

56 ფლავიოსის თხზულების ძველი ქართული თარგმანის რედაქციული წარმომავლობის საკითხი, ასევე მისი მთარგმნელის ვინაობა, უდავოდ საინტერესოა როგორც მსოფლიოს ხალხთა ისტორიის მიმართ ქართველთა დამოკიდებულებისა და ინტერესის, ასევე ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ცალკეულ საკითხთა შესწავლის თვალსაზრისით. ეს საკითხები მე არ მიკვლევია, ვეყრდნობი ნ. მელიქიშვილის მიერ გამოცემულ ძველ ქართულ ტექსტს. იხ. ნ. მელიქიშვილი 1987.

ინოდების, დედაქალაქად მყოფი გარდამღებელთაგან ტარისათა წოდებისა მიმართ თანიცა. ხოლო ქეთიმოს ქეთიმას ჭალაკი დაიპყრა. ესე ინოდების ან კვპრედ და ამის მიერ ჭალაკნი ყოველნი და უმრავლესნი ზღვისპირთანი ქეტიინად ებრაელთა მიერ სახელდებულნი).⁵⁷

ფლავიოსის მკვლევრები ამ ნუსხაში დასახელებული ეთნონიმების განსხვავებულ იდენტიფიკაციებს გვთავაზობენ, მაგრამ ერთსულოვანი არიან იბერების საკითხთან დაკავშირებით: თუბალის შთამომავალი იბერები რომ კავკასიის იბერები არიან, ამას იოსებ ფლავიოსი არაერთგზის ადასტურებს სხვა ფრაგმენტებში კავკასიის ქართველური ტომების შესახებ საუბრისას.⁵⁸ მართალია, შემდეგდროინდელ ნუსხებში ჭირს დიაპერიზმების იბერებში კავკასიის, ან პირინეის იბერების ამოცნობა (ზოგჯერ ერთი და იმავე ავტორის თხრობაშიც კი ძნელია ზუსტი იდენტიფიკაცია), მაგრამ იოსებ ფლავიოსის ქრონიკა ამ თვალსაზრისით საკამათო არ არის.

მიუხედავად ფლავიოსისეულ რეგინებს: არცერთი ძველი ისტორიკოსი, თუ არ ჩავთვლით იმ წყაროებს, რომლებმაც უშუალოდ იოსებ ფლავიოსისგან გადმოიღეს ეს ინფორმაცია, არ იცნობს ამ სახელის მქონე ეთნოსს. ნოეს შთამომავალთა განყოფის ჰიერონიმესეული ვერსიის რამდენიმე ხელნაწერი, რომელიც სხვა წყაროებთან ერთად ფლავიოსის რედაქციასაც ეყრდნობა, ამ სახელწოდების მქონე ეთნოსს სარმატებთან აიგივებს. ა. გუთშმიდი მიიჩნევს, რომ ამგვარი გაიგივება ავთენტური ტექსტის მიხედვით შეუძლებელი ჩანს, იგი გვიანდელი ტექსტუალური ჩანართიდან უნდა მომდინარეობდეს. გუთშმიდი შემდეგნაირად ხსნის ამ გარემოებას: ამ სახელწოდების მატარებელი ეთნოსი (ὁ Πυλῆς) ფლავიოსის მიხედვით იმავე წარმომავლობისაა, როგორისაც სარმატები, ანუ ისინი იმ ასხენასის (მცხეთური ბიბლიის მიხედვით – ასხანაზი) შთამომავლები არიან, რომლებიც იერემია წინასწარმეტყველის წიგნში არარატის მახლობლობაშია მოხსენიებული:

„აღიღეთ სასწაული ქუეყანასა ზედა და ჰნესტუეთ ნესტუსა წარმართთა შორის; ნმიდა ყავთ მის ზედა ნათესავები და ჰმონმეთ მის ზედა მეფეთა არარატისათა, მენი და ასხანაზელთა დაადგინენით მის ზედა წყლულებისმდომნი აღიყვანეთ მის ზედა ცხენი, ვითარცა სიმრავლე მკალთა“.⁵⁹

ა. გუთშმიდის აზრით, ერთ-ერთმა გადამწერმა, ჩანს, ტექსტის აშიაზე დააზუსტა,⁶⁰ რომ ასკენასის შთამომავლები სარმატები არიან, ზოგიერთ შემდეგდროინდელ ხელნაწერში კი გადამწერის ეს დაზუსტება მთავარ ტექსტში გადაიტანეს და ასე დაუკავშირეს იოსებ ფლავიოსის ὁ Πυλῆς-ად წოდებულ ეთნოსს.⁶¹

ა. გუთშმიდი შეეცადა ისტორიული და გეოგრაფიული გარემოცვის მიხედვით დაედგინა, თუ ვის გულისხმობდა ავტორი ამ სახელით მოხსენიებულ ეთნოსში. ფლავიოსის თქმით, ὁ Πυλῆς არიან ასკენასის შთამომავლები და ცხოვრობენ პაფლაგონიისა და ფრიგიის მახლობლად. ბიბლიური გენიალოგიის მიხედვით ამ

57 ნ. მელიქიშვილი 1987: 103.

58 ამის დამადასტურებელი ფრაგმენტები იხ. თ. ყაუხჩიშვილი 1983: 40-76.

59 დოჩანაშვილი 1985: 249.

60 ქვემოთ, იულიუს აფრიკანუსისგან მომდინარე ნუსხების განხილვისას, საუბარი იქნება იმ კომენტარზე, რომელიც ჰიერონიმეს ეკუთვნის.

61 Gutschmid 1894: 601.

ასკენასის ძმები არიან რიფათი და თოგარმა და ისინი ერთმანეთის მახლობლად ცხოვრობენ. აქედან გამომდინარე, იოსებ ფლავიოსი ამ ეთნოსს ათავსებს პონტოს რეგიონში, არარატის მახლობლად. არცერთი ძველი წყარო არ იცნობს ამ რეგიონში მცხოვრებ ეთნოსს, რომელიც რეგინებად (οἱ Ρηγῖνες) იწოდება. ფლავიოსის ქრონიკიდან ა. გუთშმიდი იხსენებს არაერთ შემთხვევას, როცა ნაკლებად ცნობილი ეთნონიმები და ტოპონიმები ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში სერიოზულადაა დამახინჯებული და რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტითაა გადასული შემდეგდროინდელ წყაროებში. ამგვარად უნდა გაჩენილიყო ევსტათი ანტიოქელისა და სტეფანე ბიზანტიონელის თხზულებებში ამჟღერად ჩვენთვის საინტერესო სიტყვის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტი: Ρηγῖνες/Τρηγῖνες.⁶² ა. გუთშმიდის აზრით, ამ წყაროს ისტორიული და გეოგრაფიული კონტექსტი იძლევა საფუძვლს, რომ ფორმა: οἱ Ρηγῖνες მივიჩნიოთ სიტყვის: οἱ Ἐγρίνες უფრო ზუსტად, οἱ Ἐγριτῖνες დამახინჯებულ იკითხვისად. ეს უკანასკნელი კი არაერთგზის დასტურდება ძველ წყაროებში (პლინიუსი, პტოლემეოსი) ეგრისის მცხოვრებთა აღსანიშნავად.⁶³

2. ეთნოსებისა და ენების გაყოფის ინტერპრეტაცია ქრისტიანულ ტრადიციაში

თავდაპირველი ქრისტიანობა ენობრივად საკმაოდ ქრელი უნდა ყოფილიყო: იესოსა და მისი მოწაფეების საურთიერთო ენა აღმოსავლეთ არამეული იყო, ღვთისმსახურების ენა – ებრაული, განათლებისა და კულტურის ენად ბერძნული ითვლებოდა, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ენად – ლათინური. როგორც ჩანს, სხვადასხვა ნიშნით პრივილეგირებული და მოგვიანებით კი წმინდა ენებად სანქციონირებული ებრაულის, ბერძნულისა და ლათინურისთვის უცხო და მიუღებელი არ უნდა ყოფილიყო ენათა და ეთნოსთა მრავალფეროვნების იმგვარი აღიარება, როგორც პირველად პავლე მოციქულის ეპისტოლეებში გამოიკვეთა: ქრისტე მარტო ებრაელების კი არა, ყველას „თანამდებია“:

*რომლისაგან-ესე მოვიღეთ მადლი და მოციქულებაჲ დასამორჩილებლად სარწმუნოებისა ყოველთა წარმართთა სახელისა მისისათჳს. ... წარმართთა და ბარბაროსთა, ბრძენთა და უგუნურთა თანა-მდებ ვარ. ... რამეთუ არა არს განწვალება ჰურიასა და წარმართისა, რამეთუ თავადი არს უფალი ყოველთაჲ. ... სადა-იგი არა არს წარმართ და ჰურია, წინადაცუეთილება და წინადაუცვეთელება, ბარბაროს, სკვთელ, მონება და აზნაურება, არამედ ყოველად ყოველსა შინა ქრისტეჲცარს.*⁶⁴

აქვე უნდა ითქვას, რომ არც პავლე მოციქულის ეპისტოლეებს და არც ქრისტიანული ისტორიოგრაფიის ავტორებს ენათა მრავალფეროვნებისა და სტატუსის პრობლემები არ აინტერესებდათ, მათთვის მთავარი იყო ქრისტიანობის, ამ ახალი რელიგიური კონტექსტის ამოსავალი კონცეფცია: ქრისტეს ეკლესიით შეერთებული ახალი კავშირი – ქრისტიანები – თვისობრივად სრულიად განსხვავებულია მანამდე არსებული ყოველგვარი ერთობისაგან; იგი აღარ არის ეთნიკური ნიშნით

62 Gutschmid 1894: 602.

63 შდრ. „Ich habe an Ἐγριτῖνες gedacht, die Bewohner von Egrissi, was der einheimische Name von Kolchis ist (Ptol. V, 10,5; Plin., N. H. VI, 4, 4, § 14)“. იქვე.

64 რომაელთა 1: 5, 14; 10: 12; კოლას. 3, 11.

გაერთიანებული ჯგუფი, როგორც იუდაიზმი, არ არის არც პოლიეთნიკური, მაგრამ ენის ნიშნით ჩამოყალიბებული ერთობა, როგორც ელინიზმი,⁶⁵ იგი ერთიანია ეკლესიის მეშვეობით, მის წიაღში თანაარსებობენ ენობრივად, ეთნიკურად, კულტურულად, ან სხვა რომელიმე ნიშნით განსხვავებული ეთნოსები (შდრ. *Sub unica matre et capite omnium alliarum*).⁶⁶

ამ და მსგავსი გამონათქვამების ინტერესის საგანი საკუთრივ ენა არ ყოფილა; სულთმოფენობის სასწაული, რომელიც მოციქულთა მიერ უცნობ ენაზე ქადაგებას აღწერს და, ამდენად, ენას უკავშირდება, უნივერსალური ან პარტიკულარული ენების ლეგიტიმაციას კი არა, უნივერსალური მისიის ლეგიტიმაციას ისახავდა მიზნად; ენებთან მიმართებაში ეს სასწაული უამრავ კითხვას აჩენდა,⁶⁷ რომელთაც ბერძენი საეკლესიო მამები სრულიად განსხვავებულად პასუხობდნენ. აქ მოკლედ მიმოვიხილავ ყველაზე მნიშვნელოვან პასუხებს.⁶⁸

ბაბილონის ამბებისა და ენათა და ეთნოსთა ისტორიის დასაწყისი ადრეულმა ქრისტიანობამ მისთვის ჩვეული სინკრეტულობით გადალახა: თუ ენები ბაბილონში გაჩნდა, მაშინ უნდა ვილაპარაკოთ არა ენათა აღრევისა (σύνχυσις) და, შესაბამისად, ღმერთის მიერ კაცთა მოდგმის დასჯის, არამედ თავდაპირველი ენის დაყოფის (Διαμερισμός) შესახებ.⁶⁹ I-II საუკუნეების ტენდენციები ფილონ ალექსანდრიელის ცნობილმა თეზამ განსაზღვრა: ენათა ისტორიის დასაწყისი ბევრად უნდა უსწრებდეს წინ აღრევას.⁷⁰ ბაბილონში რომ გაჩენილიყო ენები, მაშინ საუბარი იქნებოდა არა ენების აღრევაზე (confusio, σύνχυσις), არამედ დაბადებაზე. ფილონის აზრით, ენათა ისტორიის დასაწყისთან დაკავშირებით ბაბილონის ამბავი მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ ენა ღმერთის საჩუქარია. მან შექმნა საგნები, და, რა თქმა უნდა, მათი სახელები წინასწარ იცოდა, მაგრამ საგანთათვის სახელის დარქმევა

65 შდრ. W. Boeder 1983: 90.

66 H.- D. Wendland 1938: 23-39; A. Dempf 1954: 77.

67 ჯერ კიდევ სახარებათა ავტორები განსხვავებულად წარმოადგენენ დამოკიდებულებას ენებთან, მათს განვითარებასთან, და, საერთოდ, ისტორიულობასთან მიმართებაში. ამ საკითხებს ყველაზე ნაკლებად მარკოზის სახარება აღწერს. აქ მოკლედ ნათქვამი, რომ იესო ყველა ქვეყნის ადამიანებთან მოვიდა; ვინც მას ირწმუნებს, იგი ახლად ამეტყველებდა სულიწმინდის წყალობით (შდრ. მარკ. 16, 17: „სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ, ენათა ახალთა იტყოდიან“). მათეს სახარებაში სტილიზებულია ისტორიული განვითარების იმდროინდელი შეხედულებები, რომლებიც წარმოადგენდნენ იესოს, როგორც იუდაისტურ მესიას, რომელიც სწორედ იუდეველებთან მოვიდა (შდრ. მათე 10, 6; 15, 24, 26; 24, 14, 26, 73; 28, 19 და ა.ს.); ენათა და ეთნოსთა ისტორიული განვითარების ტენდენციები უფრო მკაფიოდაა აღწერილი ლუკას სახარებაში (შდრ. ლუკა 2, 1; 3, 1; 3, 23-28; 10, 1, 17); სწორედ ის იყო პირველი, ვინც შეეცადა იესოს ქმედებანი მსოფლიო ისტორიასთან დაკავშირებინა (შდრ. A. Borst 1957: 222). მიიჩნევენ, რომ პირველად იოვანეს სახარებაში (შდრ. იოვანე, 1, 1), კერძოდ ენის სიტყვაში ღვთის სიტყვის განსხეულებით, მოხდა ენის, როგორც ღმერთის გამოცხადების იარაღის, საშუალების, ღვთაებრივი ლეგიტიმაცია, ამით კი ღვთის ხალხის, კერძოდ, ქრისტეს მიმდევრების, ახლებული გაგება ჩამოყალიბდა.

68 ბერძნული პატრისტიკის ეს წყაროები დაწვრილებითაა მიმოხილული ა. ბორსტის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 227-257.

69 Borst 1957: 158-188.

70 ფილონ ალექსანდრიელი ბაბილონის ინტერპრეტაციას არერთგზის უბრუნდება. იხ. მისი დაბადების კომენტარები და კითხვა-მიგებანი: G. Bardy 1932: 210-236, 341-369, 515-537.

ადამიანებს მიანდო.⁷¹

ეგზეგეტიკური ხასიათის ამგვარმა კონცეპტებმა ყველაზე მეტად განსაზღვრა გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების საისტორიო დისციპლინის არსი; ეს უკანასკნელი კი იქცა ამოსავალ წერტილად ყველა შემდეგდროინდელი თეორიისათვის, რომლებიც ენათა და ეთნოსთა ისტორიის საწყისის ინტერპრეტაციას ცდილობდა. ქრისტიანულმა ტრადიციამ ტიპოლოგიური ახსნა მოუძებნა საერთო ენის დაშლასა და ენათა ისტორიის დასაწყისს. ჯერ კიდევ ადრეულ ქრისტიანობაში, კერძოდ, ირინეოს ლიონელის თხზულებებში მკაფიოდ გაფორმდა ბერძნული პატრისტიკული მწერლობის „საისტორიო“ იდეოლოგია: მიუხედავად იმისა, ესმით თუ არა ჩვენი, ბერძნებისა და რომაელების, ენა (*sermonem nostrum*) ბარბაროსებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი, ბარბაროსების, ენა განსხვავებულია (*αἱ κατὰ τὸν νότον διάλεκτοι ἄνθρωποι*),⁷² მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, ქრისტეს წინაშე მაინც თანასწორები არიან, ქრისტე თითოეულ მათგანს ელაპარაკება.⁷³

როდის და რომელ ავტორთან ჩნდება ტოპოსი 72 (70) ეთნოსისა და ენის შესახებ? ზუსტად განსაზღვრა ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ პალესტინური თალმუდი, ირინეოს ლიონელი და კლიმენტი ალექსანდრიელი უკვე იცნობენ მას. ა. ბორსტის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო ე.წ. Pax Romana-ს ხანაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გვიანანტიკურობა ენებისა და ეთნოსების შესახებ გადმოცემებში უფრო სტატიკურია, ვიდრე ისტორიული. ის არ ეძებს კანონზომიერებებს, ან ცალკეული კითხვების პასუხებს. ის მხოლოდ გვეუბნება, რომ ენათა და ეთნოსთა მრავალფეროვნება ღმერთის ნებაა და ამიტომ კარგია.⁷⁴

რადიკალურად განსხვავებული ისტორიული სურათის მიუხედავად, ეგნატე ანტიოქელი მტკიცედ იმეორებს გვიანანტიკურობის სინკრეტულ თვალსაზრისს, რომ ქრისტიანები, პირველ რიგში, ახალ, ყველასთვის გასაგებ საყოველთაო ენაზე მეტყველი ერთობაა, ისინი აღიღებენ ღმერთს ერთი ხმით, ისე, თითქოს არც არ-

71 Gohn-Wendland 1896 (1): 51.

72 ფრაგმენტები ირინეოსის თხზულებიდან *Adversus haereses libri quinque*: Οὐκ ἐπιζητήσεως δὲ παρ' ἡμῶν τῶν ἐν Κελοῖς διατριβόντων, καὶ περὶ βάρβαρον διάλεκτον τὸ πλεῖστον ἀσχολουμένων, λόγων τέχνην, ἥν οὐκ ἐμάθομεν, οὔτε δὲναίμιν συγγράφειν, ἥν οὐκ ἠσκησάμεν, οὔτε ἀλλաπλοῦς λόγους, οὔτε πιθανότατα, ἥν οὐκ οἶδαμεν (ib. PG 7, 444).

73 შდრ. სხვადასხვა ფრაგმენტი ირინეოსის ამავე თხზულებიდან: [...]Etenim Ecclesia, fidem eam ab apostolis eorumque discipulis acceptam, quae est in unum deum Patrem Omnipotentem, qui fecit coelum, et terram, et mare, et omnia, quae in eis sunt. Et in unum Iesum Christum Filium Dei, nostre salutis causa incarnatum, et in Spiritum Sanctum, qui per prophetas, Dei dispensationes et adventus praedicavit, et ortum ex virgine, et passionem, et resurrectionem a mortuis, et cum carne in coelos ascensum dilecti Domini nostri Iesu Christi, et e coelo in gloria patris adventum ipsius instauranda omnia, et a morte ad vitam revocandam omnem mortalium omnium carnem, ut Christo Iesu Domino nostro, et Deo, et Salvatori, et Regi, de benigna Patris invisibilis voluntate omne genu flectatur, coelestium, terrestrium et inferorum et omnis lingua ei confiteatur, atque ipse iustam de omnibus sententiam ferat, spiritualia videlicet nequitiae, et angelos transgressores, quique perfide defecerant inpiosque item homines [...]. Ibid. PG 7, 855: Cui ordinationi assentiunt multae gentes barbarorum, eorum qui in Christum credunt, sive charta et atramento scriptam habentes per spiritum in cordibus suis salutem et velerem traditionem diligenter custodientes (PG 7, 549).

74 Borst 1957: 183.

სებობდეს სხვადასხვა ენები (შდრ. *ἐν ᾧ ἡμεῖς*)⁷⁵. თუმცა ახალი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეებიდან ახალი რელიგიური რეალობის პარალელურად ახალი ისტორიული რეალობაც მკვიდრდება: ენობრივად უცხო, ბერძენთა შეფასებით „ბარბაროსი“ ეთნოსები ქრისტიანობას იღებს არა საყოველთაო ბერძნულ, ან მოგვიანებით ლათინურ, არამედ ადგილობრივ ნაციონალურ ენებზე. სულ უფრო და უფრო იმატებს ბიბლიის თარგმანების რიცხვიც და ისტორიის, მნიშვნელოვანი საისტორიო მოვლენების, ენობრივი სიჭრელე, პარტიკულარულობა, რეალურად „ხელშესახები“ ხდება. პირველი ქრისტიანი მოაზროვნეები ქრისტიანობის უნივერსალიზმში, პირველ ყოვლისა, მის არსობრივ, და არა ენობრივ, საყოველთაოობას გულისხმობდნენ; ეს შეუძლებელიც იქნებოდა სწორედ ენობრივი სიჭრელის გამო. თავდაპირველი ეკლესიის ოფიციალური ენა არამეული უნდა ყოფილიყო,⁷⁶ თუმცა თვით მახარებლებიც კი, მარკოზის გარდა, არც ებრაულად და არც არამეულად არ წერდნენ. სახარებებს რომც ჰქონოდა თავდაპირველი არამეული არქეტიპები, ისინი მაინც ვრცელდებოდა, როგორც ბერძნულენოვანი, ბერძნულად დაწერილი.⁷⁷

უკვე II საუკუნიდან ბერძენი საეკლესიო მამები ძველი აღთქმისეულ ამბებს ბაბილონის შესახებ ალეგორიული-ტიპოლოგიური თვალსაზრისით განიხილავენ: ეკლესიის ბჭე აღმართულ იქნა თორმეტი მთის ქვებისგან, ვინაიდან თორმეტი არის იმათი რიცხვი, ვისგანაც ყველა დანარჩენი წარმოიშვა. მათ, ამ თორმეტისგან წარმოშობილ ეთნოსებს, ერთი აზრი ამოძრავებდა: შეექმნათ ერთი რწმენა და ერთი სიყვარული (*μία ἡ πίστις καὶ ἓνα νοῦν, καὶ μία πίστις αὐτῶν ἔχενετο καὶ μία ἀγάπη*).⁷⁸

ინტერპრეტაციათა ნაირგვარობის მიუხედავად, ბერძნული პატრისტიკა ერთსულოვანია ძველი და ახალი აღთქმისეული ტიპოლოგიების ახსნაში და აღიარებს, რომ ენათა ამგვარი გათიშვის პერიოდი სულწინდის გარდამოსლვამდე გაგრძელდა. მას შემდეგ კი, ერთიანი ეკლესიის გზით, რომელიც ყველა ადამიანისთვის გასაგებ საერთო ენაზე მეტყველებს, დაძლეულ იქნა ენათა მრავალფეროვნება და მოციქულთა ქადაგებით გამოთლიანდა ის, რაც ბაბილონში გაიყო. ამ გამოთლიანების ადგილი ეკლესიაა, სწორედ იქ შეერთდა ენებად და ტომებად დაყოფილი ადამის მოდგმა. მაცხოვრის ჯვარზე დაფიქსირებული სამი ენა, ებრაული, ბერძნული და ლათინური, რომლებიც ამავდროულად ბიბლიის ენებია, გამორჩეულია სხვა დანარჩენთაგან და წმინდა ენებად ითვლება. დროთა აღსასრულის ჟამს გაერთიანებული კაცთა მოდგმა ისევ ებრაულად იგალობებს ალილუიას.⁷⁹

75 Epistola ad Ephesios c. 4. იხ. PG 5, 648.

76 C. Torrey 1952/53: 205-223.

77 Borst 1957: 227.

78 ჰერმასის ეს ციტატა, რომელიც ახ. წ. ა. 140-150 წლებში უნდა იყოს დაწერილი, დამონმებულია ა. ბორსტის მონოგრაფიის მიხედვით (Borst 1957: 228). თვალსაზრისს, რომ ბაბილონისეული საყოველთაო ისტორიის დასაწყისი სწორედ ამ პერსპექტივით არის განხილული თავდაპირველ ქრისტიანობაში, ა. ბორსტი გამოთქვამს ბ. ალტანერის (B. Altaner 1951) მონოგრაფიაზე დაყრდნობით. იგი იმონმებს არაერთ წყაროს I-III საუკუნის ბერძენ საეკლესიო ავტორთაგან, რომლებშიც სწორედ ეს თვალსაზრისია გამოთქმული (Borst 1957: 227-231).

79 ეკლესიის უნივერსალური ენისა და სამი წმინდა ენის კონცეპტებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს გვიანანტიკურობასა და შუა საუკუნეებში ადგილობრივი ნაციონალური ენების ბედი მათი სოციალური და საზოგადოებრივი „დატვირთვის“, ფუნქციური თანასწორობისა თუ დი-

ეს ზოგადი კონცეპტი მხოლოდ მეტ-ნაკლებად იყო ერთგვაროვანი კონკრეტულ საკითხებში. ბერძენი საეკლესიო მამები რადიკალურად განსხვავებულ თვალსაზრისებს გამოთქვამდნენ ენათა და ეთნოსთა ისტორიის დასაწყისთან დაკავშირებით.⁸⁰ ბაბილონის აღრევაში ორიგენე ბუნებრივ კანონზომიერებას, ღმერთის ნებას კი არ ხედავდა, პირიქით, მისთვის ბაბილონი იყო ღმერთისგან ადამიანთა დაშორების გამოშატეველი და ენათა განყოფას აფასებდა, როგორც ცოდვების გამო ადამიანთა დასასჯელად მოვლენილ რისხვას. რაც შეეხება მორწმუნეებს, ორიგენე თვლიდა, რომ მათ ენათა განყოფის ცოდვა აღარ ეხება, ვინაიდან მორწმუნეებმა „უკან ჩამოიგოვეს“ ეს სოფელი და ევედრებიან ღმერთს საკუთარ ენაზე, ბერძენი – ბერძნულად, რომაელი – რომაულად, თითოეული – თავის ენაზე; „ყველა ენის გამგებელი“ კი ისმენს თითოეულის ვედრებას ისე, თითქოს ყველა მათგანი ერთ ენაზე მეტყველებდეს, ვინაიდან ღმერთი ყველა იდიომაზე მაღლა დგას (მდრ. Εἴτ' ἐπιλαθόμενος ὅτι Χριστιανοὶς λαλεῖ, τοῖς μόνοις τῷ θεῷ διὰ τοῦ Ἰησοῦ εὐχομένοις, καὶ συμφύρον τὰ ἐτέρων καὶ ἀλόγως Χριστιανοὶς συνάπτων αὐτὰ φησιν· ἐὰν μὲν βαρβάρως αὐτοὺς ὀνομάζῃ τις, δύναμαι ἕξουσιν, ἐὰν δὲ Ἑλληνικῶς ἢ Ῥωμαϊκῶς, οὐκέτι. διεκνύτω γὰρ τίνα ἡμεῖς βαρβάρως ὀνομάζομεν ὡς καλοῦντες αὐτὸν ἐπὶ βοήθειαν, καὶ πειθόσθω μάτην καθ' ἡμῶν ταῦτα εἰρηκέναι τὸν Κέλσον [ὁ] ἐΐστας ὅτι οἱ λοιποὶ τῶν Χριστιανῶν οὐδὲ τοῖς ἐν ταῖς θείαις γράφαις κειμένοις ὀνόμασι καὶ τεταγμένοις ἐπὶ τοῦ θεοῦ χρῶνται ἐν ταῖς εὐχαῖς· ἀλλ' οἱ μὲν Ἕλληνας Ἑλληνικοῖς οἱ δὲ Ῥωμαῖοι Ῥωμαϊκοῖς, καὶ οὕτως ἕκαστος κατὰ τὴν ἑαυτοῦ διάλεκτον εὐχεται τῷ θεῷ καὶ ὑμνεῖ αὐτὸν ὡς δύναται· καὶ ὁ πάσης διαλέκτου κύριος τῶν ἀπὸ πάσης διαλέκτου εὐχομένων ἀκούει ὡς μῆδ', ἵν' οὕτως ὀνομάσῃ, φωνῆς τῆς κατὰ τὰ σημαινόμενα ἀκούσας, δηλουμένης ἐκ τῶν ποικίλων διαλέκτων· οὐ γὰρ ἔστιν ὁ ἐπὶ πᾶσι θεὸς εἷς τις τῶν κεκληρωμένων διάλεκτόν τινα βάρβαρον ἢ Ἕλληνα καὶ μηκέτι τὰς λοιπὰς ἐπισταμένων ἢ μηκέτι τῶν ἐν ἄλλαις διαλέκτοις λεγόντων φροντίζειν).⁸¹

მორალური თვალსაზრისით ხსნიდა ათანასე ალექსანდრიელი ბაბილონისეულ ამბებსა და ენათა და ეთნოსთა ისტორიის დასაწყისს. ბაბილონი მას ჭეშმარიტი მორწმუნეობის საპირისპირო ხატად წარმოედგინა: მანძილი, რომელიც მიწას ზეცისგან აშორებს, არა მედიდურობით და ცათამბჯენის აშენების მკრეხელური სურვილით, არამედ ქრისტეს მეშვეობით შეიძლება გადაილახოს. სწორედ ის არის კიბე, რომელიც ზეცაში აიყვანს ადამიანს.⁸²

გრიგოლ ნოსელის აზრით, ბაბილონში ღმერთის ბრძნული ჩანაფიქრი განხორციელდა. ენები მოულოდნელად კი არ გაიყო გოდლის მშენებლობისას, არამედ ისინი ბუნებრივი კანონზომიერებების მიხედვით ვითარდებოდნენ. შეუძლებელი

ფერენცირების თვალსაზრისით. ვინაიდან ეს საკითხები ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქართული ენისა და ქართველთა თვითშეგნების ისტორიის თვალსაზრისით, მათ ცალკე განვიხილავ.

80 ამ თვალსაზრისით ბერძნული პატრისტიკის წყაროები დაწვრილებით არის მიმოხილული ა. ბორსტის (Borst 1957: 227-292) მონოგრაფიაში.

81 Origenes, Contra Celsum VIII, 37 (Koetschau 1899 GCS, T. 2: 252).

82 მდრ. Ὑψελὸς μὲν οὐρανὸς ἀληθινὸς καὶ ἀπέραντον τὸ τοῦτου διάστημα πρὸς ἡμᾶς. Ὁ γὰρ οὐρανὸς φησὶ, τοῦ οὐρανοῦ τῷ Κυρίῳ. Ἀλλ' οὐ διὰ τοῦτο ἀποκητέον, οὐδὲ φοβητέον, ὡς ἄδύνατον οὖσαν τὴν πρὸς ἐκεῖνον ὁδόν. [...] συνεχύθεισας γὰρ ἐκεῖνων αἱ γλῶτται, καὶ κατελθῆναι τὸ ἕρπον. Ἡμῖν δὲ ὁ Κύριος τὴν ὁδὸν ἐνεκαίνισεν διὰ τοῦ ἰδίου αἵματος. Epistula XLIII (PG 26, 1440).

იყო ბაბილონში მომხდარ ამბებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა, ან თუნდაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინა ენების განვითარებაზე. არც თავდაპირველი ენა არსებობდა – ებრაული შედარებით ახალი ენაა, რომელიც ეგვიპტიდან გამო- სვლის შემდეგ გაჩნდა. არც წმინდა ენები არსებობს, ვინაიდან ღმერთი არ ერევა ენების განვითარებაში.⁸³

გრიგოლ ნაზიანზელი ტიპოლოგიური ინტერპრეტაციის საფუძველზე ცდი- ლობდა ბაბილონის ამბების ახსნას. იგი თვლიდა, რომ სულიწმინდის გარდამოსვლა და მოციქულთა მეტყველება მათთვის უცნობ ენაზე ბაბილონში ენების აღრევის საწინააღმდეგო სასწაულია.⁸⁴ ამ თვალსაზრისით იგი ლუკა მოციქულის ტექსტის ორგვარ ნაკითხვას უშვებდა: შესაძლოა, მოციქულები ბუნებრივად, მშობლიურ ენაზე მეტყველებდნენ, მსმენელები კი ისე აღიქვამდნენ მოციქულთა სიტყვებს, როგორც საკუთარი ენის იდიომებს. თუმცა შესაძლოა, მათ ახალ, მანამდე უც- ნობ ენებზეც დაეწყოთ ლაპარაკი. როგორ უნდა გავიგოთ ეს ადგილი, როგორც მეტყველების თუ სმენის სასწაული (შდრ. Ἐλάλουν ἐν οὐν ξέναις γλώσσαις, καὶ οὐ πατρίοις, καὶ τὸ θαῦμα μέγα, λόγος ὑπὸ τῶν οὐ μαθόντων λαλούμενος· καὶ τὸ σημεῖον τοῖς ἀπίστοις, οὐ τοῖς πιστεύουσιν, ἵνα ἢ τῶν ἀπίστων κατήγορον, καθὼς γέγραπται: Ὅτι ἐν ἑτερογλώσσοις καὶ ἐν χερίσιν ἑτέροις, λαλήσω τῷ λαῷ τούτῳ, καὶ οὐδ' οὐτως εἰσακούονται μου, λέγει Κύριος. Ἦκουον δέ. Μικρὸν ἐνταῦθα ἐπίσχες καὶ διαπύρρι- σσον, πῶς διαιρήσεις τὸν λόγον. Ἦχει γὰρ τι ἀμφίβολον ἢ λέξις, τῇ στιγμῇ διαιρού- μενον. Ἐὰρ γὰρ ἦκουον ταῖς ἑαυτῶν διαλέκτοις ἕκαστος, ὥς φέρε εἰπεῖν, μίαν μὲν ἔξηχεῖσθαι φωνήν, πολλὰς δὲ ἀκουεῖσθαι, οὕτως κτυπούμενου τοῦ ἄερος καὶ, ἵνα εἶπω σαφέστερον, τῆς φωνῆς φωνῶν γινομένου· ἢ τὸ μὲν Ἦκουον ἀναπαυστέον, τὸ δὲ λα- λοῦντων ταῖς ἰδίαις φωναῖς, ταῖς ἰδίαις τῶν ἀκουόντων, ὅπερ γίνεται, ὁκλοτρῖαι καθὰ καὶ μᾶλλον τίθεμαι. Ἐκείνως μὲν γὰρ τῶν ἀκουόντων ἂν εἴη μᾶλλον, ἢ τῶν λεγόντων τὸ θαῦμα)?⁸⁵

ტიპოლოგიური ხასიათისა იყო იოვანე ოქროპირის ინტერპრეტაციაც. მისი აზრით, ადამიანთა თავდაპირველი, ბაბილონში დარღვეული ენობრივი ერთობა ქრისტიანობაში ისევ აღდგება (შდრ. „Σύγκρισιν ἐνταῦθα λοιπὸν ποιεῖται τῶν χα- ρισμάτων, καὶ καθαιρεῖ τὸ τῶν γλωσσῶν, οὕτε πάντῃ ἄχρηστον δεικνύς, οὕτε σφόδρα ὠφέλιμον καθ' ἑαυτό. Καὶ γὰρ σφόδρα ἐπὶ τούτῳ ἐφυσῶντο, ἐπειδὴ καὶ μέγα εἶναι τὸ χάρισμα ἐνομιζέτο. Ἐνομιζέτο δὲ μέγα εἶναι διὰ τὸ πρῶτον αὐτὸ τοὺς ἀποστόλους εἰληφέναι, καὶ μετὰ τοσαύτης ἐπιδείξεως. Οὐ μὴν διὰ τοῦτο τῶν ἄλλων προτιμότερον ἦν. Τίνος οὖν ἔνεκεν πρὸ τῶν ἄλλων ἔλαβον αὐτὸ οἱ ἀπόστολοι; Ἐπειδὴ πανταχοῦ διέρχεσθαι ἔμελλον. Καὶ ὥσπερ ἐν τῷ καιρῷ τῆς πυργοποιίας ἢ μία γλῶττα εἰς πολλὰς διετέμνετο· οὕτως τότε αἱ πολλαὶ πολλὰκις εἰς ἓνα ἄνθροπον ἦεσαν, καὶ ὁ αὐτὸς καὶ τῇ Περσῶν καὶ τῇ Ῥωμαίων καὶ τῇ Ἰνδῶν καὶ ἑτέραις πολλαῖς διελέγετο γλώτταις, τοῦ

83 Contra Eunomium II, Jaeger (ed.) 1960: 299-302.

84 გრიგოლ ნაზიანზელის მსგავსად, ბაბილონის ამბებსა და სულიწმინდის დღესასწაულს შორის ტიპოლოგიურ პარალელებს პოულობდა კირილე იერუსალიმელიც. მისი აზრით, სულიწმინდის გარდამოსვლა და მოციქულთა მიერ მათთვის უცნობ ენებზე ალაპარაკება ბაბილონის სასწაულის მსგავსი აღრევაა (σύγκρισις), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ ღმერთმა გოდლის მაშენებელთა ენები განყო, სულიწმინდის გარდამოსვლით კი მათი საზრისი გააერთიანა, გაამთლიანა. შდრ. (იხ. PG 33, 989).

85 Gregorius Theologus, Oratio 41: In Pentecosten, 15: (PG 36, 449).

Πνεύματος ἐνηχοῦντος αὐτῷ· καὶ τὸ χάρισμα ἔκαλειτο χάρισμα γλωττῶν ἐπειδὴ πολλὰ αὐτῷ ἀφύρουν ἐδύνατο λαλεῖν φωναῖς).⁸⁶

ქრისტიანობამდელი ერთობები, იუდაიზმი ან ელინიზმი საკუთარ შესაძლებლობებს წარმოაჩენენ მხოლოდ ენობრივი ნიშნით მარკირებულ ერთობაში, ქრისტიანობას კი ენობრივი საზღვრები არ აქვს, მართალია, მორწმუნეები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ყველაფერი, რასაც ისინი ფიქრობენ, განიზრახავენ, ან რისიც სჯერათ, ერთია.⁸⁷ ქრისტიანობა ზეენობრივი და ზეეთნიკური ძალით აერთიანებს სწორედ განსხვავებულ ენებზე მოლაპარაკეებს (შდრ. Τὰ μὲν γὰρ τῶν Ἰλλοστών καὶ παρὰ τοῖς ὁμοφώνοις καταλέλγεται, τὰ δὲ ἡμέτερα καὶ παρὰ ἑτερογλώσσοις πολλὴν ἔχει δύναμιν. [...] οὐκ ἐν Ἰουδαίᾳ μόνον, ἀλλὰ καὶ ἐν τῇ τῶν βαρβάρων γλώττῃ καθὼς ἡκούσατε σήμερον, ἡλίου φανότερον διαλάμπει· καὶ Σκύθαι καὶ Θράκες καὶ Σαυρομάται καὶ Μαῦροι καὶ Ἰνδοὶ καὶ οἱ πρὸς αὐτὰς ἀπαχισμένοι τὰς ἐσχاتیαις τῆς οἰκουμένης, πρὸς τῇν οἰκείαν ἑκαστος μεταβαλόντες γλώτταν, τὰ εἰρημένα Ἰλλοσοφοῦσι ταῦτα).⁸⁸

ქრისტიანობის, როგორც ზენაციონალური, ზეენობრივი, უნივერსალური რელიგიის, კონცეფცია საყოველთაოდ იყო გაზიარებული პატრისტიკულ ლიტერატურაში; თუმცა ეს კონცეფცია სრულიად განსხვავებულად აისახა შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში ენათა გავნითარების ისტორიაზე.

ადგილობრივ ნაციონალურ ენათა გავნითარებისა და რელიგიის დომინანტ ენასთან მათი მიმართების თვალსაზრისით შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთი მკვეთრად განსხვავდება დასავლეთისგან. ეკლესიათა ერთობა, რელიგიური ზენაციონალიზმი, ქრისტიანულ აღმოსავლეთშიც ენის გზით გამოიხატებოდა, მაგრამ ზენაციონალურობის აღმოსავლური სიმბოლო არ ჰგავდა მის დასავლურ ეკვივალენტს, რომის ეკლესიის კოინეს. ქრისტიანული აღმოსავლეთი აღიარებდა უნივერსალური ენის არსებობას, ენისა, რომელიც ყველა ქრისტიანისთვის საერთო და გასაგები იყო. მაგრამ, დასავლეთისგან განსხვავებით, ეს „პრივილეგია“ სხვადასხვა არგუმენტების მოშველიებით წმინდად შერაცხილი რომელიმე ადამიანური ენისა კი არ იყო, არამედ ზეადამიანური „სულის ენისა“, რომელიც თანაბრად გასაგები იყო ყველა ქრისტიანისთვის მათი ენობრივი და ეთნიკური სხვადასხვაობის მიუხედავად.

86 In epistulam I Cor. Homilia XXXV, I (PG 61, 296).

87 ქრისტიანობის, როგორც არა რომელიმე ეთნიკურ ჯგუფთან (როგორც მაგალითად, იუდაიზმი), ან ენასთან (ელინიზმი) დაკავშირებული ერთობის, არამედ უნივერსალური, ზენაციონალური რელიგიის კონცეპტები საინტერესოდ აისახა შუა საუკუნეების აღმოსავლეთის სხვადასხვა ტრადიციაში. ქრისტიანული დასავლეთისგან განსხვავებით, რომლის რელიგიურ იდენტობას უნივერსალური საეკლესიო ენა, ლათინური, განასახიერებდა, აღმოსავლეთის ეკლესიები ქრისტიანობის ზენაციონალურობას და საყოველთაოობას არ უკავშირებდნენ რომელიმე, თუნდაც საკრალური არგუმენტებით ან თვისობრივი უპირატესობებით გამორჩეულ ენას, მაგალითად, ბერძნულს, თუმცა მის განსაკუთრებულ ღირსებებს უდავოდ აღიარებდნენ. მორწმუნეთა ერთობას ვერ აფერხებდა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთა ენობრივი ბარიერი, რომელიც გადალახული იყო საერთო საზრისით, თითოეული ქრისტიანის მიერ აღიარებული საყოველთაო ჭეშმარიტებით. ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ეს საკითხები პირველად ბ. ბოდერმა (Boeder 1983: 85-95) გააანალიზა. ამ ტენდენციის შესახებ ქართულ ტრადიციაში მონოგრაფიის მეორე ნაწილში იქნება საუბარი.

88 იხ. PG 63, 499.

ძველ ქართულ ლიტერატურაში, ისევე როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ტრადიციებში, აღწერილია არაერთი სასწაულებრივი ეპიზოდი,⁸⁹ როგორ აგებინებენ ერთმანეთს ადამიანები, რომელთაც ერთმანეთის ენა არ იციან. „ასურელ მამათა ცხოვრებაში“ ქართველი ავტორი დაწვრილებით გვიამბობს იმის შესახებ, როგორ ალაპარაკდა ქართლში ჩამოსული იოვანე ქართულად, იმ ენაზე, რომელიც არათუ იცოდა, არც კი სმენოდა, როგორ „მოეცა მას ენა ქართულად მეტყველი“ და როგორ დაელაპარაკა უცნობ ქართველ მამებს:

„აქა დამაყენა მე სიტყუამან მოთხრობად თქუენდა საკრველებისა დიდისა, თუ ვითარ ღირსმან კათალიკოსმან და ნეტარმან იოვანე ისწავნეს ერთმანერთისათვის და სახელი თითოეულისა და კუალად ვითარ მოეცა იოანეს ენა ქართულად მეტყველი ყოვლად დაუბრკოლებელი. ეჰა, საკრველებასა შენსა, ქრისტე ღმერთო, ვითარ ადიდებ მადიდებელთა შენთა. ესე სასწაული, ძმანო, მიმსგავსებულ არს სიონს გარდამოსლვასა სულისა წმიდისასა და წმიდათა ზედა მოციქულთა და განყოფასა მას ენათასა ცეცხლისათა. ჭეშმარიტად საკრველ არს ღმერთი შორის წმიდათა მისთა, რომელმან სულითა წმიდითა წამსა შინა აღატყუა სიტყვა ზრახვად იოვანე, რომელი არცა ოდეს ასმიოდა, ართუ ესწავა. ესე ვისმცა არა დაუკვირდა, ვისიმცა ცნობა არა განცვიბრდა, რომელნი მაშინ მუნ იყვნეს და რომელთა ესმა უცხო ესე სასწაული, ყოველნი განკრვებულნი და ზარ-განწდილნი ადიდებდეს ღმერთსა, მოქმედსა საკრველებათასა“.⁹⁰

შუა საუკუნეების დასავლეთის საეკლესიო სივრცეში ზენაციონალური რელიგიის კონცეფციას უნივერსალური საეკლესიო ენის, ლათინურის, რეალური პრიმატი ამყარებდა. ლათინურენოვან პატრისტიკაში (ჰიერონიმე, აგუსტინე, კასიოდორე) სხვადასხვა მოდიფიკაციით, მაგრამ მყარი ტოპოსის სახით ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ ქრისტეს ეკლესია საუბრობს ყველა ადამიანისთვის გასაგებ უნივერსალურ ენაზე.⁹¹ რომის ეკლესია თავის თავს აღიქვამდა, როგორც „საყოველთაო ეკლესიას (*Ecclesia Catholica*), რომელიც ცდილობდა, ყველა ქრისტიანის გამაერთიანებელი სიყვარულის ძალით ყოფილიყო საყოველთაო – *Ecclesia universalis*; შესაბამისად, იგი მეტყველებდა უნივერსალურ საეკლესიო ენაზე, ანუ ლათინურ ენაზე“.

89 ამ კუთხით ვ. ბოედერი (ბოედერი 1998: 60-81) განიხილავს ერთ ეპიზოდს „იოვანესა და ეფთემეს ცხოვრებიდან“, რომელშიც მოთხრობილია ორი სასულიერო პირის, ქართველი ბერის, გაბრიელისა და იტალიიდან ათონზე ჩამოსული მამის, ლეონის, ურთიერთობის ეპისოდი. ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცის მშობლიურის გარდა სხვა ენა. ამის მიუხედავად, ისინი საათობით ელაპარაკებიან ერთმანეთს იმ ენაზე, რომელიც ყველა ქრისტიანისთვის გასაგებია. შდრ. „ღირსსა მღდელსა გაბრიელს ქართველსა და ამას წმიდასა ბერსა დიდსა ლეონს ჰრომსა ფრიადი სიყუარული აქუნდა სულიერი და, ოდესცა მოვიდის ხილვად მამათა, მახლობელად სენაკსა გაბრიელისასა აქუნდა სენაკი და მუნ დაყვნის დღენი იგი. და თჳსისა ენისაგან კიდე არცა მან იცოდა, არცა მან. და ვითარცა შებნელების, გამოვიდოიან თჳსთა სენაკთაგან და ლოცვა-ყვიან და დასხდოიან და ვიდრე ცისკრისა რეკამდე უბნობდოიან სიტყუათა საღმრთოთა და ვიდრე წარსლვადმდე ამას ესრეთ ჰყოფდოიან ყოველსა მწუხრსა“ (ჯავახიშვილი 1946: 31).

90 აბულაძე 1955: 82.

91 ენების მიმართ დამოკიდებულების, შესაბამისად, ენების ფუნქციური თანასწორობისა (აღმოსავლეთი) თუ დიფერენცირების (დასავლეთი) თვალსაზრისით ბიზანტიისა და რომის ეკლესიას შორის ასეთი სხვაობა არის ასახვა ქრისტიანული რელიგიის ორი უმთავრესი ტენდენციის: უნივერსალისტურისა და პარტიკულარიტულის. ქრისტიანული აღმოსავლეთში პარტიკულარიტული ტენდენცია იყო ძლიერი, დასავლეთში – უნივერსალისტური.

ნურად, რომელშიც სიმბოლურად იყო გამოხატული ყველა ენა. ასე ხსნიდა ავგუსტინე თავის დამოკიდებულებას უნივერსალური ლათინურის მიმართ. ერთ-ერთ ეგზეგეტიკურ თხზულებაში იგი ეკამათება დონატისტებს, რომლებიც არ აღიარებენ საეკლესიო ნათლობის წესს და, შესაბამისად, ვერ ეზიარებიან იმ საიდუმლოს, რომელიც სულიწმინდის გარდამოსვლით მიიღეს ქრისტიანებმა და რაც ყოველი ნათლობისას აღსრულდება ხოლმე ეკლესიაში:

„...Ibi peractis decem diebus, dei Pentecostes misit desuper Spiritum sanctum. Quo sicut dixi, qui fuerant in uno loco congregati, accepto impleti, omnium gentium linguis locuti sunt.

Quod ergo, fratres, quia modo qui baptizatur in Christo, et credit in Christum, non loquitur omnium gentium linguis, non est credendus accepisse Spiritum Sanctum? Absit ut ista perfidia tentetur cur nostrum. Certi sumus omnem hominem accipere; sed quantum u a s fidei adtulerit ad fontem, tantum implet. Cum ergo et modo accipiatur, dixerit aliquis: Quare nemo loquitur linguis omnium gentium? Quia iam ipsa ecclesia linguis omnium gentium loquitur. Antea in una gente erat ecclesia, ubi omnium linguis loquebatur. Loquendo linguis omnium, significabat futurum, ut crescendo per gentes, loqueretur linguis omnium. In hac ecclesia qui non est, nec modo accipit Spiritum sanctum. Praecisus emin et diuisus ab unitate membrorum, quae unitas linguis omnium loquitur, renuntiet sibi; non habet. Nam si habet, det signum quod tunc dabatur. Quid est, det signum quod signum quod tunc dabatur? Loquatur omnibus linguis. Respondet mihi: Quid enim, tu loqueris omnibus linguis? Loquor plane, quia omnis lingua mea est, id est, eius corporis cuius membrum sum. Diffusa ecclesia per gentes loquitur omnibus linguis; ecclesia est corpus Christi, in hoc corpore membrum es; cum ergo membrum sis eius corporis quod loquitur omnibus linguis, crede te loqui omnibus linguis. Vnitas enim membrorum caritate concordat; et ipsa unitas loquitur quomodo tunc unus homo loquebatur“.⁹²

(ათი დღის შემდეგ, სულთმოფენობის დღეს, გამოგზავნა უფალმა სულიწმინდა. იქ შეკრებილნი, როგორც ვთქვი, აღივსნენ სულიწმინდით და ალაპარაკდნენ ყველა ხალხის ენაზე. და რა [უნდა ვთქვათ იმ ადამიანის შესახებ], ვინც ახლა ქრისტეს სახელით მოინათლება და სწამს ქრისტე, მაგრამ არ ლაპარაკობს ყველა ხალხის ენაზე? უნდა ვიფიქროთ, რომ ის სულიწმინდის გარდამოსვლას ვერ ეზიარება? არა, ამგვარმა ურწმუნოებამ არ უნდა მოგვიცვას. ჩვენ გვჯერა, რომ [ნათლობისას] სულიწმინდა ყოველ ადამიანზე გადმოდის, მაგრამ [ეს ხდება] რწმენის შესაბამისად; ვინც მიიტანს წყაროსთან ჭურჭელს, [მისთვის] აივსება კიდევაც იგი. ამგვარად, თუ დღესაც გადმოდის სულიწმინდა [ნათლობისას ადამიანზე], მაშინ შეიძლება ვინმემ იკითხოს: რატომ არავინ ლაპარაკობს ყველა ხალხის ენაზე? პასუხი: ვინაიდან ახლა ეკლესია ლაპარაკობს ყველა ხალხის ენაზე. ადრე, სანწყის ეტაპზე, ეკლესია ერთადერთ ხალხში იყო და იგი ყველა ხალხის ენაზე მეტყველებდა. ყველა ხალხის ენაზე მეტყველება მომავალს მიემართებოდა; კერძოდ იმას, რომ ეკლესია გავრცელდებოდა ხალხთა შორის და [ამგვარად] ილაპარაკებდა იგი ყველა ხალხის ენაზე. ვინც ამ ეკლესიის წევრი არ არის,⁹³ ახლაც ვერ ეზიარება სულიწმინდას. ვინაიდან იგი, ვინც განშორდა ნაწილების ერთიანობას, რომელიც ყვე-

92 Aurelii Augustini opera, pars VIII, Tractatus in Johannem, XXXII, 6-7, იხ. *Corpus Christianorum, Series Latina MCMLIV*, S. 303-304.

93 ავგუსტინე გულისხმობს დონატისტებს, რომლებიც საეკლესიო ნათლობას არ აღიარებდნენ.

ლა ხალხის ენაზე მეტყველებს, უარს ამბობს საკუთარ თავზე; ამგვარად, მასზე არ [გადმოდის] სულიწმინდა. თუ მასზე [გადმოვიდა] სულიწმინდა, მაშინ მან უნდა მიგვანიშნოს იმაზე, რაც [ნათლობისას] მოხდა. რას ნიშნავს, მიგვანიშნოს იმაზე, რაც მაშინ მოხდა? [პასუხი]: ყველა ხალხის ენაზე უნდა ილაპარაკოს. ის გაიკვირვებს და შემეპასუხება: რა, ლაპარაკობ შენ ყველა ხალხის ენაზე? დიახ, ვლაპარაკობ, ვინაიდან ყოველი ენა ჩემი ენაა, ანუ ყოველი ენა იმ სხეულის, რომლის ნაწილიც მე ვარ. ეკლესია, რომელიც გავრცელებულია ხალხთა შორის, ლაპარაკობს ყველა ენაზე. ეკლესია არის ქრისტეს სხეული, შენ ამ სხეულის ერთი ნაწილი ხარ. და ვინაიდან შენ ხარ ნაწილი იმ სხეულის, რომელიც ყველა ენაზე მეტყველებს, ირწმუნე, რომ შენც მეტყველებ ყველა ენაზე. ვინაიდან [ამ სხეულის] ნაწილების მთლიანობა ერთად ჟღერს სიყვარულში. ასე მეტყველებს [სხეულის ნაწილების] ერთიანობა ერთნაირად, როგორც მაშინ, სულიწმინდის გარდამოსვლისას მეტყველებდა თითოეული ადამიანი).

ამგვარი ინტერპრეტაცია, დასავლეთში ეკლესიის საყოველთაო ენად ლათინურის ლეგიტიმაციის მცდელობა, ცხადია, მარტო თეორიული დასაბუთებებით არ შემოფარგლულა; ლათინური არა მარტო ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოდ, არამედ უნივერსალური ეკლესიის ინსტრუმენტადაც იქცა; შესაბამისად, რომის საყოველთაო ეკლესიაში შეიქმნა ერთი მხრივ, დომინანტი ენისა (ლათინური) და მეორე მხრივ, ფუნქციურად დიფერენცირებული ენების (ადგილობრივი ნაციონალური ენები) საურთიერთო ველი.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის რელიგიურ სივრცეში განსხვავებული ტენდენციების დამკვიდრებამ (უნივერსალისტური და პარტიკულარისტული) მნიშვნელოვნად განსაზღვრა ენათა ემანსიპაციის, სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქციების მიხედვით მათი განვითარების ბედი. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა, უფრო სწორად, ლეგიტიმაციისათვის მნიშვნელოვანი არგუმენტის ფუნქცია შეიძინა ენებისა და ეთნოსების ისტორიის ბაბილონისეულმა ამბებმა. სწორედ საყოველთაო ისტორიის დასაწყისში ენათა, შესაბამისად, ეთნოსთა მონაწილეობის დამადასტურებელ წყაროებს, წმინდა ისტორიის ტოპოსებს, დაეყრდნო შუა საუკუნეებში ნაციონალური ისტორიის, ნაციონალური ენისა და იდენტობის შესახებ შემუშავებული კონცეპტები, რომელთაც ლვთიკურთხეული მეფის საყოველთაოდ გავრცელებულ იდეასთან ერთად⁹⁴ მნიშვნელოვნად განსაზღვრეს შუა საუკუნეებში ამა თუ იმ ენისა და ეთნოსის სალევითი იდეა „ტექსტების კორპუსი“.

ქართული ენის, ქართველთა თვითშეგნების, ისტორიისა და მეფობის ლეგიტიმაციის პრობლემატიკა და შესაბამისი ტექსტები საგანგებოდ იქნება განხილული მონოგრაფიის მეორე ნაწილში.

⁹⁴ ამ იდეის კონკრეტული ვერსია, ავგაროზის ლეგენდა, შუა საუკუნეების დასავლური და აღმოსავლური ტრადიციების კონტექსტში საგანგებოდ შეისწავლა ირმა ყარაულაშვილი. იხ. Karaulashvili 2002:85-111; Karaulashvili 2004; Karaulashvili 2007:245-260; ყარაულაშვილი 2010. ლვთიკურთხეული მეფის იდეის, შესაბამისად, მეფობის ლეგიტიმაციის ძველ ქართულ ტექსტზე საუბრისას ვეყრდნობი მის არგუმენტაციას. ავგაროზის ტექსტის ძველი ქართული რედაქციები იხ. ჩხიკვაძე 2007.

III თავი: ქრისტიანული ტრადიციის ძირითადი რედაქციები

ქრისტიანულ ტრადიციაში შემუშავებული რედაქციების დღეისათვის ცნობილი ყველაზე ძველი წყარო ზემოთ დასახელებული ეთიოპური თარგმანით მოღწეული იობელეების წიგნი ჩანს. სწორედ ამ წიგნის მერვე და მეცხრე თავები გახდა ამოსავალი მომდევნო რეცენზიებისათვის,⁹⁵ რომელთა კლასიფიკაცია, როგორც ითქვა, ა. გუთშმიდის სახელთანაა დაკავშირებული. მის მიერ გამოყოფილი რედაქციებიდან საკვლევი საკითხისთვის ყველაზე მეტად საინტერესოა ორი ჯგუფი:

ა. იპოლიტე რომაელისეული რედაქციის შემცველი ნუსხები,

ბ. წყაროები, რომლებიც იულიუს აფრიკანუსისეულ ტექსტს უნდა ეყრდნობოდეს.

სწორედ ამ რედაქციის ტექსტებში გამოიკვეთა ღვთის რჩეული ხალხისა და წმინდა ისტორიის ახლებური ხედვა, რამაც ფაქტობრივად დააკანონა თავდაპირველი ენის შესახებ თვალსაზრისი, რელიგიური ლეგიტიმურობა მიანიჭა წმინდა ისტორიის მონაწილე ენებსა და ეთნოსებს.

ამ ტოპოსის შემცველი მრავალრიცხოვანი ნიმუშებიდან ნაშრომში წარმოვადგენ მხოლოდ იმ წყაროებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკვლევი საკითხისთვის.

1. იპოლიტე რომაელის რედაქცია

როგორც ზემოთ ვახსენე, დიამერიზმების ის ვერსია, რომელიც იპოლიტე რომაელის ქრონიკაშია შემონახული, იულიუს აფრიკანუსის თითქმის თანადროულ ვერსიათან ერთად, დღეისათვის ცნობილი დიამერიზმების სრული ტექსტის არქექტიპად ითვლება. მასში შემონახულია რვავე რუბრიკა, რომელთაც ა. გუთშმიდი დიამერიზმების სტრუქტურის განუყოფელ ნაწილებად მიაჩნევს. მისი სრული სათაურია: Διαμερισμός τῆς γῆς, ἃν ἡ Τῆς γῆς ὁ διαμερισμός τοῦς τριῶν υἱοῦς τοῦ Νῶε μετὰ τὸν κατακλυσμόν.

დიამერიზმების სტრუქტურიდან დაწვრილებით განვიხილავ იმ ფრაგმენტებს, იმ რუბრიკებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საკვლევ საკითხს. ესენია: 1) ბიბლიური წარმომავლობის სამოცდათორმეტი ეთნოსის (მათ შორის უფრო ვრცლად იაფეტის შთამომავალთა) ნუსხა, 2) სამწერლო ტრადიციების მქონე ენათა ნუსხა. ამათ გარდა კონკრეტულ შემთხვევებში განვიხილავ სხვა ფრაგმენტებსაც, რომელთა მიხედვით გარკვეულწილად იხსნება, ზუსტდება იბერების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული ესა თუ ის საკითხი.

ბიბლიური წარმომავლობის სამოცდათორმეტი ეთნოსის ნუსხა:

Αἱ πᾶσαι ἐκ τῶν τριῶν τοῦ Νῶε ὁμοῦ φαλαί οἱ

Τὰ δὲ ἔθνη, ἃ διέσπειρε κύριος ὁ θεὸς ἐπὶ προσώπου πάσης τῆς γῆς ἐν ταῖς ἡμέραις Φαλὲκ καὶ Ἰεκτὰν τῶν δύο ἀδελφῶν κατὰ τὰς ἰδίας γλῶσσας αὐτῶν ἐν τῇ

⁹⁵ ტექსტი იხ. ა. დილმანის დასახელებული გამოცემის მიხედვით გვ. 250-253.

πυργοποιία ὅτε συνεχύθησαν αἱ γλώτται αὐτῶν ἐστὶ ταῦτα.⁹⁶

- | | |
|--------------------------------------|---|
| (1) Ἑβραῖοι οἱ καὶ Ἰουδαῖοι, | (39) Ἀσιανοί, |
| (2) Ἀσσύριοι, | (40) Ἰσαυροί, |
| (3) Χαλδαῖοι, | (41) Λικάονες, |
| (4) Μῆδοι, | (42) Πισίδες, |
| (5) Πέρσαι, | (43) Γαλάται, |
| (6) Ἀραβες, πρῶτοι καὶ δεύτεροι, | (44) Παφλαγόνες, |
| (7) Μαδιεναῖοι, πρῶτοι καὶ δεύτεροι, | (45) Φρύγες, |
| (8) Ἀδιαβηνοί, | (46) Ἕλληνες, οἱ καὶ Ἀχαιοί, |
| (9) Ταιηνοί, | (47) Θεσσαλοί, |
| (10) Σαλαμοσηνοί, | (48) Μακεδόνες, |
| (11) Σαρακηνοί, | (49) Θρᾷκες, |
| (12) Μάγοι, | (50) Μυσοί, |
| (13) Κάσπιοι, | (51) Βεσσοί, |
| (14) Ἀλβανοί, | (52) Δάρδανοι, |
| (15) Ἰνδοὶ πρῶτοι καὶ β΄, | (53) Σαρμάται, |
| (16) Αἰθίοπες πρῶτοι καὶ δεύτεροι, | (54) Γερμανοί, |
| (17) Αἰγύπτιοι καὶ Θηβαῖοι, | (55) Παννόνιοι, οἱ καὶ Παῖονες, |
| (18) Λίβυες πρῶτοι καὶ β΄, | (56) Νωρικοί, |
| (19) Χετταῖοι, | (57) Δελμάται, |
| (20) Χαναναῖοι, | (58) Ῥωμαῖοι οἱ καὶ Λατῖνοι καὶ Κιτιαῖοι, |
| (21) Φερεζαῖοι, | (59) Λίγυρες, |
| (22) Εὐαῖοι, | (60) Γάλλοι οἱ καὶ Κελταῖοι, |
| (23) Ἀμορραῖοι, | (61) Ἀκυατινοί, |
| (24) Γεργεσαῖοι, | (62) Βριτάνοι, |
| (25) Ἰεβουσαῖοι, | (63) Σπάνιοι οἱ καὶ Τυρρηνοί, |
| (26) Ἰδουμαῖοι, | (64) Μαῦροι, |
| (27) Σαμαρρεῖοι, | (65) Μακυακοί, |
| (28) Φοίνικες, | (66) Γαίτυλοι, |
| (29) Σύροι, | (67) Ἀφροί, |
| (30) Κίλικες καὶ οἱ Θαρσεῖς, | (68) Μάζικες, |
| (31) Καππάδοκες, | (69) Ταράμαντες οἱ ἐξώτεροι, |
| (32) Ἀρμένιοι, | (70) Σποράδες, |
| (33) Ἰβηρες, | (71) Κελτίονες, |
| (34) Βιβρανοί, | (72) Ταράμαντες ἐσώτεροι, οἱ ἕως τῆς |
| (35) Σκύθαι, | Αἰθιοπίας ἐκτεινουςι. |
| (36) Κόλχοι, | |
| (37) Σαῦνοι, | |
| (38) Βοσπορανοί, | |

⁹⁶ დიამერიზმებში მოხსენიებული ეთნონიმები ორთოგრაფიის თვალსაზრისით მკვეთრ სხვაობებს აჩვენებს. როგორც აქ, ისე სხვა შემთხვევებშიც ვეცადე, ზუსტად გადმომეცა კონკრეტული წყაროს ჩვენებები, რაც ზოგ შემთხვევაში ეწინააღმდეგება ამა თუ იმ ეთნონიმის ტრადიციულ (მიღებულ) დასახელებას.

Ταῦτα τὰ ἔθνη, ἃ διέσπειρε κύριος ὁ θεὸς ἐπὶ προσώπου πάσης τῆς γῆς κατὰ τὰς ἰδίας γλώσσας αὐτῶν ἐν ταῖς φυλαῖς αὐτῶν καὶ ἐν ταῖς χώραις αὐτῶν καὶ ἐν ταῖς πόλεσιν αὐτῶν.⁹⁷

(ეთნოსები, რომლებიც განყო უფალმა ღმერთმა საკუთარი ენების მიხედვით მთელი ქვეყნიერების პირზე ორი ძმის, ფალეკისა და იეკტანის დროს, [ბაბილონის] გოდლის მშენებლობისას, როცა აღრეულ იქნა მათი ენები. ესენი არიან: (1) ებრაელები, ანუ იუდეველები, (2) ასირიელები, ქალდეველები, მედიელები, სპარსელები, არაბები, მადიენელები, ადიებენები, ტაიენები, სალამოსენები, სარაცენები, მაგიელები, კასპიელები, ალბანები, ინდოელები პირველნი და მეორენი, ეთიოპელები, პირველნი და მეორენი, ეგვიპტელები და თებეელები, ხეთეელები, ქანაანელები, ფარეძეველები, ევენები, ამორეველები, გერგესეველები, იებუსეველები, იდუმიელები, სამარეველები, ფინიკიელები, სირიელები, კილიკიელები ანუ იგივე თარშები, კაბადოკიელები, სომხები, იბერიელები, ბიბრანები, სკვითები, კოლხები, სანები, ბოსფორელები, ასიანელები, ისავრიელები, ლუკანელები, პისიდები, გალატელები, პაფლაგონიელები, ფრიგიელები, ბერძნები, იგივე აქაველები, თესალიელები, მაკედონიელები, თრაკიელები, მისიელები, ბესიელები, დარდანელები, სარმატები, გერმანები, პანონიელები, იგივე პაიონელები, ნორიკელები, დელმატეები, რომაელები, იგივე ლათინები, იგივე კიტიმები, ლიგურიელები, გალები, იგივე კელტები, აკვიტანები, ბრიტანები, ესპანელები, იგივე ტურენები, მავრიელები, მაკვაკები, გეტულიერები, აფრიელები,⁹⁸ მაძიკეველები, გარე [მხრის] გარამანტები, სპორადეველები, შიდა [მხრის] ტარამანტები, რომლებიც ეთიოპიამდე აღწევენ.

ესენი არიან ეთნოსები, რომლებიც განყო უფალმა ღმერთმა მთელი ქვეყნიერების პირზე საკუთარი ენების მიხედვით მათსავე მოდგმაში, მათსავე ქვეყნებსა და ქალაქებში).

ამ ჩამონათვალში იაფეტის შთამომავალთა სახელებთან დაკავშირებული სხვაობების შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი. აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ იპოლიტე რომაელი მომდევნო რუბრიკებში საგანგებოდ აკონკრეტებს იბერების და მათი მეზობელი მონათესავე ეთნოსების გეოგრაფიულ არეალს, საიდანაც უდავოა, ვისაც გულისხმობს თუბალის შთამომავალ იბერებში:

Καὶ Πέραν τῶν Καππαδοκῶν εἰς τὰ δεξιὰ μέρη οἰκοῦσιν Ἀρμένιοι καὶ Ἰβηρες καὶ Βηρανοί, εἰς δὲ τὰ εὐσύνυμα μέρη οἰκοῦσι Σκύθες καὶ Κόλχοι καὶ Βοσπορανοί. Σαῦτοι δὲ οἱ λεγόμενοι Σάτυργες, οἱ ἕως τοῦ Πόντου ἐκτείνονται, ὅπου ἐστὶ παρεμβολὴ Ἀψαρος καὶ Σεβαστόπολις καὶ ὁ Ἰσσοῦ λιμὴν καὶ Φᾶσις ποταμός. Καὶ ἕως Τραπεζοῦντος οἰκοῦσι καὶ παρεκτείνεται τὰ ἔθνη ταῦτα.⁹⁹

(კაბადოკიელთა გასწვრივ/გადაღმა მარჯვენა მხარეს ცხოვრობენ სომხები და იბერიელები და ბერანები, ხოლო მარცხენა მხარეს კი ცხოვრობენ სკვითები, კოლხები და ბოსფორიელები; სანები, რომლებიც სანინგებად¹⁰⁰ იწოდებიან, რომლებიც

97 Bauer 1956: 30-33.

98 იგულისხმება ჩრდილოეთ აფრიკის მცხოვრებნი (იხ. A. Borst 1957: 936).

99 Bauer 1956: 39.

100 ტ. ფუტკარაძე (ფუტკარაძე 2005: 123-126) თვლის, რომ მე არასწორად ვათანაბრებ ტერმინებს სანი და სვანი. გაუგებარია, რომელ ვათანაბრებას გულისხმობს ოპონენტი, ან თავად როგორ დაადგინა რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროების მიხედვით რომელ ეთნონიმში

განსახლებული არიან პონტომდე, სადამდეც არის აფსაროსი, სებასტოპოლისი, ისუსის ნავსადგური/ქალაქი და მდინარე ფაზისი. ეს ეთნოსები განსახლებულნი არიან ტრაპეზონამდე).

ახლა ვნახოთ ნოეს სამი ძის შთამომავლები და მათი განშტოებები, ამა თუ იმ ეთნოსის მამამთავრები და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, იაფეტის შთამომავალთა ნუსხა:

Υἱοὶ Ἰάφεθ τοῦ τρίτου υἱοῦ Νῶε

Γάμερ, ἀφ' οὗ Καππάδοκες

Μαγῶγ, ἀφ' οὗ Κέλτοι, οἱ καὶ Γαλάται

Μαδαί, ἀφ' οὗ Μῆδοι,

Ἰωσάν, ἀφ' οὗ Ἑλλήνες, οἱ καὶ Ἰῶνες,

Θαβέλ, ἀφ' οὗ οἱ Θετταλοι,

Μοσὸχ, ἀφ' οὗ Ἰλλυριοί,

Θήρας, ἀφ' οὗ Θράκες,

Χατταῖν, ἀφ' οὗ Μακεδόνες,

υἱοὶ Γάμερ τοῦ υἱοῦ τοῦ Ἰάφεθ τοῦ υἱοῦ τοῦ Νῶε·

Ἀσχανάθ, ἀφ' οὗ Σαρμάται,

Ἐρισφάν, ἀφ' οὗ οἱ Ῥόδιοι,

Θαργαμά, ἀφ' οὗ Ἀρμένιοι,

υἱοὶ Ἰωσάν υἱοῦ Ἰάφεθ τοῦ υἱοῦ τοῦ Νῶε·

Ἑλισά, ἀφ' οὗ οἱ Σικελοί,

Θαρσεῖς, ἀφ' οὗ Ἰβήρες, οἱ καὶ Τύρρανοι,

καὶ Κίτιοι, ἀφ' οὗ Ῥωμαῖοι οἱ καὶ Λατῖνοι,

Πάντες οὗτοι υἱοὶ Ἰάφεθ τοῦ τρίτου υἱοῦ Νῶε. Ἐκ τούτων ἀπαρίσθησαν νῆσοι τῶν ἔθνων. εἰς δὲ καὶ οἱ Κύπριοι ἐκ τῶν Κιτιέων ἐκ τῶν υἱῶν Ἰάφεθ.

(მოსეს მესამე შვილის, იაფეტის ძენი:

გამერი, რომლისგანაც [იშვნენ] კაბადოკიელები,

მაგოგი, რომლისგანაც [იშვნენ] კელტები, რაც იგივეა გალატელები,

მადაი, რომლისგანაც [იშვნენ] მედიელები,

იოუანი, რომლისგანაც [იშვნენ] ბერძნები და იონიელები,

თობალი, რომლისგანაც [იშვნენ] თესალები,

მოსოხი, რომლისგანაც [იშვნენ] ილურიელები,

თერა, რომლისგანაც [იშვნენ] თრაკიელები,

ხატაინ, რომლისგანაც [იშვნენ] მაკედონიელები.

ნოეს ძის, იაფეტის ძის, გამერის, ძენი:

ასხენათი, რომლისგანაც [იშვნენ] სარმატები,

ერისფანი, რომლისგანაც [იშვნენ] როდიელები,

თორგამა, რომლისგანაც [იშვნენ] სომხები,

იგულისხმება სვანი და რომელში – ჭანი (იქვე). ის, რომ სვანების და საზოგადოდ, III-XVIII საუკუნეების რელიგიური ისტორიოგრაფიის ძეგლებში დასახელებული ეთნონიმები ორთოგრაფიულ სიჭრელეს აჩვენებს, ეს ჩემი დასკვნა არაა და ამის შესახებ მივუთითებდი დიამერიზმების შესახებ აქამდე გამოქვეყნებულ ყველა სტატიაში (დობორჯგინიძე 2005: 190-207; დობორჯგინიძე 2007: 253-266).

ნოეს ძის, იაფეტის ძის, იოვანის, ძენი:

ელისა, რომლისგანაც [იშვნენ] სიცილიელები,

თარშიში, რომლისგანაც იშვნენ იბერიელები, იგივე ტირენები,

და კიტოსი, რომლისგანაც [იშვნენ] რომაელები, იგივე ლათინები.

ყველა ესენი არიან მოსეს მესამე ძის, იაფეტის ძენი. ამათგან განიყო ეთნოსების მოდგმა (*კუნძულები) მიწაზე. კიპრიელებიც არიან კიტიელებისგან, იაფეტის ძეთაგან).

ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტებში იპოლიტე რომაელის ნუსხა (ასევე იუ-ლიუს აფრიკანუსის ქრონიკა) განსხვავებულ იკითხვისს აჩვენებს. რელიგიური ისტორიოგრაფიის ტრადიციული თვალსაზრისისგან განსხვავებით, რომელსაც იობელებების წიგნისა და იოსებ ფლავიოსის ისტორიის მიხედვით დაედო სათავე, იპოლიტე რომაელი იბერიელებს მიიჩნევს არა თუბაღის, არამედ თარშის შთამომავლებად და გეოგრაფიულ არეალსაც უცვლის მათ – ათავსებს კელტიბერების, ანუ პირინეის იბერების გვერდით. შდრ. Θαρσεῖς, ἔξ οἱ Ἰβηρες οἱ καὶ Τύριοι (Τυράσιοι). სამაგიეროდ, იოსებ ფლავიოსისეულ თარშის შთამომავლებს, თესალებს, უკავშირებს თუბაღს.¹⁰¹ ამასთანავე, იპოლიტე რომაელი ერთმანეთისგან აცალკევებს ტრადიციული ნუსხის Ἰβηρες οἱ καὶ Τυράσιοι (იბერები იგივე ტირენები) და იაფეტის შთამომავლების სიაში ორ სხვადასხვა ეთნოსად წარმოადგენს მათ: ტირენები 34-ე ნომრად ჰყავს დასახელებული, ხოლო იბერები 38-ედ, პირინეის იბერების, კელტიბერების შემდეგ (იხ. ქვემოთ იაფეტის შთამომავალთა ნუსხა).

ამ და სხვა ტიპის შინაარსობრივი და ორთოგრაფიული ხასიათის სხვაობები წყაროებში მრავლადაა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ნაკლებად ცნობილ ეთნონიმებს და ტოპონიმებს. როგორც ზემოთაც ვთქვი, ენათა და ეთნოსთა ნუსხეები, იმდროინდელი საისტორიო-გეოგრაფიული ცოდნის გარდა, ხშირ შემთხვევაში ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს არასწორ ინტერპრეტაციას ან კიდევ კომპილაციას.

იაფეტის შთამომავალთა გენიალოგიურ ხეს (ეთნოსები მამამთავართა მიხედვით) კიდევ ერთხელ უბრუნდება იპოლიტე რომაელი და გვთავაზობს იაფეტის მოდგმის ეთნოსების სრულ ნუსხას:

Ταῦτα δὲ τὰ τοῦ Ἰαφεφ ἕθνη ἀπὸ Μηδίας ἕως τοῦ ἑσπερίου κατέσπαρται ὡκα-νοῦν βλέποντα πρὸς βορρᾶν·

(1) Μῆδοι,

(2) Ἀλβανοὶ,

(3) Γαργαῖοι,

(4) Ἑρραῖοι,

(5) Ἀρμένιοι,

(6) Ἀμαζόνες,

(7) Κῶλοι,

(8) Κορζηνοὶ,

(9) Δειναγγοῖοι,

(10) Καππάδοκες,

(11) Παφλαγῖοι,

(12) Μαριανδυνοὶ,

(13) Τιβαρηνοὶ,

(14) Χάλυβες,

(15) Μοσσύοικοι,

(16) Σαρμάται

(17) Σαυρομάται

(18) Μαῖῶται,

(19) Σκύθες

(20) Ταῦροι,

(21) Θρᾶκες,

(22) Βασταρνοὶ,

¹⁰¹ Müllenhoff 1892: 271; PG 10, 63-94.

- | | |
|------------------------------|--|
| (23) Ἰλλυριοί, | (36) Λιγυστινοί, |
| (24) Μακεδόνες, | (37) Κελτίβηρες, |
| (25) Ἑλλენες, | (38) Ἴβηρες, |
| (26) Λιγύρες, | (39) Γάλλοι |
| (27) Ἰστροί, | (40) Ἀκυατίνοι, |
| (28) Οὔενοι, | (41) Ἰλλυριοί, |
| (29) Δαυნიες, | (42) Βάσαντες, |
| (30) Ἰάπυγες, | (43) Καρτανοί, |
| (31) Καλαβριοί, | (44) Λυσιτανοί, |
| (32) Ὀππικοί, | (45) Οὐακκαῖοι, |
| (33) Λατῖνοι οἱ καὶ Ῥωμαῖοι, | (49) Κοινιοί, |
| (34) Τυρήνιοι | (50) Βρεττανοί, οἱ δὲ ἐν νήσοις οἰκοῦντες. |
| (35) Γάλλοι οἱ καὶ Κέλτοι, | |

Οἱ δὲ ἐπιστάμενοι αὐτῶν γράμματα εἰσιν οἷτοι· Ἰβηρες, Λατῖνοι, οἷς χρῶνται οἱ Ῥωμαῖοι, Σπανοί, Ἑλλήνες, Μῆδοι, Ἀρμένιοι.

(ესენი არიან იაფეტის [მოდგმის] ეთნოსები, რომლებიც განსახლებულნი არიან მიდიიდან ვიდრე დასავლეთით ოკეანემდე და ჩრდილოეთის მხრისკენ. მედიელები, ალბანელები, გარგანები, ერაელები, სომხები, ამაზონები, კოლები, კორძენელები, დენაგენები, კაპადოკიელები, პაფლაგონიელები, მარიანდინები, ტიბარენები, ხალიბები, მოსონიკები, სარმატები, საურომატები, მაიოტები, სკვითები, ტავრიელები, თრაკები, ბასტარნები, ილურიელები, მაკედონიელები, ბერძნები, ლიგიური, ისტრიელები, ვენები, დავნიელები, იაპიგელები, კალაბრიელები, ოპიელები, ლათინები, იგივე რომაელები, ტირენები, გალები, იგივე კელტები, ლიგუსტინები, კელტიბერები, იბერები, გალები, აკვიტანები, ილურიელები, ბასანტები, კარტანები, ლუსიტანები, ვაკაიები, კონები, ბრიტანელები, რომლებიც კუნძულებზე ცხოვრობენ).

რაც შეეხება დამწერლობის მქონე/წერა-კითხვის მცოდნე ეთნოსების ჩამონათვალს, როგორც აქ, ისე სხვა ავტორების შემთხვევაში, მას სრულად წარმოვადგენ, ანუ ნოეს სამივე ძის შთამომავალთა მიხედვით.

იპოლიტეს ნუსხის მიხედვით სამწერლო ტრადიციების მქონე ენების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

Οἱ δὲ ἐπιστάμενοι αὐτῶν γράμματα εἰσιν

[Japhet]:

Ἰβηρες, Λατῖνοι, οἷς χρῶνται οἱ Ῥωμαῖοι, Σπανοί, Ἑλλήνες, Μῆδοι, Ἀρμένιοι.

[Cham]:

Φοίνικες, Αἰγύπτιοι, Παμφύλοι, Φρύγες.

[Sem]:

Ἑβραῖοι οἱ καὶ Ἰουδαῖοι, Πέρσαι, Μῆδοι, Ἰνδοί, Χалδαῖοι, Ἀσσυριοί.

(ამათგან ისეთები, რომელთაც დამწერლობა აქვთ /წერა-კითხვა იციან/, არიან:

[იაფეტისგან]:

იბერიელები, ლათინები, რომლებიც რომაელებად იწოდებიან, ესპანელები, ბერძნები, მედიელები, სომხები.

[ქამისგან]:

ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

[სემისგან]:

იუდეველები, სპარსელები, მედიელები, ქალდეველები, ინდოელები, სირიელები).

როგორც ვთქვი, იპოლიტე რომაელის ამ ქრონიკის ბერძნული ორიგინალი დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა, გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში იგი ა. ბაუერმა აღმოაჩინა მადრიდის ნაციონალური ბიბლიოთეკის ბერძნულ ხელნაწერთა შორის (Codex Graec. 121).¹⁰² ამ ქრონიკის მიხედვით ჩამოყალიბებულ ტოპოსს დამწერლობის მქონე თუ მცოდნე ეთნოსების შესახებ III-XVIII საუკუნეების სხვადასხვა ხასიათის ბევრი წყარო იმონმებს. ამ წყაროთა მონაცემები, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მეტ-ნაკლებად ერთნაირია, თუ არ ჩავთვთვლით რამდენიმე ტერმინოლოგიურ ან ორთოგრაფიულ სხვაობას. აქედან გამომდინარე, ნაშრომში ამ ტოპოსის შემცველი ყველა წყარო (სიძველის მიუხედავად) არ იქნება განხილული; მხოლოდ იმ წყაროებს შევხებით, რომლებიც იბერიელთა იდენტიფიკაციისათვის დამატებით ინფორმაციას შეიცავს, განსხვავებულ რელიგიურ ან გეოგრაფიულ კონტექსტშია შექმნილი და, ამდენად, საინტერესოა ჩვენს კითხვაზე პასუხის გასაცემად: რომელ კულტურულ, გეოგრაფიულ, რელიგიურ არეალში იცნობენ და აღიარებენ იბერიელებს, როგორც დამწერლობის მქონე ან წერა-კითხვის მცოდნე ეთნოსს, რამდენად იცნობს და აღიარებს რელიგიურ კონტექსტში ჩამოყალიბებულ ამ ტოპოსს მსოფლიო გეოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლები, საიდან გავრცელდა და როგორ დამკვიდრდა ეს თვალსაზრისი, ჩანს თუ არა იბერიელთა შესაძლო კონტაქტის კვალი იმ არეალთან, რომელშიც ეს წყაროები იწერებოდა ან ითარგმნებოდა, და ა. შ.

აქვე მოკლედ განვიხილავ იმ წყაროებს, რომლებიც იპოლიტესეულ ნუსხას ეყრდნობა. მათგან ყველაზე ძველია 354 წელს შედგენილი ქრონიკა. ბიბლიურ ეთნოსთა და ენათა, ასევე სამწერლო ტრადიციის მქონე ენების ჩამონათვალი ძალიან ახლოს დგას იპოლიტესეულ ტექსტთან, თითქმის უცვლელად იმეორებს ეთნონიმებსა და ტოპონიმებს, ასევე ენათა ჩამონათვალს. ტექსტი ფრაგმენტულადაა მოღწეული, მაგრამ შეიცავს ჩვენთვის საინტერესო რუბრიკას;¹⁰³ განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ დამწერლობის მქონე / წერა-კითხვის მცოდნე ეთნოსების აღსანიშნავად ამ ვერსიაში განსხვავებული ფრაზა დასტურდება; კერძოდ, სხვა ვერსიებში გავრცელებული ტექნიკური ტერმინი: Οἱ δὲ ἑπιστάμενοι αὐτῶν γράμματα აქ შეცვლილია იმავე მნიშვნელობის მქონე ფრაზით: ἔξ αὐτῶν εἰδότες γράμματα.¹⁰⁴

დიამერიზმების რამდენიმე ფრაგმენტია (ეთნოსებისა და კუნძულების ჩამონათვალი) შემონახული ეპიფანე კვიპრელის ანტიერეტიკულ თხზულებაში Ἀγκυσωτός, რომელიც 374 წელსაა შედგენილი.¹⁰⁵ იპოლიტეს ქრონიკის ყველაზე ძველი ლათინ-

¹⁰²ბერძნული ტექსტი პარალელური ლათინური თარგმანებით იხ. ა. ბაუერის გამოცემაში (Bauer 1956).

¹⁰³ტექსტი სხვა წყაროებთან ერთად იხ. თეოდორე მომზენის გამოცემაში (Mommesen 1850: 547-697, განს. გვ. 595, 638-639).

¹⁰⁴Gutschmid 1894: 665.

¹⁰⁵იხ. Holl 1915.

ნური ვერსია, რომლის სახელწოდებაც „Liber generationes, i. e. Divisio terrae tribus filiis Noe“; ა. გუთშმიდის დათარიღებით თარგმნილია არაუადრეს 460 წელს¹⁰⁶ და სიტყვა-სიტყვით მისდევს იპოლიტეს ტექსტს.

მეორე ლათინური ვერსია, რომელიც ასევე მისდევს იპოლიტეს ტექსტს, ცნობილია „Excerpta Latino-barbara Terrae divisiones tres filios Noe-ს“ სახელით. იგი მეშვიდე საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს. იპოლიტესეული რვა რუბრიკა, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი, სრულად შემონახულია ე. წ. პასქალურ ქრონიკებში (Chronicon paschale), რომელიც 630 წელსაა შედგენილი.¹⁰⁷ ამავე ტრადიციისაა – ოლონდ ყველა მათგანი ფრაგმენტულია – არნობიუსისეული ვერსია, რომელიც მან 104-ე ფსალმუნის კომენტარში შეიტანა (460 წლის ახლო ხანა),¹⁰⁸ იოვანე ანტიოქიელის Ἰστορία χρονική (VII ს.), გიორგი სვინკელოსის (792 წ.) Ἐκλογὴ χρονικαφίας, გიორგი ჰამარტოლის ქრონიკა, რომელიც 866 წელსაა დაწერილი და რომელიც შეიცავს დიამერიზმების მხოლოდ პირველ ნაწილს – ქვეყანათა და კუნძულთა ჩამონათვალს, სვიმეონ ლოლოთეტის ქრონიკა,¹⁰⁹ რომელიც 983 წლის შემდეგაა დაწერილი გიორგი კედრენოსის Σύνοπτος ἱστοριῶν, შედგენილი 1057 წელს.¹¹⁰

როგორც ვთქვი, დიამერიზმების ეს ვერსიები იპოლიტეს ტექსტს ემყარება და მცირე ფონეტიკურ-ორთოგრაფიული განსხვავებების მიუხედავად, მთლიანად იმეორებს იპოლიტე რომაელის თეზას ბაბილონის შემდეგ ენებისა და ეთნოსების დაყოფის, შესაბამისად, მათი განსახლების შესახებ.

2. დიამერიზმების იულიუს აფრიკანუსისეული ნუსხა

მეცნიერებაში სამართლიანად უწოდებენ იულიუსს აფრიკანუსს „წარმართულ-ქრისტიანული შედარებითი ქრონოგრაფიის მამას“¹¹¹. იგი იპოლიტე რომაელის თანამედროვე იყო და, როგორც ვარაუდობენ, პირადადაც იცნობდა მას. დღეისათვის აღიარებულად ითვლება თვალსაზრისი, რომ დიამერიზმების ჩვენთვის საინტერესო ვერსია (დამწერლობის მქონე ენების ჩამონათვალით) იპოლიტე რომაელს ეკუთვნის, თუმცა ამის საპირისპიროდ მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ იულიუს აფრიკანუსის ქრონიკა ახ. წ. ა. 218 წლის ახლო ხანაშია დაწერილი და შესაბამისად იპოლიტეს დიამერიზმების წყაროც, შესაძლოა, აფრიკანუსის ეს ქრონიკა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, მას ამ ქრონიკით უნდა ესარგებლა.¹¹²

106 Gutschmid 1894: 614.

107 იხ. PG 92; Gutschmid 1894: 614

108 Arnobius, Commentarii in psalmos, in: PL 53: 239-672.

109 Wahlgren 2006: 245-251.

110 ამ ვერსიათა მიმოხილვა, განსაკუთრებით ეთნონიმებისა და ტოპონიმების განსხვავებული იკითხვისების თვალსაზრისით იხ. Gutschmid 1894; Mühlhoff 1892.

111 შდრ. „Vater der vergleichenden heidnisch-christlichen Chronographie“ (P. Mühlhoff 1892: 268). იულიუს აფრიკანუსს უდავოდ დიდი გავლენა ჰქონდა შუა საუკუნეების ქრონოგრაფიაზე, როგორც საისტორიო ჟანრზე და ცალკეულ ავტორებზე. ამის შესახებ იხ. Adler 2006: 147-157; Beck 1965: 188-197; Mosshammer 2006: 83-112. Roberto 2006: 3-16; Staab 2006: 61-81; Wacholder 1968: 451-481.

112 Mühlhoff 1892: 268; Broszio 2002: 408.

იულიუს აფრიკანუსის ქრონიკა უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს, ვიდრე იპოლიტეს ვერსია. განსაკუთრებით მრავალფეროვანია იგი ნოეს შთამომავალთა კუთვნილი ტერიტორიების გეოგრაფიული დახასიათებისას; აქ უფრო დაწვრილებითაა აღწერილი ქვეყნების საზღვრები, მდინარეები, მთები, კუნძულები, კლიმატური ზონები და ა.შ.

ვნახოთ იაფეტის შთამომავალთა ნუსხა:

Υἱοὶ Ἰάφεθ τοῦ τρίτου υἱοῦ Νῶε (ἔθνη ἰε οὔτος. φσλαὶ ἰδ)

Γάμερ, ἔξ οἱ Καππάδοκες

Μαγῶγ, ἔξ οἱ Κέλτοι, οἱ καὶ Γαλάται

Μαδαί, ἔξ οἱ Μῆδοι,

Ἰσάν, ἔξ οἱ Ἕλληνες, οἱ καὶ Ἴωνες,

Θαβέλ, ἔξ οἱ Θετταλοὶ,

Μοσὸχ, ἔξ οἱ Ἰλλυριοί,

Θείρας, ἔξ οἱ Θράκες,

Χετταεῖμ, ἔξ οἱ Μακεδόνες,

Οἱ υἱοὶ Γάμερ τοῦ υἱοῦ Ἰάφεθ·

Ἀσχανάζ, ἔξ οἱ Ῥηγῖνες,

Ῥιφათ, ἔξ οἱ Σαυρομάται,

Θογαρμὰ, ἔξ οἱ Ἀρμένιοι,

Οἱ υἱοὶ Ἰσάν·

Ἐλίσა, ἔξ οἱ Σικελοί,

Θαρσεῖς, ἔξ οἱ Ἰβηρες οἱ καὶ Τύροι,

Κίτιοι, ἔξ οἱ Λατῖνοι, οἱ καὶ Ῥωμαῖοι,

Ῥόδιοι, ἔξ οἱ Ῥόδιοι.¹¹³

(მოსეს მესამე შვილის, იაფეტის ზენი:

გამერი, რომლისგანაც [იშვნენ] კაბადოკიელები,

მაგოგი, რომლისგანაც [იშვნენ] კელტები, რაც იგივეა გალატელები,

მადაი, რომლისგანაც [იშვნენ] მედიელები,

იოუანი, რომლისგანაც [იშვნენ] ბერძნები და იონიელები,

თობალი, რომლისგანაც [იშვნენ] თესალიელები,

მოსოხი, რომლისგანაც [იშვნენ] ილურიელები,

თეირა, რომლისგანაც [იშვნენ] თრაკიელები,

ხეტაიმ, რომლისგანაც [იშვნენ] მაკედონიელები.

იაფეტის ძის, გამერის ძენი:

ასხენასი, რომლისგანაც [იშვნენ] რეგინები,

რიფათი, რომლისგანაც [იშვნენ] საურომატები,

თოგარმა, რომლისგანაც [იშვნენ] სომხები,

იოვანის ძენი:

ელისი, რომლისგანაც [იშვნენ] სიცილიელები,

თარშიში, რომლისგანაც [იშვნენ] იბერები,

კიტოსი, რომლისგანაც [იშვნენ] ლათინები, იგივე რომაელები,

113 Müllenhoff 1892: 270-271.

როდიოსი, რომლისგანაც [იშვნენ] როდიელები.

როგორც ვხედავთ, ეთნოსების ტრადიციული (იოსებ ფლავიოსის) ნუსხა იუ-ლიუს აფრიკანუსის ვერსიაშიც თუბალისა და თარშის შთამომავლების თვალსაზრისით შინაარსობრივ სხვაობას აჩვენებს; იპოლიტეს ქრონიკის მსგავსად, აფრიკანუსის ვერსიაშიც ურთიერთშენაცვლებულია თუბალისა და თარშის შთამომავალთა სახელები. შდრ. იოსებ ფლავიოსი:

Θαβὲλ, ἀφ' οὗ Ἰβηρες, οἱ καὶ Τύρραινοι, [...]

Θαρσεῖς, ἀφ' οὗ Θετταλοί,

, იპოლიტე რომაელი, იულიუს აფრიკანუსი:

Θαβὲλ, ἐξ οὗ Θετταλοί,

Θαρσεῖς, ἐξ οὗ Ἰβηρες, οἱ καὶ Τύρροι,

როგორც ვთქვი, საისტორიო-გეოგრაფიული ცოდნის თვალსაზრისით აფრიკანუსის ვერსია უფრო მდიდარია, ვიდრე წინა ნუსხები, გარდა ეთნონიმებისა და ტოპონიმებისა, შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს, აღწერილობებს. ვნახოთ ჩვენთვის საინტერესო იაფეტის შთამომავალთა ნუსხა:

Omnes isti filii Japhet tertio filio Noe. „Ἐκ τούτων ἀφάρισθησαν νῆσοι τῶν ἔθνων ἐν τῇ γῇ αὐτῶν, ἕκαστος κατὰ γλῶσσαν αὐτῶν ἐν ταῖς φυλαῖς αὐτῶν καὶ ἐν τοῖς ἔθνεσιν αὐτῶν, ὥς φησιν ἡ γραφή. ὁμοῦ ἔθνη ἔθνη ἐβδόμηκοντα δύο. [...]. Erant ergo de Japhet ad confussionem turris tribvus. Τὰ δὲ τοῦ Ἰάφεθ ἔθνη ἀπὸ Μηδίας ἕως τοῦ ἑσπερίου Ἰκεανοῦ κατέσπαρται βλέποντα πρὸς βορρᾶν οὕτως·

(1) Μηδοί,

(2) Ἀλβανοί,

(3) Γαργανοί,

(4) Ἑρραῖοι,

(5) Ἀρμένιοι,

(6) Ἀμαζόνες,

(7) Κῶλοι,

(8) Κορζήνοι,

(9) Δειναγῆνοι,

(10) Γαλάται

(11) Καππάδοκες,

(12) Παφλαγόνες,

(13) Μαριανδυσιοί,

(14) Τιβαρηνοί,

(15) Χάλυβες,

(16) Μοσσυνοίκοι,

(17) Κόλχοι,

(18) Μεγάγχλαιοι,

(19) Σαρμάται, οἱ καὶ Σαυρομάται,

(20) Μαιῶται,

(21) Σκύθες

(22) Ταῦροι,

(23) Θρᾶκες,

(24) Βασταριοί,

(25) Ἰλλυριοί,

(26) Μακεδόνες,

(27) Ἑλλენες,

(28) Λιβυριοί,

(29) Παιονίοι

(30) Ἰστροί,

(31) Οὔενετοι,

(32) Δαυνεῖς,

(33) Ἰάπυγες,

(34) Καλαβριοί,

(35) Ὀππικοί,

(36) Λατῖνοι οἱ καὶ Ῥωμαῖοι,

(37) Τυρήνοι

(38) Γάλλοι οἱ καὶ Κελτοί,

(39) Λιγυστῖνοι,

(40) Κελτίβηρες,

(41) Ἰβηρες,

(42) Γάλλοι

(43) Ἀκουατίνοι,

(44) Ἰλλυρικοί,

(45) Βάσαντες,

(46) Σάμιοι

- (47) Κυρτανοί,
 (48) Λυσιτανοί,
 (49) Οὐακκαῖοι,
 (49) Κουνέοι,
 (50) Βρεττανικοί, οἱ δὲ ἐν ταῖς νήσοις οἰκοῦντες.

(ამათგან განიყო ეთნოსების მოდგმა (*კუნძულები) მიწაზე თითოეული თავისი ენისა და თავისი მოდგმის მიხედვით, როგორც მოგვითხრობს წერილი.¹¹⁴ სულ სამოცდათორმეტი ეთნოსი იყო. [...] იაფეთის მოდგმისანი განსახლებულნი არიან მიდიიდან ვიდრე დასავლეთით ოკეანემდე და ჩრდილოეთის მხრისკენ ასე [არიან]: მედიელები, ალბანელები, გარგანელები, ერაელები, სომხები, ამაზონები, კოლები, კორძენები, დენაგენები, გალატელები, კაპადოკიელები, პაფლაგონიელები, მარიანდინები, ტიბარენები, ხალიბები, მოსონიკები, კოლხები, მელანსლანები, სარმატები, იგივე საურომატები, მაიოტები, სკვითები, ტავრიელები, თრაკიელები, ბასტარნიელები, ილურიელები, მაკედონიელები, ბერძნები, ლიბირნიელები, პანონიელები, ისტრიელები, ვენეტები, დაგნიელები, იაპიგელები, კალაბრიელები, ოპიელები, ლათინები, იგივე რომაელები, ტირენები, გალები, იგივე კელტები, ლიგუსტინები, კელტიბერები, იბერები, გალები, აკვიტანები, ილურიელები, ბასანტები, სამიელები, კარტანები, ლუსიტანები, ვაკაიები, კუნები, ბრიტანელები, რომლებიც კუნძულებზე ცხოვრობენ).

როგორც ვნახეთ, იაფეთის მოდგმის ეთნოსების იულიუს აფრიკანუსისეული ჩამონათვალი აშკარად არაზუსტია, ზოგ შემთხვევაში იმეორებს ერთსა და იმავე ეთნონიმებს (მაგ. გალები), ან სხვადასხვა სახელით მოიხსენიებს ერთსა და იმავე ეთნოსს (იბერები, ტირენები), არის სხვა შინაარსობრივი უზუსტობებიც.¹¹⁵

რაც შეეხება სამწერლო ტრადიციების მქონე ენების ჩამონათვალს, ამ თვალსაზრისით იულიუს აფრიკანუსის ქრონიკა განსხვავებებს ნაკლებად აჩვენებს, თუ არ ჩავთვლით ფონეტიკურ-ორთოგრაფიული ხასიათის ცვლილებებს:

Υἱοὶ Ἰάφεθ τοῦ τρίτου υἱοῦ Νῶε. [...] Οἱ δὲ ἐπιστάμειοι αὐτῶν γράμματα εἰσιν οὗτοι· Ἰβηρες, Λατῖνοι, οἷς χρῶνται οἱ Ῥωμαῖοι, Σπανοί, Ἑλληγες, Μῆδοι, Ἀρμένιοι. [...] Υἱοὶ Χάμ δευτέρου υἱοῦ Νῶε φυλαὶ [...] Οἱ δὲ ἐπιστάμειοι αὐτῶν γράμματα Φοίνικες, Αἰγύπτιοι, Πάμφυλοι, Φρύγες. [...] Ἐκ δὲ τοῦ Σῆμ τοῦ πρωτοτόκου υἱοῦ Νῶε ἔθνη κέ. [...] οἱ δὲ ἐπιστάμειοι αὐτῶν γράμματα Ἑβραῖοι οἱ καὶ Ἰουδαῖοι, Πέρσαι, Μῆδοι, Χалδαῖοι, Ἰνδοί, Ἀσσύριοι.¹¹⁶

(მოსეს მესამე ძის იაფეთის შთამომავლები. [...] მათგან ისეთები, რომელთაც დამწერლობა აქვთ / წერა-კითხვა იციან: იბერიელები, ლათინები, რომლებიც რომაელებად იწოდებიან, ესპანელები, ბერძნები, მედიელები, სომხები. [...] მოსეს მეორე ძის, ქამის, მოდგმის ეთნოსები. ამათგან ისეთები, რომელთაც დამწერლობა აქვთ / წერა-კითხვა იციან: ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები. ... მოსეს პირველი ძის, სემის, მოდგმის ეთნოსები. [...] ამათგან

114შდრ. შესაქმე 10, 5.

115ამ ჩამონათვალის გენიალოგიის დადგენა, ცხადია, ისტორიკოსების საქმეა. როგორც დასაწყისშივე აღვნიშნე, მე ამ წყაროებს საისტორიო მეცნიერებისთვის სანდო მეთოდოლოგიით ვერ გავაანალიზებ. მე უფრო ამ ტექსტების გაჩენის სოციო-კულტურული მხარე მაინტერესებს.

116Müllenhoff 1892: 271.

ისეთები, რომელთაც დამწერლობა აქვთ / წერა-კითხვის მცოდნენი არიან: ებრაელები, იგივე იუდეველები, სპარსელები, მედიელები,¹¹⁷ ქალდეველები, ინდოელები, სირიელები).

როგორც ვთქვი, დიამერიზმების მრავალრიცხოვანი ვერსიებიდან სწორედ ეს სამი – იოსებ ფლავიოსის, იპოლიტე რომაელისა იულიუს აფრიკანუსის რედაქციები ითვლება ყველაზე მნიშვნელოვნად. ქვემოთ მოკლედ დავახასიათებ იულიუს აფრიკანუსის ქრონიკიდან მომდინარე ძირითად ნუსხებს.

ეს ვერსია დიამერიზმების არაერთ რედაქციას დაედო საფუძვლად. ყველაზე ადრე მისი კვალი ჩანს ევსები კესარიელის ქრონიკაში (დანერილი უნდა იყოს ჩვ. წ. ა. 303 წლამდე), უფრო სწორად, ამ ქრონიკის წინ შესავლად მოთავსებულ თხზულებაში, რომლის სათაურია „Exordium chronicorum“.¹¹⁸ მართალია, მის ავტორს ტექსტი მნიშვნელოვნად შეუცვლია,¹¹⁹ მაგრამ აშკარაა, რომ იგი აფრიკანუსისეული ვერსიიდან მომდინარეობს.

ამავე რედაქციისაა დიამერიზმების ტექსტი, რომელიც შემონახულია ევსტათი ანტიოქიელის სახელით მოღწეულ თხზულებაში: *Υπόμνημα εἰς τὴν Ἡξάμυρον*.¹²⁰ ეს თხზულება 335 წელსაა დანერილი და ჩვენთვის საინტერესო ნაწილი ენათა და ეთნოსთა განყოფის შესახებ იულიუს აფრიკანუსის ტექსტს იმეორებს.

იულიუს აფრიკანუსის რედაქცია უდევს საფუძვლად დიამერიზმების ჰიერონიმესეულ ვერსიასაც. იგი შემონახულია ჰიერონიმეს თხზულებაში: „Quaestiones Hebraicae in Genesin“.¹²¹ ჰიერონიმეს ტექსტი, ერთი მხრივ, მისდევს აფრიკანუსისეულ რედაქციას, მეორე მხრივ, ზოგიერთი ეთნოსის დასახელებისას მიჰყვება იოსებ ფლავიოსის ჩამონათვალს. იერონიმემ კომენტარები დაურთო ტექსტის ზოგიერთ ადგილს, განსაკუთრებით ნაკლებად ცნობილ ეთნოსთა და გეოგრაფიულ ადგილთა ჩამონათვალს. სწორედ მის სახელს უკავშირდება იოსებ ფლავიოსის, შემდეგ კი, როგორც ს. კრაუსს მიაჩნია,¹²² იულიუს აფრიკანუსის რედაქციაში შეტანილი ერთი ტექსტუალური ცვლილება, რომელმაც მოგვიანებით საკამათო გახადა დიამერიზმებში მოხსენიებული იბერების იდენტიფიკაციის საკითხი. ეს ცვლილება ეხება ერთ ფრაზას იაფეტის შთამომავალთა ჩამონათვალიდან: *Θάφιλος τοῦς Ἰβήρας* (თუბალისგან - იბერიელები). თუბალის მოდგმის იბერიელებში რომ კავკასიის იბერები იგულისხმებოდა, ჰიერონიმეს წინამორბედი ავტორებისთვის არ ყოფილა სადაო; ეს კარგად ჩანს იმ გეოგრაფიული თუ ისტორიული კონტექსტებიდანაც, რომლებშიც თუბალსა და იბერიელებს ათავსებდნენ იოსებ ფლავიოსი,

¹¹⁷მედიელები ორჯერ მოიხსენიება იულიუს აფრიკანუსის ქრონიკაში, პირველად იაფეტის შთამომავლებს შორის, მეორედ – სემიტებში. ამასთან დაკავშირებით იხ. Müllenhoff 1892: 266-268.

¹¹⁸A. Gutschmid 1894: 598.

¹¹⁹ავტორს მნიშვნელოვნად შეუცვლია ტექსტის სტრუქტურა, შეუბრუნებია ნოეს შთამომავალთა რიგი: ჯერ სემიტებია ჩამოთვლილი, შემდეგ ქამის და ბოლოს იაფეტის შთამომავლები; ტექსტი ფრაგმენტულადაა მოღწეული, მაგრამ მაინც შეიმჩნევა, რომ იგი ავტორის მხრიდანაც შემოკლებულია. ევსები კესარიელის ვერსიის შესახებ იხ. Gutschmid 1894: 598; Harnack 1897 (1958); Schoene 1875-76; Winkelmann 1991.

¹²⁰იოვანე ანტიოქელის ნუსხის ავთენტურობის, ასევე იულიუს აფრიკანუსის ნუსხასთან მისი მიმართების შესახებ იხ. Sotiroudis 1989.

¹²¹CCL 72: 1-56.

¹²²Krauß 1906: 43-46.

იულიუს აფრიკანუსი, ევსტათი ანტიოქელი და სხვები. ჰიერონიმემ არასწორად გაიგო ტექსტი. თუბალის მოდგმის იბერიელები პირინეის იბერებად ჩათვალა და ასეთი კომენტარი დაურთო ტექსტს: Tubal, a quo Iberi, qui vocantur Hispani (თუბალი, რომლისგანაც არიან იბერიელები, რომლებიც ესპანელებად იწოდებიან).¹²³

როგორც ზემოთ, იოსებ ფლავიოსის ნუსხასთან დაკავშირებით ვახსენე, მეორე კომენტარი მან დაურთო ფორმას: οἱ Πυλῖνες, რომელიც ფლავიოსისეული რედაქციიდან უცვლელად იყო გადმოტანილი იულიუს აფრიკანუსის ტექსტში. ჰიერონიმემ ისინი საურომატებთან გააიგივა. როგორც ა. გუთშმიდი ვარაუდობს, ჰიერონიმეს ეს კომენტარი თავდაპირველად ტექსტის აშიაზე უნდა გაეკეთებინა, დროთა განმავლობაში კი ის ძირითად ტექსტში უნდა გადმოეტანათ. ამ კომენტარის საფუძველი უნდა გამხდარიყო შემდეგი გარემოება: იოსებ ფლავიოსისეული οἱ Πυλῖνες არის ასკენასის მოდგმის ეთნოსი; ასკენასის შთამომავლები არიან საურომატებიც. საერთო წინაპრის მქონე ამ ორი ეთნოსის ვინაობა, ჩანს, ჰიერონიმეს ეპოქაში უკვე მთლად ნათელი აღარ უნდა ყოფილიყო მკითხველისთვის. ჰიერონიმეს ისინი ერთი და იმავე ეთნოსის განსხვავებული სახელწოდებები ჰგონია და ასეც განმარტავს: Aschenez, a quo Sarmatae, quos Graeci Reginos vocant. (ასკენასი, რომლისგანაც არიან სარმატები, რომელთაც ბერძნები რეგინებს ეძახიან).¹²⁴

იულიუს აფრიკანუსისა და იოსებ ფლავიოსის რედაქციას ეყრდნობა VIII-XII საუკუნეების არაერთი წყარო, რომელთა დიდი ნაწილი ფრაგმენტულადაა ჩვენამდე მოღწეული.¹²⁵ ისინი ძირითადად უცვლელად (ორთოგრაფიულ-ფონეტიკური სხვაობებით) იმეორებენ დიამერიზმების ცნობილ ტოპოსს სამწერლო ტრადიციების მქონე ეთნოსების შესახებ. მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაშია, რომ ზოგიერთი მათგანი აზუსტებს ამა თუ იმ ეთნოსთან, მათ შორის, იბერიელებთან, დაკავშირებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ საკითხებს. ისინი ცალკე იქნება განვიხილული.¹²⁶

3. დიამერიზმები ქრისტიანული აღმოსავლეთის მწერლობაში

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დიამერიზმების დღეისათვის ცნობილი უძველესი რედაქცია (იობელებების წიგნის ეთიოპურ თარგმანში დაცული ვერსია) სწორედ აღმოსავლური წარმომავლობისაა. მართლაც, ენის, იდენტობისა და მეფობის¹²⁷ ლეგიტიმაციის ტექსტები ძალიან პოპულარული იყო აღმოსავლეთის ხალხთა რე-

123 ამ შესწორების შესახებ ქვემოთაც გვექნება საუბარი ს. კრაუსთან დაკავშირებით.

124 Gutshmid 1894: 600. ჰიერონიმეს ეს კომენტარი სხვა ხელნაწერების მიხედვით ასე იკითხება: Aschenez, a quo Regini, qui sunt Sarmatae.

125 ამათგან შედარებით სრულია შემდეგი ვერსიები: 1. 886 წელს შედგენილი Ἐκλογὴ ἱστοριῶν (Cod. Paris 854, fol. 71), 2. Ἐκλογαὶ ἱστοριῶν 1012 წლისა, 3. Χροικόν XII საუკუნისა. ამის შესახებ იხ. Gutshmid 1894: 598-622.

126 ამ თვალსაზრისით საინტერესო ბერძნული და განსაკუთრებით აღმოსავლური წყაროები განხილული იქნება ქვეთავში: იბერიელთა იდენტიფიკაციის საკითხები შუა საუკუნეებში.

127 როგორც ზემოთ აღვნიშნე, ღვთივკურთხეული მეფის იდეა სწორედ ედესის მეფის, ავგაროზის ლეგენდიდან იღებს სათავეს და ფართოდ ვრცელდება შუა საუკუნეების ყველა ტრადიციაში. იხ. Karaulashvili 2004; ყარაულაშვილი 2010.

ლიგიურ ისტორიოგრაფიაში. ამის დასტურია სირიულ, კოპტურ, ეთიოპურ, არაბულ, სომხურ, ქართულ და საეკლესიო სლავურ ტრადიციებში დაბადების წიგნის აპოკრიფების, სხვადასხვა რედაქციის დიამერიზმების სრული ტექსტის, ან მისი ცალკეული ტოპოსებისა და ავგაროზის ლეგენდის მდიდარი ლიტერატურული გადამუშავება თუ სხვადასხვა ტიპის (ზუსტი, თავისუფალი, ინტერპოლირებული) თარგმანები, ამა თუ იმ ჟანრის თხზულებებში მათი არაერთგზის ციტირება.¹²⁸

ჩემი მიზანი არაა აღმოსავლური ტრადიციის დიამერიზმების გენიალოგიისა და ტექსტუალური პრობლემატიკის კვლევა, მათი განხილვა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ან დიამერიზმების სტრუქტურის (რუბრიკები) მიხედვით; მე მხოლოდ ზოგად ტენდენციებზე გავამახვილებ ყურადღებას და შევხები აღმოსავლური ტრადიციის რამდენიმე წყაროს, რომლებიც დიამერიზმებში მოხსენიებული იბერების სამწერლო ტრადიციებისა და, საერთოდ, იბერიელთა იდენტიფიკაციისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს.

სირიული რედაქციები

სირიული ტრადიციის ზოგად ტენდენციებზე საუბრისას მხედველობაში ვიღებ იმ ავტორთა თხზულებებსაც, რომლებიც, მართალია, ბერძნულად წერდნენ,¹²⁹ ან ორენოვნები იყვნენ, მაგრამ ბერძნულთან ერთად, ისინი სირიული ტრადიციის შემქმნელებად ითვლებიან. სწორედ მათ განსაზღვრეს ის ძირითადი მიმართულებები, რაც ენათა და ეთნოსთა განყოფისა და, საერთოდ, ენათა მრავალფეროვნების შესახებ ჩამოყალიბდა სირიულ ტრადიციაში. ეფრემ ასურის, ფსევდო-კლიმენტის, სექსტუს იულიუს აფრიკანუსის, თეოდორიტე კვირინელის, იოვანე მალალასა და ანტიოქიის სკოლის სხვა წარმომადგენელთა თხზულებების ზოგადი მიმოხილვაც კი აშკარას ხდის, რომ ბერძნებისგან განსხვავებით, სირიელებს ბევრად უფრო მახვილი „თვალი და ყური“¹³⁰ აღმოაჩნდათ ენათა და ეთნოსთა განყოფის პრობლემების, საერთოდ, თავდაპირველი ენის რაობისა და ენათა ისტორიული განვითარების შესამჩნევად.

ენათა და ეთნოსთა დაყოფის შესახებ შემუშავებული თვალსაზრისები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში მეტ-ნაკლები ცვლილებებით აისახებოდა სირიულ და ზოგადად აღმოსავლურ ტრადიციაში, პირველად ჩამოყალიბებული სახით ეფრემ ასურის თხზულებებშია გადმოცემული. ბაბილონის გოდლის მშენებლობისას სამოცდათორმეტად დაიყო ერთიანი ენა და ერთი მოდგმის ხალხი. ეფრემ ასურის აზრით, ეს დაყოფა უფრო ადამიანთა თავისუფალი შეთანხმება იყო – ცხადია,

128სამყაროს შექმნის ამბებისა და, საერთოდ, დაბადების წიგნის ეთიოპური აპოკრიფების სიმრავლესა და სიუჟეტურ მრავალფეროვნებას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიაქცევს მეცნიერებმა ყურადღება. ამ თვალსაზრისით ევროპელი მეცნიერებისთვის არც ქართული მასალა, ადამის წიგნის ქართული ინტერპრეტაციები, დარჩენილა უცნობი. მათ მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა XX საუკუნის დასაწყისში, როცა ვ. ლუდკემ სცადა ა. ხახანაშვილის გამოკვლევაზე დაყრდნობით გაერკვია ადამის წიგნის ქართული აპოკრიფების გენიალოგია. იხ. Lüdtke 1917: 155-168. რაც შეეხება ბაბილონის ამბების ინტერპრეტაციას ქართულ ტრადიციაში, ამის შესახებ მონოგრაფიის მეორე ნაწილში იქნება საუბარი.

129ზოგიერთმა მათგანმა, განსაკუთრებით სექსტუს იულიუს აფრიკანუსმა, მნიშვნელოვნად განსაზღვრა ბერძნული ისტორიოგრაფიის განვითარების ტენდენციები, რომლებიც სწორედ სირიული, და, საერთოდ, აღმოსავლური წარმომავლობისა იყო. ამის შესახებ იხ. A. Borst 1957: 258-292.

130შდრ. Borst 1957: 258

ღვთის ნებით აღსრულებული – ვიდრე ღვთის რისხვა.¹³¹ ამ მოვლენას მოჰყვა იაფეტის მოდგმის თხუთმეტი, ქამის მოდგმის ოცდაათი და სემის მოდგმის ოცდაშვიდი ეთნოსის წარმოშობა; მათგან ჩამოყალიბდა სხვადასხვა ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფები. სულიწმინდის გარდამოსვლით კი ხელახლა შეერთდა ენებად და ეთნოსებად დაყოფილი კაცთა მოდგმა.¹³²

ენათა განყოფის მოტივები¹³³ და ჩვენთვის საინტერესო დიამერიზმების ცალკეული ტოპოსები არაერთი სირიელი ავტორის თხზულებაშია დადასტურებული, განსაკუთრებით დაბადების წიგნის ეგზეგეტიკურ კომენტარებში, რელიგიური ისტორიოგრაფიისა და საერთოდ, ძეგლებში, რომლებშიც მსოფლიო ისტორიისა და ისტორიის საწყისის პრობლემებს ამუშავებდნენ. მონოფიზიტმა ჰიმნოგრაფმა, იაკობ სარუგელმა (451-521 წ.), სპეციალური ჰიმნიც უძღვნა ბაბილონის გოდლის ამბებს.¹³⁴ სწორედ სირიული ტრადიციიდან იღებს სათავეს ბაბილონის თემასთან დაკავშირებული ქართული და სომხური მოტივები. მათ საგანგებოდ განვიხილავ. ამჯერად კი მოკლედ შევხები რამდენიმე წყაროს, რომლებიც შეიცავს ნოეს შთამომავალთა ნუსხებს და ჩვენთვის საინტერესო ტოპოსს დამწერლობის მქონე / წერა-კითხვის მცოდნე ეთნოსთა შესახებ.

ენათა და ეთნოსთა განყოფის ეფრემ ასურისეული ვერსია კანონიკურად იქცა არა მარტო სირიული, არამედ ზოგადად აღმოსავლური წარმომავლობის საისტორიო წყაროებში. მათგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა VI საუკუნეში შედგენილი ანონიმური ეგზეგეტიკური თხზულება, „განძთა ქვაბი“, რომლის თარგმანი ლეონტი მროველმა წარუმძღვარა თავის თხზულებას და ქართველთა „ნათესავის“ ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დამაკავშირებელ რგოლად, ჩვენი ისტორიის კონცეპტუალურ შესავლად აქცია.¹³⁵

სირიული ტრადიცია დაედო საფუძვლად ენათა და ეთნოსთა ბიბლიური გენიალოგიის ახლებური ვერსიის შემუშავებას, რომელიც ბიზანტიური მსოფლიო ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას, ანტიოქიელი იოვანე მალალას სახელს უკავშირდება.¹³⁶ მისი საისტორიო კონცეფცია შემდგომ ეპოქაში არაერთი ისტორიული და გეოგრაფიული თხზულების წყაროდ იქცა. ამ და სირიული წარმომავლობის სხვა ძეგლებში არა მარტო დასტურდება ჩვენთვის საინტერესო ტოპოსი დამწერლობის მქონე ეთნოსთა შესახებ, არამედ ზუსტდება იბერების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემა.

ამჯერად განვიხილავ იმ წყაროებს, რომლებიც საკვლევი საკითხისთვის – იბერიელთა იდენტიფიკაცია – განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს შეიცავს. IX

131 შდრ. In Genesim commentaius, in: CSCO 153 (SS syri 72), p. 53.

132 შდრ. ამ თვალსაზრისით ა. ბორსტი დანვრილებით განიხილავს საქმე მოციქულთას ტექსტზე ეფრემ ასურის მიერ დართულ კომენტარებს (Borst 1957: 259).

133 ეს საკითხები ცალკე იქნება განხილული ადგილობრივი ნაციონალური ენის ლეგიტიმაციის შესახებ წყაროების მიმოხილვისას.

134 ამ ჰიმნის გერმანული თარგმანი იხ. Landersdorfer 1913: 271-285.

135 „განძთა ქვაბის“ ქართული ვერსიების, „ქართლის ცხოვრებაში“ მისი ადგილისა და დანიშნულების, ასევე ამ ძეგლის ირგვლივ დისკუსიის შესახებ მონოგრაფიის II ნაწილში იქნება მსჯელობა.

136 ბიზანტიური ქრონიკებისა და იოვანე მალალას გენიალოგიური ხის შესახებ იხ. Croke 1983: 116-131; მისივე 1990: 27-54, Jeffreys 1990: 167-216.

საუკუნიდან მოყოლებული სირიული წყაროების დიამერიზმებში იბერიელთა ნაცვლად ეთნიკური ტერმინი *Gürgan* (*Georgii*) გვხვდება. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ტერმინის ფონეტიკური ვარიანტი (*Gürzan*, *Jarzan*) მოგვიანო ხანის სხვა, არაბულენოვან წყაროებშიც გვხვდება. ეს ფაქტი უეჭველს ხდის, თუ ვის გულისხმობდნენ შუა საუკუნეების ავტორები დიამერიზმების იბერიელებში.

დავასახელებ ამგვარ წყაროთა რამდენიმე მაგალითს:

ა) *ქრონიკა*, რომელიც ეკუთვნის ევტუხი ალექსანდრიელს, ანუ საიდ იბნ ბითრიკს (877-940). ის იყო გაქრისტიანებული არაბი, რომელიც 933 წელს მელქიტების პატრიარქი გახდა. უცნაურია, რომ არაბულად დაწერილ მის ქრონიკაში, რომელიც მსოფლიო ისტორიის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, არაფერია ნათქვამი მისი კონვერტაციამდელი სარწმუნოების, ისლამის, ან მუჰამედის ცხოვრების შესახებ.¹³⁷ ეს ქრონიკა ენათა და ეთნოსების ისტორიის არაერთ ახალ მოტივს, ცალკეული საკითხის დაზუსტებას, ახალ ინფორმაციას¹³⁸ ან ეთნონიმთა განსხვავებულ იკითხვის გვთავაზობს. ეს უკანასკნელი გვხვდება ჩვენთვის საინტერესო რუბრიკაშიც დამწერლობის მქონე / ნერა-კითხვის მცოდნე ეთნოსთა, კერძოდ, იბერების, შესახებ:

Qui autem litterati sunt:

[*Japhet*]:

Graeca, Romana, Armenica, Gu(a)rzanica /Jarzanica/, Hispanica.

[*Cham*]:

Aegyptiaca, Pamphylica Phrygica.

[*Sem*]:

*Ebraïca, Syriaca, Persica, Indica, Chaldaea, Arabica.*¹³⁹

(მათგან ისინი, რომლებიც ნერა-კითხვის მცოდნენი არიან:

[იაფეტისგან]:

ბერძნული, რომაული, სომხური, გურდ(ჯ)ანული, ესპანური.

[ქამისგან]:

ეგვიპტური, პამფილიური, ფრიგიული.

[სემისგან]:

ებრაული, სირიული, სპარსული, ინდური, ქალდეური, არაბული).

ტრადიციულისგან განსხვავებულია ევტუხეს ამ წყაროში დასახელებული *Ja(u)rzanica/Gu(a)rzanica*: ამ ტექსტის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, ა. გუთშმი-დი თვლის, რომ *Jarzanica-Gurzanica* აქ იბერიული დამწერლობის აღსანიშნავადაა გამოყენებული. იგი იმონებს იაქუტის გეოგრაფიულ ლექსიკონს (*Jaquît, Lexicon*

¹³⁷შდრ. Borst 1957: 275.

¹³⁸სამართლიანად მიიჩნევენ (Borst 1957: 276), რომ ევტუხეს ამ ქრონიკაში მოხდა ენათა და ეთნოსთა ჩამონათვალის ერთგვარი მოდერნიზაცია; ქრონიკის ტრადიციულ ჩამონათვალში ევტუხემ ისლამური ისტორიოგრაფიის არაერთი დეტალი შეიტანა. სემის ოცდახუთ შთამომავალთა შორის მან არაბების, ინდოელების, სირიელებისა და სპარსელების გვერდით ჩინელებიც შეიყვანა. ქამის ოცდათორმეტ შთამომავალთა შორის ეგვიპტელების გვერდით არიან კოპტები, აბესინიელები და სხვადასხვა მოდემის აფრიკელი შავკანიანები. იაფეტის შთამომავალთა შორის სომხების, იბერიელებისა და სლავების გვერდით შეყვანილი არიან თურქები, ხაზარები და მცირე აზიის სხვა ტომები.

¹³⁹წყაროები დამოწმებულია ს. კრაუსის ნაშრომის მიხედვით. იხ. Krauß 1906: 33-48.

Geographicum, p. 249), რომელშიც დადასტურებულია არაერთი უცხოენოვანი წყარო, რომელთა მონაცემებით Gu(a)rgan-Jarzan ჰქვია იმ მხარეს, სადაც თბილისი მდებარეობს. როგორც გუთშიმდი აღნიშნავს, იაქუტის ლექსიკონში დამოწმებულ წყაროებში Gurzan ზოგჯერ თბილისის აღსანიშნავადაც იხმარება (მდრ. Gurzan = Tiflis, und ersetzt hier die iberische Schrift).¹⁴⁰ კვლევა-ძიების მომდევნო ეტაპებზე არაერთი სირიული და არაბულენოვანი კოპტური წყარო გახდა ცნობილი, რომლებშიც Gūrgan, Georgii მართლაც იხმარება იბერიელთა ამნიშვნელ ტერმინად.

ბ) IX საუკუნეშია შედგენილი სირიული ქრონიკა ეთნოსთა და ენათა განყოფის შესახებ, რომლის ლათინური სათაურია: „*Descriptio populorum et plagarum*“ (ეთნოსთა და ენათა ნუსხა), ან „*De familiis linguarum*“ (ენათა ოჯახების შესახებ). დამწერლობის მქონე / წერა-კითხვის მცოდნე ეთნოსებს ეს წყარო შემდეგნაირად ახასიათებს:

„Rursus, Domini nostri ope scribam qui populi post confusionem linguarum Babylone factam. Šēm et Hām et Japhet. A semine Šēm sunt populi et nationes et linguae viginti duo; inter quas sunt quae litteras sciunt quinque linguae: Syri, Hebraei, Babylonii, Persae, Elamitae. [...] Et filii Hām sunt tredecim populi et nationes et linguae; inter quas sunt quae litteras sciunt quattuor linguae, Aegyptii, Aethiopes, Indi, Phoenices. [...] Et filii Japhet sunt triginta septem populi et nationes et linguae; [...] inter quos sunt qui litteras sciunt sex populi, qui sunt Graeci, Romani, A[m]o[r]rrhaei, Alani(?), Armeni, Georgii“¹⁴¹

(ისევე, რომელი ეთნოსი გაჩნდა ბაბილონში ენათა აღრევის შემდეგ სემისგან, ქამისგან და იაფეტისგან. სემის მოდგმისგან არის ოცდაორი ეთნოსი, მოდგმა და ენა. მათ შორის ისეთები, რომელთაც წერა-კითხვა იციან, არის ხუთი ენა: სირიელები, ებრაელები, ბაბილონელები, სპარსელები, ელამიტები. [...] ქამის ძეთაგან არის ოცდაათი ეთნოსი, მოდგმა და ენა. მათ შორის ისეთები, რომელთაც წერა-კითხვა იციან, არის ოთხი ენა: ეგვიპტელები, ეთიოპელები, ინდოელები და ფინიკიელები. [...] იაფეტის მოდგმისანი არის ოცდაჩვიდმეტი ეთნოსი, მოდგმა და ენა. მათ შორის ისეთები, რომელთაც წერა-კითხვა იციან, არის ექვსი ენა:¹⁴² ბერძნები, რომაელები, ამორრეველები, ალანები (ალბანები?), სომხები, ქართველები).

ტრადიციულისგან განსხვავებული და, ამავე დროს, ბუნდოვანია ამ წყაროში მოხსენიებული ზოგიერთი ეთნოსის ვინაობა. ამჯერად ვგულისხმობ იაფეტის იმ შთამომავალთა ჩამონათვალს, რომელთაც წერა-კითხვა იციან. მათ შორის ერთი, ალანები, დღეისათვის ცნობილ არცერთ წყაროში არ მოიხსენიება დამწერლობის მქონეთა / წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვში. სავარაუდოა, რომ იგი კავკასიის ალბანების აღმნიშვნელი სახელის ფონეტიკური ვარიანტი იყოს; მით უმეტეს, რომ ალბანები VII საუკუნიდან მოყოლებული აღმოსავლური წარმომავლობის არაერთ წყაროში მოიხსენიება ამგვარ ნუსხებში სომხებისა და იბერიელების გვერდით.

გ) არაბულ-ისლამური წყაროებით ამდიდრებს ტრადიციულ თვალსაზრისს

140Gutschmid 1894: 691.

141 *Descriptio populorum et plagarum* (*De familiis linguarum*), in: Brooks, Guidi, Chabot 1955 (CSCO, vol. 6, *Scriptores Syri*, t. VI): 278.

142დამწერლობის მქონე / წერა-კითხვის მცოდნე ეთნოსთა ნუსხა ამ წყაროს მიხედვით სხვაობას აჩვენებს, კერძოდ, იაფეტის შთამომავალთაგან არა ტრადიციული ხუთი, არამედ ექვსი ენაა დასახელებული.

ენათა და ეთნოსთა განყოფის შესახებ ნესტორიანელთა მიტროპოლიტი ნისიბიდან, XI საუკუნის ცნობილი სირიელი ისტორიკოსი, ელიას ბარ შინაია (975-1049). მის ორენოვან ქრონიკას (სირიულ-არაბული), ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ნაწილში, საფუძვლედ უდევს ერთი მხრივ, იპოლიტე რომაელის წყარო – იგი იმეორებს იპოლიტესეულ რუბრიკას დამწერლობის მქონე / წერა-კითხვის მცოდნე ეთნოსთა შესახებ – და, მეორე მხრივ, მუსულმანი ისტორიკოსის, თაბარის თხზულება.¹⁴³

დ) სირიული ქრონიკებიდან, რომლებიც ბაბილონის ამბებს გადმოგვცემს, ენათა და ეთნოსთა, ასევე სამწერლო ტრადიციის მქონე ენათა ნუსხის თვალსაზრისით საინტერესოა უცნობი ავტორის ისტორიული თხზულება, რომელიც სალადინის მიერ იერუსალიმის ალების შემდეგ (1187 წ.) შედგენილი ჩანს. მასში შერწყმულია იპოლიტე რომაელის, ეფრემ ასურის, „განძთა ქვაბისა“ და სხვადასხვა საუკუნეებში დაწერილი ყურანის განმარტებების მოტივები. იგი მიჰყვება ძველ სირიულ წყაროებს, თუმცა არა სიტყვა-სიტყვით. ავტორი ხშირად მიმართავს ინტერპოლაციას, წყაროთა ინტერპრეტაციას. მაგალითად, თავდაპირველ ენასთან დაკავშირებით ახსენებს ყველა ცნობილ თვალსაზრისს, მაგრამ დაბეჯითებით არცერთს არ იზიარებს (შდრ. ამბობენ, რომ თავდაპირველი ენა ებრაული იყო, თუმცა სხვები ფიქრობენ, რომ თავდაპირველად ებრაულად კი არა, სირიულად, ანუ არამეულად, ლაპარაკობდნენ და იგი არის ყველა ენის გვირგვინი დედამიწაზე).¹⁴⁴

დამწერლობის მქონე ეთნოსთა ჩამონათვალი, როგორც ვთქვი, იპოლიტე რომაელის ნუსხას მიჰყვება, შესაბამისად, ეს ქრონიკა იბერებს ათავსებს იაფეტის შთამომავალთა შორის. რაც შეეხება სხვა ენებსა და ეთნოსებს, ავტორს რამდენიმე უცნაური ცვლილება შეაქვს ტექსტში: მთელი დასავლეთისთვის საერთო ლათინურ-რომაული (Latini, Romei) დამწერლობის სახელს ფრანკულით (Franci) ცვლის. ეს კი, როგორც მიუთითებენ,¹⁴⁵ შესაძლოა, ჯვაროსანთა ლაშქრობის გარკვეულ გავლენაზე მიუთითებდეს:

„Quindecim lingua sunt in mundo, quae sciunt scripturam et litteras. E Semo quinque: Hebraei, Syri, Babylonii, Persae, Elamitae, Arabes. E Iapheto sex: Graeci, Iberi, Franci, Armeni, Medi, Al[b?]jani. E Chamo quattor: Aegyptii, Cushitae, Phoenices, Indi“ (Chabot 1952:19).

(მსოფლიოში არის თხუთმეტი ენა, რომელთაც წერა და კითხვა იციან. სემისგან ხუთი: სირიელები, ბაბილონელები, ელამიტები, არაბები. იაფეტისგან ექვსი: ბერძნები, იბერები, ფრანკები, სომხები, მედიელები, ალ(ბ)ანები. ქამისგან ოთხი: ეგვიპტელები, ქუშიტები, ფინიკიელები, ინდოელები).

მეორე ცვლილება ეხება იაფეტის შთამომავლად აღიარებულ ალანებს, რომელთაც დიონისეს ქრონიკა, ზემოთდასახელებული სირიული ქრონიკის მსგავსად, წერა-კითხვის მცოდნეთა შორის მოიხსენიებს. XX საუკუნის ბევრი ისტორიკოსი, რომელიც ქრისტიანული ისტორიოგრაფიის ამ ტექსტებს სწავლობდა, ყოველთვის დიდი კითხვის ნიშნით აღადგენდა ამ სიტყვაში ალან-ძირს და გამოთქვამდა აზრს,

143 ამის შესახებ იხ. Borst 1957: 286.

144 Borst 1957: 287.

145 შდრ. Borst 1957: 287.

რომ კავკასიაში მცხოვრები ეს ინდოგერმანული ენა არასოდეს ყოფილა ცნობილი თავისი დამწერლობით ან ლიტერატურული ტრადიციებით და, შესაბამისად, უცნაურია მათი მოხვედრა ამ სიაში. შესაძლოა, წყაროებში არა ალანები, არამედ კავკასიის ალბანები იგულისხმებოდეს, ვინაიდან სწორედ მათი, და არა ალანების, მოხსენიება იქნებოდა ლოგიკური ამ კონტექსტში.

ე) სხვადასხვა ტრადიციის, მათ შორის, ისლამურის, გავლენა თუ კარგი ცოდნა ჩანს მსოფლიო ისტორიოგრაფიის ცნობილი წარმომადგენლის, სირიელ იაკობიტა პატრიარქის, მიხეილ დიდის (1126-1199) ქრონიკებში. იგი ეკუთვნოდა შუა საუკუნეების სირიული წარმომავლობის იმ პოლიგლოტების რიცხვს, რომლებიც გამორჩეული იყვნენ უცხო ენებისა და უცხოენოვანი წყაროების შესანიშნავი ცოდნით. მიხეილ დიდმა მშობლიური სირიულის გარდა შესანიშნავად იცოდა ბერძნული, ებრაული, არაბული, სომხური და ლათინური ენები, შესაბამისად წყაროები. 1195 წლამდე დაწერილი მისი ისტორია¹⁴⁶ უცხოენოვანი პირველწყაროების, მათ შორის ქართულის, ზედმიწევნით ცოდნას ეყრდნობა. ჯერ კიდევ ჰ. გელცერმა (1898) შენიშნა,¹⁴⁷ რომ ბაბილონის გოდლის ისტორიის შესახებ ჯუანშერის თხზულებაში დაცული სიცხისა და ოქროს დნობის მოტივი (გოდლის მაშენებლები ველარ აგრძელებდნენ მუშაობას წარმოუდგენელი სიცხის გამო, რომელიც ოქროსაც კი ადნობდა)¹⁴⁸ არქეტიპული ტექსტიდან უნდა მომდინარეობდეს და ტექსტის უძველეს ფენას უნდა ასახავდეს. მანვე გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ქართულში შემონახული ეს არქეტიპული ფენა ვარდან არველცის ისტორიაში ამოღებულია და შეცვლილია სტეფანე სივნიელის მონათხრობის მიხედვით შედგენილი ნუსხით, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ ადგილს ყველაზე საუკეთესო ეპითეტებით სომხური იკავებს. ის, რომ ვარდან არველცი, მხითარ აირივენაკი და სხვა სომეხი ისტორიკოსები ნამდვილად სარგებლობდნენ ქართული ვერსიით, ერთმნიშვნელოვნადაა დადასტურებული ცნობილი მეცნიერების, პაულ დე ლაგარდის, არნო ბორსტისა და მარი ბროსეს შრომებში.¹⁴⁹

მიხეილ დიდის ისტორია იმითაც არის ჩვენთვის საინტერესო, რომ იგი არა მარტო ასახელებს იბერებს სამწერლობო ტრადიციის მქონეთა / ნერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვში, არამედ სხვადასხვა ადგილას აზუსტებს კიდევ მათ მდებარეობას და იბერის პარალელურად ხმარობს ეთნონიმ გურგანს.¹⁵⁰

ამ ქრონიკაში შეჯამდა სირიული წარმომავლობის მოტივები თავდაპირველი ენისა და, საერთოდ, ენათა დაყოფის შესახებ. მიხეილ დიდი შეეცადა მყარი საისტორიო და ეგზეგეტიკური დასაბუთება ეპოვა სირიულისთვის, რომელიც მან ქალდეველი აბრაამისგან მომდინარედ და, ამდენად, კაცობრიობის თავდაპირველ ენად გამოაცხადა: ადამის ენა მემკვიდრეობით მიიღო აბრაამმა და იგი სწორედ

146 აქ და შემდგომში მიხეილ დიდის ტექსტს დავიმოწმებ ფრანგული გამოცემის მიხედვით: Chronique de Michel le Syrien, Jaen-Baptiste Chabot (1899-1910).

147 Gelzer 1898.

148 ქართული ვერსიები ცალკე იქნება განხილული.

149 Borst 1957: 282; Brosset 1869; მისივე 1874; Lagarde 1879.

150 შდრ. „Les Arméniens, stimulés par ceux-ci, se constituèrent aussi un empire dans la Grande-Arménie, jusqu'à la mer Caspienne, dans les montagnes appelées Caucase et certaines parties de l'Ibérie, c'est-à-dire de la Géorgie (Chabot 1899 (1963), I: 119.

სირიულშია დარჩენილი. ამით მან გაიმეორა თეოდორიტე კვირინელის თეზა, რომ ებრაული საკმაოდ ახალგაზრდა ენაა, არამეულისგან მომდინარეობს და იგი მოგვიანებით, მხოლოდ წითელი ზღვის გადალახვის შემდეგ, მიიღეს ებრაელებმა. რაც შეეხება ენათა და ეთნოსთა დაყოფას, მიხეილ დიდის აზრით, მას სათავე ნოემ დაუდო, როცა სემს აღმოსავლეთი არგუნა რინოკურურამდე, ქამს – სამხრეთი გადმაცამდე, ხოლო იაფეტს კი – ჩრდილოეთი. მაკედონელები, სომხები, მედიელები, ბერძნები, რომაელები (ლათინები) და იბერიელები (რომელთა ადგილსამყოფელი საგანგებოდაა დაზუსტებული), შეადგენენ იაფეტის მოდგმისგან სამწერლობო ნიშნით გამორჩეულ შთამომავლებს.¹⁵¹ მიხეილ დიდის ნუსხაში ენებისა და ეთნოსების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, არც ბაბილონია ისტორიის დასაწყისი, ბაბილონში სამოცდათორმეტ ენად გაყოფილი კაცობრიობის ერთიანი ენა მხოლოდ დამატებითი ტვირთი იყო ბაბილონამდე დაყოფილი ეთნოსებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ ბაბილონის ამბებამდე დაიყო და გოდლის დანგრევის შემდეგ კი ისევ თავის სამკვიდრებლებში დაბრუნდნენ.¹⁵²

აღმოსავლეთის სხვა ტრადიციები

ენათა და ეთნოსთა განყოფის ამბებს, მოსეს ხალხთა დაფებს, დიამერიზმების სრულ ვერსიებს ან მის ცალკეულ რუბრიკებს, არაერთ კოპტურ ან კოპტური ტრადიციიდან მომდინარე არაბულენოვან ქრონიკაში ვხვდებით. ამ თვალსაზრისით კოპტურ-ეთიოპური წყაროები დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ როგორც ქრისტიანულ (ბერძნულ, სირიულ, სომხურ, ქართულ), ასევე იუდაისტურ და ისლამურ ტრადიციასთან. ძირითადი წყარო მაინც სირიული ქრონიკებია. ბაბილონის ამბები ჩვენთვის საინტერესო რუბრიკებითურთ პირველად VII საუკუნეში დასტურდება. ეს არის კოპტურენოვანი ქრონიკა, რომელიც, როგორც ჩანს, თავიდანვე ბერძნულად და კოპტურად იყო დაწერილი იაკობიტების ეპისკოპოსის იოვანე ნიკიელის მიერ. თითქმის ორიგინალის თანადროულად ითვლება მისი ეთიოპური ვერსია, რომლის მთარგმნელს, როგორც ჩანს, იუდაისტური წყაროებითაც უსარგებლია.

მართალია, კოპტურ ტრადიციას ბაბილონის ამბებთან დაკავშირებით ახალი ვერსიები და მოტივები არ შეუმუშავებია, მაგრამ იგი კარგად იცნობდა და იზიარებდა საეკლესიო ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისებს ენათა მრავალფეროვნებისა და თხუთმეტი სამწერლო ენის შესახებ. დიამერიზმების ცალკეული ტოპოსები სირიულიდან შემოვიდა და ვრცელდებოდა ეფრემ ასურის თხზულებებისა და „განძთა ქვაბის“ თარგმანებთან ერთად.

მოგვიანო პერიოდის კოპტური ლიტერატურა არაბულენოვანი გახდა. არაბული ძალაუფლებისა და არაბული ენის გავლენამ თანდათან იზოლაციაში მოაქცია კოპტურენოვანი კულტურა. ამის მიუხედავად, იგი მაინც ახერხებდა გლობალური ისტორიისა და ენების ისტორიის პრობლემებზე ყურადღების გამახვილებას. 1259 წელს იაკობიტმა დიაკონმა პეტრე იბნ რაჰიბმა ევტუხეს ქრონიკაზე დაყრდნობით კიდევ ერთი მსოფლიო ისტორია დაწერა.¹⁵³ მასში ჩვენთვის საინტერესო დიამე-

151 შრდ. „Descendants de Japhet: Macédoniens, Arméniens, Médes, Grecs, Latins, Romains, Ibériens (Chabot 1899, I: 15)

152 შრდ. Borst 1957: 288.

153 Chronicon orientale, CSCO, 46 (SS arabici 2).

რიზმების საკითხები ევტუხეს ქრონიკის და საერთოდ, სირიული ტრადიციის შესაბამის ადგილს იმეორებს.

ამავე პერიოდისა უნდა იყოს არაბულად დაწერილი ფსალმუნთა შესავალი, რომლის ანონიმი ავტორი დავითის მგალობლებზე თხრობისას თავს უყრის სხვადასხვა ტრადიციიდან მისთვის ნაცნობ ისტორიებს ენათა განყოფისა და საყოველთაო ისტორიის დასაწყისის შესახებ.¹⁵⁴ მისი თქმით, დავითის მომღერალთა რიცხვი იყო ოთხჯერ სამოცდათორმეტი, ვინაიდან ბაბილონში სამოცდათორმეტი ენა წარმოიშვა; ამათგან სემის შთამომავალთა ოცდახუთი არასამწერლო და რვა სამწერლო ენა. ქამის შთამომავალთაგან ოცდათორმეტი არასამწერლო და ექვსი სამწერლო ენა; იაფეტის შთამომავალთაგან თხუთმეტი არასამწერლო და ექვსი სამწერლო ენა. ამ წყაროს მიხედვით, ტრადიციულისგან განსხვავებით, დამწერლობის მქონე ენათა რიცხვი ოცამდეა გაზრდილი სწორედ სხვადასხვა წყაროთა კომპილაციური შეჯერების ხარჯზე. დიამერიზმების ტრადიციული იბერიული, ისევე როგორც უმეტეს სირიულ წყაობში, აქაც შეცვლილია ქართველების აღმნიშვნელი ეთნონიმით: *Gurğani*.¹⁵⁵

კოპტურზე კიდევ უფრო მეტად იზოლირებულ ეთიოპურ საეკლესიო მწერლობაშიც იცნობდნენ და აღიარებდნენ მსოფლიო ისტორიისა და ენების ისტორიის დასაწყისს – ბაბილონისდროინდელ ამბებს. როგორც ზემოთ ვთქვი, ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში ითარგმნა ეთიოპურად იობელების წიგნი, არაერთი აპოკრიფული თხზულება, ეგზეგეტიკური კომენტარი და „განძთა ქვაბი“, რომელსაც ეთიოპურად ადამის წიგნს ეძახდნენ.¹⁵⁶

სომხები ადრევე დაინტერესდნენ გლობალური ისტორიის საკითხებით; ჯერ თარგმნეს მნიშვნელოვანი მსოფლიო ისტორიები და საეკლესიო ისტორიები, მოგვიანებით კი არაერთი მსოფლიო ისტორია შეადგინეს თვითონაც. ასე რომ, ისინი ადრევე გაცნენ დიამერიზმების ტოპოსებს და არაერთი ახალი მოტივით გაამდიდრეს ბაბილონის ამბები.¹⁵⁷ VI საუკუნიდან მოყოლებული სასომხეთი გამოე-

154ამის შესახებ იხ. Borst 1957: 277.

155ამ წყაროს გავეცანი გ. გრაფის მონოგრაფიის მიხედვით. შდრ. „Laut Kap. 4 richtete David Sängerklassen ein (Vgl. 1. Chr. 15, 16-24) mit je 72 Männer, über die er vier Vorsänger stellte: Āsaf, Nāthān (Ethan), Sulaimān und ‘Abdit’ unān. Die Zahl 72 wurde gewählt mit Rücksicht auf die Zahl der Sprachen, die beim Turmbau von Babel entstanden sind, nämlich von Stamme Sem 25 ohne Schrift und 8 mit Schrift: Syrisch, Arabisch, barbarisch (?Aḡāmī), Hebräisch, Persisch, Chaldäisch, Indisch, Chinesisch; vom Stamme Cham 32 schriftlose Sprachen und sechs Schriftsprachen: Koptisch, Nubisch, Abessinisch, Kilikisch, Palästinisch und Phönizisch; vom Stamme Japhet 15 schriftlose und 6 schriftbesitzende Sprachen: Ionisch (Griechisch), Römisch, Armenisch, Fränkisch, Georgisch (Gurğani) und Andalusisch“. იხ. Graf 1947: 460.

156როგორც ვ. ლუდკემ აჩვენა, ადამის ცხოვრების ქართული აპოკრიფული ვერსიები ტექსტურად ძალზე ახლოს დგას ეთიოპურ ვერსიასთან, რაც საერთო დედნით უნდა იყოს განპირობებული. ამის შესახებ იხ. Lüdtke 1917: 155-168.

157განსაკუთრებით საინტერესოა ჩანარები, რომლებიც სომხური ისტორიის გლობალურ კონტექსტში განხილვას ისახავს მიზნად. ენათა დაყოფის ამბების გადმოცემისას სომხური ისტორიოგრაფია ცვლის ტექსტის არქეტიპულ ფენას სტეფანე სივნიელის მონათხრობის მიხედვით და ხოტბას ასხამს ენათა შორის ყველაზე გამორჩეულ სომხურს: „ამის შედეგად მრავალი სიკეთე იქმნა, [...] პირველი უხეში ენისაგან წარმოიქმნა რბილი ელინთა [ენა], მაგარი რომაელთა, მრისხანე ჰუნთა, მვედრებელი ასურთა, მრავალფეროვანი სპარსთა, ლამაზი ალანთა, სასაცილო გუთთა, ყრუ ეგვიპტელთა, ჟღერტულა ჰინდოთა, ყოვლად შემკული და სასიამო-

ყო ბერძნულ ორთოდოქსულ სამყაროს და, შესაბამისად, სომხურმა საისტორიო მწერლობამაც აქტიურად დაიწყო საკუთარი ისტორიის დასაწყისის, თვითდამკვიდრებისა და ლეგიტიმაციისათვის გზების ძიება გლობალურ ისტორიაში. ამ მიზეზებს დაერთო ბიზანტიასა და ისლამს შორის მოქცეული ქვეყნის გეოპოლიტიკური, ისტორიული და ნაციონალური საფრთხე, რამაც ცხადია, კიდევ უფრო გაამძაფრა სომხური ისტორიოგრაფიის წადილი, ეპოვა და გაემყარებინა საკუთარი პოზიციები მსოფლიო ისტორიაში. ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში შეიმუშავეს სომხებმა ზღაპრულ-ლეგენდარული ჩანართები მათი წინაპრის, ნოეს შთამომავალი თოგარმას შესახებ, რომელსაც ისინი ბაბილონის შემდგომი პერიოდის სომეხთა ისტორიის მამამთავრად თვლიან. ეს ლეგენდარული საგმირო ეპიზოდები მათ მოხერხებულად ჩართეს¹⁵⁸ ნათარგმნ მსოფლიო ქრონიკებში, მათ შორის იპოლიტე რომაელისა და ევსები კესარიელის თხზულებებში და საკუთარი ისტორია გლობალური ისტორიის საწყისი ამბებიდან – ბაბილონის გოდლის მშენებლობიდან და ენათა და ეთნოსთა განყოფის ცნობილი ისტორიებიდან გამოიყვანეს.

პირველი დიდი სომეხი ისტორიკოსი, მოსე ხორენელი, ბაბილონის ამბების თხრობაში ერთმანეთის გვერდით ათავსებდა იუდაისტურ და ბაბილონურ-სპარსულ მოტივებს. იგი შეეცადა ცნობილი გენიალოგიების გამარტივებას და ქამისა და კრონოსის იდენტიფიკაციას; სომხები საკუთარ თავს წარმოადგენდნენ, როგორც დასავლეთის მკვიდრებს, შესაბამისად, იაფეტის შთამომავლებს. მოსე ხორენელს დიდი სასომხეთის ისტორიის საწყის ნერტილად სწორედ ევროპელთა მამამთავრის, იაფეტის მოდგმა მიაჩნდა. მისი თქმით, სომეხი ხალხის მამამთავარი, ბიბლიური თოგარმას ძე, გოლიათი ჰაიკი, ბაბილონის გოდლის თანამაშენებელი იყო. იგი, განურჩევლად ყველა ტირანის წინააღმდეგ მებრძოლი, იყო უძლიერესი და სახელგანთქმული თვით გოლიათებს შორისაც. ჰაიკმა გაათავისუფლა თავისი ხალხი ბელნიმროდის მონობისაგან და წამოიყვანა სასომხეთიკენ. მისი შვილის, არმენაკის, მიხედვით ეწოდა სომეხ ხალხს სახელი.¹⁵⁹

სომხურ ისტორიოგრაფიაში ბიბლიური გენიალოგიის სხვა ვერსიაც არსებობდა. თომა არზრუნის ქრონიკის მიხედვით სომხები სემის და, შესაბამისად, სირიელების მოდგმისა იყვნენ და ეს ძალზე საპატიო წარმომავლობას ნიშნავდა.¹⁶⁰ სამართლიანად ითვლება, რომ სომხურისა და სირიულის შემთხვევაში ყველაზე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული გლობალური ისტორიისა და ნაციონალური ისტორიის საკითხები.¹⁶¹ ამის ერთ-ერთ განმსაზღვრელ მიზეზად, როგორც

ვნო სომეხთა“ (შოშიაშვილი, კვაჭანტირაძე 2002: 40).

158 შდრ. „სომხებმა პირველად მაშინ იპოვეს საკუთარი ეროვნული თვითშეგნება და შექმნეს ისტორიული ხასიათის ლიტერატურა, როცა საკმაოდ საშიშ სიტუაციაში მოექცნენ ბიზანტიასა და ისლამს შორის. ეს კი (საისტორიო ლიტერატურის შექმნა) არ მომხდარა ზღაპრულ-ლეგენდარული და ტენდენციური ჩანართების გარეშე (Borst 1957: 273).

159 მოსე ხორენელის ისტორიის ფრაგმენტები დამონმებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: Lauer 1869: 10-19.

160 Brosset 1874: 5, 17-19.

161 ეს პრობლემატიკა, განსაკუთრებით მშობლიური ენისა და წარმომავლობის ლეგიტიმაცია გლობალურ კონტექსტში, ყველაზე თვალნათლივ ვარდან არველცის მსოფლიო ისტორიაში აისახა. ამ საკითხთა შესახებ ზოგადად, აღმოსავლური ქრისტიანობის კონტექსტში მონოგრაფიის II ნაწილში იქნება საუბარი.

ვთქვი, ბიზანტიასა და ისლამს შორის რელიგიური იზოლაცია ითვლება.¹⁶² ამიტომაც იყო, რომ ყველა სომეხი ისტორიკოსი ლეგიტიმაციისა და თვითდამკვიდრების ამ და მსგავსი არგუმენტებით იწყებდა საისტორიო ხასიათის ნებისმიერ თხზულებას. კათალიკოსი იოვანე VI (835-925) ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე, რომ მას კიდევ ერთხელ მოუწევს საყოველთაოდ ცნობილი ამბების გამეორება, მაგრამ იგი წინაპრების გზას მიჰყვება და გადმოგვცემს, თუ როგორ დააარსა გოლიათთა შორის უძლეველმა ჰაიკმა ბელნიმროდის დამარცხების შემდეგ სასომხეთის სამეფო იქ, სადაც ნოეს კიდობანი დაეშვა მიწაზე.

ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვადასხვა ტრადიციის ეს ზოგადი ნიშნები – დიამერიზმებისა და ბიბლიური წარმომავლობის ეთნოსთა ნუსხის არაერთგზის ციტირება, დაბადების წიგნის აპოკრიფებსა და ეგზეგეტიკურ თხზულებებში ნოეს შთამომავალთა გენიალოგიის შესახებ სხვადასხვა ტრადიციის ავტორთა მიერ გამოთქმულ თვალსაზრისებზე აპელირება, საკუთარი ისტორიის ამსახველი უცხოენოვანი (განსაკუთრებით ბერძნული, სირიული) წყაროების კომპენდიუმების შედგენა, თავდაპირველი ისტორიის რეკონსტრუქციის მცდელობა – მიზნად ისახავდა საკუთარი ისტორიის ლეგიტიმაციას, მის დაკავშირებას გლობალურ ისტორიასთან.

რაც არ უნდა საკამათო იყოს გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების რელიგიური ისტორიოგრაფიის „მეთოდოლოგია“, ფაქტებისა და მიმართებების საანალიზო „ინსტრუმენტი“, ან **ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსის – უნივერსალიზმისა და ისტორიზმის** ერთმანეთთან დაკავშირების, „მორიგების“ ცდა, მან უდავოდ დიდი როლი შეასრულა საისტორიო ცნობიერების, ენის, იდენტობის, ზოგადად, კულტურათა შესახებ იდეების ისტორიაში. სწორედ მან შეიმუშავა ორი მნიშვნელოვანი საკლასიფიკაციო სქემა:

- ა) უნივერსალური ისტორიის დაყოფისა ეთნიკური და ენობრივი წარმომავლობის მიხედვით (ნაციონალური ისტორიის რეკონსტრუქციის ცდა),
- ბ) ენათა და ეთნოსთა დაყოფისა კულტურული ნიშნით (ენათა კლასიფიკაციის ცდა სამწერლობო/არასამწერლობო ტრადიციის მიხედვით).

რელიგიური ისტორიოგრაფია მისი უძველესი ძეგლიდან მოყოლებული (ფლავიოსის კლასიფიკაცია) უნივერსალური ისტორიის პირველივე ფენაში „ათავსებს“ ქართველური წარმომავლობის ტომებს და მათ ენებს; კულტურული ნიშნით პირველივე კლასიფიკაციაში ექცევა ქართველური წარმოშობის ეთნოსების საერთო-სამწერლო ენა, იბერიული, რომლის იდენტიფიკაციას, კავკასიის იბერებთან მათ გაიგივებას საინტერესო ისტორია აქვს როგორც შუა საუკუნეებში, ასევე მეოცე საუკუნის ისტორიოგრაფიაში.¹⁶³

ისტორიკოსების საქმეა იმის გარკვევა, რა ედო საფუძვლად ამგვარ საყოველთაო კლასიფიკაციებს, კონკრეტულად იბერების შესახებ მსოფლიო ისტორიოგრაფიაში შემუშავებულ თვალსაზრისს, იმ ახსნა-განმარტებებს, რომლებიც ამა თუ იმ ავტორს შეჰქონდა თავის თხზულებაში (ვგულისხმობ იბერების შესახებ სხვადასხვა დროს დიამერიზმებში გაჩენილ დაზუსტებებს), ქართველების აღმნიშვნელი სახე-

¹⁶²შდრ. Borst: 1957: 274.

¹⁶³ამ დისკუსიის შესახებ საგანგებოდ შევჩერდები მონოგრაფიის მეორე ნაწილში.

ლის (Iberes, Ġurġani, Gurzani, Georgii) ტერმინოლოგიურ ტრადიციას და, ზოგადად, იბერების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებულ დისკუსიას. როგორც დასაწყისში ვახსენე, მე ეს წყაროები მაინტერესებს უფრო ისტორიული სოციოლინგვისტიკის პერსპექტივიდან, როგორც იმდროინდელი საისტორიო დისციპლინის წარმოდგენა საყოველთაო ისტორიის დასაწყისისა („ერთ ჯმა და ერთ სიტყუა“ ნათესავის დაყოფა) და კულტურული (სამწერლობო) ნიშნით გამორჩეული ენების, მათ შორის იბერიულის, შესახებ. როგორც ირკვევა, ისინი ქართული გახდეს.

აქვე უნდა დავაზუსტო ერთი საკითხი: გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების რელიგიური ისტორიოგრაფიაში ვგულისხმობ, შესაბამისად, განვიხილავ იოსებ ფლავიოსის, იპოლიტე რომაელისა და სექსტუს იულიუს აფრიკანუსის მიერ კონცეპტუალიზებულ საისტორიო დისციპლინას, და არა მისგან პრინციპულად განსხვავებულ ბიზანტიურ და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ სლავურ საისტორიო მწერლობას. ცნობილია, რომ ბიზანტიურმა საისტორიო ცნობიერებამ, გასაგები მიზეზების გამო, ვერ „შეამჩნია“ მსოფლიო ისტორია, ეთნოსებისა და ენების განვითარების კანონზომიერებანი და ამოსავალ წერტილად აქცია არა მრავალფეროვნება და საისტორიო განვითარების ლოგიკა, არამედ ბიზანტიის კეისრის, როგორც მსოფლიო მბრძანებლის, იდეა: სულთმოფენობის სასწაული დაგვირგვინდება და ენათა მრავალფეროვნება გადაილახება არა სხვადასხვა ენაზე მეტყველი ეკლესიების ერთობით – ეს იყო პატრისტიკის ამოსავალი თეზა – არამედ „მართლმორწმუნე ბიზანტიის კეისრის მეშვეობით; კეისრის იდეალურ სახეში შეხვდება ერთმანეთს წარსული და აწმყო, რწმენა და ისტორია“.¹⁶⁴

164 Borst 1957: 304.

მეორე ნაწილი

ნაშრომის მეორე ნაწილში მივუბრუნდები გვიანანტიკურობის რელიგიური ისტორიოგრაფიის იმ კონცეპტებს, რომელთაც დაეყრდნო საქართველოში ენის, ისტორიისა და ქართველთა წარმომავლობის სალეგიტიმაციო ტექსტები; უფრო დანვრილებით განვიხილავ წყაროებს როგორც სამწერლობო იბერიულის, ასევე არასამწერლობო ქართველური ენების შესახებ. აქვე შევეხები ზემოთ ნახსენებ დისკუსიას დიამერიზმებში მოხსენიებული იბერების იდენტიფიკაციის შესახებ, რომელიც აქტუალური იყო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ საისტორიო მეცნიერებაში.

ნაშრომის ბოლო თავები დაეთმობა ქართული ენისა და ქართველთა თავდაპირველი ისტორიის ლეგიტიმაციის საკითხებს შუა საუკუნეებში. ეს უკანასკნელი, ლეონტი მროველის მიერ „ჩუენი ნათესავის“ ყოფის ამსახველი თავდაპირველი ამბების რეკონსტრუქცია, განხილული იქნება, როგორც უნივერსალურ ისტორიაში შემუშავებული ეთნოსებისა და ენების საკრალიზებული სქემის კერძო შემთხვევა – როგორ გადმოდგა ქართველთა გენეტიკურმა წინაპარმა პირველი ნაბიჯი ბაბილონის ნანგრევებიდან, ანუ ისტორიის I შრიდან. ენათა ლეგიტიმაციის საერთო აღმოსავლურ კონტექსტში იქნება განხილული იოვანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, როგორც ქართული ენისთვის წმინდა ენების ბადალი სალეგიტიმაციო არგუმენტების გამოძენის მცდელობა. დანართის სახით წარმოვადგენ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში დაცული დიამერიზმების ფრაგმენტებს, ცალკეულ ტოპოსებს.

I თავი
რელიგიური ისტორიოგრაფია და დისკუსია არასამწარმოო
ქართველური ენების შესახებ¹⁶⁵

ენათა სამწერლობო-სალიტერატურო ნიშნით კლასიფიკაცია (Οἱ ἐπιστάμεινοι γράμματα, Qui litterati sunt), ისევე, როგორც რელიგიურ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული ბევრი სხვა ენობრივი საკითხი, დიდად განსხვავდება სალიტერატურო ენის თანამედროვე დეფინიციისგან, ის უფრო საკითხის ისტორიისთვისაა საინტერესო.

კულტურული ნიშნით ენების კლასიფიკაცია: Ἑλληνες - βάρβαροι (ელინური, ესე იგი, კულტურული, განათლებული და ყველა დანარჩენი, როგორც გაუნათლებელი, ესე იგი ბარბაროსული), ბევრად უფრო ადრეც არსებობდა, მაგრამ კლასიფიკაცია სალიტერატურო-სამწერლობო ტრადიციების მიხედვით, როგორც ვნახეთ, სწორედ გვიანანტიკურობაში ჩნდება, ოღონდ არა ენის შესახებ მოძღვრებაში, არამედ საისტორიო და თეოლოგიურ დისკიპლინაში, როგორც „წმინდა ისტორიასთან“ უშუალოდ დაკავშირებული რელიგიური საკითხი.

სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ენათა განვითარებაში ისტორიზმის ხელშეახები ნიშნები პირველად ალექსანდრიის ბიბლიოთეკის წინამძღოლის, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ გამოჩნდა.¹⁶⁶ მანამდე კი, როგორც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელმა შეამზადა წინაპირობები საამისოდ. ყოველ შემთხვევაში, ძველი ისტორიკოსები, პირველ რიგში, პლუტარქე, სწორედ მაკედონელის სახელს უკავშირებენ ცნობილი ოპოზიციის: Ἑλληνες - βάρβαροι გადალახვის მცდელობას, უფრო ზუსტად, მისი ისტორიულად გაგების საფუძველს.¹⁶⁷

გრძნეული მედეა, რომელმაც მშვენივრად იცის ბერძნული – იაზონს სწორედ ბერძნულად ელაპარაკება – თავის მშობლიურ ენაზე (შდრ. ἐμφύλιος ὁμιλίη)¹⁶⁸ წარმოთქვამს მომაჯადოებელ ლოცვებს, კოლხურად მიმართავს (შდრ. ἐν Κολχιδᾷ, Κολχίδα γῆριον ἱεῖσα) თანამემამულეებს, კირკეს, მხედრებს; მართალია, ცდილობს საკუთარი ვინაობა არ გაამჟღავნოს და სახეს მალავს, მაგრამ კირკე იოლად ამოიცნობს ჰელიოსის შთამომავალს საგვარეულო ნიშნის მიხედვით და სთხოვს მას, დაელაპარაკოს მშობლიურ ენაზე.¹⁶⁹

სწორედ აქ გამოჩნდა პირველად ბერძნულის გვერდით ერთ-ერთი ქართველუ-

¹⁶⁵ამ დისკუსიის შესახებ მასალები, ცალკეული სტატიები იხ. ბოედერი 2005: 196-240; გვანცელაძე 2003: 170-176, მისივე 2004: 191-198; მისივე 2006; გოგოლაშვილი 2007: 75-137; დობოჯგინიძე 2007დ: 253-266; ფუტყარაძე 2003: 206-227; მისივე 2007: 267-288.

¹⁶⁶შდრ. „Dieser Wille konnte zu einer Art von Historismus werden, wie bei dem Bibliotheksvorstand von Alexandria, Appolonios von Rhodos (ca. 295-215). In seinem Argonauten-Epos führte er die empfindsamen Helden durch alle den Gelehrten bekannten Länder von den Kolchiern, wo die Sonne aufsteigt und darum Helios' Sohn Herrscher ist, bis zu den Libyern und den Kelten“ (Borst 1957: 136).

¹⁶⁷იქვე.

¹⁶⁸ბერძნული ტექსტი დამოწმებულია აკაკი ურუშაძის გამოცემის მიხედვით. იხ. ურუშაძე 1970: 288.

¹⁶⁹შდრ. „სიზმრების უსიამოვნო მოგონებამ აღელვებულ [კირკეს] გული შეუკუმშა. როგორც კი შენიშნა, რომ ქალწულმა თვალები ზევით ასწია, მყისვე მოუწია მისგან მშობლიური ენა გაეგონა; რადგან ჰელიოსის მთელი მოდგმა ცხადად გამოსაცნობი იყო. [ჰელიოსის] ნაშვირები თვალით ციალით შორს აფრქვევენ ოქროს სიბრწყინვალეს. მრისხანე აიეტის ასულმა კოლხურ ენაზე დაილაპარაკა და შემკითხველს მშვიდად უამბო ყველაფერი“ (ურუშაძე 1970: 289)

რი ენა, მედეას მშობლიური მეტყველება. პოემაში პირდაპირ დაისმის კითხვა – იაზონი ინტერესდება მედეას ენით – და მედეაც პასუხს სცემს ამ კითხვას.

როგორც რელიგიური ისტორიოგრაფიის ზემოთ განხილული წყაროები აჩვენებს, იპოლიტე რომაელის ქრონიკიდან მოყოლებული, ორივე არასამწერლობო ქართველური ენა, კოლხური და სვანური, სალიტერატურო-სამწერლობო იბერიულის გვერდით იკავებს ადგილს გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ენათა ნუსხებში. არასამწერლობო ქართველურ ენებს იცნობს დიამერიზმების თითქმის ყველა ძველი რედაქცია და შუა საუკუნეების ნუსხები, რომლებიც იქმნებოდა ერთ-მანეთისგან მკვეთრად დაშორებულ კულტურულ-ისტორიულ და გეოგრაფიულ არეალში, ებრაულ, ბერძნულ-ლათინურ, სირიულ, კოპტურ, ეთიოპურ, არაბულ, სომხურ და საეკლესიო სლავურ წყაროებში.

რაც არ უნდა საკამათო იყოს ლინგვისტიკისთვის რელიგიურ კონტექსტში შემუშავებული ამ ტოპოსის ცალკეული საკითხი, ის უდავოდ მნიშვნელოვანია, როგორც გვიანანტიკურობის კონცეფცია ენების შესახებ, მაშინდელი კულტურული სამყაროს წარმოდგენა ენებსა და ეთნოსებზე.

რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროებში ქართველური ეთნოსები სხვადასხვა სახელით მოიხსენიება: კოლხები, ეგრინები, ეგრიტინები სუანები, სანები, სანიგმები (Κόλχοι, 'Ρηγῖνες, 'Εγρίνες / 'Εγριτῖνες, Σάνοι, Σάνιγμοι, Σάνοι, Σάνοι); განსხვავებული იყო დიამერიზმების მკვლევართა თვალსაზრისები ამ ეთნოსების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. მაგალითად, იპოლიტე რომაელის ქრონიკის ბერძნული ტექსტის გამომცემელი, ა. ბაუერი ფიქრობდა, რომ კოლხების უშაულო მეზობლად მცხოვრები სანები, იგივე სანიგმები, სომხური წარმოშობის ერთ-ერთი ტომი უნდა ყოფილიყო.¹⁷⁰ ვფიქრობ, დიამერიზმების ნუსხებში სანების გეოგრაფიული არეალი, კოლხების გვერდით მათი მოხსენიება და ბიბლიური გენეალოგიის ხეზე საერთო წინაპრის ყოლა ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს თვალსაზრისს, რომ სხვადასხვა ტერმინით ან ერთი და იმავე ტერმინის ფონეტიკური ვარიანტებით: Σάνοι, Στανოι, Σάνიγμοι, ასევე Κόλχοι, 'Ρηγῖνες / 'Ρηγῖνες, 'Εγρίνες / 'Εγριτῖνες ქართველური ეთნოსები, კერძოდ, დასვლეთ საქართველოს მკვიდრნი აღინიშნებიან. იპოლიტე რომაელის ნუსხის მიხედვით ქართველურ ეთნოსებს შეადგენენ იბერები (λγ. 'Ιβηρες), კოლხები (λζ. Κόλχοι) და სანები, იგივე სანიგმები (λη. Σάνοι). როგორც ზემოთ ვნახეთ, ავტორი საგანგებოდ აზუსტებს სანების ადგილმდებარეობას. შდრ. Κόλχοι καὶ Βοσπορανοὶ. Σάνοι δὲ οἱ λεγόμενοι Σάνιγγες, οἱ ἕως τοῦ Πόντου ἐκτείνοντες, ὅπου ἐστὶ παρεμβολὴ 'Αψαρος καὶ Σεβαστόπολις καὶ ὁ 'Ισθμὸς λιμὴν καὶ Φᾶσις ποταμός.¹⁷¹

როგორც იბერებს, კოლხებსა და პონტოს გასწვრივ ზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველურ ეთნოსებს, ასევე აბაზგებსა და სხვა კავკასიელ ეთნოსებს აღწერს დანვრილებით სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი წყაროები, მათ შორის ზემოთ დასახელებული იოვანე ანტიოქელის ქრონიკა და გიორგი სვინკელოსის ნუსხა (შდრ. სვინკელოსი: „'Αρμενίαν καὶ 'Ιβήριαν, Πόντον, Κόλχους καὶ τὰς κατ'ὅπιν χῶρας“; იო-

170 შდრ. Sanner in Armenien (Borst 1957: 934).

171 Bauer 1956: 39. ამ ფრაგმენტის სრული ბერძნული ტექსტი და ქართული თარგმანი დამონებულია იპოლიტე რომაელის ნუსხის მიმოხილვისას ნაშრომის I ნაწილის III თავში: ქრისტიანული ტრადიციის ძირითადი რედაქციები.

ვანე ანტიოქელი: „[Ἀρμενίαν καὶ Ἰβηρίαν, καὶ] πάντα τὰ τοῦ Πόντου ἕως ἔς τὸν Βορυσθέην, τὸν Δάουσιν, τὸν Τάναϊν τοὺς ποταμοὺς καὶ Κόλχους).¹⁷²

ცნობები ქართველური ენების შესახებ, რომლებიც გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების რელიგიურ ისტორიოგრაფიაშია დაცული, საინტერესოა ერთ-ერთი თანამედროვე დისკუსიის კონტექსტშიც, რომელიც წამოიწყო ქართველ ენათმეცნიერთა ორ თუ სამკაცთანაა ჯგუფმა და ამტკიცებს, რომ მეგრული და სვანური ქართველური ენები კი არა, დიალექტებიაო. მათი აზრით, ეს დიალექტები ენებად საბჭოთა სპეცსამსახურებმა გამოაცხადა. ტარიელ ფუტყარაძის მიერ გამოთქმული ეს ახალი თეორია მისმა კოლეგამ, თეიმურაზ გვანცელაძემ რამდენიმე საუკუნით „დააძველა“ და იგი გერმანული წარმოშობის რუს ექიმს, ბუნებისმეტყველსა და მოგზაურს, იმპერატრიცა ეკატერინე მეორის ემისარს, იოჰან ანტონ გიულდენშტეტს დაუკავშირა.¹⁷³ აქ არ დავინწყებ კამათს იმის თაობაზე, რამდენად უადგილო და, რბილად რომ ვთქვა, შეუფერებელია საენათმეცნიერო დისკუსიაში ექიმის, გეოგრაფისა და მოგზაურის, ან თუნდაც ცნობილი საზოგადო მოღვაწის მოსაზრებებით მანიპულირება; არაფერია გასაკვირი იმაში, „ენისა და კილოს საყოველღეო ცნება მეცნიერულისგან“¹⁷⁴ რომ განსხვავდებოდეს, უცნაური და მიუღებელი ისაა, პროფესიით ენათმეცნიერი მეგრულისა და სვანურის, როგორც ენების, განსაზღვრებისას არა მათ იმანენტურ სტრუქტურულ ნიშნებს, არამედ სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა, მათ შორის საზოგადო მოღვაწეების, ემოციური შეფერილობის გამონათქვამებს რომ ეყრდნობა.

მე არავითარ შემთხვევაში არ მოვიხსენიებ აუგად კამათსა და აზრთა სხვადასხვაობას. სხვა საკითხია, ვიზიარებ თუ არა რომელიმე მოსაზრებას თუნდაც ამავე დისკუსიიდან, რაც არ უნდა დაუსაბუთებელი და არამეცნიერული იყოს იგი; მიუღებელი კამათი და განსხვავებული აზრი კი არ არის, საენათმეცნიერო საკითხებით მანიპულირება და პრობლემის პოლიტიზებაა, რასაც ახლავს ამ ჯგუფის აგრესიული დამოკიდებულება იმ მეცნიერების მიმართ, რომელთაც ეს ჯგუფი მოლალატობას სწამებს და „საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მომხრე პრორუსულ იმპერიულ ძალად“ ნათლავს.¹⁷⁵

გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ზემოთ განხილულ წყაროებს ქართველურ ენათა შესახებ თანამედროვე დისკუსიის კონტექსტში არც თუ სახარბიელო პერსპექტივა აქვს – ისინი ქართველ ენათმეცნიერთა ამ პატრიოტული ფრთის შავ

172 იოვანე ანტიოქელისა და გიორგი სვინკელოსის ფრაგმენტები დამონებულია ა. გუტშმიდის (Gutschmid 1891: 629) გამოკვლევის მიხედვით.

173 გვანცელაძე 2003: 171. გიულდენშტეტის მოგზაურობისა აღწერილობების შესახებ იხ. Guldenshtadt 1834; გიულდენშტეტი 1962: 64.

174 იხ. ბოედერი 2005: 197.

175 ფუტყარაძე 2006(ა): 59. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ზოგიერთი უცხოელი მეცნიერის მისამართით გამოთქმული ბრალდება. მაგალითად, მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორს, იოსტ გიპერტს უცხოურ, განსაკუთრებით რუსულ სპეცსამსახურებთან, თანამშრომლობა „არაპირდაპირი“ გზით დაუმტკიცეს პატრიოტული ფრთის ენათმეცნიერებმა: პროფესიით ირანისტი იოსტ გიპერტი სლავისტად და, ამდენად, რუსეთის იმპერიალისტური ინტერესების გამტარებლად გამოაცხადეს. იხ. თ. გვანცელაძის ინტერვიუ (გაზეთი „ახალი თაობა“, 30 აპრილი, 2007). საკითხის პოლიტიზირების, საენათმეცნიერო ტერმინებით მანიპულირებისა და საენათმეცნიერო საკითხთა აღრევის ნიმუშია თ. გვანცელაძის მონოგრაფია (გვანცელაძე 2005).

სიაში ხვდებიან: მიზეზი გასაგებია: ქრონოლოგიური, ისტორიულ-გეოგრაფიული თუ რელიგიური სიჭრელის მიუხედავად, ისინი აღიარებენ, რომ მეგრულიც და სვანურიც ენებია (ყოველ შემთხვევაში, მეგრული მაინც). ამ წყაროთა ავტორები არ დაობენ ენათმეცნიერების მარტივ და ძირეულ ცნებებზე, რომლებიც, როგორც ვ. ბოედერი წერს ამ დისკუსიის ფარგლებში დაბეჭდილი ერთ-ერთი სტატიის შესავალში, „განსაკუთრებით პრობლემატურია,“¹⁷⁶ ისინი კმაყოფილდებიან ენის შესახებ იმდროინდელ მოძღვრებაში საყოველთაოდ მიღებული სტანდარტული განსაზღვრებებით.

რატომ ვახსენე ეს დისკუსია? ამ მონოგრაფიის ფარგლებში არ ვაპირებ კამათს ენისა და კილოს რაობის შესახებ, მით უმეტეს, რომ ცნობილმა ქართველოლოგმა, ვინფრიდ ბოედერმა¹⁷⁷ დამაჯერებელი პასუხი გასცა იმ მეცნიერებს, რომლებიც ცდილობენ „ახლებურად განსაზღვრონ ქართველურ ენათა სტატუსი“.¹⁷⁸ მე მხოლოდ ამ დისკუსიის ერთ, რბილად რომ ვთქვა, „ციდან ჩამოფრენილ არგუმენტთან“ დაკავშირებით მაინტერესებს წყაროთა მონაცემები. ტარიელ ფუტყარაძე ამტკიცებს, რომ „მეგრული ენა“ საბჭოთა იმპერიალისტური ენათმეცნიერების მიერ დამკვიდრებული ცნებაა და სწორედ რუსეთმა გამოაცხადა ქართულის ეს კილო დამოუკიდებელ ენად.¹⁷⁹ წყაროები, რომელთა შესახებ ზემოთ ვისაუბრე და რომლებიც, როგორც უკვე ვთქვი, ქართველური ენების არსებობას აღიარებს, სულ მცირე ჩვიდმეტი საუკუნით უფრო ძველია, ვიდრე XIX საუკუნის რუსეთის იმპერიული ზრახვები, ან მასზე ოდნავ უმცროსი მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერება. ვფიქრობ, „ქართველურ ენათა სტატუსის ახლებურად განმსაზღვრელებს“ ამ შემთხვევაში ნაკლებად გამოადგებათ მათი ჩვეული იარაღი – წმინდა ლინგვისტური პრობლემების პოლიტიზება, წყაროთა ავტორებისთვის დაბრალება, რომ ისინი „იმპერიული სპეცსამსახურების შეკვეთით მუშაობენ“.¹⁸⁰ ის ფაქტი, რომ III და მომდევნო საუკუნეების ავტორები ქართველურ ენებს იმდროინდელი მსოფლიოს ენებს შორის მოიხსენიებენ, ცხადია, თანამედროვე ენათმეცნიერებაში ან ქართველოლოგიაში ამ ენების სტატუსის განსაზღვრებისას არგუმენტად არ გამოდგება; მე მხოლოდ ამ წყაროების გაგებასა და გააზრებას ვგულისხმობ იმდროინდელი ფილოლოგიური, თეოლოგიური და საისტორიო დისციპლინების კონტექსტში.

დასახელებული წყაროების შესავალში ავტორები საგანგებოდ უსვამენ ხაზს

176ბოედერი 2005: 196.

177ბოედერი 2005: 196-240.

178იხ. ბოედერი 2005:196. აქვე მოკლედ შეგახსენებთ საკითხებს, რომლებსაც ვ. ბოედერი შეეხო თავის ნაშრომში: 1. „კილოს“ და „ენის“ ისტორიული გააზრება, 2. „ენისა“ და „კილოს“ ცნებების გამოყენება ქართულ და ქართველოლოგიურ ტრადიციაში, 3. „ენისა“ და „კილოს“ დღევანდელი სტანდარტული გაგება სოციოლინგვისტიკაში, 4. ამ ცნებათა ირგვლივ დღევანდელი დისკუსია ქართულ ენათმეცნიერებაში.

179მდრ. „[რუსეთის მიერ განხორციელებული რუსიფიკაციის] პროცესის პირველი საფეხური იყო ტერმინოლოგიური დივერსია: ისტორიული ქართული ენის მეგრული კილოს – ერთ-ერთი ქართველური დიალექტის – დამოუკიდებელ ენად გამოცხადება“ (ფუტყარაძე 2006: 10-11).

180დაუსაბუთებელი, არაეთიკური, არამეცნიერული და ოდენ პოლიტიზებულია თ. გვანცელაძის მოსაზრებები, რომელიც მან ვ. ბოედერის არგუმენტაციის საწინააღმდეგოდ წარმოადგნა. იხ. გვანცელაძე 2005; ასევე, მისი ინტერვიუ (გაზეთი „ახალი თაობა“, 30 აპრილი, 2007).

მათ დამოკიდებულებას ნუსხაში (tabula linguarum) მოხსენიებული ენების მიმართ. მდრ. იპოლიტე რომაელი, სექსტუს იულიუს აფრიკანუსი: “Τὰ δὲ ἑθνη, ἃ διέσπειρε κύριος ὁ θεὸς [...] κατὰ τὰς ἰδίας γλώσσας αὐτῶν ἐν τῇ πυργοποιίᾳ ὅτε συνηχῆθησαν αἱ γλῶτται αὐτῶν¹⁸¹ (ეთნოსები, რომლებიც განყო უფალმა ღმერთმა საკუთარი ენების მიხედვით ... [ბაბილონის] გოდლის მშენებლობისას, როცა აღრეულ იქნა მათი ენები). „Ἐκ τούτων ἀφαίρθησαν νῆσοι τῶν ἑθνῶν ἐν τῇ γῇ αὐτῶν, ἕκαστος κατὰ γλῶσσαν αὐτῶν ἐν ταῖς φυλαῖς αὐτῶν καὶ ἐν τοῖς ἔθνεσιν αὐτῶν (ამათგან განიყო ეთნოსების კუნძულები მიწაზე თითოეული თავისი ენისა და თავისი მოდგმის მიხედვით).

ქართველურ ენათა სტატუსის ახლებურად განსაზღვრის მიზნით წამოწყებული ამ დისკუსიის მოდელი რუსული საბჭოთა საენათმეცნიერო დისკურსიდან არის აღებული. XX საუკუნის II ნახევარში პირველად გამოჩნდა რუსული სალიტერატურო ენის შესახებ დისკუსიაში პატრიოტიზმით განმსჭვალული პოლიტიზებული თეორიები, რომელთაც არაფერი ჰქონდა საერთო ენათმეცნიერებასთან და, საზოგადოდ, მეცნიერებასთან.¹⁸² ამ თეორიათა ავტორები ამტკიცებდნენ, რომ არავითარი პეტრეს I-ის რეფორმა, არავითარი დიგლოსია სლავურ საეკლესიო სფეროში, რუსული სალიტერატურო ენა XI საუკუნიდან იწყება, საეკლესიო სლავური სხვა არაფერია, თუ არა პირველი ფიქსირებული წერილობითი რუსული, უფრო სწორად, რუსულის საეკლესიო სტილი.¹⁸³ ამ პატრიოტული მოსაზრების მიმდევრებს არგუმენტებიც საკმაოდ პატრიოტული ჰქონდათ, ძირითადად, შუა საუკუნეების რუსი სასულიერო პირების ემოციური შეფერილობის გამონათქვამები იმის თაობაზე, რომ საეკლესიო სლავური მათი მშობლიური ენაა.¹⁸⁴ სხვა საკითხია, როგორ უყურებენ (აღიქვამენ) მორწმუნე ადამიანები მათი რელიგიის ენას, ამ შემთხვევაში – რუსულთან ახლო მდგომ საეკლესიო სლავურს. საკრალურ ენას რომ რელიგიური ჯგუფი საკუთარ ენად აღიქვამს, ამას გასაგები იდეოლოგიური საფუძველი აქვს, მაგრამ ეს არა საკუთრივ ლინგვისტური, არამედ სოციოლინგვისტური საკითხია და ყოვლად გაუძარტლებელია მსგავსი გამონათქვამებიდან ენათმეცნიერული დასკვნების გაკეთება. ამგვარი გამონათქვამები სოციოლინგვისტიკისთვის ან რელიგიის ისტორიკოსისთვის არის ღირებული და არა ენათმეცნიერისთვის, რომელიც ხსენებული წყაროს საფუძველზე შეეცდება ამტკიცოს, რომ რუსული და საეკლესიო სლავური ერთი და იგივე ენაა.

1954 წლიდან მოყოლებული ა. ისაჩენკომ, ბ. უნბეგაუნმა¹⁸⁵ და რუსული სა-

181 Müllenhoff 1892: 271.

182 რუსული საბჭოთა ენათმეცნიერების ეს ტენდენციური დისკუსია ბევრი თვალსაზრისით არის საინტერესო; ეს განსაკუთრებით ეხება არასამწერლობო ქართველური ენების სტატუსის ახლებურად განსაზღვრის მიზნით წამოწყებულ დისკუსიას, უფრო ზუსტად, ამ დისკუსიაში წამოჭრილი პრობლემების, თემების გენიალოგიის დადგენას. ეს ვრცელი საკითხია, რომელიც საგანგებო განხილვას მოითხოვს. ამ დისკუსიის ცალკეულ საკითხთა შესახებ იხ. Issatschenko 1975; Issatschenko 1980: 74-79; Успенский 1994.

183 Ефимов 1961: 36.

184 საკრალურ ენასთან მორწმუნე ადამიანის დამოკიდებულების ამსახველ ფრაგმენტებს საეკლესიო სლავური ლიტერატურიდან საგანგებოდ განიხილავს ა. ისაჩენკო (Issatschenko 1980: 74-75).

185 იხ. Issatschenko 1980; Unbegaun 1954: 117-132

ლიტერატურო ენის ისტორიის სხვა მკვლევარებმა მკაცრად გააკრიტიკეს ამგვარი საბჭოური თეორიები და „ელემენტარული საენათმეცნიერო ცნებების აღრევა, რომელიც ლინგვისტური პრობლემების პოლიტიზებას მოჰყვება ხოლმე“.¹⁸⁶

როგორც ხედავთ, სადისკუსიო თემა რუსეთში მართლაც, განსხვავებულია – იქ რუსული ენისა და რელიგიურ სივრცეში დომინანტი ენის მიმართებაზე დაობენ, საეკლესიო სლავურის ფუნქციონირების საკითხებს აყენებენ ეჭვ ქვეშ, ჩვენში კი – ერთიანი სალიტერატურო-სამწერლობო ენისა და არასამწერლობო ენების საკითხებს. სამაგიეროდ, ორივე შემთხვევაში სადისკუსიო არუმენტები და „ელემენტარული საენათმეცნიერო ცნებების აღრევა“ აშკარად ერთი გვარისაა, „ერთი ციდან“ არის ჩამოფრენილი. რა საფუძველიც არ უნდა ჰქონდეს „პატრიოტ“ ენათმეცნიერთა განზრახვას, ვითომდა ჩვენი ქვეყნის ერთიანობის ინტერესებით გაამართლონ საენათმეცნიერო საკითხების იდეოლოგიზება და ფსევდოსტრატეგიული პრობლემებით მანიპულირება, მას არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან და მის მთავარ ინსტრუმენტთან, მეთოდოლოგიურ გამართულობასთან.

იმედი მაქვს, ქართველ ენათმეცნიერთა „პატრიოტული ფრთა“ ამჯერად მაინც ვერ დააბრალებს ლენინურ-სტალინური ენათმეცნიერებით გატაცებას, ან კიდევ უცხოური, განსაკუთრებით რუსული, სპეცსამსახურების აგენტობას ახ. წ. ა. III-XVIII საუკუნეების ბერძნულ, ლათინურ, სირიულ, კოპტურ, ეთიოპურ, სომხურ, თვით ლენინურ-სტალინური ენათმეცნიერების ისტორიულ სამშობლოში შექმნილ საეკლესიო სლავურ წყაროებს, გააანალიზებს მათ ადეკვატურ კონტექსტში და აღიარებს, რომ ეს არის იმდროინელი საისტორიო თუ რელიგიური დისციპლინების წარმოდგენა ბაბილონის გოდლის დანგრევის შემდეგ გაჩენილი ენებისა და ეთნოსების შესახებ.

რაც შეეხება არასამწერლობო ქართველური ენების სამწერლობო ქართულთან მიმართების საკითხს, საკამათო და, მით უმეტეს, იდეოლოგიზებული ვაჭრობის საგანი არასდროს გამხდარა არც მათი სტატუსი და არც ამ ენებზე მოლაპარაკეთა როლი ქართული სახელმწიფოს, მისი კულტურის, საერთო ნაციონალური ენის და ამ ენაზე დოკუმენტირებული ფასეულობების შექმნაში. მონოგრაფიის მომდევნო თავებში სწორედ ამის ჩვენებას ვეცდები – როგორ, რა კონტექსტში ყალიბდებოდა საერთო-სამწერლობო ენისა და ისტორიის კონცეფცია, როგორ წარიმართა მისი ლეგიტიმაციის პროცესი ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროსა და მის ფარგლებს გარეთ.

186იხ. Issatschenko 1980: 75-77.

II ტავი

დისკუსია დიამერიზმების იპარებათან დაკავშირებით

დიამერიზმების II რუბრიკის (თხუთმეტი სამწერლო ენის ტოპოსი) შემცველი წყაროები მრავალ საკვლევ პრობლემას და კითხვას სვამს; ამასთანავე, იგი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების უფლებასაც იძლევა: იბერიული სამწერლო ტრადიციების არსებობა ძველ კულტურულ სამყაროში მკაფიოდ ჩამოყალიბებული თვალსაზრისია, რომელიც თითქმის უცვლელად მეორდება III-XVIII საუკუნეების წყაროებში, რელიგიურად, ქრონოლოგიურად და გეოგრაფიულად ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ ტექსტებში.

ამ ტოპოსის შემცველი მრავალრიცხოვანი ნიმუშებიდან ამჯერად მივუბრუნდები სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ძირითადი რედაქციების იმ ფრაგმენტებს, რომლებიც წერა-კითხვის მცოდნე / სამწერლობო ტრადიციის მქონე იაფეტის შთამომავალთა ნუსხას შეიცავს. ესენია:

1. მესამე საუკუნის იპოლიტესეული ბერძნული რედაქცია;
2. ამ რედაქციის ლათინური გადამუშავება, ადამიანთა მოდგმის წიგნი (*Liber generationis hominum*),
3. დიამერიზმების ნუსხა, რომელიც შემონახულია უცნობი ავტორის მიერ 630 წელს შედგენილ თხზულებაში, რომელიც ალექსანდრიული ქრონიკის, ან პასქალური ქრონიკის (*Chronicon Paschale*) სახელითაა ცნობილი;
4. VI საუკუნის ბერძნული რედაქცია, რომელიც ეპიფანეს საეკლესიო ისტორიას ეყრდნობა;
5. მეშვიდე საუკუნის ლათინური რედაქცია, ე. წ. *Excerpta utilissima Latine conversa ab homine barbaro*, ან *Excerpta latina Barbari*. მისი ანონიმური ბერძნული ორიგინალი ანასტასიოს I-ის (491-518) დროსაა შექმნილი. ლათინური თარგმანი შესრულებულია არაუგვიანეს VII საუკუნისა (მეშვიდე საუკუნისაა ამ ტექსტის შემცველი ყველაზე ძველი ხელნაწერი: Codex Puteanus);
6. IX საუკუნის სირიული ქრონიკა *Descriptio populorum et plagarum* (ეთნოსთა და ენათა ნუსხა), ან *De familiis linguarum*;
7. შედარებით გვიანდელი, XI-XII საუკუნეების რედაქცია, რომელიც კონსტანტინეპოლელ ეპისკოპოსს, ევტუხეს (*Eutychios vel Sa'id ibn Batrik*) მიეწერება; ტექსტი არაბული, ბერძნული და ლათინური რედაქციითაა მოღწეული;
8. უცნობი ავტორის სირიული ქრონიკა (*Anonymi auctoris Chronicon*), რომელიც 1187 წლის შემდგეგ არის დანერგილი;

ვნახოთ იბერების შესახებ კონკრეტული ფრაგმენტები ამ ტექსტებიდან:

(1)

Οἱ δὲ ἐπιστάμενοι αὐτῶν γράμματα εἰσιν

[Japhet]:

Ἰβήρες, Λατῖνοι, οἷς χρῶνται οἱ Ρωμαῖοι, Σπανοί, Ἕλληνες, Μῆδοι, Ἀρμένιοι.

[Cham]:

Φοίνικες, Αἰγύπτιοι, Παμφύλοι, Φρύγες.

[Sem]:

Ἑβραῖοι οἱ καὶ Ἰουδαῖοι, Πέρσαι, Μῆδοι, Ἰνδοί, Χαλδαῖοι, Ἀσσυριοί.¹⁸⁷

(ამათგან ისეთები, რომელთაც დამწერლობა აქვთ /წერა-კითხვა იციან/, არიან:

[იაფეტისგან]:

იბერები, ლათინები, რომლებიც რომაელებად იწოდებიან, ესპანელები, ბერძნები, მედიელები, სომხები.

[ქამისგან]:

ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

[სემისგან]:

იუდეელები, სპარსელები, მედიელები, ქალდეელები, ინდოელები, სირიელები).

(2)

[Japhet]:

Qui autem eorum noverunt litteras, hi sunt: Hiberi, Latini, Hispani, Graeci, Armeni.

[Cham]:

Qui autem eorum sunt litterati, hi sunt: Fenices, Aegyptii, Pamphyli, Fryges.

[Sem]:

Qui autem eorum noverunt litteras, hii sunt: Judaei, Persae, Medi, Chaldei, Indi, Assyrii.¹⁸⁸

[იაფეტისგან]:

ამათგან ისინი, რომელთაც იციან წერა-კითხვა / აქვთ დამწერლობა, ესენი არიან: იბერები, ლათინები, ესპანელები, ბერძნები, სომხები.

[ქამისგან]:

ამათგან ისეთები, რომლებიც განსწავლულები არიან, ესენია: ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

[სემისგან]:

ამათგან ისეთები, რომელთაც იციან წერა-კითხვა / დამწერლობა, არიან: იუდეელები, სპარსელები, მედიელები, ქალდეელები, ინდოელები, სირიელები).

(3)

[Japhet]:

Qui autem noverunt litteras, hi sunt: Hiberi, Latini, qui vocantur Romani, Hispani, Graeci, Armeni.

[Cham]:

Qui autem eorum sunt litterati, hi sunt: Fenices, Aegyptii, Pamfyli, Fryges.

[Sem]:

Qui autem eorum noverunt litteras, hii sunt: Judaei, Persae, Medi, Chaldei, Indi, Assyrii.¹⁸⁹

[იაფეტისგან]:

ამათგან ისეთები, რომელთაც იციან წერა-კითხვა / დამწერლობა, ესენი არიან: იბერები, ლათინები, რომლებიც რომაელებად იწოდებიან, ესპანელები, ბერძნები, სომხები.

[ქამისგან]:

ამათგან ისეთები, რომლებიც განსწავლულები არიან, ესენია: ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

¹⁸⁷Bauer 1956: 15, 21, 29.

¹⁸⁸ტექსტი დამოწმებულია ს. კრაუსის მიხედვით (Krauß 1906: 38)

¹⁸⁹Treadgold 2007: 340.

ტელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

[სემისგან]:

ამათგან ისეთები, რომელთაც იციან წერა-კითხვა / დამწერლობა, არიან: იუდეველები, სპარსელები, მედიელები, ქალდეველები, ინდოელები, სირიელები).

(4)

Οἱ δὲ ἐπιστάμενοι αὐτῶν γράμματα εἰσιν οἱ τοῖ

[Japhet]:

Ἰβηρες οἱ καὶ Τυράνιοι, Λατῖνοι, Σπανοί, Ἑλληγες, Μῆδοι, Ἀρμένιοι.

[Cham]:

Φοίνικες, Παμφύλοι, Φρύγες.

[Sem]:

Ἑβραῖοι, Ἰνδοί, Συροί, Πέρσαι, Χαλδαῖοι.¹⁹⁰

(ამათგან ისეთები, რომელთაც დამწერლობა აქვთ /წერა-კითხვა იციან/, არიან:

[იაფეტისგან]:

იბერები, რომლებიც ასევე ტირანელებად [ინოდებიან], ლათინები, ესპანელები, ბერძნები, მედიელები, სომხები.

[ქამისგან]:

ფინიკიელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

[სემისგან]:

ებრაელები, სპარსელები, ქალდეველები, ინდოელები, სირიელები.

(5)

Qui autem sapiunt ex ipsis litteris hii sunt

[Japhet]:

Ibirii, Latini, qui utuntur Romei, Spani, Graeci, Midi, Armenii.

[Ham]:

Qui autem ex ipsis sciunt litteras sunt haec:

Fynici, Egyptii, Pamphyli, Frygii.

[Sem]

Qui autem noverunt ex ipsis litteras sunt

Hebrei qui et Judei, Persi, Chaldei, Indii, Assyrii.¹⁹¹

(მათგან ისეთები, რომელთაც დამწერლობა აქვთ /წერა-კითხვა იციან/:

[იაფეტისგან]:

იბერები, ლათინები, რომელთაც წესისამებრ რომაელებს ეძახიან, ესპანელები, ბერძნები, მედიელები, სომხები.

[ქამისგან]:

ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

[სემისგან]:

ებრაელები, რომლებიც ასევე იუდეველებად იწოდებიან, სპარსელები, ქალდეველები, ინდოელები, სირიელები).

(6)

190Gutschmid 1894: 612.

191Nestle 1905: 213.

A semine Šēm sunt populi et nationes et linguae viginti duo; inter quas sunt quae litteras sciunt quinque linguae: Syri, Hebraei, Babylonii, Persae, Elamitae. [...] Et filii Hām sunt tredecim populi et nationes et linguae; inter quas sunt quae litteras sciunt quattuor linguae, Aegyptii, Aethiopes, Indi, Phoenices. [...] Et filii Japhet sunt triginta septem populi et nationes et linguae; [...] inter quos sunt qui litteras sciunt sex populi, qui sunt Graeci, Romani, A[mo]rrhaei, Alani(?), Armeni, Georgii¹⁹² (სემის მოდგმისგან არის ოცდაორი ეთნოსი, მოდგმა და ენა. მათ შორის ისეთები, რომელთაც წერა-კითხვა იციან, არის ხუთი ენა: სირიელები, ებრაელები, ბაბილონელები, სპარსელები, ელამიტები. [...] ქამის ძეთაგან არის ოცდაათი ეთნოსი, მოდგმა და ენა. მათ შორის ისეთები, რომელთაც წერა-კითხვა იციან, არის ოთხი ენა: ეგვიპტელები, ეთიოპელები, ინდოელები და ფინიკიელები. [...] იაფეტის მოდგმისანი არის ოცდაჩვიდმეტი ეთნოსი, მოდგმა და ენა. მათ შორის ისეთები, რომელთაც წერა-კითხვა იციან, არის ექვსი ენა:¹⁹³ ბერძნები, რომაელები, ამორ[რევე]ლები, ალანები (ალბანები?), სომხები, ქართველები)) 7.

Qui autem litterati sunt:

[Japhet]:

Graeca, Romana, Armenica, Gu(a)rzanica /Jarzanica/, Hispanica.

[Cham]:

Aegyptiaca, Pamphylica Phrygica.

[Sem]:

Ebraica, Syriaca, Persica, Indica, Chaldaea, Arabica.¹⁹⁴

(მათგან ისინი, რომლებიც წერა-კითხვის მცოდნენი არიან:

[იაფეტისგან]:

ბერძნული, რომაული, სომხური, გურძ(ჯ)ანული, ესპანური.

[ქამისგან]:

ეგვიპტური, პამფილიური, ფრიგიული.

[სემისგან]:

ებრაული, სირიული, სპარსული, ინდური, ქალდეური, არაბული).

(8)

*Quindecim lingua sunt in mundo, quae sciunt scripturam et litteras. E Semo quinque: Hebraei, Syri, Babylonii, Persae, Elamitae, Arabes. E Iapheto sex: Graeci, Iberi, Franci, Armeni, Medi, Al[b?]ani. E Chamo quattuor: Aegyptii, Cushitae, Phoenices, Indi*¹⁹⁵ (მსოფლიოში არის თხუთმეტი ენა, რომელთაც წერა და კითხვა იციან. სემისგან ხუთი: სირიელები, ბაბილონელები, ელამიტები, არაბები. იაფეტისგან ექვსი: ბერძნები, იბერები, ფრანკები, სომხები, მედიელები, ალ(ბ)ანები).

თუ ზემოთ დასახელებულ ფრაგმენტებს გადავალაგებთ ნოეს ძის, იაფეტის,

192Brooks, Guidi, Chabot 1955: 278.

193დამწერლობის მქონე / წერა-კითხვის მცოდნე ეთნოსთა ნუსხა ამ წყაროს მიხედვით სხვაობას აჩვენებს, კერძოდ, იაფეტის შთამომავალთაგან არა ტრადიციული ხუთი, არამედ ექვსი ენაა დასახელებული.

194დამოწმებულია ს. კრაუსისა და ე. ნესტლეს ნაშრომების მიხედვით. იხ. Krauß 1899: 1-14; Nestle 1905: 210-213; Krauß 1900: 38-43.

195Chabot 1952: 19.

შთამომავლების მიხედვით, დამწერლობის მქონე ხალხთა ჩამონათვალი ასეთი იქნება:

1. Ἰβηρες, Λατῖνοι, οἷς χρῶνται οἱ Ῥωμαῖοι, Σπανιοί, Ἑλληνας, Μῆδοι, Ἀρμένιοι.
2. *Qui autem eorum noverunt litteras, hi sunt: Hiberi, Latini, Hispani, Graeci, Armeni.*
3. *Qui autem noverunt litteras, hi sunt: Hiberi, Latini, qui vocantur Romani, Hispani, Graeci, Armeni.*
4. Ἰβηρες οἱ καὶ Τυράνιοι, Λατῖνοι, Σπανιοί, Ἑλληνας, Μῆδοι, Ἀρμένιοι.
5. *Ibiri, Latini, qui utuntur Romei, Spani, Graeci, Midi, Armenii.*
6. *Graeci, Romani, A[mo]rrhaei, Alani(?), Armeni, Georgii.*
7. *Graeca, Romana, Armenica, Gu(a)rganica /Jarzanica/, Hispanica.*
8. *Graeci, Iberi, Franci, Armeni, Medi, Al[b?]ani.*

დასახელებულ წყაროებს უნდა დავამატოთ სხვადასხვა კონტექსტში შექმნილი ძეგლები, რომლებიც სამწერლობო ტრადიციის მქონედ / ნერა-კითხვის მცოდნედ მოიხსენიებენ იბერებს სხვადასხვა ეთნონიმით: Ἰβηρες, Georgii, Gurzani. ესენია:

- მონოგრაფიის პირველ ნაწილში განხილული დიამერიზმების ნუსხა, რომელიც XIII საუკუნის კოპტური ტრადიციის არაბულენოვან ფსალმუნთა განმარტებაშია შემონახული. როგორც ვნახეთ, მასში იაფეტის შთამომავალი იბერები (Ἰβηρες, Iberi) ჩანაცვლებულია ქართველების აღმნიშვნელი ეთნონიმით Ġurġani.
- VII-VIII საუკუნის ებრაული წყარო, დავით ბეთ რაბანის ნუსხა, რომელშიც ეთნოსთა, მათ შორის სამწერლობო ტრადიციების მქონეთა, ჩამონათვალი აშკარად ქრისტიანული ტრადიციის მიხედვითაა შედგენილი. როგორც ე. ნესტლემ აჩვენა, ამ ნუსხაში კავკასიის იბერები ტრადიციულად ნერა-კითხვის მცოდნეთა შორის მოიხსენიება.¹⁹⁶
- XIV საუკუნეში შედგენილი ანონიმური კომპილაცია, ე.წ. **Midrash ha-Gadol** (מדרש הגדול), რომელიც XIX საუკუნის ბოლოს იქნა აღმოჩენილი იემენში.¹⁹⁷

სამართლიანად შენიშნავდა მკვლევარი ს. კრაუსი, რომ დიამერიზმების ამ რუბრიკების მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრუქტურის გამო ერთმანეთისგან ქრონოლოგიურად და გეოგრაფიულად დაშორებული ტექსტები თითქმის უცვლელად იმეორებს ერთხელ შემუშავებულ მოსაზრებას: „როგორც ჩანს, მართლაც არსებობდა რაღაც ძველი კანონი, რომლის მიხედვითაც¹⁵ სამწერლო ენის არსებობა უნდა ყოფილიყო მიღებული. ეს არის გარკვეულ დროს შემუშავებული სქემა, რომელიც შენარჩუნებულ იქნა მას შემდეგაც, რაც ამ სქემის ჩამომაცალიბებელი დამოკიდებულებები შეიცვალა”.¹⁹⁸

დიამერიზმების ტექსტები, უპ. ყოვლისა, სწორედ მათი კულტურულ-ისტორიული პერსპექტივებითაა საინტერესო, როგორც გარკვეულ დროს შემუშავებული თვალსაზრისი ენების, მათ შორის სამწერლობო ტრადიციის მქონე ენების, შესახებ. როგორც ჩანს, ყველაზე პოპულარული მაინც ნაკლებად ცნობილი ეთნოსების

196Nestle 1905: 210-213. ებრაული ტექსტი იხ. Lagarde 1879.

197ს. ფიშის მიერ გამოცემულ ებრაულ ტექსტსა (Fish 1957) და მის ინგლისურ თარგმანზე (Fish 1940) ხელი არ მიმინდებოდა. ტექსტს გავეცანი ს. კრაუსის სტატიის მიხედვით (Krauß 1906: 33-48).

198Kraus 1906: 43.

იდენტიფიკაცია იყო.

XX საუკუნის დასაწყისში საკმაოდ აქტუალური ჩანს დისკუსია იბერების ენისა და სამწერლობო ტრადიციის შესახებ.¹⁹⁹ ცნობილმა მეცნიერებმა, გ. მიულენჰოფმა, ა. გუთმიდმა, ს. პოზნანსკიმ, ს. კრაუსმა, ზ. ბერგერმა, ვ. ბახერმა, მ. შტაინშნაიდერმა, საგანგებო ნაშრომები უძღვნეს ამ საკითხებს. მათი თვალსაზრისები იბერიული დამწერლობის ასეთი სიძველის შესახებ საკმაოდ წინააღმდეგობრივია; ერთნი თვლიდნენ, რომ დიამერიზმებში მოხსენიებული იბერებისა და კავკასიის იბერების, იმ პერიოდისათვის ამ ნახევრად ველური ხალხის, იდენტიფიკაცია შეუძლებელია:

„ისეთი ძველი კულტურის ხალხებს, როგორიცაა ებრაელები, ბერძნები, რომაელები, სირიელები და სხვები, რომ საკუთარი დამწერლობა აქვთ, ამის წაკითხვა ძველ წყაროებში ჩვენთვის არანაირ საკვირველებას არ წარმოადგენს, მაგრამ როგორ ხვდებიან დამწერლობის მქონეთა ნუსხაში მესამე საუკუნის წყაროების მიხედვით ისეთი ნახევრად ბარბაროსული ხალხები, როგორებიც არიან იბერები, ფრიგიელები და სხვები, რომელთა იდენტიფიკაცია იმ პერიოდის კულტურულ სამყაროში საკმაოდ ჭირს“.²⁰⁰

ამ მოსაზრების ავტორები იმასაც მიუთითებდნენ, რომ ამ წყაროების ავტორები ეთნონიმებით *Ἰβηρες, Iberii (Iberii)* არც ესპანეთის იბერებს გულისხმობენ; იაფეტის შთამომავლებად მიჩნეული ესპანელები (*Hispani*) მოსდევს იბერებს და თუ დავაკვირდებით, წყაროებში ისინი სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინც გარჩეულია ერთმანეთისგან.²⁰¹

იბერების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით სრულიად საპირისპირო თვალსაზრისიც გამოითქვა; ძველი აღთქმის ცნობილმა მკვლევარმა, ს. კრაუსმა, საგანგებოდ შეისწავლა ცნობები იბერებისა და მათი დამწერლობის შესახებ როგორც ქრისტიანულ, ასევე იუდაისტურ ტრადიციაში და დამაჯერებლად აჩვენა, რომ იბერებისა და მათი სამწერლობო-სალიტერატურო ტრადიციის მოხსენიება ასე ადრეულ ტექსტებში სრულიად კანონზომიერი იყო. კრაუსი თვლიდა, რომ, მედიევისტიკაში განსწავლულობის მიუხედავად, მისმა კოლეგებმა ბევრი არაფერი იცოდნენ ამ ნაკლებად ცნობილი ეთნოსების, მათ შორის იბერების, სამწერლო ტრადიციების შესახებ და ამიტომ მათი მოხსენიება ასე ძველ წყაროებში საკვირველებად მიაჩნდათ. იბერებთან დაკავშირებით იგი წერდა:

„დიამერიზმების ანბანურ დამწერლობათა კატალოგებში იბერიული დამწერლობა არსად არ აკლია და სრულიად გამართლებულია, რომ თაღმუდში მედიური-სა და ელამურის გვერდით იბერიული დამწერლობაც მოიხსენიება. საყურადღებოა ისიც, რომ ბიბლიურ 70 თუ 72 რესპექტულ ენათა 15 დამწერლობას შორის იბერიული ყოველთვის პირველ ადგილასაა ნახსენები. ჩვენ რატომღაც ძალიან გვაკვირვებს, რომ იბერები, რომელთაც კავკასიაში მცხოვრებ ველურ ხალხად წარმოვიდგენთ, ასე ადრეულ წყაროებში კულტურულ ხალხთა შორის მოიხსენიება.

199ამ პრობლემატიკის შესახებ იხ. დობორჯგინიძე 2005: 190-206.

200იხ. Kraus 1906: 41.

201პირინეის იბერებისა და კავკასიის იბერების დასახელება წყაროების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია. მათი ანალიზი, რომელიც საინტერესო კანონზომიერებებს აჩვენებს, ცალკე მსჯელობის საგანია.

ჩვენი წარმოდგენა სიძველეთმცოდნეობის შესახებ საკმაოდ ღარიბი და ნაკლები ყოფილა, თუკი ამგვარი რამ მოულოდნელობად გვეჩვენება. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ მიერ მიმოხილული წყაროები იმდენად სანდოა, რომ გაუმართლებელი ხდება ყოველგვარი ეჭვი იბერების დამწერლობის ირგვლივ²⁰².

აქვე საგანგებოდ მინდა ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებას: დამწერლობის მქონე ეთნოსები დიამერიზმებში მოხსენიებულია შემდეგი ფრაზებით: Οἱ δὲ ἔπισταμνοι αὐτῶν γράμματα, ... Qui autem eorum noverunt litteras, Qui autem sapiunt ex ipsis litteras, Qui eorum litterati sunt, quae sciunt scripturam et litteras, quae litteras sciunt. ეს გამოთქმები შეიძლება აღნიშნავდეს ხალხს, რომელთაც საკუთარი ანბანური დამწერლობა აქვს, ან კიდევ ხალხს, რომლებიც მშობლიურ ენაზე ავითარებენ სამწერლო ტრადიციებს, რომელთა ჩანერა მაინცადამაინც ორიგინალური დამწერლობის მეშვეობით კი არ ხდება, არამედ შესაძლებელია სხვა რომელიმე ცნობილი დამწერლობითაც. ეს არის ძველ კულტურულ სამყაროში კარგად ცნობილი ალოგლოტოგრაფიის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც წინაქრისტიანულ ხანაში საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარებული ქართული სამწერლო ტრადიციების არსებობას ვარაუდობს თ. გამყრელიძე. იგი არც ქრისტიანობამდელი ორიგინალური დამწერლობის არსებობას უარყოფს, ოღონდ ეს დამწერლობა არ უნდა ყოფილიყო აშკარად ქრისტიანული ეპოქის ასომთავრული.²⁰³

სხვა საკითხებთან ერთად ამ კონტექსტში ეს კითხვაც დაისმის: ხომ არ არის შესაძლებელი, ამ მრავალრიცხოვანი ბერძნული, ლათინური, სირიული და ებრაული წყაროების მიხედვით უფრო მიახლოებით განისაზღვროს, რომელი ჯგუფის წევრად მიიჩნევა ძველი კულტურული სამყარო იბერებს: საკუთარი ანბანური დამწერლობის თუ ზოგადად სამწერლო ტრადიციების მქონედ? იმ წყაროების მიხედვით, რომლებზედაც მე ხელი მიმიწვდება, ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია. დიამერიზმების რუბრიკები მართლაც კანონიკური სიზუსტით იმეორებს ერთხელ შემუშავებულ თვალსაზრისს ერთხელ საგანგებოდ შემუშავებული ფორმით და არ აკონკრეტებს ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

ქრისტიანული ისტორიოგრაფიის ეს ტოპოსი, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით მეორდება III-XVIII საუკუნეების წყაროებში, იუდაისტურ ისტორიოგრაფიაშიც საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისი ჩანს. როგორც კვლევა-ძიებამ აჩვენა,²⁰⁴ თალმუდის ტექსტის მინაწერებსა და კომენტარებში ცალკეულ ეგზეგეტიკურ პრობლემებთან დაკავშირებით არაერთგზის მოიხსენიებენ ქრისტიანული ისტორიოგრაფიის ამ ტოპოსს – ეთნოსებს, რომელთაც ანბანური დამწერლობა აქვთ / წერა-კითხვა იციან.

ბიბლიური ეთნოსების რიცხვმა (70 თუ 72) აშკარად განსაზღვრა ზოგიერთი ეგზეგეტიკური კანონი, რომლებიც გარკვეულ ვითარებაში შემუშავდა თორას ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. თალმუდურ-მიდრასული ტრადიცია თვლის, რომ თორა შესაძლებელია ითარგმნოს (ორივე მნიშვნელობა იგულისხმება: ა.

202 Krauß 1906: 43-44.

203 შდრ. გამყრელიძე 2001: 420-429; მისივე 1998: 88-90.

204 გარდა ს. კრაუსისა და ე. ნესტლეს ზემოთდასახელებული გამოკვლევებისა ამის შესახებ იხ. Mommsen 1892: 78-140.

დედნის ენიდან სხვა ენებზე თარგმნა, ბ. განმარტება) სამოცდაათნაირად.²⁰⁵ ამ თვალსაზრისმა თანაიტურ ეპოქაში ეგზეგეტიკური კანონის სახე მიიღო და მოსაზრებები თორას გრაგნილების ნამდვილი ნაკითხვის შესახებ თალმუდის ბევრ კომენტარსა და მინაწერში აისახა. როგორც ს. კრაუსმა აჩვენა, თორას თარგმანისა თუ ინტერპრეტაციის ერთ-ერთ სახეობად იბერიულიც იხსენიება საკმაოდ ძველ, მესამე-მეოთხე საუკუნის ებრაულ წყაროებში (Sefarim, 1, 8; Soferim, 1, 7).²⁰⁶ თორას გრაგნილების შესაძლო ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით აქ ნათქვამია: „რომელ ენაზეც, რომელი დამწერლობითაც არ უნდა იყოს შესრულებული თორას გრაგნილები, იქნება ეს კოპტური, მედიური, ელამური, ბერძნული, იბერიული (ז'ב'י).²⁰⁷

თალმუდურ-მიდრაშული წყაროების ეს ადგილები, რომლებშიც თორას ინტერპრეტაციის ერთ-ერთ ენად და დამწერლობად ז'ב'ი-ა დასახელებული, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს იყო აქტუალური კამათის საგანი. ვ. ბახერი, რომელმაც ერთ გამოკვლევაში მოუყარა თავი ამ ინფორმაციის შემცველ ყველა ცნობილ ციტატას, ვარაუდობდა, რომ შესაძლოა ז'ב'ი ყოფილიყო ז'ב'ი-ს მცდარი დანერილობა, რომლითაც არაბული დამწერლობა აღინიშნებოდა.²⁰⁸ ს. კრაუსი, რომელიც შესანიშნავად იცნობდა დიამერიზმების ტექსტებსა და ქრისტიანული ისტორიოგრაფიის ამ ტოპოსს დამწერლობის მქონე (თუ მცოდნე) ეთნოსების შესახებ, მაშინვე გამოეხმაურა ვ. ბახერის ამ ვარაუდს (იმავე ჟურნალში, რომელშიც ვ. ბახერის სტატია დაიბეჭდა) და ორი არგუმენტის გამო შეიტანა მასში ეჭვი:

1. არ იყო მოსალოდნელი ז'ב'ი-ისგან ז'ב'ი-ს მიღება,
2. ეგვიპტური დამწერლობა სხვა ფორმით იყო მოხსენიებული დასახელებულ ციტატებში.²⁰⁹

ს. კრაუსმა საგანგებოდ მოიძია მასალა ახლა უკვე იუდაისტურ ტრადიციაში და საკმაოდ დამაჯერებლად ამოიკითხა ז'ב'ი-ში იბერების აღმნიშვნელი სიტყვა. მის არგუმენტს სირიული წყაროებიც უჭერდა მხარს:

„თუ გავითვალისწინებთ ინტერდიალექტურ სხვაობას, სირიულში იბერიულის ორთოგრაფია იგივე იქნება, რაც ჩვენს მაგალითშია: ז-ს მაგიერ გვექნება ח. სწორედ ამ ფორმით – ח'ა'ი ანუ ინტერდიალექტური სხვაობით, არაერთგზის დასტურდება სირიულ წყაროებში ეს სიტყვა (შდრ. Paune Smith. Thesaurus Syriacus, col. 20: ח'ა'ი ; ibid. col. 136: ח'ა'ი). სხვადასხვა კონტექსტში (ამავე ფორმით) ნახსენებია იბერთა ქვეყანა, იბერიის ზღვა, იბერიის თბილი წყლები. [...] სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ დიამერიზმების ნუსხებში იბერიული, როგორც ვნახეთ, არსად არ აკლია და სრულიად კანონზომიერია ის, რომ მედიურისა და ელამურის გვერდით თალმუდის მინაწერში იბერიულიც მოიხსენიება. [...] დიამერიზმების თხუთმეტი დამწერლობიდან თალმუდში სულ მცირე ხუთია დადასტურებული. [...] ყველაზე დიდ მნიშვნელობას მე მაინც იმ ფაქტს ვანიჭებ, რომ ქრისტიანული და იუდაისტური

205 ამის შესახებ იხ. Krauß 1904; Lagarde 1891; მისივე 1879: 244-249.

206 ამ წყაროების შესახებ იხ. Krauß 1906: 42-46.

207 ებრაული წყაროს თარგმანი მოტანილია ს. კრაუსის დასახელებული გამოკვლევის მიხედვით (Krauß 1906: 43-44). შდრ. Waren sie (Thora-Rollen) geschrieben koptisch, medisch, ז'ב'ი, elamisch, griechisch, ... war sie in welcher Sprache immer, in welcher Schrift (გვ. 42-43).

208 იხ. Bacher 1902.

209 Krauß 1904: 102.

წყაროების მონაცემები ამ შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს“. ²¹⁰

ს. კრაუსისავე სახელს უკავშირდება ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის ერთი მეტად საინტერესო მოკვლევა: მან საგანგებოდ გაადევნა თვალი უცხოენოვან წყაროებში იბერების ადგილს ბიბლიური გენიალოგიის ხეზე და დააფიქსირა ის მომენტი, როცა მოხდა აღრევა კავკასიის იბერებსა და ესპანეთის იბერებს შორის. იოსებ ფლავიოსის ისტორიის *Tubal, a quo Hiberi*, რომელშიც, საყოველთაოდ გაზიარებული აზრის თანახმად, ნამდვილად კავკასიის იბერები იგულისხმება, ჯერ კიდევ ჰიერონიმემ გაიგო არასწორად და მასში ესპანეთის, ანუ პირინეის იბერები დაინახა. აქედან მოყოლებული უკვე გაჭირდა ერთი სახელის მქონე ამ ორი ეთნოსის იდენტიფიკაცია. ²¹¹

ამ დისკუსიისას ს. კრაუსმა საგანგებოდ მოუყარა თავი XIX საუკუნის ევროპულ სითვლელთმცოდნეობაში იბერების შესახებ არსებულ ინფორმაციას და წყაროების საფუძველზე დაასაბუთა, რომ იბერების მოხსენიება სამწერლობო ნიშნით გამორჩეულ კულტურულ ერებს შორის სრულიად კანონზომიერი იყო. ქართული ისტორიოგრაფიისთვის, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მის მიერ მოკვლეული მასალის გაცნობა, მით უმეტეს, რომ ს. კრაუსისა და ამ დისკუსიის მონაწილე სხვა ევროპელი მეცნიერების არგუმენტაცია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსად დასტურდება.

„იბერები ბიბლიური დავით მეფისგან წარმოშობილად ითვლებიან. სომეხი ავტორები მათ ნაწილობრივ ნოეს შთამომავლებთან, ნაწილობრივ ნაბუქოდონოსორის მიერ ექსპორტირებულ ებრაელებთან აკავშირებენ. ²¹² ბიბლიური გენიალოგიის ხეზე იბერები თუბალთან არიან დაკავშირებული (ეს იოსებ ფლავიოსისგან მოდის). სამართლიანად მიიჩნევს გუთშმიდი, რომ ფლავიოსი სწორედ ქართველ იბერებს გულისხმობს. ²¹³ მაგრამ ჯერ კიდევ ჰიერონიმემ გაიგო იგი არასწორად და ამ [ეთნონიმში] ევროპელი, ესპანეთის იბერები, დაინახა. ისიდორე აგრძელებს ამ შეცდომას შემდეგი განმარტებით: *Tubal, a quo Iberi, [qui et Hispani], licet quidem ex eo et Italos suspicentur* (IX, 2, 29).

იბერები ადრევე გაქრისტიანდნენ. უკვე 401-402 წლებში რუფინუსი ყვება ლეგენდას წმინდა ნონეს მიერ მათი გაქრისტიანების შესახებ. ²¹⁴ შემდეგ, დაახლოებით 440 წელს, სოკრატესი მოგვითხრობს იბერების ამბებს. იბერების გაქრისტიანების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდიან სომეხი ავტორები. ანასტასიოსის თხზულებაში ²¹⁵ იბერები და ინდოელები მოხსენიებული არიან, როგორც ეთნოსები, რომელთაც დიდი სურვილით მიიღეს ქრისტიანობა. ამავე წყაროს მიხედვით

210 იხ. Krauß 1906: 43, 44, 46.

211 იქვე.

212 აქ ს. კრაუსი იმონებს კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებას: *De Administrando Imperio*. იხ. Krauß 1906: 44.

213 შდრ. „Er meint, wie Gutschmid (p. 601) richtig sagt, die georgischen Iberer“ (Krauß 1906: 44).

214 ს. კრაუსი (იქვე) იმონებს რ. ბასეტის მიერ (Basset 1894) გამოცემულ ეთიოპურ აპოკრიფს, რომელშიც იბერთა გაქრისტიანების შესახებ მსგავსი ლეგენდა დასტურდება.

215 იგულისხმება ანასტასიოსის მიერ ეპიფანეს საეკლესიო ისტორიიდან ამოკრებილი ფრაგმენტები.

უკვე IV საუკუნეში იბერიულ ენაზე.²¹⁶ არსებობდა სახარებების თარგმანი. თუ ჩვენ მიერ გაანალიზებული თალმუდის მინაწერები იბერების შესახებ სწორია, მაშინ ბიბლიის ვერსია იბერიულ ენაზე უნდა არსებულიყო უფრო ადრეც, II საუკუნეში. რეალურად, იბერების მახლობლობაში ადრეული პერიოდიდან ცხოვრობდნენ ებრაელები²¹⁷ და ეს არის წინაპირობა, რომ მართლაც არსებულიყო იბერიულად ბიბლიის ვერსია. არ უნდა გაგვაკვიროს იმ ფაქტმა, რომ ეპიფანე იბერებს და სკვითებს სემიტური წარმომავლობის ეთნოსებად თვლის. 406 წლის ახლო ხანაში იბერებს ვხედავთ ედესაშიც. ეს წყაროები ნამდვილად იმსახურებენ დავიჯეროთ, რომ იბერებს მართლაც ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა“.²¹⁸

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მთლიანად დიამერიზმები და განსაკუთრებით ნაკლებად ცნობილ ხალხთა და ენათა იდენტიფიკაციის საკითხი ქრისტიანული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სადისკუსიო თემა იყო და, როგორც ყველა პოპულარული თემა, ესეც ვერ ასცდა კურიოზებს. ზოგი მეცნიერი ვარაუდობდა, რომ Hiber (იბერი) და Heber (ებრაელი) სიტყვები ეტიმოლოგიურად მონათესავე უნდა ყოფილიყო.²¹⁹ ამ პოპულარულ დისკუსიაში სხვა არასერიოზული თემებიც გამოჩნდებოდა ხოლმე, თუმცა ისინი ვერანაირად ვერ ჩრდილავდა წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო საკითხებს, რომელთა ანალიზსაც გვთავაზობდნენ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ევროპელი მეცნიერები.

სწორედ ამ დისკუსიის მასალების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, ერთი მხრივ, სირიულ-არაბულ და, მეორე მხრივ, ბერძნულ-ლათინურ წყაროებში არსებული ტერმინოლოგიური სხვაობა *Ἰβηρες, Ibirii Hiberi – Georgii, Ġurġani, Gurzani*. ეს უკანასკნელი კი – აღმოსავლურ (სირიული, არაბული, კოპტური) ტრადიციაში ეთნონიმ *Ἰβηρες, Ibirii Hiberi* ნაცვლად გამოყენებული სახელები *Georgii, Ġurġani* – დამაჯერებელ პასუხს სცემს კითხვას, თუ ვის გულისხმობდნენ შუა საუკუნეების ავტორები დიამერიზმების იბერებში.

ამ ტერმინოლოგიურ სხვაობასთან დაკავშირებით ანგარიშგასანევია ორი გარემოება:

I. დიამერიზმების გავრცელების ქრონოლოგიური არეალი იმდენად დიდია (III-XVIII საუკუნეები), რომ ბუნებრივად იყო მოსალოდნელი, ამ ტოპოსის სოციო-კულტურული თუ ისტორიული კონტექსტი დროთა განმავლობაში ბუნდოვანი გამხდარიყო; ყოველ შემთხვევაში, შედარებით გვიანდელ წყაროებში მაინც მოსალოდნელი იყო ეთნონიმების, განსაკუთრებით ნაკლებად ცნობილი ენებისა და

216სწორედ ამ წყაროს მონაცემებს ეყრდნობა, უფრო ზუსტად, მასში დაცულ ინფორმაციას იმეორებს XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში გამოცემული ენციკლოპედიური ლექსიკონები: ა. Swete, *Introduction to the Old Testament in Greek* (1900: 120), ბ. Realencyklopädie für protestantische Theologie (1897: 161).

217ს. კრაუსი (1906: 44) საუბრობს იბერებისა და ებრაელების მჭიდრო კონტაქტისა და, უფრო მეტიც, მათი ნათესავობის ვერსიის შესახებ, რომელიც არაერთგზის გამოითქვა XIX საუკუნის ბოლოს. შდრ. „Nach einem Artikel von Ripley über die Anthropologie der Juden, aus dem „Globus“ reproduciert in „Österreichische Wochenschrift“ 1899, No. 40, S. 736.

218Krauß 1906: 45.

219შდრ. „Curios ist die Behauptung Ewalds (Gesch. I, 381), „Hebräer“ und „Hiberer“ seien namensverwandt“ (Krauß: 1906: 45).

ეთნოსების, განმარტება, დაზუსტება. ამდენად, შუა საუკუნეების სირიული და კოპტურ-არაბული წყაროების ჩვენება მოსალოდნელი იყო.

II. ასე მრავალფეროვან ენობრივ თუ კულტურულ არეალში – სირიული, კოპტური, არაბული, ეთიოპური, ბერძნულ-ლათინური, სომხური, საეკლესიო სლავური, იუდაისტური წყაროები – შესაძლოა, თავიდანვე განსხვავებული ტერმინოლოგიური ტრადიცია არსებობდა. იბერები რომ ქართველების აღმნიშვნელი ერთადერთი ტერმინი არ ყოფილა უცხოურ წყაროებში, ეს ცნობილი იყო, მაგრამ სხვადასხვა ტრადიციას ქრონოლოგიური გარემო განსაზღვრავდა თუ კულტურულ-ისტორიული, ეს ძნელი სათქმელია.

ზემოთ განხილული სირიული და კოპტურ-არაბული წყაროების მიხედვით (IX საუკუნის სირიული ქრონიკა *Descriptio populorum et plagarum*, ევტუხე პატრიარქის ქრონიკა, ფსალმუნთა ეგზეგეტიკური განმარტება) ირკვევა, რომ საკითხი, რომელიც ასეთი ინტენსიური კამათისა და დავის საგანი იყო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ ისტორიოგრაფიაში, ქართული სამეცნიერო საზოგადოება კი საერთოდ არ ჩარეულა ამ დისკუსიაში, IX-XIII საუკუნეების საისტორიო თუ რელიგიური დისციპლინებისათვის, ყოველ შემთხვევაში, სირიულ, კოპტურ და არაბულენობრივ არეალში, ერთმნიშვნელოვნად ცხადი იყო: ეს წყაროები წერა-კითხვის მცოდნე თუ დამწერლობის მქონე ენების ნუსხაში იაფეტის შთამომავალ იბერებს და მათ ენას ჩაანაცვლებს კავკასიის იბერების – ქართველების – აღმნიშვნელი ტერმინებით: *Georgii, Ġurġani, Gurzani*.

Ἰβηρες, Iberes (Iburi, Iberi) – Georgii, Ġurġani, Gourzàn / Ġurgan სხვაობას, შესაძლოა, ორი საფუძველი ჰქონდეს:

ა) **ქრონოლოგიური.** III-XI საუკუნეების ჩემთვის ცნობილი ნუსხები ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ერთიანია: თუბალის შთამომავალი ხალხი მოიხსენიება ტერმინით: *Ἰβηρες, Iberes (Iburi, Iberi)*; მოგვიანებით კი, როცა ამ ტექსტების კულტურულ-ისტორიული კონტექსტი ბუნდოვანი გახდა, შესაძლოა, დაიწყეს მისი განმარტება, ან უფრო გასაგები ტერმინებით: *Georgii, Ġurġani* ჩანაცვლება.

ბ) **კულტურულ-არეალური.** შესაძლებელია, რომ იმ კულტურულ არეალში, რომელშიც ზემოთ განხილული წყაროები იქმნებოდა, ტერმინოლოგიური ტრადიცია განსხვავებული ყოფილიყო; ანუ, უფრო ადრინდელი *Ἰβηρες, Iberes (Iburi, Iberi)* მოგვიანებით კი არ იცვლება ტერმინით: *Georgii, Ġurġani*, ეს უკანასკნელი ტერმინოლოგიური ტრადიცია: *Georgii, Ġurġani* იყო გავრცელებული თავიდანვე გარკვეულ კულტურულ არეალში, ჩემთვის აქამდე ცნობილი წყაროების მიხედვით – არაბულ და კოპტურენოვან სამყაროში.

მაშასადამე, რა საფუძველიც არ უნდა ჰქონდეს *Ἰβηρες, Iberes – Georgii, Ġurġani* განსხვავებულ ტრადიციას, ტერმინოლოგიური თუ კულტურულ-არეალური, დიამერიზმების ასე ადრეულ ნუსხებში მოხსენიებული იბერების იდენტიფიკაციისთვის ამ განმარტებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს; ეს არის საკმაოდ დამაჯერებელი პასუხი იმ მეცნიერთათვის, რომლებიც ეჭვ ქვეშ აყენებდნენ დიამერიზმების თავდაპირველ ნუსხებში კავკასიის იბერების, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმ პერიოდისთვის ამ ნახევრად ველური ხალხის“ მოხსენიებას სამწერლობო ტრადიციის მქონე ენებს შორის.

სხვადასხვა ტრადიციის წყაროთა თუნდაც ნაწილობრივი შესწავლა ცხადყოფს,

რომ დიამერიზმების ასე ადრეულ რედაქციებში მოხსენიებული იბერების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე საკვლევი საკითხები ბევრად მეტია, ვიდრე პასუხგაცემული კითხვები. მომავალში აღმოსავლური თუ დასავლური ტრადიციების წყაროთა დეტალური ანალიზის საფუძველზე, ვფიქრობ, ამ პრობლემასთან დაკავშირებული არაერთი საკამათო საკითხი გაირკვევა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ჩანს სომხური წყაროების შეხედულება. დიამერიზმების ყველაზე ძველი, იპოლიტე რომაელის ვერსია, ადრევე ითარგმნა სომხურად. ეს უკანასკნელი იპოლიტეს თხზულების სხვა ძველ თარგმანებთან ერთად ა. ბაუერმა დაბეჭდა ქრონიკის პარალელურ ტექსტად. სომხური ვერსია სრული არაა, შეიცავს მხოლოდ პატრიარქთა გენიალოგიას და არა ჩვენთვის საინტერესო ნაწილს ნოეს შთამომავალთა განყოფისა და, ზოგადად, ენებისა და ეთნოსების ისტორიის დასაწყისს.

შუა საუკუნეების სომხურენოვანი მსოფლიო ისტორიები, ვარდან არველცი, სამოელ ანელი, მხითარ აირივანელი, განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი, ვერსიებით წარმოადგენენ ენათა და ეთნოსთა განყოფის ამბებს.²²⁰ მათი მთავარი ინტერესი ნაციონალური ისტორიის უნივერსალურ ისტორიასთან დაკავშირება და მშობლიური ენისა და წარმომავლობის საკრალიზაცია, ბიბლიურ წარმომავლობასთან დაკავშირებაა. როგორც სომხური საისტორიო მწერლობის მკვლევრები მიიჩნევენ,²²¹ სწორედ სომხურ ტრადიციას, ჯერ სტეფანე სივნიელს (VIII ს.) და შემდეგ კი ვარდან არველცს შემოაქვს ბაბილონის ისტორიაში, შესაბამისად, ენათა თეოლოგიაში, განსაკუთრებული ღირსებებით გამორჩეულ ენათა ათეული, თავდაპირველი ენის დაშლის შედეგად გაჩენილი ათი ენა, რომელთა ჩამონათვალს აგვირგვინებს საუკეთესო ეპითეტებით შემკული ავტორის მშობლიური ენა, სომხური:

„ამის შედეგად (თავდაპირველი ენის დაშლა იგულისხმება) მრავალი სიკეთე იქმნა, [...] პირველი უხეში ენისაგან წარმოიქმნა რბილი ელინთა [ენა], მაგარი რომაელთა, მრისხანე ჰუნთა, მვედრეველი ასურთა, მრავალფეროვანი სპარსთა, ლამაზი ალანთა, სასაცილო გუთთა, ყრუ ეგვიპტელთა, ჟღურტულა ჰინდოთა, ყოვლად შემკული და სასიამოვნო სომეხთა.“²²²

220 ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა მხითარ აირივანელის 1190 წელს დაწერილი მსოფლიო ისტორია, რომელიც, როგორც მიუთითებენ, ისტორიკოსებს ბევრ თავსატეხ კითხვას, უფრო ზუსტად, ენებისა და ეთნოსების სრულიად განსხვავებულ გენიალოგიას სთავაზობს. განსაკუთრებით რთულია მის მიერ გამოყენებული წყაროების იდენტიფიკაცია. მხითარ აირივანელის აზრით, „კაცობრიობის პირველი და უკანასკნელი ენა არის არაბული. ბიბლიურ ნოეს მეოთხე შვილიც ჰყავდა, სახელად მანიტონი, რომელიც ბრეტონების მამამთავარი გახდა. ნოემ თავის შვილებს ოცდაოთხ ნაწილად გაუყო სამკვიდრეველი. მის შთამომავლებს უნდოდათ სამოთხეში შეეღწიათ, მაგრამ ზღვა არ აძლევდა მათ ამის საშუალებას. მერე ცაში ასვლა გადაწყვიტეს და გოდლის მშენებლობა დაიწყეს. სამოცდათორმეტი მთავარი აგებდა კოშკს. სათავეში, მწვერვალზე იდგა სომეხთა მამამთავარი ჰაიკი. მათი განზრახვა ჩაიშალა და ისინი განეყვნენ ერთმანეთს; ასე წარმოიშვა სამოცდათორმეტი ენა, მათგან სემის ოცდახუთი, ქამის ოცდათორმეტი და იაფეტის თხუთმეტი ენა“. სომხური ისტორიოგრაფიის ამ მოტივის შესახებ იხ. Borst 1957: 282-285. სომხური ტრადიციების სხვა ქრონიკები იხ. Brosset 1869: 31-34; მისივე 1874.

221 Borst 1957: 282.

222 ციტატა დამონმებულია ქართული თარგმანის მიხედვით; იხ. კვაჭანტირაძე, შოშიაშვილი (მთარგმნელ-რედაქტორები) 2002: 40.

სომხური მსოფლიო ისტორიებისა და სომხურად შემონახული დიამერიზმების ფრაგმენტთა გამოწვლილვით შესწავლა საინტერესო იქნება”²²³ Iberes – Georgii, Ġurġani განსხვავებული ტერმინოლოგიური ტრადიციის თვალსაზრისითაც. მოსალოდნელია, რომ სირიულ და კოპტურ-არაბულენოვანი ძეგლებისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიური ჩანაცვლება (Georgii, Ġurġani) ასახულიყო სომხურშიც, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა სირიულ, ზოგადად, აღმოსავლურ ტრადიციას.²²³ ამ თვალსაზრისით მე არ მიკვლევია სომხური წყაროები. აქამდე ჩემთვის ცნობილი სომხურენოვანი ნუსხები, განსაკუთრებით ენათა ჩამონათვალი, ეთნონიმ იბერის სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტს იყენებს. ამ ნუსხათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია XII საუკუნის ვერსია. იგი იბერებს მოიხსენიებს ამ ეთნონიმის სომხური დაწერილობით: Viric.²²⁴

223 ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისა უნდა იყოს მიხეილ დიდის სირიული ქრონიკის სომხური თარგმანი, რომლის კრიტიკული გამოცემა ახლა მზადდება ანდრეა შმიდტის მიერ. სომხური ვერსიის შესახებ იხ. Schmidt 1996: 299-319; მისივე 1998: 359-371.

224 სომხურად შემონახული ენათა ეს ნუსხა დაბეჭდილია ა. ბორსტის მონოგრაფიაში (Borst 1957: 939-943). შდრ. „Viric: Iberer (armenischer Name für sie). Borst 1957: 941.

III თავი

დიამერიზმების ფრაგმენტთა ფუნქციონირების ქველ ქართულ ტრადიციაში

განხილულ კონტექსტში, სხვებთან ერთად, ბუნებრივად ჩნდება ორი კითხვა:

- ა. რამდენად იცნობდნენ ძველ საქართველოში დიამერიზმების ტექსტს?
- ბ. რატომ გამოჩნდა მხედველობიდან ქართველებს მეოცე საუკუნის ევროპულ მეცნიერებაში მიმდინარე ეს საკმაოდ პოპულარული კამათი იბერების იდენტიფიკაციის შესახებ?

შევეცდები პასუხი გავცე ამ კითხვებს. დიამერიზმების სრული ტექსტი (რვავე რუბრიკით) ძველ ქართულ წყაროებში არ ჩანს, მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტი, ან ამა თუ იმ ტრადიციაში შემუშავებული ვერსიებია შემონახული რამდენიმე ძეგლში. ესენია:

1. ექვთიმე ათონელის კომპილაციური ვერსია²²⁵,
2. გიორგი ჰამარტოლის ვერსია (არსენ იყალთოელისეული თარგმანი),²²⁶
3. ფრაგმენტები იპოლიტე რომაელის ქრონიკებიდან (მეფეთა გენიალოგიის ფრაგმენტი),²²⁷
4. დიამერიზმების ლეონტი მროველისეული ვერსია, რომელიც წამძღვარებული აქვს მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებას“. იგი ეყრდნობა სირიულ, კერძოდ, ეფრემ ასურისეულ, რედაქციას.²²⁸
5. ჯუანშერის თხზულებაში შემონახული ეპიზოდი ბაბილონის გოდლისა და ენათა განყოფის შესახებ.²²⁹

ყველა დასახელებული ძველი ქართული წყარო ე.წ. „წმინდა ისტორიის“ (historia sacra), ანუ სამოცდათორმეტი ბიბლიური ეთნოსის, კონტექსტში იმონებს დიამერიზმების ფრაგმენტებს²³⁰ და არა ანბანური დამწერლობის, ან სამწერლობო ტრადიციის მქონე ენათა ტოპოსის მიხედვით. როგორც ჩანს, ძველი ქართული ტრადიცია არ იცნობს დიამერიზმების მთლიან ტექსტს, უფრო ზუსტად, არ იცნობს დიამერიზმების მეორე რუბრიკას, სამწერლობო ენათა ჩამონათვალს; ძველი ქართველი ავტორები თარგმნიან ცალკეულ ფრაგმენტებს იქ და იმ კონტექსტში, სადაც და რა კონტექსტშიც პოულობენ მას ორიგინალში. მართლაც, არცერთი წყარო, რომელსაც ექვთიმე ათონელი, ლეონტი მროველი, ჯუანშერი ან არსენ იყალთოელი ეყრდნობოდა (თარგმნიდა), გასაგები მიზეზების გამო, არ შეიცავს ჩვენთვის საინტერესო მეორე რუბრიკას დამწერლობის მქონე თუ წერის მცოდნე ხალხების შესახებ: გიორგი ჰამარტოლი მეფეთა ბიბლიური გენიალოგიების შესახებ წერდა და, ცხადია, იყენებდა სათანადო ტოპოსს დიამერიზმებიდან და არა მთელ

225 ექვთიმე ათონელისეული ტექსტი იხ. კეკელიძე 1956: 168-182.

226 ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ, იხ. ყაუხჩიშვილი 1920: 17-20.

227 იპოლიტე რომაელის ქრონიკონის ძველი ქართული ვერსია იხ. აბულაძე 1961: 223-243.

228 ლეონტი მროველი, „თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისათჳს“, რომელიც წამძღვარებული აქვს მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებას“. ამის შესახებ იხ. კეკელიძე 1980: 436-439; მისივე 1979: 10-31; თაყაიშვილი 1906; ქურციკიძე 2007.

229 სარჯველაძე 2008: 174-175.

230 დიამერიზმების ძველი ქართული ფრაგმენტები დამატების სახით ერთვის ნაშრომს.

ტექსტს. არსენ იყალთოელი გიორგი ჰამარტოლის თხზულებას თარგმნიდა და მისთვის ეს ტოპოსი გიორგი ჰამარტოლის თხზულების ნაწილი იყო. იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ ლეონტი მროველის შემთხვევაში: მას აინტერესებდა ქვეყნიერების ისტორიის დასაწყისი, ბიბლიური ანთროპოლოგია და ქართველთა ნათესავის ამ ისტორიასთან უშუალოდ დაკავშირება. ამ მიზნით იგი იყენებდა შესაბამის სირიულ წყაროებს, მხოლოდ ამ კონკრეტული პერიოდისთვის საინტერესო ნაწილს დიამერიზმებიდან, და არა მთელ ტექსტს, ან ჩვენთვის საინტერესო მეორე რუბრიკას.

როგორც ჩანს, ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია სწორედ „წმინდა ისტორიასთან“ „ჩუენი ნათესავის“ დაკავშირებით, ბიბლიური ლეგიტიმაციით იყო დაინტერესებული და დიამერიზმებიდან სწორედ ამ ფრაგმენტებს, „ჩუენი ნათესავის“ ღვთაებრივი წარმომავლობის კანონიზაციას ესწრაფოდა. რაც შეეხება ენის ლეგიტიმაციას, ამისათვის მან სხვა, უფრო მყარი არგუმენტი აირჩია, რომლის მიხედვითაც ქართული სამი წმინდა ენის ბადალი, ბერძნულის ტოლფასი, მისი ნამდვილი „და“ გამოდიოდა.²³¹

ქართველ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი, თუ რა ფუნქცია ჰქონდა ძველი ქართული ისტორიოგრაფიისთვის დიამერიზმებს, ზოგადად, უნივერსალური ისტორიის ტოპოსებს. დიამერიზმების კონცეპტუალურად ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, ჩვენი წინაპრის უნივერსალურ ისტორიასთან დამაკავშირებელ ტექსტს, პირველად კორნელი კეკელიძემ,²³² ექვთიმე თაყაიშვილმა²³³ და განსაკუთრებით სიმონ ყაუხჩიშვილმა²³⁴ მიაქციეს ყურადღება. ის, რომ ქვეყნიერების გაჩენის ამბავი მისი სხვადასხვა ვერსიით წამძღვარებული აქვს „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ და მაჩაბლისეულ რედაქციებს, კორნელი კეკელიძემ სამართლიანად მიიჩნია საქართველოს ისტორიის სისტემატიზატორის, ლეონტი მროველის კონცეპტუალურ ჩანაფიქრად.²³⁵ მართლაც, „განძთა ქუაბის“ სახელით ცნობილი აპოკრიფი, რომელიც მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ ერთგვარი შესავალია, საქართველოს ისტორიის თავდაპირველი ამბების რეკონსტრუქციასა და უნივერსალურ ისტორიასთან მის დამაკავშირებას ისახავს მიზნად. ეს კარგად ჩანს სათაურიდან, რომელშიც, რელიგიური ისტორიოგრაფიის ძირითად ტოპოსებთან ერთად, საგანგებოდაა გამოყოფილი ეს მიზანდასახულობა. შდრ. „თარგმანებაჲ დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა, და ადამისთჳს, ვითარ მიცვალეს გუამი

231 ქართული ენის ლეგიტიმაციის საკითხები, იოვანე ზოსიმეს ტექსტში ასახული ტენდენციები ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურაში ასახული მსგავსი ტენდენციების ფონზე საგანგებოდ იქნება განხილული.

232 კეკელიძე 1979: 10-32.

233 თაყაიშვილი 1906.

234 ყაუხჩიშვილი 1955, განსაკუთრებით გვ. 010-015.

235 შდრ. „ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ლეონტიმ განიზრახა დაეწერა უძველესი ისტორია თავისი ერისა. ამ ისტორიას ის ვერ დაიწყებდა, როგორც იტყვიან, *ex abrupto*, მისთვის საჭირო იყო ისეთი ნაწარმოები, რომელიც მას ზოგიერთ უმთავრეს დებულებებს მისცემდა და თან ქართველთა ისტორიას მსოფლიო ისტორიას დაუკავშირებდა. ასეთია სწორედ დასახელებული აპოკრიფი, რომელიც, როგორც გამამართლებელი და დამამტკიცებელი მისი ისტორიული შრომისა, მისი, ასე ვთქვათ, შესავალი და პროპედევტიკული ნაწილი, თვით ლეონტიმ გადმოთარგმნა და მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადა, რათა ეჩვენებინა, რომ საქართველოს ისტორია არის ნაწილი მსოფლიო ისტორიისა.“ (კეკელიძე 1979: 23).

მისი და დამარხეს გოლგოთას; და ცვალებად ნათესავთაჲ, ვითარ ვპოვეთ ნათესავობაჲ ქრისტესი ჴორცითა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა, ადამისითგან, ყოველთა მამისა, ვიდრე ქრისტესამდე, უფლისა და ღმრთისა ჩუენისა“.²³⁶

სიმონ ყაუხჩიშვილმა ამ ტექსტის მიზანდასახულობა „ქართლის ცხოვრების“ ორგანულ, შესაბამისად, ლეონტი მროველის თხზულების ავთენტურ ნაწილად გამოაცხადა და სამართლიანად განიხილა ქვესათაურით: „ქართლის ცხოვრება“ და მსოფლიო ისტორია.²³⁷ შდრ. „ის გარემოება, რომ მარიამისეულ ნუსხაშიც და მაჩაბლისეულშიც „ქართლის ცხოვრება“ ლეონტი მროველის თხზულებით კი არ იწყება, არამედ მოთხრობით ქვეყნის გაჩენაზე, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. ამ ორი ნუსხის დასაწყისში მოთხრობილი თქმულებები წარმოადგენენ მსოფლიო ისტორიას, სადაც ისტორიის სახელმძღვანელოს რედაქტორი გადმოსცემს მკითხველს ქვეყნის გაჩენის ამბავს, ამის მომდევნო პირველ მამათა ისტორიას, ისრაელთა თავგადასავალს და ა.შ. იგი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში შემთხვევით კი არ არის მოხვედრილი, არამედ იმთავითვე მოიპოვებოდა „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც მისი შესავალი ნაწილი“.²³⁸

ექვთიმე თაყაიშვილი ეჭვქვეშ აყენებდა „განძთა ქვაბის“ ლეონტი მროველისეული თხზულების ორგანულ ნაწილად განხილვის საკითხს, თუმცა ამ აპოკრიფს ისიც „ქართლის ცხოვრების“ ერთგვარ შესავლად თვლიდა. ამ დაეჭვების მთავარ არგუმენტად მას მიაჩნდა ის გარემოება, რომ „განძთა ქვაბი“ შინაარსობრივად არ ებმის „ქართლის ცხოვრების“ თხრობას.²³⁹

დიამერიზმების ფართო კონტექსტის, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქრისტიანულ ტრადიციაში ნაციონალური ისტორიის ლეგიტიმაციის მიზნით გამოყენებული კონცეპტების სპეციფიკა, მათი ტიპოლოგია, მაფიქრებინებს, რომ ეს არგუმენტი,²⁴⁰ ალბათ, ნაკლებად გამოდგება კორნელი კეკელიძის მოსაზრების უარსაყოფად. საქმე სწორედ პირიქითაა: ლეონტი მროველისთვის ეს აპოკრიფი მართლაც არის უნივერსალურ ისტორიასთან დამაკავშირებელი სახელმძღვანელო ტექსტის, დიამერიზმების, ერთ-ერთი ვერსია, რომელიც თავისი სპეციფიკური

236ამ აპოკრიფის ტექსტს აქაც და შემდგომშიც ვიმოწმებ ც. ქურციკიძის გამოცემის მიხედვით (ქურციკიძე 2007: 43).

237ასე დაასათაურა „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული გამოცემის ავტორმა შესავლის მეოთხე პარაგრაფი. ამავე სათაურით მას ადრე სტატიაც ჰქონდა გამოქვეყნებული. იხ. ყაუხჩიშვილი 1947: 1-7.

238ყაუხჩიშვილი 1955: 011.

239შდრ. „თქმა არ უნდა, რომ ეს აპოკრიფი მართლაც წარმოადგენს ერთგვარ წინასიტყვაობას ლეონტი მროველის თხზულებისას, მაგრამ მის ორგანულ ნაწილად გამოცხადება ცოტა გაზვიადებულად მეჩვენება, ვინაიდან ეს აპოკრიფი ერთი სიტყვითაც არაა გადაბმული ლეონტის ისტორიასთან“ (თაყაიშვილი 1953: 26).

240ამ თვალსაზრისით გამოყენებული მრავალრიცხოვანი სირიული, კოპტური, ეთიოპური თუ სხვა ტრადიციის საისტორიო კონცეპტების ზოგადი მიმოხილვაც კი ცხადს ხდის, რომ არ არის აუცილებელი, ეს პროპედევტიკული ნაწილი უშუალოდ „გადაბმული“ იყოს ძირითადი ისტორიის თხრობასთან. როგორც მონოგრაფიის I თავში ვნახეთ, ეს კონცეფცია ზოგჯერ არა საისტორიო, არამედ საერთოდ სხვა ჟანრის, ეგზეგეტიკურ თხზულებაშიც კი შეიძლება შეგვხვდეს. ვგულისხმობ ჩვენი ისტორიისთვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობის შემცველ კოპტური ტრადიციის არაბულენოვან ფსალმუნთა განმარტებას (იხ. I ნაწილი III, 3. დიამერიზმები ქრისტიანული აღმოსავლეთის მწერლობაში).

მიზანდასახულობით – სირიულის, როგორც კაცობრიობის თავდაპირველი ენის ლეგიტიმაციის მცდელობა²⁴¹ – გადმოვიდა ლეონტი მროველის საისტორიო კონცეფციაში.

ამ თვალსაზრისით ექვთიმე თაყაიშვილს უფრო სარწმუნოდ მიაჩნდა არა მარიამისეული, არამედ მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ შესავალი აპოკრიფის, როგორც „ქართლის ცხოვრების“ შინაარსთან უშუალოდ დაკავშირებული თხრობის, განხილვა ტექსტის ორგანულ ნაწილად. შდრ. „სულ სხვაა აპოკრიფი, რომელიც წინ მიუძღვის მაჩაბლის ნუსხას, რომელიც მართლა მჭიდროდ არის დაკავშირებული და გადაბმული ლეონტი მროველის თხზულებასთან და ნამდვილად წარმოადგენს მის ორგანულ ნაწილს. საქმე ის არის, რომ როგორც ცნობილია, ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრება“ იწყება ნოეს შთამომავლის, თარგამოსისაგან, რომელიც ამ შთამომავლობის მეოთხე თაობას ეკუთვნოდა: ნოე შვა იაფეტ, იაფეტ შვა ავნან, ავნან შვა თარიშის, თარიშის შვა თარგამოს, ესე თარგამოს იყო მამა სომეხთა და ქართველთა, და რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლექთა, მეგრელთა და კავკასიელთა. ამ სიტყვებით უკავშირდება მაჩაბლისეული ხელნაწერის აღნიშნული აპოკრიფი ლეონტი მროველის ისტორიას“.²⁴²

მეცნიერი სწორედ ამ შემაკავშირებელ რგოლს, უფრო სწორად, ფრაზას, წინადადებას, უწევს ანგარიშს, როცა გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა, ეს აპოკრიფი სპეციალურად იყოს შედგენილი ქართველის მიერ.²⁴³ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი შესავლები დამაკავშირებელი წინადადებით, ფრაზით გავრცობილი, ან მის გარეშე, გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების საისტორიო დისციპლინის ზოგადი ტენდენციაა: ქრისტესთან ხორციელი ნათესაობის დადასტურებით, „წმინდა ისტორიაში“ უშუალო მონაწილეობის დამადასტურებელი გენიალოგიით იწყებდა ყველა ისტორიკოსი საკუთარი ქვეყნის ისტორიული წარსულის რეკონსტრუქციას, და, ამდენად, უფრო საზოგადო ტენდენციის ნიშანია, ვიდრე საკუთრივ ქართულის.

რაც შეეხება მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ შესავალს, სარწმუნო ჩანს მოსაზრება, რომ იგი გვიანდელი, XVII-XVIII საუკუნეების ტრადიციის ანარეკლია; მაგრამ გაუმართლებელი მგონია ამ ჩანართთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება, რომ ქართველთა ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დაკავშირება პირ-

241 იქედან მოყოლებული, რაც III საუკუნეში იპოლიტე რომაელის ქრონიკაში მკაცრად ნორმირებული სტრუქტურით ჩამოყალიბდა დიამერიზმების საისტორიო კონცეფცია, სხვადასხვა ეპოქის კონკრეტული ავტორი საკუთარი, სპეციფიკური მიზანდასახულობით იმეორებდა თუ განავრცობდა ამა თუ იმ პონცეპტს. ვფიქრობ, ნაშრომის დამატებაში გადმოებეჭდილი ფრაგმენტის მიხედვითაც კი აშკარაა სირიული ორიგინალიდან გადმოყოლილი მიზანდასახულობა, რაც უცვლელად გადმოვიდა ქართულ თარგმანში. „განძთა ქვების“ სრული ტექსტი იხ. ქურციკიძე 2007: 43-173. იხ. აგრეთვე ქურციკიძე 1990 (1): 49-64; მისივე 1993 (3-4): 109-122.

242 თაყაიშვილი 1953: 27.

243 შდრ. „საშუალო საუკუნეთა გაგებით ერის შთამომავლობა უნდა იწყებოდეს ადამიდან და ევადან, ხოლო ბიბლიური თქმულებით ადამი და ევა ხომ მას შემდეგ გააჩინა, რაც მან ვითომც შექმნა ცა და ქვეყანა. ამიტომ აპოკრიფი ჯერ მოგვითხრობს ქვეყნის გაჩენის ამბავს, შემდეგ ადამისა და ევას წარმოშობას, მათ მიერ ცოდვის ჩადენას, სამოთხიდან მათ გამოდევნას და შემდეგ მათ შთამომავალთა გენიალოგიას [...] ამ მიზანდასახულობის მიხედვით საფიქრებელია, რომ ეს საყურადღებო აპოკრიფი სპეციალურად უნდა იყოს შედგენილი ქართველის მიერ“ (იქვე).

ველად არა ლეონტი მროველმა, არამედ სწორედ გიორგი მაჩაბელმა სცადა.²⁴⁴

თუ შევადარებთ ლეონტი მროველის, როგორც „ჩუენი ნათესავის“ თავდაპირველი ისტორიის რეკონსტრუქტორისა და საერთოდ, ქართველთა ერთიანი საისტორიო კონცეფციის შემქმნელის მიზანდასახულობას²⁴⁵ გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ზემოთგანხილულ ტრადიციას, რთული არ იქნება მათ შორის ტიპოლოგიური პარალელების გამოვლენა. მომდევნო თავში საგანგებოდ მიუხედავად ლეონტი მროველის საისტორიო კონცეფციას, მაგრამ ამთავითვე აღვნიშნავ, რომ იგი აღმოსავლეთ ქრისტიანული (და არა ბიზანტიური)²⁴⁶ საისტორიო მწერლობის ორგანული ნაწილია და მას მეტ-ნაკლებად ახასიათებს ყველა ის ნიშანი, რაც იკვეთება სირიულ, კოპტურ, ეთიოპურ და სომხურ ტრადიციაში.

მე საგანგებოდ არ მიკვლევია „განძთა ქვაბის“ ტექსტოლოგიური თუ მთარგმენლობითი პრობლემატიკა, ამიტომ ვერაფერს ვიტყვი მისი წარმომავლობისა და მთარგმნელის შესახებ კორნელი კეკელიძის, ჟან პიერ მავსა და ციალა ქურციკიძის განსხვავებულ თვალსაზრისებთან დაკავშირებით;²⁴⁷ რაც შეეხება „განძთა ქვაბის“

244 შდრ. „ქართველთა ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დაკავშირების მიზნით „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის დასაწყისში მსოფლიო ისტორიის ტექსტის შეტანა, ჩვენი აზრით, გაცილებით გვიანდელი მოვლენაა და ამ მხრივ პირველი ცდა გიორგი მაჩაბლის სახელს უკავშირდება, რომელმაც არჩილ მეფის ნაქონ, იმავე მარიამისეული ქართლის ცხოვრებიდან გადმოწერილ ტექსტს ჩამოაცილა „განძთა ქვაბისა“ და „შიშუელ-მართალთას“ აპოკრიფები და წარუმიძღვარა მართლა მსოფლიო ისტორიის შემცველი ფსევდოპოტეს ქრონოგრაფის ტექსტი“ (ქურციკიძე 2007: 19).

245 ც. ქურციკიძე არ ეთანხმება ლეონტი მროველის მიზანდასახულობის ამგვარ გაგებას და არ-გუმენტად ასახელებს მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ მეორე აპოკრიფის არსებობის ფაქტს, რომელიც, მისი აზრით, ეჭვქვეშ აყენებს ლეონტი მროველის ისტორიისთვის „განძთა ქვაბის“ დანიშნულებას იმ გაგებით, როგორც ეს კ. კეკელიძესა და ს. ყაუხჩიშვილს წარმოედგინათ. მკვლევარი იმონებს ქრონოგრაფის სტრუქტურის შესახებ ო. ტვოროგოვის თვალსაზრისს (Творогов 1976), რომ „ქრონოგრაფში შეჰქონდათ სხვადასხვა ჟანრის თხზულებები და მათ ისე ანაწილებდნენ, რომ მათში მოთხრობილი ამბები ქრონოლოგიურ შესაბამისობაში ყოფილიყო ძირითად ტექსტში მოთხრობილ შინაარსთან“ (ქურციკიძე 2007: 18). ამგვარი, ან მისი მსგავსი კონცეფცია მოსეს ხალხთა ნუსხებისა და, ზოგადად, დიამერიზმების შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ვერსად ვიპოვე, უფრო ახლოს რომ გავცნობოდი ამ ტენდენციას. ამდენად, ჩემთვის გაუგებარი დარჩა, რას ეყრდნობა ტვოროგოვის თვალსაზრისი და რა კავშირშია ის გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების უნივერსალური ისტორიის კონცეფციასთან. ც. ქურციკიძე წერს: „ქრონოგრაფის ამ თავისებურებათა გათვალისწინების შემდეგ (იგულისხმება ქრონოგრაფში შეტანილ თხზულებათა ქრონოლოგიური შესაბამისობა ნ. დ.) სავსებით გასაგებია „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერისათვის აღნიშნული ორი აპოკრიფის ერთმანეთის მომდევნოდ წამძღვარების ფაქტი: ეს ორი აპოკრიფი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერს წინ წარუმიძღვარეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მათში მოთხრობილი ამბები ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ ქართველ მეფეთა ცხოვრების ისტორიას. სავსებით მიზანშეწონილი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ მეორე აპოკრიფი გადმოჰყვა პირველს იმ წყაროდან, სადაც ისინი ერთმანეთის მომდევნოდ იყვნენ მოთავსებული“ (ქურციკიძე 2007: 19).

246 მონოგრაფიის I ნაწილში საგანგებოდ გავუსვი ხაზი იმას, რომ კონტექსტი, რომელშიც დიამერიზმები შეიქმნა და განვითარდა, პრინციპულად განსხვავდებოდა ბიზანტიური და მასთან უშუალოდ დაკავშირებული სლავური საისტორიო კონცეფციისგან, რომელიც დაეყრდნო ბიზანტიის კეისრის, როგორც მსოფლიო მბრძანებლის, იდეას.

247 კ. კეკელიძე თვლის, რომ თხზულება ბერძნულიდანაა გადმოღებული ლეონტი მროველის მიერ (კეკელიძე 1979: 23), ხოლო ჟან-პიერ მავს კი ქართული თარგმანი დღეისათვის დაკარგული არაბული ვერსიიდან მომდინარედ მიაჩნია (Mahé 1992: XXXIII-XXIV).

დანიშნულებას, ვფიქრობ, დიამერიზმების ტიპოლოგია, ზოგადად, გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების საისტორიო კონცეფცია, უნივერსალური ისტორიის ზემოთ განხილული რედაქციები, პრინციპულად ეწინააღმდეგება ბოლო დროს ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ თვალსაზრისს. შდრ. „რაც შეეხება „განძთა ქვების“ ქართულ ენაზე მთარგმნელის ვინაობასა და გადმოთარგმნის დროს, ძნელია, დავეთანხმოთ კორნელი კეკელიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და ეს თხზულება XI საუკუნის ისტორიკოსის, ლეონტი მროველის მიერ საგანგებოდ „ქართლის ცხოვრებისათვის“ თარგმნილ ძეგლად ჩავთვალოთ, რადგან, ჩვენი აზრით, ლეონტი მროველს, სწორედ როგორც ისტორიკოსს, არ შეიძლება, არ სცოდნოდა, რომ „განძთა ქვები“ აპოკრიფია თავისი ტყუილ-მართალი შინაარსით და არა ისტორიული თხზულება, და რომ ის ამის გამო საქართველოს ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დასაკავშირებლად ნამდვილად არ გამოდგებოდა“.²⁴⁸

დიამერიზმები და იმ დროის საისტორიო კონცეფცია, ვფიქრობ, სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებს: უნივერსალურ ისტორიასთან და ბიბლიურ წარმომავლობასთან კავშირი სწორედ აპოკრიფული, ეგზეგეტიკური ან სხვა რომელიმე ჟანრის ძეგლებით, გარკვეულ რელიგიურ კონტექსტში შემუშავებული ტოპოსებით იყო ლეგიტიმირებული; „განძთა ქვების“ ფუნქციურ დატვირთვასთან დაკავშირებით გამოთქმული თვალსაზრისი შუა საუკუნეების რელიგიურ ისტორიოგრაფიაზე თანამედროვე საისტორიო მეცნიერების კონცეპტის გადატანას უფრო ჰგავს, ვიდრე ლეონტი მროველის საისტორიო კონცეფციის აღდგენის ცდას.

„ქართლის ცხოვრების“ შესავალი პოლიტიკური და კულტურული იდენტობის ჩამოყალიბების კონტექსტში საფუძვლიანად შეისწავლა ლელა პატარიძემ. მკვლევარმა შესავალი განიხილა, როგორც „ქართველ მეფეთა ისტორიის ქრისტიანულ ქრონოტოპში კონტექსტუალიზაციის“ მიზნის მქონე ტექსტი.²⁴⁹ იგი დაეყრდნო შესავლის წყაროთმცოდნეობითი და ლიტერატურულ-ისტორიული კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს²⁵⁰ და გააანალიზა ამ შესავალში ჩამოყალიბებული კონცეპტუალური სურათი ეთნოკულტურული იდენტობის კვლევის თვალთახედვით;²⁵¹ შეადარა იგი ძველი სომხური და ძველი რუსული საისტორიო კრებულების ტიპოლო-

248 ქურციკიძე 2007: 24. ამ საკითხთან დაკავშირებით ც. ქურციკიძის დაქვევებს იწვევს ის ფაქტიც, რომ მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებას“ სხვა აპოკრიფიც აქვს წამძღვარებული, კერძოდ, აპოკრიფი გიმნოსოფისტების, ანუ როგორც ძველ ქართულ ტრადიციაში მოიხსენიება, „შიშუელმართალთა“ შესახებ. იხ. კეკელიძე 1972: 108-129.

249 შდრ. „დასაწყისიდან ფარნავაზის ცხოვრებამდე მე ვუნოდე „ქართლის ცხოვრების“ შესავალს, რადგან ფუნქციურად და შინაარსობრივად ეს არის „მეფეთა ცხოვრების“, ანუ საკუთრივ ქართლის სამეფოს ისტორიის „პრეისტორიული და გეოგრაფიულ-ეთნოლოგიური სურათი, რომელიც შუა საუკუნეების ავტორმა თავისი დროის ლიტერატურულ-ჟანრული და მსოფლმხედველობრივი მოთხოვნილების შესაბამისად წარმძღვარა მეფეთა ისტორიის წერილობით ტრადიციას“ (პატარიძე 2009: 132).

250 მამულია 1987; კეკელიძე 1979: 10-32. Rapp 1997; Rapp 2008; ყაუხჩიშვილი 1955; ჯავახიშვილი 1977.

251 პატარიძე 2009: 133: „შესავალი ასახავს ავტორის თვალსაწიერში არსებულ ცოდნას ხალხთა წარმომავლობისა და განსახლების შესახებ, მაგრამ იმავდროულად ამ ცოდნისა და საკუთრივ „მეფეთა ცხოვრების“ მონაცემებიდან გამომდინარე, ავტორი ორიგინალურ კონცეფციას ქმნის. ეს გახლავთ საკმაოდ ამბიციური პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს არც მცირე არც ნაკლები, ქართველი ხალხის წარმომავლობის მითის ჩამოყალიბებას და ამით ქართული ცნობიერების (იდენტობის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენის შექმნას“.

გიას, მათში გამოვლენილ ბიბლიურ-ქრისტიანული ისტორიის პარადიგმას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი არგუმენტაცია „ქართლის ცხოვრების“ შესავლის ფუნქციასთან დაკავშირებით. შესავლის საისტორიო, გეოგრაფიული თუ ეთნოგენეზის საკითხთა კვლევის საფუძველზე ლ. პატარიძემ დამაჯერებლად აჩვენა თავის მონოგრაფიაში, თუ როგორ „მოხაზა ლეონტი მროველმა დრო-სივრცული კონტექსტი, [...] დროისა და მოვლენების თანამიმდევრული უწყვეტობა კაცობრიობის დასაწყისის წერტილიდან ქართლის სამეფოს დასაწყისის წერტილამდე“.²⁵² იგი შეეცადა აეხსნა განსხვავება იბერების გენიალოგიურ ხესთან დაკავშირებით და იბერების თარშის შთამომავლებად გამოცხადება ლეონტი მროველის სახელს, შესაბამისად მის მიზანდასახულობას, კერძოდ, სომეხთა და ქართველთა წინაპრების ძმებად წარმოჩენის სურვილს, დაუკავშირა.²⁵³

ლეონტი მროველისეული კავკასიური ერთობის ეს მიზანდასახულობა, საერთო ეთნიკურ წარმომავლობაზე დამყარებული კავკასიის კონცეფცია, ანგარიშგასაწვეი მოტივი ჩანს და მის ინტერპრეტაციას, სხვადასხვა პოზიციიდან ადეკვატურად შეფასებას, ვფიქრობ, რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროთა გამოწვლილვით შესწავლა უდავოდ შეუწყობს ხელს. მით უმეტეს, რომ ამა თუ იმ ეთნოსის, მათ შორის, იბერების, დაკავშირებას განსხვავებულ შტოსთან, დიამერიზმებში საკმაოდ მრავალფეროვანი ტრადიცია აქვს.

ლ. პატარიძესვე ეკუთვნის „ქართლის ცხოვრების“, უფრო ზუსტად, მის *შესავალში* ქართლის სამეფოსა და კავკასიის რეგიონის ეთნო-გენეტურ სქემასთან დაკავშირებით გამოთქმული უმნიშვნელოვანესი ვარაუდი: „შესავალს ეტყობა, რომ იგი არ არის არც წინაქრისტიანულ, არც ადრექრისტიანულ ხანაში შეთხზული ძეგლი, ყოველ შემთხვევაში, იმ სახით, რა სახითაც მან ჩვენამდე მოაღწია. ამის საბუთად გამოდგება თუნდაც მისი აშკარად ქრისტიანული წარმომავლობის წყაროები, ეპონიმ-ეთნონიმები და სხვა. რჩება ერთადერთი შესაძლო ვარიანტი: ავტორი გარკვეულ უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით, და, რაც მთავარია, ადგილობრივი ისტორიოგრაფიული ტრადიციის („მეფეთა ცხოვრება“) და სხვა ზეპირი ან წერილობითი ტრადიციის საფუძველზე ახდენს, მისი აზრით, უძველესი ხანის ისტორიული და ტერიტორიულ-ეთნიკური სურათის რეკონსტრუქციას“.²⁵⁴

სწორედ რელიგიური ისტორიოგრაფიის ზემოთგანხილული ვერსიები –ნაშრომის I ნაწილში ამ წყაროთა მხოლოდ ერთი ნაწილი, უფრო სწორად, ორი ძირითადი რედაქცია (იპოლიტერომაელისა და სექსტუს იულიუს აფრიკანუსისა), იყო წარ-

252 პატარიძე 2009: 136.

253 შდრ. „იპოლიტე რომაელის „ქრონიკაში“ იბერთა ასეთი გენიალოგია: იაფეთი, იუვანი, თარსისი, იბერები. სომხურ თარგმანში ასეა: და თაშიშ, რომლისგანაც მოდიან ვირქ [იბერები] ტურენაიკში. თუ ქართლის ცხოვრების შესავლის ავტორმა სწორედ ეს იბერები მიიჩნია ქართველების აღმნიშვნელად, აქედან გაჩნდებოდა თარგამოსის გენიალოგიაში „ძე თარშისი“, მაგრამ ასეთ შემთხვევაში რატომ მან იბერთა გენიალოგია პირდაპირ არ გადმოიტანა წყაროდან და ის სომეხთა ეპონიმს ჰაოსს და მის მამას თოგარმას დაუკავშირა? როგორც ჩანს მას სურდა, რომ სომეხთა და ქართველთა ეპონიმები ძმები ყოფილიყვნენ, ამიტომ თოგარმა/თარგამოსი არა გაემერის ზედ, არამედ „თარშის“- თარსისი/თაშიშ (ბიბლიური თარშიში) ძედ გამოაცხადა, ხოლო ქართლოსი და ჰაოსი ორივე თარგამოსის შვილებად, და, შესაბამისად, ძმებად წარმოაჩინა“ (პატარიძე 2009: 141). იხ. აგრეთვე პატარიძე 2008ა; მისივე 2008ბ.

254 იქვე.

მოდგენილი – მესახება ლეონტი მროველის იმ სავარაუდო წყაროებად, ორიენტირად, რომელთა შესახებ მართებულად მიუთითებს ლ. პატარიძე და რომელთა სხვადასხვა პერსპექტივით კვლევა ჩვენი ისტორიოგრაფიის გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია.

დიამერიზმების სხვა ძველი ქართული ფრაგმენტებიდან განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ჯუანშერისა და ექვთიმე ათონელის ვერსიები. ეს უკანასკნელი იბერების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით გვთავაზობს მეტად საინტერესო განმარტებას, უფრო ზუსტად, სათარგმნი ტექსტის ინტერპრეტაციულ ეკვივალენტს: ორიგინალის იბერებს (Ιβηρες) ის თარგმნის ეთნონიმით: ქართუელნი. ამავე ფუძეს იყენებს იგი პირინეის იბერების სათარგმნელად: ქართუელნი დასავლისანი.²⁵⁵ როგორც ჩანს, მას კარგად აქვს გააზრებული ამ ტექსტის ფუნქცია და, ამასთანავე, იცნობს იბერების შესახებ ძველ მწერლობაში არსებულ მითითებებსა და ტერმინოლოგიურ ტრადიციას.

კორნელი კეკელიძის აზრით, ექვთიმე იყენებს იპოლიტე რომაელის ნუსხას, ოღონდ არა უშუალოდ იპოლიტესგან, არამედ ეპიფანე კვიპრელისგან მომდინარე ვერსიას.²⁵⁶ მართალია, ექვთიმესეული თარგმანი ჰგავს ორივე დასახელებულ ბერძნულ წყაროში შემონახულ ნუსხებს, მაგრამ მათ შორის მაინც მნიშვნელოვანი სხვაობაა, რომელსაც კ. კეკელიძე ექვთიმეს თავისუფალი თარგმანის სტილს მიაწერს, რაც უფრო წინასწარ დასკვნას ჰგავს, ვიდრე არგუმენტაცია.²⁵⁷

დიამერიზმების, განსაკუთრებით ბაბილონის ლეგენდის განვითარების, თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ჯუანშერის თხზულებაში შემონახული ეპიზოდი, რომელიც შეიცავს თხრობას უშუალოდ გოდლის დანგრევის მიზეზთა შესახებ. როგორც ზემოთ ვახსენე, ლეგენდა, რომ მშენებლები სიმაღლეზე ველარ მუშაობდნენ წარმოუდგენელი სიცხის გამო, რომელიც ოქროსაც კი აღნობდა,²⁵⁸ არის არქეტიპული ტექსტიდან მომდინარე მოტივი და ტექსტის უძველეს ფენას ასახავს. იგი სწორედ ჯუანშერის თხზულებაში დასტურდება პირველად და აქედან გადადის როგორც სომხურ, ასევე სირიულ ტრადიციაში.²⁵⁹

ერთი მხრივ, დიამერიზმების სტრუქტურისა და ტიპოლოგიის, მეორე მხრივ კი, ქართულ ისტორიოგრაფიაში დაცული ფრაგმენტებისა და დიამერიზმების ფუნქციის შესახებ გამოთქმული თვალსაზრისების მოკლე მიმოხილვიდანაც კი შესაძლებელია დავასკვნათ შემდეგი: დიამერიზმები საყოველთაო ისტორიის დასაწყისის კანონიკური ტექსტია; მისი მიზანი იყო არა მარტო ეთნიკური, ენობრივი, და ტერიტორიული, არამედ სხვა, უფრო უმნიშვნელო ფაქტორების „კანონიზაცია“,

255 კეკელიძე 1956: 177. სრული ტექსტი წარმოდგენილი იქნება დანართში.

256 იქვე, გვ. 173.

257 მე არ მიკვლევი ქართული ვერსიების ბერძნულ ნუსხებთან ტექსტოლოგიური მიმართების საკითხები, მაგრამ დიამერიზმების სხვადასხვა რედაქციის ტექსტების გაცნობა მაფიქრებინებს, რომ ექვთიმეს ვერსიას უფრო ახლო წყარო შეიძლება დაეძენოს, ვიდრე ეპიფანე კვიპრელის ნუსხა. ყოველ შემთხვევაში, ქართული ფრაგმენტების წარმომავლობის საკითხი გარკვეულად ვერ ჩაითვლება.

258 შდრ. „და ენება, რათა აღვიდეს ცად და იხილნეს მყოფნი ცისანი. ხოლო ვითარცა განვლო საზღუარი ჰაერისა და შევიდა საზღუარსა ვარსკულავთასა, ვერლარა უძლებდეს საქმედ მოქმდნი, რამეთუ დადნებოდა ოქრო და ვეცხლი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 162).

259 Borst 1957: 282.

როგორც ეს დიამერიზმების სტრუქტურებიდან ჩანს: ქალაქების, მთების, ზღვების, დიდი მდინარეების, თვით კლიმატური ზონების ლეგიტიმაცია და მათი გამოცხადება „წმინდა ისტორიის“ ნაწილად.

დიამერიზმების რვა რუბრიკიდან, შესაბამისად, ლეგიტიმაციისა და საკრალიზაციის იმ ტექსტებიდან, რომლებიც გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების რელიგიურ ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო:

ა) კაცობრიობის თავდაპირველი ისტორიის უშუალო მონაწილე ბიბლიური წარმომავლობის სამოცდათორმეტი (სამოცდაათი) ენისა და ეთნოსის ნუსხა (*tabula linguarum et populorum*), რომელიც I საუკუნიდან დასტურდება,

ბ) ამ სამოცდათორმეტიდან კულტურული ნიშნით (სამწერლობო ტრადიციების ქონა, წერა-კითხვის ცოდნა) გამორჩეული თხუთმეტი სამწერლობო ენის ნუსხა (*οἱ ἑπιστάμενοι γράμματα; qui litterati sunt*), რომელიც III საუკუნიდან (235 წ.) იკიდებს ფეხს და XVIII საუკუნის ჩათვლით ვრცელდება კულტურული, გეოგრაფიული თუ რელიგიური თვალსაზრისით ერთმანეთისგან მკვეთრად დაშორებულ რეგიონებში.

შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია ბერძნული, სირიული, ეთიოპური და სომხური წარმომავლობის სხვადასხვა რედაქციით იცნობს და საკუთარი წარსულის რეკონსტრუქციის მიზნით მოხერხებულად იყენებს პირველ ტოპოსს – ბიბლიური წარმომავლობის სამოცდათორმეტი (სამოცდაათი) ეთნოსისა და ენის ნუსხას. რაც შეეხება II ტოპოსს, სამწერლობო ტრადიციების მქონე ენების, მათ შორის, იბერიულის, შესახებ, იგი ძველ ქართულ წყაროებში ჯერ-ჯერობით არ დასტურდება.

ფართო კონტექსტის, ანუ III-XVIII საუკუნეების ბერძნულ, ლათინურ, სირიულ, ებრაულ და არაბულ წყაროებში მკაფიოდ ჩამოყალიბებული ტოპოსის, გათვალისწინებით არც XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში გამხდარა თხუთმეტი სამწერლობო ენის ტოპოსი განსჯის საგანი. ყველა ისტორიკოსი, რომელიც იკვლევდა დიამერიზმების ცალკეულ ფრაგმენტებს და მათ გავლენას ქართულ ისტორიოგრაფიაზე, ეხებოდა დიამერიზმების მხოლოდ ერთ რუბრიკას: ბიბლიური წარმომავლობის ენებისა და ეთნოსების ნუსხას.²⁶⁰ კორნელი კეკელიძე ერთგან იმონებებს დიამერიზმების სირიულ ვერსიას, როგორც ცნობას ძველი ქართული დამწერლობის შესახებ, მაგრამ იგი მისთვის კონკრეტულ ძეგლში დაცული ცნობაა და არა გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების კანონიკური ტოპოსი.²⁶¹ სიმონ

260 ვგულისხმობ ზემოთდასახელებულ ნაშრომებს, კორნელი კეკელიძის, ექვთიმე თაყაიშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილისა და ლელა პატარიძის სტატიებს; განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ლელა პატარიძის მონოგრაფია (პატარიძე 2009), რომელშიც ყველაზე სრულადაა გაანალიზებული დიამერიზმების I ტოპოსი და მისი მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიისთვის.

261 შდრ. „მეხუთე-მეექვსე საუკუნეში ქართული მწერლობის არსებობის დამამტკიცებლად უფრო მნიშვნელოვანია უცხოელთა მოწმობა, რომელიც გვაჩვენებს, რომ ქართველთა მწიგნობრობა ამ დროს არ იყო შინაური, ოჯახური მოვლენა და ფაქტი, არამედ მას იცნობდნენ სხვებიც, მახლობელი თუ დაშორებული ერებიც. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მეხუთე საუკუნის გასულის ცნობა, რომელიც დაცულია ასურულ თხზულებაში „წიგნი ერთა და ქვეყანათათვის“. ამ თხზულებაში ვკითხულობთ: სემის, ქამის და იაფეტისგან წარმოიშვა სამოცდაცამეტი ერი, ტომი და ენა. მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც იციან წერა-კითხვა. თხუთმეტი ერია ასეთი. სხვები კი არ განირჩევიან ველურებისაგან და დაძრწიან, როგორც უგუნურნი პირუტყვნი. წიგნის მცოდნენი არიან: ასურელნი, ებრაელნი, ბაბილონელნი, სპარსნი, ელამიტელნი, მეგვიპტელნი, კუშიტები, ჰინდონი, ფინიკიელნი, იო-

ყაუხჩიშვილმა თარგმნა და „გეორგიკის“ პირველ ტომში დაბეჭდა იპოლიტე რომაელის ქრონიკების ლათინური ვერსია VI-VII საუკუნეებისა. იგი ამ კონკრეტულ ფრაგმენტს განიხილავს, როგორც ჩვენი ისტორიისთვის საინტერესო ცნობას და არა როგორც დიამერიზმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ტოპოსს ანბანურ დამწერლობათა შესახებ. ბატონი სიმონი რომ საგანგებოდ არ ჩერდება VI-VII საუკუნეების ამ ვერსიაზე, სრულიად ბუნებრივია, ქართული დამწერლობის შესახებ ამაზე ბევრად ადრინდელი და მნიშვნელოვანი ცნობებიც არსებობს. მასთანავე, 1936 წელს, როცა სიმონ ყაუხჩიშვილმა გეორგიკის I ტომი დაბეჭდა, იპოლიტე რომაელის ქრონიკის ბერძნული ტექსტი საერთოდ არ იყო ცნობილი და ვარაუდობდნენ, რომ ლათინური ვერსია არასწორად მიეწერებოდა იპოლიტე რომაელს. როგორც ზემოთ ვთქვი, ბერძნული ტექსტი გაცილებით გვიან, 1956 წელს, იპოვა და გამოაქვეყნა ალან ბაუერმა. ამ გამოცემას იცნობდა ილია აბულაძე, და, როგორც თავის სტატიაში²⁶² წერს, მან ერევანში ყოფნისას საგანგებოდ შეუდარა იპოლიტე რომაელის ქრონიკების ძველი ქართული ვერსია (ზემოთ დასახელებული მეფეთა გენიალოგია) ბაუერის მიერ გამოცემულ ბერძნულ ტექსტს. ილია აბულაძე არ ახსენებს ჩვენთვის მნიშვნელოვან მეორე რუბრიკას. ეტყობა, მას აინტერესებდა არა მთლიანი ტექსტი და მისი რუბრიკები, არამედ მხოლოდ ქართულად შემონახული გენიალოგია და მისი უშუალო წყარო, იპოლიტეს სომხური ვერსია, შესაბამისად, გაეცნო მხოლოდ მეფეთა გენიალოგიის კონკრეტულ ფრაგმენტებს და არა სრულ ტექსტს, შესაბამისად, მასთან დაკავშირებულ დისკუსიას.

როგორც ზემოთაც ვახსენე, თემატიკიდან გამომდინარე (ნაკლებად ცნობილ ხალხთა იდენტიფიკაცია), ეს დისკუსია საკმაოდ პოპულარული იყო. ის, რომ გარკვეულ პერიოდში კონკრეტული საკითხი მეცნიერებაში პოპულარულია, შესაძლოა, სულაც არ მიუთითებდეს მისი სერიოზულობის ხარისხზე. როგორც წესი, პოპულარული თემატიკიდან სერიოზული და იმ პერიოდის მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი ხვდება ხოლმე ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში. სწორედ აქედან გამომდინარე შეიძლება ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რამდენად იცნობდნენ და როგორ აფასებდნენ კავკასიის იბერებისა და დიამერიზმებში მოხსენიებული იბერების იდენტიფიკაციის საკითხს ის მეცნიერები, რომლებიც თავად არ მონაწილეობდნენ ამ დისკუსიაში. ამ პერიოდის ორი ენციკლოპედიური ლექსიკონი, ერთი – ლაიპციგში და მეორე კემბრიჯში გამოცემული, თანამიმდევრულად იმეორებს ამ დისკუსიაში გამოთქმულ თვალსაზრისებს იბერების უძველესი სამწერლო ტრადიციების შესახებ.²⁶³ ეს კი პირდაპირი ნიშანია იმისა, რომ იბერების შესახებ დისკუსია მარტო პოპულარული არ ყოფილა.

და ბოლოს, რომ შევაჯამოთ, რით არის საინტერესო დიამერიზმების ანბანურ დამწერლობათა ჩამონათვალი ჩვენთვის: მას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს

ნელნი, ამორელნი, ალანნი, რომაელნი, სომეხნი, ტაონი, ქართველნი“ (კეკელიძე 1980: 38). უნდა აღინიშნოს, რომ არაზუსტია ამ წყაროს მიჩნევა მეხუთე საუკუნის ძეგლად, თუმცა აქ მთავარი ისაა, რომ მეცნიერი მას განიხილავს არა დიამერიზმების ფართო კონტექსტში, არამედ როგორც ერთ კონკრეტულ ძეგლში შემონახულ ცნობას.

262 აბულაძე 1961: 225.

263 Realenzyklopädie für protestantische Theologie, 3. Auflage, Sonderausgabe, Leipzig 1997, გვ. 161, სტატიის სათაური: Urtext und Uebersetzungen der Bibel; Swete, Introduction to the Old Testament in Greek, Cambridge 1900: 120.

ზოგადად კულტურის ისტორიის თვალსაზრისით; რაც არ უნდა საკამათო იყოს III-XVIII საუკუნეების რელიგიურ კონტექსტში შემუშავებული ეს ტოპოსი, იგი ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების უფლებას მაინც იძლევა:

1. III საუკუნიდან მოყოლებული ორიგინალური იბერიული დამწერლობა ან ალოგლოტოგრაფიის გზით არსებული იბერიული სამწერლო ტრადიციები ძველ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, ბერძნულ, ლათინურ, სირიულ, კოპტურ, არაბულ, სომხურ, ასევე იუდაისტურ წყაროებში, ერთ-ერთი ყველაზე ნათლად ჩამოყალიბებული ტოპოსია და იგი იმდროინდელი კულტურული სამყაროსთვის კარგად ცნობილ რეალობას ასახავს;
2. ის, რომ დიამერიზმების ასე ადრეულ ნუსხებში კავკასიის იბერები სამწერლობო ტრადიციის მქონე კულტურულ ხალხად მოიხსენიება, XX საუკუნის მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. შუა საუკუნეების რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროთა შესწავლამ დაადასტურა, რომ ძველ კულტურულ სამყაროში ეს საკითხი საკამათო სულაც არ ყოფილა. IX-XIII საუკუნეების სირიული, კოპტური და არაბული წყაროები ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს დიამერიზმების იბერებისა და კავკასიის იბერების გაიგივებას: ეთნონიმ Ἰβηρες, Iberes ისინი ცვლიან კავკასიის იბერების, ანუ ქართველების აღმნიშვნელი ტერმინებით: Georgii, Ġurġani, Gurzani.

IV ტაზი

XI საუკუნის ქართული საისტორიო კონცეფცია

(ნაციონალური ისტორიის რეკონსტრუქციის ცდა)

როგორც უკვე ვთქვე, ძველი კულტურული სამყაროს ყველა მნიშვნელოვანი რეგიონის ისტორიოგრაფიაში მეტ-ნაკლები ინტენსივობით აისახა ენათა და ეთნოსთა დაყოფის, ანუ უნივერსალური ისტორიის კონცეპტები. ჯერ იოსებ ფლავიოსის, შემდეგ კი იპოლიტე რომაელისა და სექსტუს იულიუს აფრიკანუსის ქრონიკებიდან მოყოლებული, დიამერიზმებმა შეიძინა ისტორიის საკრალიზებული სქემის ფუნქცია, რომლის კვალობაზე ხდებოდა მომდევნო ეპოქებში ამა თუ იმ ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის ისტორიის რეკონსტრუქცია. ბიბლიური გენიალოგიის ხეზე საკუთარი ადგილის ქონა, ანუ „საკრალიზებულ ისტორიაში“ მონაწილეობა, ზემოთნახსენები „მცირე დაბადების, ანუ იობელეების წიგნის“ (ილ. Ἰωβηλδαίσι, ἡ λεπτὴ Γένεσις) კონცეფციის ჩამოყალიბების შემდეგ იქცა როგორც იუდაისტური, ასევე ქრისტიანული საისტორიო თხზულებების კანონიკურ ნაწილად, ერთგვარ შესავლად; მასში გადმოიცემოდა ამბები იმის შესახებ, როგორ გადმოდგა ამა თუ იმ ეთნოსის გენეტიკურმა წინაპარმა პირველი ნაბიჯი ბაბილონის ნანგრევებიდან, ანუ ისტორიის I შრიდან.

როგორც ვნახეთ, ამ კონცეფციას ეყრდნობოდა ძველი ქართული ისტორიოგრაფიაც. ლეონტი მროველის საისტორიო კონცეფციის, მისი „კავკასიური პროექტის“ შესახებ არაერთი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა.²⁶⁴ დ. მუსხელიშვილმა, რ. გორდეზიანმა, ზ. ალექსიძემ, ზ. კიკნაძემ, მ. ჩხარტიშვილმა, ლ. პატარიძემ სხვადასხვა თვალთახედვით შეისწავლეს „ქართლის ცხოვრების“ გეოგრაფიული, საისტორიო, ეთნოგენიალოგიური, სოციალური თუ რელიგიური კონცეპტები.²⁶⁵ მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა შესავლისა და ტექსტის ძირითადი ნაწილის სტრუქტურულ ერთიანობასთან დაკავშირებით,²⁶⁶ ყველა მათგანი იზიარებს თვალსაზრისს, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალ ნაწილში დასტურდება ისტორიის ქრისტიანული კონცეფცია;²⁶⁷ იგი „კავკასიური მასშტაბისაა“ და კავკასიის ხალხთა გენეტიკური ერთიანობის იდეის დამკვიდრებას ემსახურება.²⁶⁸

²⁶⁴ ლეონტი მროველის კონცეფციის საერთო-კავკასიური იდეა საფუძვლიანად დაამუშავა ზ. ალექსიძემ (ალექსიძე 1991: 79-83). სამწუხაროდ, ამ იდეის კვლევა არაერთგზის გასცდა მეცნიერულ, საერთოდ, ეთიკის ფარგლებს და ფსევდოპატრიოტულ, აშკარად იდეოლოგიზებულ კამათს დაემსგავსა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო მეცნიერებასთან. განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდნენ ზ. ალექსიძის ოპონენტები (ძირითადად, არასპეციალისტები), რომელთათვისაც მიუღებელი აღმოჩნდა მეთოდოლოგიურად გამართულ საფუძველზე დამყარებული ზ. ალექსიძის თვალსაზრისი და მას არგუმენტაციის მაგიერ ფსევდოეროვნული, სინამდვილეში კი შოვინისტური „ლოგიკით“ დაუპირისპირდნენ.

²⁶⁵ იხ. ალექსიძე 1991: 79-83; გორდეზიანი 1993; კიკნაძე 2009; მუსხელიშვილი 1977; მისივე 1980; მისივე 1999; მისივე 2003; ჩხარტიშვილი 2009.

²⁶⁶ ეს განსხვავებული თვალსაზრისები შეჯამებულია ლ. პატარიძის გამოკვლევაში (პატარიძე 2009: 133-134).

²⁶⁷ იქვე.

²⁶⁸ შდრ. „მიუხედავად სომხური წყაროების აშკარა გათვალისწინებისა, ლეონტი მროველის თხზულება ძირითადად სხვა ტრადიციას ეფუძნება. მისი ხალხთა ნუსხა ორიენტირებულია თარ-

ისტორიკოსების საქმეა იმის გარკვევა, რა საფუძველი აქვს ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკურ კონცეფციას, თარგამოსის შთამომავალთათვის უფროს-უმცროსობის სქემის შემუშავებას და ამ სქემის რეალურ (ფუნქციურ) თუ სიმბოლურ დატვირთვას;²⁶⁹ იმის დადგენას, მართლაც ედო თუ არა საფუძვლად საქართველოს ისტორიის უძველესი ეპოქის რეკონსტრუქციის მროველისეულ იდეას თარგამოსის გაბიბლიურებისა და ლეგენდარული ურარტუს „რეპრეზენტატორთან“ მისი გაიგივების ტენდენცია,²⁷⁰ მიანიშნებს თუ არა ლეონტი მროველის ეთნიკური წარმომავლობის დადგენის, ეთნოსთა მსოფლიო ოჯახში საკუთარი ადგილის დამკვიდრების მცდელობა „ეთნოკულტურული იდენტობის ფორმირების“ ახალ ეტაპზე გადასვლას და კონკრეტულად როდის უნდა მომხდარიყო ეს.²⁷¹

საერთო წარმომავლობის მითი ლეონტი მროველის საისტორიო კონცეფციის, როგორც ამბობენ, მისი „კავკასიური პროექტის“ მხოლოდ ერთი ნაწილია და იგი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ქართველთა თვითშეგნების მაკონსტრუირებელ მეორე მითთან. ესაა ქართველთა ენა. ამ უკანასკნელის ფუნქციისა და მისი, როგორც ეროვნული თვითშეგნების მარკერის, შესახებ ლეონტი მროველის „პროექტი“ კიდევ უფრო რთულ გამოცანას წარმოადგენს. ნიშანდობლივია ისიც, რომ პირველისგან (საერთო წარმომავლობის მითი) განსხვავებით, ლეონტი მროველისეული ქართველთა ენის კონცეფცია ნაკლებადაა დამუშავებული სამეცნიერო ლიტერატურაში.²⁷² გამონაკლისს წარმოადგენს ვინფრიდ ბოედერის არგუმენტაცია. ლეონტი მროველისეული ენის მითი მან რამდენიმე საფეხურად დაყო და ზუსტი ტიპოლოგიური პარალელებით დაახასიათა ეს საფეხურები. სწორედ ვ. ბოედერმა მიაგნო მროველისეული ენის კონცეფციის საკმაოდ რთულ სქემაში ქართულის, „როგორც ეროვნული სუვერენიტეტის სიმბოლოს“ არსებით როლს. ეს წარმოჩნდა ფარნავაზის საქმიანობის ლეონტი მროველისეულ შეფასებაში. შდრ. „იგი (ანუ ლეონტი მროველი) თავის ქრონიკაში საქართველოს ისტორიის ერთ არსებით მომენტს ეხება, კერძოდ, ენის, როგორც ეროვნული სუვერენიტეტის სიმბოლოს, არსებით როლს. ერთიანი ქართული სახელმწიფო როგორც ეთნიკური, ისე ენობრივი თვალსაზრისით შედეგია ისტორიული პროცესისა, რომელიც სამ ეტაპად მიმდინარეობს: ჯერ ტომობრივი, ტერიტორიული და ენობრივი ერთობა, მერე ტომობრივი, ტერიტორიული და ენობრივი განყოფა, და ბოლოს, ახალი ტერიტო-

გამოსზე, როგორც კავკასიელ ხალხთა მამამთავარზე და არა ჰაოსზე. „ქართლის ცხოვრებას“ აინტერესებს წარმოაჩინოს კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა თავდაპირველი გენეტიკური ნათესაობის იდეა, მაშინ როცა ეს მომენტი სომხურ ტრადიციაში სავსებით უყურადღებოდ არის დატოვებული“ (გორდეზიანი 1993: 9).

269 „ქართლის ცხოვრების“ ამ მონაკვეთის მიხედვით ზ. ალექსიძემ (ალექსიძე 1991: 79-83) გამოწვლილვით გააანალიზა ლეონტი მროველის მიერ აგებული კოსმოგრაფიული სურათი და ყურადღება გაამახვილა მის თანამიმდევრულ, ლოგიკურ ხასიათზე, რომელიც მამის საკუთრების უფროს შვილზე გადასვლაში გამოიხატება: მამის სამემკვიდრეო, შესაბამისად, უდიდეს და საუკეთესო ნაწილს იკავებენ უფროსი ვაჟები: ჰაოსი, თარგამოსის უფროსი ვაჟი, მცხეთოსი, ქართლოსის უფროსი ვაჟი და უფლოსი, მცხეთოსის უფროსი ვაჟი.

270 გორდეზიანი 1993: 6-10.

271 პატარიძე 2009: 162.

272 ამ თვალსაზრისით ქართველ მეცნიერთა შრომები, ძირითადად, რეფერატული ხასიათისაა და ნაკლებად აანალიზებს ლეონტი მროველისეულ საერთო ენის კონცეფციას.

რიული და ენობრივი ერთობის შექმნა, კერძოდ, ქართლისა და მისი ენის. ტერიტორიული ერთობა შედეგია იმისა, რომ სხვადასხვა ხალხები ქართლში მოიყრიან თავს. ენობრივი ერთობა ხორციელდება, ჯერ, ასე ვთქვათ, ბუნებრივად, სპონტანურად, სხვადასხვა ხალხების ერთობლივი ქმედებით (გაუგონარი მოვლენა, რომელიც არც ერთ სხვა გადმოცემაში არ შემხვედრია!), შემდეგ – სახელმწიფო ძალაუფლების მიერ, რომელიც საერთო ენაში სახელმწიფოს ერთიანობის მნიშვნელოვან გარანტს დაინახავს და აღარ დაუშვებს პრობლემატურ მრავალენოვნებას, როგორც ეს პოლიგლოტი მეფეების (და დედოფლების!) დროს იყო ფარნავაზამდე²⁷³.

ლეონტი მროველის კონცეფციაში ამ ისტორიულ პროცესს აგვირგვინებს „ჩუენი ნათესავის“, ანუ ეთნიკურად ერთიანი ჯგუფის, ჩამოყალიბება ენით შეკავშირებულ ერთობად. ამის აშკარა გამოხატულებას ხედავს ვ. ბოედერი ნახევრად სპარსული წარმოშობის მეფის, მირიანის, ქართველთა კანონიერ მეფედ აღიარების ლეგენდაში.²⁷⁴

ამ კონტექსტში ბუნებრივად დაისმის კითხვა: ბიბლიური წარმომავლობის წინაპრის ცხოვრების რომელ ეტაპებს ხედავს, უფრო ზუსტად, გამოყოფს, ლეონტი მროველი? შესაბამისად, როგორ მოარგო მან რელიგიურ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული მოდელი „ჩუენი ნათესავის“ თავდაპირველი ყოფის ამსახველ ამბებს და ეტაპობრივად აღწერა წინაპრის თავგადასავალი ბაბილონის გოდლიდან თანადროულ (XI ს.) ეპოქამდე.²⁷⁵

ვფიქრობ, ტექსტის ტიპოლოგია იძლევა საშუალებას, გამოიყოს სამი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლებზეც ლეონტი მროველი საკუთარი წინაპრის ყოფას აფიქსირებს:

ა. „ნათესავით ქართველი“ უნივერსალური ისტორიის საფეხურზე. ლეონტი მროველი აღადგენს ქართველთა ისტორიის დასაწყისი მოვლენების ფართო კონტექსტს, ანუ წინაპრის ყოფის ამსახველ „სურათებს“ უნივერსალური ერთობის დონეზე. მისი თქმით, ჩვენი ისტორია უნივერსალური ისტორიის განუყოფელი ნა-

273 ბოედერი 1998: 70-71.

274 შდრ. „ის, რომ ენა ამიერიდან ქართველებთან კავშირის ნიშანია, იქიდანაც ჩანს, რომ უფრო მოგვიანო მეფე, რომელიც ნახევრად სპარსული და ნახევრად ქართული წარმოშობისაა, თავის პატივისცემას ფარნავაზის, როგორც ქართული სამწერლობო ენის „შემოქმედის“ მიმართ და თავის სიყვარულს ქართველებისადმი ენის გამოცვლით გამოხატავს, და ეს მაშინ, როცა სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობა სწამდა, რომელიც არავითარ რელიგიურ საფუძველს არ იძლეოდა სხვებისგან, ვთქვათ, სპარსელებისგან გასამიჯნად: და აღიზარდა მირიან მსახურებასა მას შინა შვდთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა. ხოლო შეიყუარნა ქართველნი და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული. და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა და შეამკო საფლავი ფარნავაზისი. ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათვის ქმნა და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა. და შეიყუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა (ყაუხჩიშვილი 1955: 65). ეს მეფე თავისი ქართველობის ტომობრივ და რელიგიურ „არაერთმნიშვნელოვნებას“ „ერთმნიშვნელოვან“ ენობრივ ლოიალობას უპირისპირებს, რაც მას ქართველთა კანონიერ მეფედ ამტკიცებს“ (ბოედერი 1998: 71).

275 აქ იგულისხმება არა საისტორიო მწერლობის დასაწყისი რომელიც გაცილებით ადრინდელი ჩანს, ვიდრე ლეონტი მროველის ქრონიკა, არამედ XI საუკუნეში ლეონტი მროველის მიერ ნაციონალური ისტორიის დასაწყისი ამბების რეკონსტრუქცია და ნათესავის ისტორიის, როგორც უნივერსალური ისტორიის ორგანული ნაწილის, კონცეპტუალიზაცია.

ნილია: თარგამოსი, თარშის ძე, იაფეტის ძმისწული და ნოეს შვილიშვილი, ბაბილონის ამბების უშუალო მონაწილეა; გოდლის დანგრევისა და ენათა განყოფის შემდეგ თარგამოსი წამოვიდა და დამკვიდრდა ორ მთას, არარატსა და მასისს შორის. შდრ. „და იყო ესე თარგამოსი კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს ბაბილონი გოდოლი, და განეყვნეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა. და წარმოვიდა ესე თარგამოსი ნათესავითურთ მისით, და დაემკვდრა ორთა მთათა შუა კაცთშეუვალთა, არარატსა და მასისსა“.²⁷⁶

ამ თვალსაზრისით ლეონტი მროველის კონცეფცია, ისევე როგორც ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, სრულად თავსდება რელიგიური ისტორიოგრაფიის ზოგად ჩარჩოში, თუმცა აქცენტები, რომელთა გამოყოფასაც ეს ორი ტრადიცია ცდილობს, მაინც განსხვავებულია: სომხური ისტორიოგრაფიისთვის უფრო მნიშვნელოვანი ჩანს ისტორიის შორეული, თავდაპირველი საფეხური, ქართული-სთვის კი – უფრო ახლობელი, კავკასიური ერთობის საფეხური. მოსე ხორენელი, შესაბამისად სომხური ისტორიოგრაფია, ცდილობს უნივერსალური ისტორიის კიდევ უფრო ღრმა ფენიდან დაიწყოს საკუთარი წინაპრის ამბის თხრობა და ამით ლეგიტიმურობის მყარი საფუძველი იპოვოს. იგი ბაბილონის ნანგრევებში კი არ „აფიქსირებს“ პირველად სომეხთა მამამთავარს, არამედ მშენებლობის პროცესში. მისი თქმით, სომეხი ხალხის მამამთავარი, ბიბლიური თოგარმას ძე, გოლიათი ჰაიკი, ბაბილონის გოდლის გამორჩეულად ბეჯითი თანამაშენებელი იყო. ჰაიკმა გაათავისუფლა თავისი ხალხი ბელნიმროდის მონობისაგან და ნამდვილი სამშობლოსკენ წამოიყვანა. მისი შვილი, არმენაკი, სომეხი ხალხის სახელმძღვანელია.²⁷⁷

სიღრმისეული ისტორიის ეს საფეხური, ანუ ჰაიკისგან წარმოშობილი ხალხისა და მათი ენის განხილვა ეთნოსების ბიბლიური დაყოფისა და ბაბილონში ენათა წარმოშობის კონტექსტში იყო ის საფუძველი, რომელსაც ახალ დრომდე ეყრდნობოდა სომხური ისტორიოგრაფია და ამტკიცებდა, რომ „გოლიათმა ჰაიკმა სასომხეთის სამეფო იქ დააარსა, სადაც წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი დაეშვა მიწაზე, ამდენად, სომხურმა კაცობრიობის მამამთავრის, ნოეს ენა შემოინახა“.²⁷⁸

რაც შეეხება ლეონტი მროველს და ზოგადად, ქართულ ისტორიოგრაფიას, მისთვის, როგორც ჩანს, სწორედ ზემოხსენებული საერთო კავკასიური იდეა იყო ძალიან მნიშვნელოვანი; შესაბამისად, ქართველთა ისტორიის სისტემატიზატორი მეტი გულმოდგინებით, უფრო დანვრილებით, ეთნიკური, ტერიტორიული და ენობრივი მახასიათებლებით, აღწერს ქართველთა ყოფის ამსახველ ამბებს მომდევნო საფეხურზე.

ბ. უნივერსალურის შემდეგ ლეონტი მროველი აღადგენს მომდევნო, შედარებით ვიწრო, რეგიონალურ კონტექსტს, ანუ აღწერს საერთო გენეტიკური წინაპრის შვილთა და შვილიშვილთა განსახლებას და „ყოფას“ კავკასიის მასშტაბით. შდრ. „და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხვ, რამეთუ ესხნეს ცოლმრავალ ძენი და ასულნი, და შვილნი და შვილისშვილნი ძეთა და ასულთა მისთანი, რამეთუ ცხოვნდა იგი ექუსას წელ და ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა. [...]

276 ყაუხჩიშვილი 1955: 15.

277 ამგვარი ტენდენციების შესახებ ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში იხ. დობოჯგინიძე 2007გ: 92-100

278 იხ. Chamich 1827: 4-10.

ხოლო ქუეყანა იგი, რომელი წილით ზდომოდა, ესე არს საზღუარი ქუეყანისა მისი-
სა: აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა
ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია“.²⁷⁹

თარგამოსის შთამომავალთა შორის რვა გამორჩეულ გმირს ასახელებს ლეონ-
ტი მროველი: ჰაოსი, ქართლოსი, ბარბოსი, მოვაკანი, ლეკი, ჰეროსი, კავკასი და
ეგროსი.²⁸⁰ საერთო წარმომავლობის ეს ეთნოსები, ლეონტი მროველის აღწერილო-
ბის მიხედვით, ენობრივად ჭრელია, ანუ კავკასიაში მცხოვრებთა „რეგიონალური
იდენტობა“ ოდენ საერთო წინაპრით და ტერიტორიით არის მარკირებული: მამა
ერთი ჰყავთ და ერთ რეგიონში ცხოვრობენ. ამ საერთო რეგიონალურ დონეზე ეს
ეთნოსები გასაოცარი ენობრივი ნიჭით, უფრო სწორად, პოლიგლოტობით, ახერ-
ხებენ კომუნიკაციას. სულ მცირე ექვს ენაზე მეტყველებენ: სომხური, ქართული,
ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. „ესე ენანი იცოდეს ყოველთა მე-
ფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“.²⁸¹

3) და ბოლოს, ლეონტი მროველი აღადგენს უშუალო წინაპრის, „ქართველთა
ნათესავის“ ყოფის ამსახველი ისტორიის დასაწყისს (ფარნავაზის ეპოქა), რომლის
მაკონსტრუირებელი ახალი ელემენტი არის საერთო ქართული ენა მეორე, ძველ
ელემენტთან – საერთო ეთნიკურ წარმომავლობასთან ერთად.²⁸² შდრ. „ესე ფარ-
ნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან გა-
ნავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ
ქართულისა“.²⁸³

მე ისტორიკოსი არ ვარ და ლეონტი მროველის მიერ მოთხრობილი ამბების
იდენტიფიკაციას არ ვაპირებ შესაბამისი საისტორიო მეთოდოლოგიით, მე მაინტე-
რესებს ის სავარაუდო კონცეფცია, რომელიც მის ისტორიას უდევს საფუძვლად.
ვფიქრობ, უნივერსალური ისტორიის მოდელის გათვალისწინებით შესაძლებელია
გამოიყოს სამი სხვადასხვა დონე, რომლებზეც ხდება ქართველთა ისტორიის, რო-
გორც ბიბლიური საკრალიზებული ისტორიის ორგანული ნაწილის, გააზრება, ქარ-
თველთა წინაპრის ისტორიული ყოფის „დაფიქსირება“, შესაბამისად, მისი ლეგი-
ტიმაცია:

- ა. ადამიანთა საყოველთაო ერთობაში, ანუ უნივერსალური ისტორიის დონეზე,
- ბ. საერთო ეთნიკური ნიშნით გამოყოფილ ერთობაში, ანუ რეგიონალური
ისტორიის დონეზე,
- გ. საერთო ეთნიკური და ენობრივი ნიშნით ფორმირებულ ერთობაში, ანუ ნა-

279 ყაუხჩიშვილი 1955: 3.

280 „ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი,
რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქუა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარბოს,
მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექვსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს.
ესე რვანი იყვნეს გმირნი. ხოლო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგევითარი
არაოდეს ყოფილ იყო, არცა წყლის-რღუნის წინათ, და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა და
სიმჴნითა“ (იქვე).

281 ყაუხჩიშვილი 1955: 16.

282 ნაციონალური ენის ამ გამორჩეული ფუნქციის შესახებ პირველად მიუთითა ბ. ბოედერმა:
„ნათესაობა ლეონტი მროველისთვის ერთიანობის მხოლოდ ერთ, კერძოდ, ძველ ფორმას
ასაბუთებს, „საერთო ენა“ კი უფრო მტკიცების ახალი ფორმა“ (ბოედერი 1998: 70).

283 ყაუხჩიშვილი 1955: 26.

ციონალური ისტორიის დონეზე.

სხვა საკითხია, რამდენად ასახავს, ან ეხმიანება ლეონტი მროველის მონათხრობი რეალობას, მაგრამ საკუთარი ისტორიის ამგვარი გააზრება, აშკარად ჰგავს იმ დროს საყოველთაოდ გავრცელებულ მოდელს, რომელიც უსათუოდ უნდა სცოდნოდა ლეონტი მროველს და როგორც ჩანს, გამოიყენა კიდეც ნათესავით ქართველთა ისტორიის რეკონსტრუქციისთვის.

ისტორიკოსების საქმეა იმის გარკვევა, რა წყაროებს ეყრდნობოდა ლეონტი მროველი, მაგრამ საისტორიო კონცეფცია, რომლითაც ის ხელმძღვანელობს ქართველთა „ნათესავის“ თავდაპირველი ყოფის რეკონსტრუირებისას, აშკარად ჰგავს გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ბერძნულ-ლათინურ, სირიულ, სომხურ, კობტურ საისტორიო ტრადიციის ცნობილ საისტორიო კონცეფციას:

- 1) საყოველთაო ისტორიაში უშუალო მინანილეობის საფეხური,
- 2) გარდამავალი საფეხური, რეგიონალური ერთობა,
- 3) და ბოლოს, საერთო ეთნიკურ წარმომავლობასა და საერთო ენობრივ საფუძველზე დამყარებული ერთობა.

ახალი წ.ა. I საუკუნიდან მოყოლებული, ვგულისხმობ იოსებ ფლავიოსის „Ισθαικὴ Ἀρχαιολογία-ს“, რომელშიც უნივერსალური ისტორიის ეს კონცეფცია საბოლოო სახით ჩამოყალიბდა, XVIII საუკუნის ჩათვლით, ეს მოდელი იქცა ნებისმიერი დონის ერთობის მაკონსტრუირებელ ტოპოსად. როგორც ზემოთ ვახსენე, ამ ტოპოსში, ამ ტექსტში მთავარი იყო ის, რაც მოსეს რელიგიის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა: მთელი სამყარო, ყველა ენა და ყველა ეთნოსი, ერთი ადამიანის შთამომავლები არაინ; ეს ადამიანი არის ნოე და იგი იაჰვემ აკურთხა.²⁸⁴ რაც შეეხება სხვადასხვა ტრადიციის რელიგიურ ისტორიოგრაფიას, თითოეული მათგანისთვის უმნიშვნელოვანესი იყო, რამენაირად მორგებოდა ისტორიის ამ უნივერსალურ სქემას, დაემტკიცებინა, რომ მისი „ნათესავი“ ისტორიის თავდაპირველი ფენის, ბიბლიაში საკრალიზებული მოვლენების (ცვალება ნათესავთა) უშუალო მონაწილეა (შდრ. „ქართლის ცხოვრების“ შესავალი: „**ვითარ ვპოვეთ ნათესავობაჲ ქრისტესი ჴორცითა**“) და ამ გზით დაეკანონებინა საკუთარი ადგილი ბიბლიური გენიალოგიის ხეზე.

284 Borst 1957: 133.

ქართული ენის ლეგიტიმაციის საკითხი შუა საუკუნეებში

(იოვანე ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისა“) ²⁸⁵

როგორც ზემოთ აღვნიშნე, შუა საუკუნეებში ქართველთა კულტურული, რელიგიური და ნაციონალური იდენტობის საფუძვლების შექმნის ²⁸⁶ მიზნით მიმდინარე პროცესები დასრულდა ქართული ენის ორმაგი ლეგიტიმაციით: ერთი მხრივ, პოლიტიკური ლეგიტიმაცია ნაციონალური ისტორიის რეკონსტრუქციით (ლეონტი მროველი) და, მეორეს მხრივ, რელიგიური ლეგიტიმაცია ე. წ. „წმინდა ისტორიაში“ ქართულისთვის „ღირსეული“ ადგილის გამოძებნით (იოვანე ზოსიმე). ამჯერად ენის რელიგიური ლეგიტიმაციის საკითხს შევეხევი, უფრო ზუსტად, ამ საკითხის „სახელმძღვანელო“ ტექსტს.

იოვანე ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ ძველი ქართული სახოტბო პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე „თავსატეხ“ ძეგლად ითვლება. ამ თხზულების საკმაოდ გაუგებარი ქვეტექსტები და ალეგორიები ფილოლოგიური ძიების მეტად საინტერესო საგანი იყო წლების განმავლობაში. ამჯერად მე არც ამ მრავალრიცხოვანი ლიტერატურის მიმოხილვას ვაპირებ და ვერც ამ ჰიმნის გაუგებარ ქვეტექსტებზე და ალეგორიებზე ვისაუბრებ. მე შევეცდები, მოკლედ აღვწერო ის საერთო-აღმოსავლური კონტექსტი, რომელშიც ეს ხოტბა უნდა შექმნილიყო და რომლის გათვალისწინება, ჩემი აზრით, გარკვეულწილად მაინც ხსნის „ქებასთან“ დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს.

ნაწარმოებები, რომელთაც ამ კონტექსტში განვიხილავ, როგორც ქრონოლოგიურად, ისე გეოგრაფიულად საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთს; მათ არც ურთიერთგავლენის კვალი ეტყობა; ამ ტიპის სირიულ, კოპტურ, ქართულ, სომხურ თუ საეკლესიო სლავურ ძეგლებს სხვა რამ აერთიანებს: როგორც ჩანს, ისინი ინერებოდა ერთი და იმავე მიზნით, კონკრეტულ „ბრალდებაზე“ საპასუხოდ: ადგილობრივი ნაციონალური ენის რელიგიური ლეგიტიმაციის, შესაბამისად, ბერძნულთან მათი გატოლების, გათანაბრების მცდელობით. ეს იყო ქრისტიანული აღმოსავლეთის ნაციონალურენოვანი ტრადიციების პასუხი ბერძენთა შეფასებაზე, რომელიც ანტიკურობისა და შუა საუკუნეების ყველაზე ტიპური ოპოზიციის სახელითაა ცნობილი: Ἑλληνες - βαρβαροι. ეს ოპოზიცია არამარტო ბერძნების საყოველთაოდ აღიარებული კულტურული აღმატებულების სიმბოლო იყო, არამედ ბერძნულთან შედარებით ამ ენების ფუნქციური დიფერენცირების საფრთხესაც ქმნიდა. მით უმეტეს, რომ ამის პრეცედენტი უკვე არსებობდა ქრისტიანულ დასავლეთში, სადაც ჯერ კიდევ ქრისტიანობის შემოღებამდე კულტურისა და ურთიერთობის ენად აღიარებული ლათინური უმტკივნეულოდ, ყოველგვარი „გარეგანი“ ძალდატანების გარეშე იქცა დასავლეთის ერთიანი ეკლესიის უნივერსალურ ენად. ლათინურის ამგვარმა პრიმატმა, ანუ როგორც მას სამართლიანად უწოდებ-

²⁸⁵ ამ თავში წარმოდგენილი საკითხები სტატიის სახით (ქება და დიდება ქართულისა ენისა ქრისტიანული აღმოსავლეთის სახოტბო პოეზიის კონტექსტში) დაიბეჭდა ჟურნალში „სემიოტიკა“, იხ. დობორჯგინიძე 2007გ 92-100.

²⁸⁶ როგორც შესავალში ვთქვი, ეს საკითხები ცალკე მონოგრაფიაშია დამუშავებული. იხ. Doborjginidze 2009.

ბენ, „ლათინურის სპირიტუალურმა იმპერალიზმმა და საკრამენტულმა კულტმა“²⁸⁷ კი მნიშვნელოვნად შეაფერხა ადგილობრივი ნაციონალური ენების ემანსიპაციის პროცესი, მათი ქცევა სამწერლობო ტრადიციის ენებად.

როგორც ცნობილია, ენათა ამგვარ ფუნქციურ დიფერენცირებას ლეგიტიმურობას ანიჭებდა ლათინურ პატრისტიკაში შემუშავებული სამი წმინდა ენის, ანუ ტრილინგვიტას თეორია, რომელიც კაცობრიობის თავდაპირველ ენას, ებრაულს, სიბრძნისა და მეცნიერების ენას, ბერძნულს და დასავლეთ რომის იმპერიის საყოველთაო ენას, ლათინურს, გამორჩეულ სტატუსს ანიჭებდა ე. წ. „წმინდა არგუმენტების“ მოშველიებით. პირველი არგუმენტი თანაბრად ეხებოდა სამივე ენას და გახლდათ ის, რომ ქრისტეს ჯვრის ცნობილი წარწერა ებრაულად, ბერძნულად და ლათინურად იყო შესრულებული.²⁸⁸

მეორე არგუმენტი განსხვავებული იყო თითოეული ენის შემთხვევაში:

- ასაკი, რჯული (*Leges, aetas*) – ებრაულისთვის
- სიბრძნე და მეცნიერება (*Sapiens*) – ბერძნულისთვის
- რომაელთა საყოველთაო ძალაუფლება (*Imperium Romanum*) – ლათინურისთვის.²⁸⁹

ბერძნულ-ლათინური პატროლოგია ეჭვქვეშ აყენებდა ებრაული და ლათინური ენების „წმიდაობის“ საბუთებს. იგი სამართლიანად თვლიდა, რომ ლათინური ახალგაზრდა და ღარიბი ენაა,²⁹⁰ ებრაული კი საკმაოდ ვიწროდ შემოსაზღვრული

287შდრ. Gerl 1985: 327-336, აქ გვ. 327.

288ებრაულის, როგორც კაცობრიობის თავდაპირველი ენის, ლეგიტიმაცია ჯერ კიდევ ჰიერონიმესთან გვხვდება. იგი მიიჩნევს, რომ „ებრაული ყველა ენის დედაა“ (*Hieronymus, Commentarii in prophetas minores, in Sophoniam*. იხ. CCL 76: 708), რომ ბაბილონის გოდლის მშენებლობამდე, ანუ ენათა ბუნებრივი ისტორიის დასაწყისამდე, მხოლოდ ებრაულ ენაზე ლაპარაკობდნენ (შდრ. Hieronymus, *Opera exegetica 1/1: Hebraicae quaestiones*, იხ. CCL 72: 14). რაც შეეხება ებრაულის, ბერძნულისა და ლათინურის, როგორც წმინდა ენების ლეგიტიმაციას ქრისტეს ჯვრის სამეწოვანი წარწერის მიხედვით, წყაროებში იგი VI საუკუნიდან ჩნდება. პირველი ძეგლი, რომელიც სამი წმინდა ენის პრიმატს აღიარებს, არის ისიდორე სევილელის თხზულება „ეტიმოლოგიები“ (*Reydellet 1984: 33*): „*Tres sunt autem linguae sacrae: hebraea, graeca, latina, quae toto orbe maxime excellunt. His enim tribus linguis super crucem Domini a Pilato fuit causa eius scripta. Vnde et propter obscuritatem Sanctarum Scripturarum harum trium linguarum cognitio necessaria est, dum at alteram recurratur dum siquam dubitationem nominis uel interpretationis sermo unius linguae adtulerit*“ (არსებობს სამი წმინდა ენა, ებრაული, ბერძნული და ლათინური, რომლებიც მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტად გამორჩეულია. სწორედ ამ სამ ენაზე იქნა დაწერილი პილატეს მიერ უფლის ჯვარზე მისი განაჩენი. ამის გამო, ისევე როგორც წმინდა წერილის გამომხატველობით საშუალებათა მიფარულების გამო, აუცილებელია ამ სამი ენის ცოდნა, რათა მეორე ენას მიმართო, თუკი ერთ ენაზე გამოთქმა და ინტერპრეტაცია საეჭვო ჩანს).

289შდრ. „*Hae quippe tres linguae ibi prae ceteris eminebant: hebraea propter Iudaeos in Dei Lege gloriantes; graeca propter Gentium sapientes; latina propter Romanos multis ac pene omnibus jam tunc gentibus imperantes* (ეს სამი ენა იქ აღმატებული იყო ყველა სხვა დანარჩენზე, ებრაული, იმიტომ რომ ებრაელებისთვის საამაყოა რჯულის ქონა [ებრაულ ენაზე], ბერძნული, ვინაიდან ბერძნებს [ბრძენი ადამიანები ჰყავთ], და ლათინური, ვინაიდან რომაელები უკვე მაშინ ძალიან ბევრ, თითქმის ყველა ხალხზე ბატონობდნენ). *Augustinus, In Iohannis Evangelium, CCL 36, გვ. 653.*

290ლათინურის ფაქტობრივი ძალაუფლების მიუხედავად, შუა საუკუნეების ლათინურენოვან პატრისტიკაში საკმაოდ მყარია აზრი იმის შესახებ, რომ ებრაულთან და ბერძნულთან შედარებით საკმაოდ ახალგაზრდა ლათინური სემანტიკურ-გამომხატველობითი საშუალებების მიხედვით ღარიბია. შდრ. (*Hieronymus, Epistulae LXXI-CXX, CSEL 55, გვ. 395*) „*Tibi enim meum*

ერთობის, იუდაიზმის, იდენტობის სიმბოლოა და არა ქრისტიანული უნივერსალიზმის. ამ კონტექსტში იგი შეიძლება აღქმული ყოფილიყო, როგორც ქრისტეს გზით გადაღებული წარსულის პატივსაცემი რელიქტი და ამდენად, მას წმინდა ენის არა რეალური, არამედ საპატიო „ტიტული“ უნდა რეგებოდა;²⁹¹ ერთადერთი ენა, რომელსაც ძალუძს სრულყოფილად გამოთქვას ამ რელიგიის საიდუმლო, არის ბერძნული, წერდა ბასილი დიდი თავის 214-ე ეპისტოლეში: „Περὶ δὲ τοῦ, ὅτι ὑπόστασις καὶ οὐσία οὐ ταυτὸν ἐστὶ, καὶ αὐτοί, ὧς νομίζω, ἵπασθαι αὐτὸ οἱ ἀπὸ τῆς Δύσεως ἀδελφοί, ἐν οἷς τὸ στενὸν τῆς ἑαυτῶν γλώττης ὑπορᾶσμενοι, τὸ τῆς οὐσίας ὄνομα τῇ Ἑλλάδι φανῇ παραδεδᾶκασι.“²⁹²

ამგვარი კონკურენციის პირობებში, როცა თვით ებრაულსა და ლათინურსაც კი უჭირდათ ბერძნულის რეალური კულტურული ავტორიტეტის გვერდით დამკვიდრება, განსაკუთრებით მწვავედ იდგა აღმოსავლეთ ქრისტიანობის ნაციონალურ ენათა ბერძნულთან თანასწორობის საკითხი. ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ენები, კოპტური, ეთიოპური, ქართული, სომხური, საეკლესიო სლავური, მისიონირებასთან ერთად სამწერლობო ტრადიციების, შესაბამისად, ლიტურგიისა და ბიბლიის ენებად იქცნენ, ზოგადად, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში დამკვიდრდნენ, კონკურენციას ვერ უწევდა ბერძენთა კულტურულ აღმატებულობას, შესაბამისად, ვერ ანეიტრალებდა ოპოზიციას: „Ἡλλυες - βάρβαροι. ἰμ ὡδιδესι კულტურული ნახტომის მიუხედავად, რასაც დამწერლობის შექმნა და სალიტერატურო ტრადიციების დანყება ჰქვია, რეალურად ეს ენები ურთულესი პრობლემის წინაშე იდგნენ – მათ, შედარებით ნაკლები გამოცდილების მქონე ენებს, სრულყოფილად და, რაც მთავარია, ორიგინალის „ხატად და მოქცევად“ (ეფრემ მცირე) უნდა გადმოეღოთ ფილოსოფიასა და რიტორიკაში განაფულ ბერძნულ ენაზე შექმნილი ტექსტები.

ამგვარ პირობებში თვითდამკვიდრებისა და ლეგიტიმაციისათვის ეს ენები ორ უმთავრეს გზას ირჩევდნენ:

1. ისინი არ უარყოფდნენ, რომ მათი ენა ღარიბია, „უღონოა“,²⁹³ მაგრამ ეს „აღიარება“ ენის ფუნქციური სფეროების შეზღუდვას კი არ ნიშნავდა, როგორც ეს ქრისტიანულ დასავლეთში,²⁹⁴ პირიქით, სწორედ მშობლიური ენის სიღარიბე განაპირობებდა მწერალ-მთარგმნელთა სწრაფვას, ღარიბი მშობ-

sudavit ingenium et facundiam Graecam Latinae linguae uolui paupertate pensare. Neque vero, ut disertii interpretes faciunt, uerbum uerbo reddidi nec adnumeraui pecuniam, quam michi per partes dederas, sed pariter appendi, ut nihil desit ex sensibus, cum aliquid desit ex uerbis (შენთვის დავშვერი და მსურდა, რომ ბერძნული ენის სიმდიდრე ღარიბ ლათინურ ენაში მომეთავსებინა).

291 ამ და სხვა საკითხების ანალიზი შესაბამისი ბერძნულ-ლათინური წყაროების მიმოხილვით იხ. Hille-Coates 2000: 129-147.

292 Basilus Caesariensis, Epistula CCXIV: Terentio comiti, 4 (PG 32: 789).

293 შდრ. ერთ-ერთ თარგმანზე დართული კომენტარი: „შეისწავე, რამეთუ ორსახე არს ბერძნულად სახელი სულისაჲ: ფსიქი, რომელი უმეტესსა ადგილსა სამშენველისა წილ დადებულ არს პავლესა შინა, და კუალად – პნევმა, რომელი-ესე თვთ თავადის სულისა არსებასა უწოდიან და წმიდისათჳს იგივე ითქუმი. ხოლო ქართველთა უღონოებისაგან ერთი სახელი აქუს სულისაჲ.“ (ხელნაწერი A. 217, 322.r).

294 ამის შესახებ იხ. Doborjginidze 2003b: 119-140.

ლიური ენა ინტენსიური სალიტერატურო-მთარგმნელობითი საქმიანობით „ბერძულისადა მიეყვანათ“ (ეფრემ მცირე).

2. ეს ენები ცდილობდნენ, საკუთარი ისტორიული წარსულიდან გამოეძებნათ წმინდა ენების ბადალი არგუმენტები და ამით მათი ლეგიტიმურობა, ბერძნულთან მათი თანასწორუფლებიანობა დაემტკიცებინათ.

როგორც უკვე ვახსენე, ლეგიტიმაციის პირველი გზა – ერთი მხრივ, ქართულის ფუნქციური სფეროების გაფართოება, მისი ქცევა, ლიტურგიის, სამწერლობო ტრადიციის, ფილოსოფიის, თეოლოგიის, ზოგადად, სახელმწიფო ენად (ფუნქციური ლეგიტიმაცია), და, მეორე მხრივ, თარგმანის მეშვეობით ნაციონალური ენის გამომსახველობით საშუალებათა გამდიდრება, სამეცნიერო ენის, ტერმინოლოგიის შექმნა, ღარიბი ენის ქცევა „გონიერთა ხედვათა მომმარჯვე“ ენად²⁹⁵ (თვისობრივი ლეგიტიმაცია) – ამ ნაშრომის წინა ეტაპია და მონოგრაფიულადაა დამუშავებული.²⁹⁶ ამჯერად შევეხები მეორე გზას – ენის რელიგიურ ლეგიტიმაციას, ბერძნულთან საკრალური არგუმენტებით გატოლების მცდელობას. ეს უკანასკნელი არის სწორედ ის საერთო ნიშანი, რომლის მიხედვითაც ქრისტიანული აღმოსავლეთის ზემოთ დასახელებულ ტექსტებს ერთ სიბრტყეზე განვიხილავ.

ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტი სათქმელი სირიელებს ჰქონდათ, და ვინაიდან აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან ერთად ისინიც ოპოზიციის: *ἡλλήνες - βάρβαροι* მეორე ნაწილში იგულისხმებოდნენ, ბუნებრივია, აქტიურად კამათობდნენ წმინდა ენების განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ და სირიულისთვისაც ასახელებდნენ ამავე რანგის არგუმენტებს.

სირიელთა მთავარი სამიზნე იყო სამი წმინდა ენის პირველი სალეგიტიმაციო ფაქტორი, ქრისტეს ჯვრის სამენოვანი წარწერა: „იესო ნაზარეტელი მეფე იუდეველთა“. ზემოთ არაერთგზის ნახსენები თხზულება „განძთა ქუაბი“, რომელიც ეფრემ ასურს მიეწერება და შემონახულია სირიული და არაბული ვერსიებით, ეჭვქვეშ აყენებს ამ არგუმენტს და თვლის, რომ ებრაულად, ბერძნულად და ლათინურად შესრულებული ეს წარწერა სულაც არ მეტყველებს ამ ენების სასარგებლოდ, პირიქით, იგი არის ნიშანი იმისა, რომ ამ ხალხებს წილი მიუძღვით მესიის ჯვარცმამი: ამას განასახიერებს პეროდე ბერძენი, კაიფა ებრაელი და პილატე რომაელი. სამართლიანია, რომ სირიული ენა არაა მათ შორის, ვინაიდან სირიელებს არავითარი ბრალი არ უდევთ ამ ტრაგედიაში. ამის მოწმეა ედესის მეფე ავგაროზი, რომელსაც სურდა შესულიყო იერუსალიმში და დაენგრია იგი იმ მიზეზით, რომ ებრაელებმა ჯვარს აცვეს მესია.²⁹⁷

295 შდრ. „და აღვიშურვე ტომისათჳს გუარათა ჩემთასა მე მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეჲ მდაბიორთაგან“ (ყაუხჩიშვილი 1940: 107, 220).

296 იხ. Doborjginidze 2000: 169-184; Doborjginidze 2003a: 149-170; Doborjginidze 2003b: 119-140; დობორჯგინიძე 2007ა: 161-176; დობორჯგინიძე 2007ბ: 145-163; Doborjginidze 2008: 193-212; დობორჯგინიძე 2009ა: 13-29; Doborjginidze 2009.

297 შდრ. „Und warum schrieb Pilatus kein Wort Syrisch darauf? Deshalb, weil die Syrer keinen Anteil hatten an dem Blute des Messias. [...] Er wollte nicht eine Lüge schreiben, wie ungerechte Richter tun, sondern er tat, wie es geschrieben steht im Gesetze des Moses: Die, so die Gerechten verdammen (Sprüche 17, 15); nach ihrem Namen als Mörder Gottes sollten eben sie zuerst daselbst Hand an ihn legen. Und Pilatus schrieb es und heftete es oberhalb von ihm (dem Messias) an: Den getötet haben Herodes, der Grieche, und Kaiphas, der Jude, und Pilatus, der Römer. Die Syrer aber haben keinen Anteil an seinem

სირიელები ებრაული ენის სინმინდის არგუმენტსაც (ებრაული თავდაპირველი ენაა) უწევდნენ კონკურენციას და ამტკიცებდნენ, რომ არა ებრაული, არამედ სწორედ სირიულია უპირველესი ენა. ამ საკითხებს დაწვრილებით მიმოიხილავს მეექვსე საუკუნის აღმოსავლეთ მესოპოტამიელი უცნობი ავტორის თხზულება, „ენათა და ხალხთა ისტორიის დასაწყისი: „პირველი ენა, რომლითაც ღმერთი ადამის მოდგმას ელაპარაკებოდა, იყო სუფთა და დახვეწილი სირიული. ებრაული არ ეკუთვნის ბაბილონის გოდლის მშენებლობის შემდეგ განყოფილ სამოცდაათ იდიომათა რიცხვს, ვინაიდან იგი პირველად აბრაამა შემოიტანა, როგორც არამეულისა და ქანაანურისაგან შექმნილი იდიომა. ამიტომაც ვამბობთ ჩვენ, რომ ებრაული სხვადასხვა ენებისაგან შედგენილი ხელოვნური ენაა. რაც შეეხება საკუთრივ ღმერთის ენას, იგი, რა თქმა უნდა, სირიული არ ყოფილა, არამედ ზეადამიანური იდიომა იყო, ენა, რომლითაც ღმერთი ანგელოზებს ელაპარაკებოდა“.²⁹⁸

თვალსაზრისი, რომ სწორედ სირიულია კაცობრიობის თავდაპირველი ენა, კარგად იყო ცნობილი აღმოსავლეთის ხალხთა,²⁹⁹ მათ შორის ქართველების, რელიგიურ ისტორიოგრაფიაში. ზემოთ ნახსენები ჯუანშერის თხზულება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ დაწვრილებით აღწერს ბაბილონის გოდლის ამბებს და თავდაპირველი ენის დაშლას:

„და იქმნა ყოველი კაცი თვთო ნათესავი მეტყუელ თვთო ენასა და არღარა ერჩიდეს ურთიერთას პირსა მოყუსისა თვისსა და წარვიდეს. და დაუტევეს ყოველთა ქალაქი და წარვიდეს. და დაუტევნა ჰინდურად მზრახვალნი ჰინდოეთს, სინდნი – სინდეთს, ჰრომნი – ჰრომს, ბერძენნი – საბერძნეთს, აგ და მაგუგ – მაგუგეთს, სპარსნი – სპარსეთს. ხოლო პირველი ენა ასურებრი იყო“.³⁰⁰

„განძთა ქუბაის“ ძველი ქართული ვერსია, ანუ „ქართლის ცხოვრების“ შესავალი ბიბლიური სამოცდათორმეტი ენის კონტექსტში ახსენებს სირიულს, როგორც კაცობრიობის თავდაპირველ ენას. შდრ. „შემოკრბეს ყოველნი ტომნი ნოესნი და შვილნი, სემ ქამ და იაფეთ და არფაგსად და ფალეგ და იოვათ [...] და იყო სიტყუა მათი ერთ და /ერთსა/ ენასა ზრახვიდეს ადამისითგან ვიდრე მუნ დღემდე, ენასა ასურულსა ფრიად ვრცელსა [...] და არს იგი მეფე ყოვლისა ენისა. [...] ხოლო დღეთა ებერასთა, რაჟამს აღაშენეს გოდოლი ბაბილოვანს, მუნ შეირივნეს ენანი და განიბნივნეს ყოველნი პირსა ქუეყანისასა. და ეწოდა ამისთჳს ადგილსა მას ბაბილოვანი. და შემდგომად განყოფასა ენათასა მოკუდა ებერა... და დაფლეს ძეთა

Tode; dafür ist Abgar, der König von Edessa, Zeuge, der nach Jerusalem heraufziehen wollte, um es zerstören, darum, dass die Juden den Messias gekreuzigt hatten“ (Bezold 1981: 70).

298 Bezold 1981: 29, 71.

299 აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს ადგილობრივი ენების დამკვიდრებისა და ბერძნულთან მათი ურთიერთობის საკითხებს უმნიშვნელოვანესი შრომები უძღვნა ვ. ბოდერმა. აქ დაეასახელებ ზოგიერთ მათგანს: Boeder 1983: 85-95; Boeder 1994: 66-84; Boeder 1997: 183-209; Boeder 1998: 68-81. ამ შრომებით დიდად დავალებულია ყველა ქართველი ავტორი, ვინც მეტნაკლებად შეეხო ამ საკითხებს. სწორედ მის შრომებში წამოჭრილმა პრობლემატიკამ, მის მიერ დასმულმა უაღრესად საინტერესო კითხვებმა განაპირობა ჩემი დაინტერესება ამ პრობლემებით. წლების განმავლობაში მასთან ნაყოფიერი თანამშრომლობის, ძველი ქართული ტექსტების თარგმნასა და ინტერპრეტაციაში უანგარო დახმარებისთვის მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ბატონ ვინფრიდს.

300 ჯუანშერი, ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, იხ. ყაუხჩიშვილი 1955: 162-163.

მისთა რაგავ და სეჟორა სოფელსა, რომელსა ეწოდა მეხლინ, ... და მიერთგან იქმნა ქუეყანა სამეოცდაათ ენათა და სამეოცდაათ მთავრად. და ყოველსა ენასა დაადგინეს მეფე“.³⁰¹

სირიელები არც მეცნიერებითა და სიბრძნით წმინდა ენად აღიარებულ ბერძნულთან დარჩენილან „ვალში“ და ამაყად აცხადებდნენ, რომ ბერძენებმა სიბრძნისა და მეცნიერების თავი და თავი – ანბანი – ფინიკიელებისაგან ისწავლეს, ე.ი. გარკვეულწილად სწორედ სირიელებისაგან არიან დავალებულნი.³⁰² მათი თქმით, ამ არგუმენტების მიხედვით სირიული უფრო წმინდაც კია, ვიდრე ებრაული, ბერძნული ან საკმაოდ საეჭვო და არაპრესტიჟული არგუმენტით (Imperium Romanum) გამორჩეული ლათინური.

ისტორიული და რელიგიური არგუმენტებით თავისი გამორჩეულობის დამტკიცებას ცდილობდნენ აღმოსავლეთ ქრისტიანობის სხვა ენებიც, მათ შორის, კოპტური, სომხური, ქართული და საეკლესიო სლავური. ის ფაქტი, რომ მთელ არაბულ სამყაროში ქრისტიანობა არა ადგილობრივ არაბულ ენებზე, არამედ კოპტურად გავრცელდა, მას მნიშვნელოვნად განასხვავებდა საერთო აღმოსავლური მოდელისგან. კოპტურმა ამ სივრცეში ლათინურის მსგავსი რელიგიის „საყოველთაო“ ენის ფუნქცია შეასრულა, რითაც იგი მისიონირების თავდაპირველ წესს აგრძელებდა. კოპტურის მსგავსად სლავურ სამყაროში საყოველთაო რელიგიის ენის ფუნქცია ჰქონდა საეკლესიო სლავურსაც, რომელიც ბეჯითად ცდილობდა დაეცვა საკუთარი უფლება, ყოფილიყო ბიბლიის თარგმანის, ლიტურგიისა და საერთოდ, რელიგიის ენა.³⁰³

მშობლიური ენის განსაკუთრებულობისა და სინმინდის არგუმენტებს დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ სომეხი ავტორებიც. მოსე ხორენელს დიდი სასომხეთის ისტორია ბაბილონის გოდლის მშენებლობიდან და ენათა და ხალხთა განყოფის ამბებიდან გამოჰყავს. მისი თქმით, სომეხი ხალხის მამამთავარი, ბიბლიური

301 თაყაიშვილი 1906: 812-813.

302 შდრ. „Vor allem aber stellt sich die Frage, warum die Volkssprache über die verständliche, wenn auch am lateinischen Westen gemessen _ keineswegs selbstverständliche Praxis hinaus ein solches Gewicht bekam: Was bringt z. B. Theodoret aus Antiocheia im 5. Jh. dazu, zu betonen, dass die Wahrheit nicht nur bei den Hellenen, sondern auch bei den Barbaren zu suchen sei? Was veranlaßt ihn, die besondere Dignität des Orients historisch abzuleiten? Z.B. festzustellen, dass die Griechen das Alphabet schließlich von den Phöniziern haben, also gewissermaßen aus Syrien, und vor allem: dass das Syrische und nicht etwa das Hebräische die älteste und erhabenste Sprache der Menschheit sei“ (Boeder 1983: 91).

303 შდრ. სლავი ხალხის მისიონერების, კონსტანტინესა და კირილეს ცხოვრებაში აღწერილია ეპიზოდი, თუ როგორ გაჩერდა რომში მიმავალი კირილე ვენეციაში. მასთან შეიკრიბნენ ეპისკოპოსები, მღვდელთმთავრები და ბერები. სასულირო პირებმა კირილეს უსაყვედურეს იმის გამო, რომ მან სლავებს საკუთარი ანბანი და ლიტურგია შეუქმნა, მაშინ როცა მხოლოდ სამ ენაზე – ებრაულად, ბერძნულად და ლათინურად – იყო ლეგიტიმირებული ლიტურგიის ჩატარება. სლავების მოციქულს გაუკვირდა მათი პრეტენზია და მიუგო მათ: როგორ არ გრცხვენიათ, მარტო სამ ენას რომ აღიარებთ და სხვა ხალხებს აიძულებთ, ყრუები და ბრმები იყვნენ? რა, გგონიათ, რომ ღმერთს არ შეეძლო მათთვის ეს ერუქებიანა? თუ ფიქრობთ, რომ ღმერთი შურიანია და ვერ გაიმეტებდა სლავებისთვის ამას (იგულისხმება ბიბლიის თარგმანი და ლიტურგია ადგილობრივ ენაზე)? ჩვენ ვიცნობთ ბევრ ხალხს, რომელთაც სამწერლობო ტრადიციები აქვთ ღმერთს ადიდებენ საკუთარ ენაზე. ესენი არიან: სომეხები, სპარსელები, აბაზგები, იბერები, ზუგდები, გოთები, ავარები, ტურსიელები, ხაზარები, არაბები, ეგვიპტელები, სირიელები და მრავალი სხვა. იხ. Schütz (Hg.) 1985: 71-72.

თოგარმას ძე, გოლიათი ჰაიკი, ბაბილონის გოდლის თანამაშენებელი იყო. ჰაიკმა გაათავისუფლა თავისი ხალხი ბელნიმროდის მონობისაგან და ნამდვილი სამშობლოსკენ წამოიყვანა. მისი შვილი, არმენაკი, სომეხი ხალხის სახელმძღვანელოა. მოსე ხორონელის ამ სიუჟეტს დაბეჭდვით იმეორებს მომდევნო პერიოდის სომხური საისტორიო მწერლობა და მას არაერთ საინტერესო ისტორიას უმატებს. IX-X საუკუნეების სომეხი მწერალი, კათოლიკოსი იოვანე VI (835-925), XII საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი, ვარდან არველცი, სომხური ენის წარმოშობას უშუალოდ უკავშირებენ ბაბილონში თავდაპირველი ენის დაშლას და ხოტბას ამხამენ მას, როგორც კაცობრიობის ენათა გვირგვინს:

„ამის შედეგად (თავდაპირველი ენის დაშლა იგულისხმება) მრავალი სიკეთე იქმნა, [...] პირველი უხეში ენისაგან წარმოიქმნა რბილი ელინთა [ენა], მაგარი რომაელთა, მრისხანე ჰუნთა, მვედრებელი ასურთა, მრავალფეროვანი სპარსთა, ლამაზი ალანთა, სასაცილო გუთთა, ყრუ ეგვიპტელთა, ჟღერტულა ჰინდოთა, ყოვლად შემკული და სასიამოვნო სომეხთა.“³⁰⁴

სომხეთისა და სომხური ენის განხილვა ბიბლიური „წმინდა ისტორიისა“ და თავდაპირველი ენის ბუნებრივ ენებად დაყოფის კონტექსტში იყო ის საფუძველი, რომელსაც ახალ დრომდე ეყრდნობოდა სომხური ისტორიოგრაფია და საკუთარი ენის გამორჩეულობის არგუმენტად ასახელებდა: „გოლიათმა ჰაიკმა სომხეთის სამეფო იქ დააარსა, სადაც წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი დაეშვა მიწაზე, ამდენად, სომხურმა კაცობრიობის მამამთავრის, ნოეს ენა შემოინახა“.³⁰⁵ ამ არგუმენტით იგი ისეთივე გამორჩეული და წმინდაა, როგორც ებრაული, ბერძნული ან ლათინური.

აქ კიდევ მრავალი არგუმენტის დამოწმება შეიძლებოდა ძველი ბულგარულისა თუ საეკლესიო სლავურის ისტორიიდან იმ საერთო აღმოსავლურ-ქრისტიანული კონტექსტის საჩვენებლად, რომელშიც უნდა შექმნილიყო იოვანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, ან ვარდან არველცის სომხური ენის ქება.³⁰⁶

იოვანე ზოსიმეს მიერ ქართულის სასარგებლოდ „ქებაში“ გამოთქმული არგუმენტის უაღრესად საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს ვ. ბოედერი ზემოთ დასახელებულ სტატიამ „ქართველთა ენა და ვინაობა“. მართლაც საკმაოდ მარჯვედ და მოხერხებულად გამოიყურება ის გზა, რაც ზოსიმემ აირჩია: მან წმინდა ენების ბადალი არგუმენტი ქართულისათვის საქართველოს და, შესაბამისად, ქართული ენის ისტორიიდან კი არ მოიტანა, არამედ ესხატოლოგიური მომავლიდან: თუ თავდაპირველობა ებრაულისთვის მისი სინწინდის არგუმენტია, ქართულისთვის ამის ბადალ არგუმენტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სწორედ ქართული იქნება განკითხვის და, შესაბამისად, კაცობრიობის უკანასკნელი ენა. თუ თავისი პირველი სიტყვა კაცობრიობამ ებრაულად წარმოთქვა და ამით ეს ენა წმინდააა აღიარებული, უკანასკნელი ენა სწორედ ქართული იქნება.³⁰⁷ ცოტა უხეშად რომ ვთქვათ,

304 ვარდან არველცი, *მსოფლიო ისტორია*. იხ. კვაჭანტირაძე, შოშიაშვილი 2002: 40.

305 შდრ. Chamich 1827: 4-10.

306 ორივე მათგანს ეხება თ. გამყრელიძე. იხ. გამყრელიძე 2001: 420-429; ასევე ბოლქვაძე 2005: 74-89.

307 შდრ. „აშკარაა, ჯერ ერთი, ის, რომ ქართული ენა სპეციფიკურ სარწმუნოებრივ კონსეკრაციას იღებს – რადგან განკითხვის დღის ენა ხდება და საღმრთო (?) საიდუმლოთა მა-

ეს არგუმენტი საკმაოდ დაცულია და მოუხელთებელი; მართალია, მსჯელობით მისი დასაბუთება ვერ მოხერხდება, მაგრამ სანამ დამტკიცება ვერ მოხერხდება, მისი უარყოფაც შეუძლებელია.

როგორც უკვე ვთქვი, ნაციონალური ისტორიის რეკონსტრუქცია ენის პოლიტიკური ლეგიტიმაციის აუცილებელი პირობა იყო. შესაბამისად, ქართული ტრადიცია ბაბილონისდროინდელ ამბებთან უშუალო კავშირში განიხილავს ამ საკითხებს. იგი თარგმნის ბიბლიური გენიალოგიის კანონიკურ ტექსტებს, დიამერიზმების სირიულ თუ ბერძნულ ვერსიებს, ქართულ ისტორიოგრაფიაში ამკვიდრებს კაცობრიობის ისტორიის დასაწყისის, როგორც ლეონტი მროველი ამბობს, „ნათესავთა ცვალების“ ოფიციალურ ვერსიას და ლეგიტიმურობას ანიჭებს ქართველთა მოდგმისა და მათი ენის ღვთაებრივი წარმომავლობის იდეას: „ვითარ ვპოვეთ ნათესავობაჲ ქრისტესი ჴორცითა“ (განძთა ქუაბი). ენის საკრალიზაცია, კონკურენტულ ენობრივ გარემოში (ბერძნული – ქართული) მისი ფუნქციური და თვისობრივი ლეგიტიმაცია, აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს დომინანტ ენასთან მისი გატოლება, ეთნიკური წარმომავლობის კანონიზაციასთან ერთად, შუა საუკუნეებში „ჩუენი ნათესავის“ თვითშეგნების მაკონსტრუირებელ ელემენტებს ქმნის. სწორედ ენის გზით ერთობა აქცევს ეთნიკურად და ტერიტორიულად შეკავშირებულ ნათესავს „ჩუენ ნათესავად“.³⁰⁸

სამართლიანად მიიჩნევა ქართული კოლექტიური კულტურული იდენტობის მკვლევართა ჯგუფი,³⁰⁹ რომ X-XI საუკუნეებში ჩამოყალიბდა „მტკიცე შიდა სოციალური შეჭიდულობის მქონე საქართველო-კოლექტივი, ანუ პრემოდერნული ქართული ნაცია, ხოლო XIX საუკუნეში ამ უკანასკნელს დაეფუძნა მოდერნული ქართული ნაცია“.³¹⁰ მართალია, საკამათოა ამ ჯგუფის ზოგიერთი არგუმენტაცია,³¹¹ მაგრამ ეთნოსიმბოლი-

ტარებელი – ფუნქციას, რომელიც იოვანე ზოსიმეს აზრით, ქართულს ბიბლიური წინასწარმეტყველებით დაჰკისრებია. ქართულის ბოლო ენად გამოცხადება შებრუნებაა ხშირად გამოთქმული აზრისა ამა თუ იმ ენის პირველობის და საწყისობის შესახებ. ატრიბუტი, რომლითაც ზოსიმემ ქართული ძნელ კონკურენტიაში მოახვედრა წმინდა ენებთან – ებრაულსა, ბერძნულსა და ლათინურთან. მეორე – ქართული ანბანი თამაშობს მნიშვნელოვან როლს (თუმცა მსჯელობა ცალკეული ასო-ნიშნის შესახებ მთლად გასაგები არაა) – ზუსტად იმ ვარაუდების შესატყვისს, უადრესი ხანის შესახებ რომ გამოვთქვით. მესამეც, სიმდაბლე და „დანუეხულობა“ ქართულისა იმ პრობლემატიკის ერთ ნაწილად წარმოგვიდგება, რომელიც ამ უჩვეულო ლიტერატურული ძეგლის მთავარი მოტივი უნდა იყოს. თუმცა არ ვიცი, რა სახის დამდაბლება-დაჩაგვრას გულისხმობს ზოსიმე“ (ბოედერი 1998: 66).

308 შდრ. „ჩვენ-ჯგუფის“ ფორმირების როლი ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში. ქართველთა კოლექტიური კულტურული იდენტობის შესახებ იხ. პატარიძე 2009: 105-131, ჩხარტიშვილი 2009: 23-34.

309 ამ ჯგუფის ჩამოყალიბება გაფორმდა სამეცნიერო ნაშრომთა სერიის დაარსებით: „ქართული ერთობა და მისი იდენტობა: იდეები, სიმბოლოები, პერცეფციები“. ამ სერიის პირველი პროექტი პროფესორ ლელა პატარიძის ხელმძღვანელობით განხორციელდა. კოლექტიური კულტურული იდენტობის კვლევის შედეგები ჯგუფმა სამი მონოგრაფიით წარმოადგინა იხ. პატარიძე 2009; ჩხარტიშვილი 2009; კიკნაძე 2009.

310 ჩხარტიშვილი 2009: 9.

311 ეს განსაკუთრებით ეხება მ. ჩხარტიშვილის არგუმენტაციას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რომელთაგან განსაკუთრებით საკამათო მგონია მისი მოსაზრებები „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თავდაპირველი ვერსიის შექმნის ქრონოლოგიური ჩარჩოს შესახებ, წმინდა ნინოს ეპითეტის მიხედვით იოვანე ზოსიმეს „ქებაჲს“ დათარიღებასთან დაკავშირებით; ასევე მისი მოსაზრება, რომ ქართული იდენტობის გამოკვეთის შესაფერისი დრო შეიძლებოდა IV საუ-

სტური პარადიგმის ჩარჩოებში ეთნიკ ქართლის, როგორც კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის, განხილვა,³¹² სამეფო ხელისუფლების წიაღში შექმნილი ისტორიოგრაფიული ტრადიციის, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ იდეოლოგიური დანიშნულებისა და მისი, როგორც „ახალი ჟამის“ შესახებ აპოლოგეტური ტექსტის კვლევა,³¹³ ქართული ისტორიოგრაფიის სრულიად განსხვავებული, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ნაკლებად ნაცადი, პერსპექტივაა და იგი მართლაც იძლევა ქართული იდენტობის მრავალპლანიანი სურათის ახლებურად გააზრების საშუალებას.

პრემოდერნული ქართული ერთობის ტექსტური კორპუსის კვლევის კონტექსტში გამოწვევით უნდა იქნას შესწავლილი არა მარტო ენის, ეთნიკური წარმომავლობის, ისტორიის რეკონსტრუქციისა და ლეგიტიმაციის ოფიციალური ვერსიები, არამედ მთლიანად რელიგიური ისტორიოგრაფიის კონცეპტუალურ ტექსტებში, დიამერიზმების რუბრიკებში, კანონიზებული ელემენტები თუ ფაქტორები (კუთვნილი ტერიტორიების, დიდი ქალაქების, მთების, ზღვების, მდინარეების, კლიმატური ზონების ლეგიტიმაცია).

ნაციონალური ენის საკრალიზაციისა და რელიგიური ლეგიტიმაციის მნიშვნელოვანი ატრიბუტი იყო მისთვის ღვთაებრივი მფარველის, პატრონის დაკანონება. ამ თვალსაზრისით ყველაზე გავრცელებული და კარგად დოკუმენტირებული ტრადიცია ღვთისმშობელს უკავშირებს ქართული ენის მფარველობას; ეს უკანასკნელი კი სასწაულებში ვლინდება.³¹⁴ ამგვარი პატრონაჟი ლეგიტიმურობის კიდევ უფრო მაღალ ხარისხს ანიჭებს ენას. „იოვანეს და ექვთიმეს ცხოვრებაში“ ეს პატრონაჟი კულმინაციას აღწევს: ღვთისმშობელი არა მარტო ანიჭებს „განრღვეულ“ ექვთიმეს ქართულად მეტყველების უნარს, თავადაც საუბრობს ქართულად:

„ანცა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქუა მე, ვითარმედ: რაჲ არს, რაჲ გელმის, ეფთჳმე? ხოლო მე ვარქუ: მოვკუდები, დედოფალო. და ვითარცა ესე ვთქუ, მომეახლა და მიპყრა ჴელსა და მრქუა: არარაჲ არს ვნებაჲ შენთანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ჴსნილად უბნობდი. და აჰა, ესერა, ვითარცა მხედავ, ყოვლადვე არლარაჲ მელმის. და იტყოდა ნეტარი იოვანე ვითარმედ: მუნ ჟამადმდე ძნიად უბნობნ ქართულად, და ფრიად მწუხარე ვიყავ ამის პირისათჳს, ხოლო მიერიტგან დაუყენებელად“.³¹⁵

ქართულ წყაროებში ღვთისმშობლის ამ განსაკუთრებულ მისიას ხანგძლივი ტრადიცია აქვს.³¹⁶ „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“ ღვთისმშობელი მარტო ენის კი არა,

კუნე ყოფილიყო (ჩხარტიშვილი 2009). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხებზე ერთიანი აზრი არც თავად ამ ერთობლივი პროექტის მონაწილეებს აქვთ.

312 ჩხარტიშვილი 2009.

313 პატარიძე 2009; კიკნაძე 2009.

314 ამ ტრადიციას პირველად ვ. ბოედერმა მიაქცია ყურადღება. შდრ. „ენის სარწმუნოებრივი კონსეკრაცია ამ ტექსტში საღმრთო წერილზე დაყრდნობილი მსჯელობით კი აღარ ხდება, არამედ უშუალოდ საღმრთო წარგზავნით ღვთისმშობლის გამოცხადებისას“ (ბოედერი 1998: 67). „Die besondere Fürsorge der Gottesmutter besteht darin, dass sie die Gabe verleiht, Georgisch zu sprechen und zwar gut zu sprechen Boeder 1998: 69).

315 ჯავახიშვილი 1946: 28.

316 შდრ. ექვთიმესა და გიორგის სახელზე შეკვეთილი ხატი ღვთისმშობლის სწორედ ამ მისიას წარმოაჩენს: ჩვენი ნათესავის განსანათლებლად მოღვაწე ღვთისმშობელი ადიდებს ექვთიმეს

ზოგადად ქართველთა მფარველია, მათი საქმეების შემწეა, განსაკუთრებით, როცა საქმე თარგმნას და, ამდენად, ჩვენი ენის ნაკლულევანების შევსებას ეხება:

„[გიორგი] კუალად მოძღურისავე თჳსა მოიქცა და ესრეთ ყოვლითურთ სრულ-ქმნილსა საღმრთოჲ ესე ტალანტი ჴელთ-უდვა, რომელ არს თარგმანებაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ ბერძულისაგან ქართულად. ხოლო ესე ნეტარი არა თავს-იდებდა, არამედ ესრეთ იტყოდა, ვითარმედ: შეუძლებელ არს ესე ჩემგანო და ესევეითართა განღმრთობილთა კაცთა შუენის, ვითარცა იყო წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმი. ხოლო ბერი ეტყოდა, ვითარმედ: შვილო, რომელმან წმიდაჲ იგი [ეფთჳმე] სიკუდილისაგან იჴსნა, და ქართული ენაჲ განუმარტა, იგივე [ე.ი. ღმრთისმშობელი] შემძლებელ არს შენდაცა შეწევნად, რამეთუ მას დიდად ეწყალის და უყუარს ნათესავი ჩუენი“.³¹⁷

ქრისტიანულ აღმოსავლეთში ადგილობრივი ნაციონალური ენების ლეგიტიმაციისა და საკრალიზაციის არგუმენტების სიმრავლეს რელიგიის დომინანტ ბერძნულთან მათი უთანასწორო კონკურენცია განაპირობებდა. ეს პრობლემატიკა სხვა მონოგრაფიის თემაა,³¹⁸ ამჯერად მოკლედ შევეხები მხოლოდ ნაციონალური ენების განვითარების საერთო-რეგიონალურ ტენდენციებს, რომელთა მიხედვითაც შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთი მკვეთრად განსხვავდება დასავლეთისგან. ეკლესიათა ერთობა, რელიგიური ზენაციონალიზმი, ქრისტიანულ აღმოსავლეთშიც ენის გზით გამოიხატებოდა, მაგრამ ზენაციონალურობის აღმოსავლური სიმბოლო რადიკალურად განსხვავდებოდა დასავლურისგან – რომის ეკლესიის კონინესგან. ქრისტიანული აღმოსავლეთი აღიარებდა უნივერსალური ენის არსებობას, ენისა, რომელიც ყველა ქრისტიანისთვის საერთო და გასაგები იყო. მაგრამ, დასავლეთისგან განსხვავებით, ეს „პრივილეგია“ სხვადასხვა არგუმენტების მოშველიებით წმინდად შერაცხილი რომელიმე ადამიანური ენისა კი არ იყო, არამედ ზეადამიანური „სულის ენისა“, რომელიც თანაბრად გასაგები იყო ყველა ქრისტიანისთვის მათი ენობრივი და ეთნიკური სხვადასხვაობის მიუხედავად.

ძველ ქართულ ლიტერატურაში, ისევე როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ტრადიციებში, აღწერილია არაერთი სასწაულებრივი ეპიზოდი,³¹⁹ როგორ აგე-

და გიორგის: „და ხატიცა დანერად სცეს ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, და ამიერ და იმიერ ორნივე მამანი – წმიდაჲ მამაჲ ეფთჳმი მარჯუნით და მამაჲ გიორგი ერთკერძო, მვედრებულად და მეოხად ჩვენთჳს მდგომარენი წინაშე წმიდისა ღმრთისმშობელისა. (39) და ესე წმიდაჲ ხატი წარმოგზავნეს მთაწმინდას და დაუსვენეთ სამარხოსა ზედა წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგისსა [...] (40) და რამეთუ ესრეთ ჯერ-იყო: რომელმან-იგი ადიდნის მადიდებელნი თჳსნი წმიდამან ღმრთისმშობელმან განათლებად ნათესავისა ჩუენისა; ერთსა მას სიმრთელე მიანიჭა და ენაჲ კეთილად მეტყუელი ქართულად, ხოლო მეორესა სიბრძნე და მეცნიერებაჲ“ (ლოლაშვილი 1994: 257).

317ლოლაშვილი 1994: 190.

318Doborjginidze 2009.

319ამ კუთხით ვ. ბოედერი (ბოედერი 1998: 60-81) განიხილავს ერთ ეპიზოდს „იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრებიდან“, რომელშიც მოთხრობილია ორი სასულიერო პირის, ქართველი ბერის, გაბრიელისა და იტალიიდან ათონზე ჩამოსული მამის, ლეონის, ურთიერთობის ეპისოდი. ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცის მშობლიურის გარდა სხვა ენა. ამის მიუხედავად ისინი საათობით ელაპარაკებიან ერთმანეთს იმ ენაზე, რომელიც ყველა ქრისტიანისთვის გასაგებია. შდრ. „ღირსსა მღდელსა გაბრიელს ქართველსა და ამას წმიდასა ბერსა დიდსა ლეონს ჰრომსა ფრიადი სიყუარული აქუნდა სულიერი და, ოდესცა მოვიდის ხილვად მამათა, მახლობელად სენაკსა გაბრიელისასა აქუნდა სენაკი და მუნ დაყვნის დღენი იგი. და თჳსისა ენისაგან კიდე არცა მან იცოდა, არცა მან.

ბინებენ ერთმანეთს ადამიანები, რომელთაც ერთმანეთის ენა არ იციან. „ასურელ მამათა ცხოვრებაში“ ქართველი ავტორი დაწვრილებით გვიამბობს იმის შესახებ, როგორ ალაპარაკდა ქართლში ჩამოსული იოვანე ქართულად, იმ ენაზე, რომელიც არათუ იცოდა მანამდე, არც კი სმენოდა. ავტორი დაწვრილებით აღწერს, როგორ „მოეცა მას ენაჲ ქართულად მეტყველი“ და როგორ დაელაპარაკა უცნობ ქართველ მამებს:

„აქა დამაყენა მე სიტყუამან მოთხრობად თქუენდა საკვრველებისა დიდისა, თუ ვითარ ღირსმან კათალიკოსმან და ნეტარმან იოვანე ისწავნეს ერთმანერთისათვის და სახელი თითოეულისა და კუალად ვითარ მოეცა იოანეს ენაჲ ქართულად მეტყველი ყოვლად დაუბრკოლებელი. ეჰა, საკვრველებასა შენსა, ქრისტე ღმერთო, ვითარ ადიდებ მადიდებელთა შენთა. ესე სასწაული, ძმანო, მიმსგავსებულ არს სიონს გარდამოსლვასა სულისა წმიდისასა და წმიდათა ზედა მოციქულთა და განყოფასა მას ენათასა ცეცხლისათა. ჭეშმარიტად საკვრველ არს ღმერთი შორის წმიდათა მისთა, რომელმან სულითა წმიდითა წამსა შინა აღატყუა სიტყუა ზრახვად იოვანე, რომელი არცა ოდეს ასმოიდა, ართუ ესწავა. ესე ვისმცა არა დაუკვირდა, ვისიმცა ცნობაჲ არა განცვიბრდა, რომელნი მაშინ მუნ იყვნეს და რომელთა ესმა უცხო ესე სასწაული, ყოველნი განკვრევებულნი და ზარ-განწდილნი ადიდებდეს ღმერთსა, მოქმედსა საკვრველებათსა“.³²⁰

მართალია, ქრისტიანულ აღმოსავლეთშიც აღიარებდნენ წმინდა ენების, განსაკუთრებით ბერძნულის, თვისობრივ უპირატესობას, მაგრამ ფუნქციური თვალსაზრისით ამ რელიგიური სივრცის ყველა ენა თანასწორუფლებიანი იყო; გამომხატვლობითი საშუალებებით, კრეატიულობით, ქართული რომ ბევრად ჩამოუვარდებოდა ფილოსოფიაში, რიტორიკასა და თეოლოგიაში განაფულ ბერძნულს, ეს კი არ აფერხებდა ქართულის ემანსიპაციის პროცესს, პირიქით, სწორედ ენის სიღარიბე, ბერძნულთან შედარებით თვისობრივი ჩამორჩენა იქცა მასტიმულირებელ ფაქტორად, რათა ადგილობრივი ნაციონალური ენა „გონიერთა ხედვათა მომმარჯუე“ (იოვანე პეტრიწი) ბერძნულს გატოლებოდა.

ქართული ენის ფუნქციური და თვისობრივი ლეგიტიმაციისა და, შესაბამისად, ბერძნულთან მისი კონკურენციის ამსახველი ტექსტების³²¹ მიხედვით აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში შესაძლებელია გამოიყოს ენათა ფუნქციონირების ორი სიბრტყე. ერთი, რომელზეც ენათა თანასწორობის იდეა მოქმედებს, მეორეზე კი – ენათა დიფერენცირების. სხვადასხვა სიბრტყეზე ნაციონალური ენის განსხვავებული მდგომარეობა გარკვეულწილად მის ორმაგ – პოლიტიკურსა და რელიგიურ – ლეგიტიმაციაშიც ვლინდება. ეს უკანასკნელი, „დაბადების“ მეთაუ და მეთერთმეტე წიგნებში ასახული ენათა ისტორიის დასაწყისი, შუა საუკუნეების ენის თეორიის მიხედვით, ღმერთის განგების (οἰκονομία) აღსრულებაა. III საუკუნიდან

და ვითარცა შებნელების, გამოვიდიან თვსთა სენაკთაგან და ლოცვა-ყვიან და დასხდიან და ვიდრე ცისკრისა რეკამდე უბნობდიან სიტყუათა საღმრთოთა და ვიდრე წარსლვადმდე ამას ესრეთ ჰყოფდიან ყოველსა მწუხრსა. (ჯავახიშვილი 1946: 31)

320 აბულაძე 1955: 82.

321 ეს ტექსტები წარმოდგენილია ნინა მონოგრაფიაში (Dobotjginidze 2009). მათში ტექნიკურ (ტერმინოლოგიის) და იმპლიციტურ (მეტაფორების მეშვეობით) დონეზე გაანალიზებულია ქართველ მთარგმნელთა კულტურული იდენტობის საკითხები, განსაკუთრებით მთარგმნელთა პოლიტიკური მოტივაცია (გვ. 93-1209).

მოყოლებული იგი ბიბლიური ისტორიოგრაფიის კანონიკური თეზაა და ცალკეულ ტრადიციაში ენის, წარმომავლობისა და ეთნოსის თვითშეგნების „საღეგტიმაციო კორპუსში“ იყრის თავს, კონკრეტულ შემთხვევებში სასწაულის სახით ვლინდება და მთლიანობაში ქმნის ლეგიტიმაციის თეორიულ საფუძვლებს.

რაც შეეხება ენის ლეგიტიმაციის პრაქტიკულ მხარეს, იგი ძირითადად ორ მიზანს ისახავდა:

- იმდროინდელი კულტურული სამყაროს ძირითადი წიგნების თარგმნა და ჩვენი ენისთვის მათი „მოპოვნება“ (შდრ. „ხოლო ენასა ამას ჩუენსა ქართულსა არავინ სადა პოვნილ იყო აქამომდე, რათამცა გამოეხუნეს წმიდანი ესე წიგნნი, თარგმანებანი წმიდისა სახარებისანი, არამედ საბერძნეთისა ეკლესიანი და ჰრომისანი სავსე იყვნეს ამათგან, ხოლო ჩუენისა მის ქუეყნისანი – ნაკლულევან, და არა ესე ოდენ წიგნნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არამედ სხუანიცა მრავალნი“),³²²
- ენის გამომხატველობით საშუალებათა გამდიდრება, ძველი თარგმანების დახვეწა და ბერძნულთან მაქსიმალურად დაახლოება, სპეციალური ტერმინოლოგიის შექმნა, „გონიერთა ხედვათა მომმარჯვე“ ბერძნულთან გატოლება (შდრ. „გადმოტყფრვაჲ ჩუენსა ენასა ზედა“, „დატევნაჲ ჩუენსა ენასა ზედა“, ბერძნულის „ხატი და მოქცევი“ თარგმანების შექმნა, [ექვეთიმემ] გამოუცხადა ქართველთა ენასა; ღმერთმან მოჰმადლა [ესე თარგმანი] ქართველთა ენასა, მოჰმადლა ღმერთმან წმიდაჲ ესე თარგმანი ნათესავსა ჩუენსა).³²³

ამით დასრულდა შუა საუკუნეებში ენის ლეგიტიმაციის საბოლოო ეტაპი: ქართული უკვე აღარ იყო ღარიბი და „უღონო“ ენა, მას შეეძლო გამოეხატა ყველაფერი ის, რასაც აღმოსავლეთ ქრისტიანობის ნაციონალურ ენათა მისაბადი ბერძნული გამოხატავდა. ქართულმა მოახერხა შეექმნა ერთიანი საურთიერთო სივრცე: **ქართული – ბერძნული**, და, რაც მთავარია, შეენარჩუნებინა წონასწორობა კულტურული, რელიგიური, და, საერთოდ, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ეს შეჯიბრების, გატოლების ტენდენცია, ცხადია, შუა საუკუნეებისთვის ტიპური არგუმენტაციით, ეროვნული ცნობიერების მნიშვნელოვან საფუძვლად არის მიჩნეული და სიმბოლურად სწორედ ენასთან მიმართებაში აისახება ყველაზე ხელშესახებად.³²⁴ მართალია, ეს პროცესები შუა საუკუნეების აღმოსავლეთში არ დაგვირგვინებულა ნაციების დაბადებით, როგორც ეს რამდენიმე საუკუნით გვიან მოხდა დასავლეთში, მაგრამ ისინი არანაკლებ შთამბეჭდავია, ვიდრე ნაციონალიზმის თეორეტიკოსების³²⁵ მიერ აღწერილი საფუძვლები.

322 მზ. შანიძე და სხვები 1996: 13.

323 თარგმანის აღმნიშვნელი ეს ფრაზები სხვადასხვა წყაროდან მოდის. იხ. A. 92, 280r; A. 24, 4r; რაფაჲა 1976: 66; ყაუხჩიშვილი 1940: 122; ხელნ. Ath. 18, 238 (თვალთვაძე 1997: 198).

324 Doborjginidze 2009; დობორჯგინიძე 2009ა: 13-29.

325 გელნერი 2004; ანდერსონი 2005.

დამატება

დიამარიზმების ფრაგმენტები ძველ ქართულ ტრადიციაში

1. ლეონტი მროველი, „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი: თარგმანებად დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა, და ადამისთჳს, ვითარ მიცვალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას; და ცვალებად ნათესავთად, ვითარ ვპოვეთ ნათესავობად ქრისტესი გორცითა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა, ადამისითგან ყოველთა მამისა, ვიდრე ქრისტესამდე, უფლისა და ღმრთისა ჩუენისა“³²⁶

(პირველად ხოლო ესე თარგმნა წმიდამან მამამან ჩუენმან ეფრემ) და შობად მამათმთავართად ადამისითგან ვიდრე ქრისტესამდე, მაცხოვრისა და ღმრთისა.

[...] და დღეთა ფალეგისთა შემოკრბეს ყოველნი ტომნი ნოესნი და შვილნი: სემ, ქამ და იაფეთ და არფაგსად და ფალეგ და იოვთა და წარვიდეს აღმოსავლით და პოვეს ველი ქუეყანასა დაღუარულსა და დაეშენნეს მუნ. და იყო სიტყუად მათი ერთ და ერთსა ენასა ზრახვიდეს ადამისითგან ვიდრე მუნ დღემდე, ენასა ასურთასა ფრიად ვრცელსა ვიდრე სომხითამდე. და არს ენად იგი მეფე ყოველსა ენასა ზედა.

და მიერიტგან განეყო წერილი პირველ, რომელსა წერდეს, და ებრაული შეერთო, ხოლო ენად, რომელიცა არს ქუეყანასა ზედა, ასურთა გამო ისწავეს; არამედ იგი სძლევს ყოველსა ენასა, დაწერილი ასურთად და სარკინოზთად მარჯუენით დაიწყებს და მარცხენით დაესრულებს. ხოლო ბერძენთა და ჰრომთა წერად წაღმართ არს და ემსგავსების მარჯუენესა ღმრთისასა, რათა იყვნენ ძე მაღლისა მარჯუენისა და არა მარცხენისა.

ხოლო დღეთა ებერისთა, რაჟამს აღაშენეს გოდოლი ბაბილონს, მუნ შეირინეს ენანი და განიბნინეს ყოველნი პირსა ქუეყანისასა. და ეწოდა ადგილსა მას ამისთჳს ბაბილოვანი. და შემდგომად განყოფისა ენათაჲსა მოკუდა ებერ გულისკლებასა შინა დიდსა, რამეთუ დღეთა მისთა ერი განიბნია. და დაფლეს ძეთა მისთა რაგავ და სექორ და ნაქორ სოფელსა, რომელსა ეწოდა მეხლინ, რომელი მას აღეშენა.

და მიერიტგან იქმნა სამეოცდაათი ენად და სამეოცდაათი მთავარი. და ყოველსა ენასა დაადგინეს მეფე.

და იყო ნათესავისაგან იაფეთისა ოცდაჩუდმეტი ენად და მეფე, რომელთა სახელები ესე არს: ამმა, ამინონ, ოცია, მისაქ, იარედ და შკლნი მათნი. ავნანა, აშქანან, რიფანინ, აკრამა, ბატანა, ჰავნა, შითქულიმ, ჰანაია, ფაზარაია, კალანა, შატიმია, ასბა, ბარსიქ, ვარსემ, ზარაშიმ, ფესლია, ბარკაია, მიქაია, ალგადა, სანაბია, ოლვაჰაიან, ლატუკაია, ლაიჰ, კალა, ბარაშქა, სალაშ, თრაშეს, ჰბრაულ, ლამაია, ჰაბრალოს, ალალოვია, ლამასჰანი – ესე იაფეთისნი არიან მპყრობელნი საზღუართა აღმოსავლეთისათანი მთითგან ნუდიასაჲთ, რომელი შედგმულ არს აღმოსავალსა ვიდრე ტიგრისამდე და დასავლეთ ნებრისითგან ვიდრე ლოდარისამდე.

შვილნი ქამისნი: მეგკუტელნი, ჰაბაშნი და ჰინდონი, ანაბნი და ლაბდაკინნი და ლუვანნი და ლავდინნი და არფანნი და სამზადნი.

და ძენი სემისნი: მპყრობელნი სპარსეთისანი აღმოსავლითგან ვიდრე ზღუად-

³²⁶ქურციკიძე 2007: 100-102.

მდე ჰავრისა და დასავლით. იგინი არიან შუა ქუეყანასა და ჯელმწიფობით მეფობენ და ქუეყანასა იპყრობენ.

2. იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიგყუაობისანი³²⁷

ხოლო ნოხოხ, ცხოვნებული შემდგომად წყლითრლუნისა სამას ორმოცდაათ-თა წელთა და ყოველსა ჟამსა მისსა კეთილბედნიერობით წარმვლელი, აღესრულა, ცხორებული რიცხუსა წელთა ცხრაას და ორმოცდაათსა. [...]

ხოლო ნოხოხს ყრმანი სამნი: სიმას და იაფეთას და ხამას, ასითა წლითა უწინარეს წყლითრლუნისა ქმნილნი, პირველად შთამოსრულნი მათათაგან ვაკეთა მიმართ, ამათ შინა დამკვიდრებულ იქმნეს და სხუათაცა, ფრიად შეშინებულთა მდაბალთა ქუეყანათაგან წყლითრლუნისა ძლით და მოშიშებით მქონებელთა მაღალთა ადგილთაგან შთამოსლვისათჳს, არწმუნეს, მინდობილთა მსგავსად მათსა ყოფად ქმნაჲ. და ქუეყანაჲ, რომელი პირველ დაიმკვდრეს მათ, იწოდების სენაარად.

ხოლო ღმერთმან უბრძანა მათ, რაჲთა, უკუეთუ განმრავლდენ, გარდაისახლებოდიან, რაჲთა არა მბრძოლ იყვნენ ურთიერთას, არამედ მოქმედნი მრავალსა ქუეყანასა, უხუად მიიღებდენ ნაყოფთაგან. ხოლო იგინი უმეცრებისა მიერ ურჩქმნეს ღმერთსა და ამისთჳს, განსაცდელთა შთაგრდომილნი, მგრძნობ იყვნეს ცოდვისა. და ვინაჲთაგან ყუაოდეს სიმრავლითა სიჭაბუკისაჲთა, კუალად ღმერთმან განაზრახა მათ ქმნაჲ გარდამკვდრებისაჲ. ხოლო იგინი, არა სახიერებისა მისისაგან მგონებელნი ქონებად კეთილთა, არამედ ძალსა მათსა მიზეზად თჳსისა ღონიერებისად მეჭუელნი, არა ირწმუნებდეს. ხოლო შესძინეს მერმეცა ურჩქმნად მცნებასა ღმრთისასა და განზრახვად გონებასა შინა, ვითარმედ განზრახვით აწუეეს მათ გარდამკვდრებისა მიმართ, რაჲთა, განყოფილნი, ადვილად ჯელპყრობილ იქმნენ.

ხოლო მიიზიდნა იგინი გინებისა მიმართ ღმრთისა და შეურაცხოფისა ნევროდის, შვილისშვილად ვიდრე მყოფმან ხამოხს, ნოხოხ ძისაგან, კადნიერად მან და ჯელითა მწნემან, რომელმანცა არწმუნა მათ არა ღმრთისა მიჩემებაჲ მის მიერისა კეთილბედნიერებისაჲ, არამედ მეჭუელობად თჳსისა სათნოებისა მიერ მინიჭებისა ამათსა და მცირედ-მცირედ დაადგინებდა მძლავრობისა მიმართ საქმეთაჲსა, მხოლოდ ესრეთ მეჭუელი განყენებასა კაცთასა შიშისაგან ღმრთისა, უკუეთუ მჭუმეველ ძალისა მათისა იყვნენ. ხოლო შურისგებად ღმრთისად მიმოქადულობდა, მგულებელისა კუალად წარლუნად ქუეყანასა, რამეთუ იტყოდა გოდლისა აღშენებასა მაღალსა, რაოდენ არა შემძლებელ იყოს წყალი აღსლვად, ხოლო ზღვევად პირველშობილთაცა წარწყმედასა.

და სიმრავლე უკუე ერისაჲ გულსმოდგინე იყო შედგომად განწესებათა ნევროდისთა, მონებად შემრაცხელი დამორჩილებასა ღმრთისასა. და გოდოლსა აშენებდეს, არარას მომაკლებელნი მოსწრაფებისაგან, არცა მოქმედებასა მიმართ მცონარებით მქონებელნი. ხოლო მოიღებდა მაღლიად სიმაღლესა ვიდრე მოგონებისა ვისისამე მრავალჯელობისა მიერ. და სისქე ესოდენ ძლიერ იყო, ვიდრე და შემცი-რებადცა მის მიერ მხედველთათჳს სივრცესა. ხოლო იშენებოდა მცხვრისა ალიზისა

327 მელიქიშვილი 1987: 101-105.

მიერ, წუნუბისა თანა შეკრულისა, რაათა არა განირღუეოდის. და ესრეთ უკუე მათმან აღმორიგებულად მხედველმან ღმერთმან წარწყმედა ვიდრემე ყოვლითურთი არა საჯა, რამეთუ არცა პირველად წარწყმედილთა მიერ გონიერქმნილ იყვნეს, არამედ წინააღდგომასა ურთიერთარსსა შთაყარნა იგინი, სხუა ენად მოქმედმან მათმან და მრავალწმობისა მიერ უგულისწმისყოფელმან მათმან. ხოლო ადგილი, რომელსა შინა გოდოლი აღაშენეს, ან ბაბულოვნად იწოდების შერევისათეს ენათა მიერისა, რამეთუ ებრაელნი შერევნასა ვაველად უწოდენ.

ხოლო გოდლისა ამისთეს და სხუაწმობისა კაცთასა მოიწესენებს სიკვლლცა, მეტყუელი ესრეთ: „ყოველთა კაცთა ერთგამობასა გოდოლი აღაშენეს ვიეთმე მაღალი, ვითარ ცად მიმართ აღმავალთა მის მიერ. ხოლო ღმერთთა, მომვლენელთა ქართასა, შთაარღვეს გოდოლი და თესაგან თითოეულსა წმა მისცეს. და ამისთეს ბაბულონად წოდება შეემთხვა ქალაქსა“. ხოლო ქუეყანისათეს, სახელდებულისა სენაარად, ბაბულონისა სოფელსა შინა, მოიწესენებს ესტეოს, მეტყუელი ესრეთ: „ხოლო მღდელნი, ცხოვნებელნი მბრძოლისა, დიოხსნი მიმღებელნი სამღდლოთანი, სენაარად ბაბულონისად მოვიდეს“.

და ამიერ უკუე განიბნინეს სხუაენაობისა მიერ, გარდამკვდრობისა მოქმედნი ყოველთა ადგილთა. და თითოეულნი მიიწეოდეს ქუეყანასა დამთხუეულსა და რომლისა მიმართ მიიყვანებდა მათ ღმერთი, ვიდრელა აღვსებად მათ მიერ ყოველსა წმელეთსა და ზღვსპირსა. ხოლო არიან ვიეთმე, რომელთაგანცა, განმწილებელთა ნავით, ჭალაკნი დაიმკვიდრნეს. და ნათესავნი რომელნიმე დაიცვნა მაშენებელთა მიერ დადებულსა წოდებულსა, ხოლო რომელთამე და გარდაუცვალესცა, ხოლო სხუათა, საჩინო-ყოფისათეს თანამკვდრთაჲსა, ცვალებად მიიღეს. ხოლო ელლინნი არიან ამისი მიზეზქმნილნი, რამეთუ, განძლიერებულთა შინა ჟამთა, განითესეს ძუელი დიდებაჲ, შემამკობელთა წარმართთა სახელთა მიერ გონიერებისა მათისათეს და მოქალაქეობისა სამკაულსა დამდებელთა, ვითარ მათგან ქმნილთაგან.

ხოლო იყვნეს ნოხოჲს ყრმათა ძენი, რომელთა პატივისათეს სახელნი მათნი ნათესავთა უწოდეს ადგილსა რომელსავე მიწევნილთა. ხოლო იაფეთოჲს უკუე, ნოხოჲს ყრმისა, იყვნეს ძენი შვდნი. და მკვდრ არიან ესენი ტავროჲს და ამანოჲს მათათაგან დამწყებელნი და შთამოვლენ ასიად ვიდრე მდინარედმდე ტანაჲსა, ხოლო ევრუბეს შინა – ვიდრე ლადირთადმდე. მიწევნულნი ქუეყანასა, რომელი დაემთხვა და არავიეთისა მკვდრობისათეს, წარმართნი სახელითა მათითა უწოდნეს, რამეთუ ან ელლინთა მიერ ლალატად წოდებულნი, ხოლო ღომარად სახელდებულნი. [...] მაღლოგნი დაამკვდრნა, ხოლო სკუთას მის მიერ სახელდებულნი. და იაფეთოჲს უკუე ყრმათაგან – იოვანოჲსა და მადოჲსა, მადოჲს ვიდრე მიერ მადელნი იქმნებიან წარმართნი, რომელნიცა ელლინთა მიერ მიდად იწოდებიან, ხოლო იოვანოჲსგან – იონიად და ყოველნი ელლინნი იქმნებიან.

დაამკვდრეს უკუე თოვილოსცა თოვილთასა, რომელნი ან ივირად იწოდებიან. ხოლო მესქინნი, მესხოჲს მიერ აღშენებულნი, ან კაპპადუკად იწოდებიან და რამეთუ დასაბამითგანისა სახელისა მათისა მერმეცა ნიში იჩუენებვის, რამეთუ ქალაქი არს მათ შორის და ანცა მაზაკაჲ, ცხადყოფელი გულისწმის-ყოფად შემძლებელთაჲ ესრეთ. ოდესმე სახელისდებასა ყოვლისა ნათესავისასა. ხოლო თირას თირად უწოდა, რომელთა ემთავრა, ხოლო ელლინთა თრაკად გარდასახელნეს იგინი. და ესოდენნი ვიდრემე ნათესავნი იაფეთოჲს ყრმათაგან დაემკვდრებიან.

ხოლო ღომაროსგან, სამთა ძეთა ქმნილთა, ასხანაზოს ვიდრემდე ასხანაზნი დაამკვდრნა, რომელნი ან რიგინად ელლინთა მიერ იწოდებიან, ხოლო რიფათის – რიფათელნი, პაფლაღონად სახელდებულნი; და თორღამის უკუე – თორღამელნი, რომელნი თნებისაგან ელლინთასა ფრვგად იწოდეს. ხოლო იოვანოსგან, იაფეთოსგან, მის მიერცა სამთა ყრმათა ქმნილობასა, ელისას ვიდრემე – ელისელ, რომელთა ემთავრა, ხოლო ან ეოლნი არიან; ხოლო თარსოს – თარსთა, რამეთუ ესრეთ იწოდებოდა ძუელთად კილიკია და მომასწავებელ უკუე ესე, რამეთუ თარსოდ მათ მიერ ქალაქთა უპატიოსნესი იწოდების, დედაქალაქად მყოფი გარდამღებელთაგან თარსათა წოდებისა მიმართ თანისა; ხოლო ქეთიმოს ქეთიმას ჭალაკი დაიპყრა. ესე იწოდების ან კვპრედ და ამის მიერ ჭალაკნი ყოველნი და უმრავლესნი ზღვსპირთანი ქეტიინად ებრაელთა მიერ სახელდებულნი.

ხოლო მონამე ჩემდა სიტყვსა – ერთი კერძოს ქალაქთაგანი, შემძლებელი დაცვად სახელსა, რამეთუ კიტიდ გარდამომავლინებელთა მიერ იწოდების იგი, არცა ესრეთ განლტოლვილი ქეთიმოს სახელისაგან. იაფეთოს უკუე ყრმათა და შვილის-შვილთა / ესოდენნი დაიპყრნეს ნათესავნი. ხოლო რომელი ელლინთა მიერ ნუუკუე და უცნაური იყო, ამისი წინაწარმთქუმელი მივიქცე მოთხრობისა მიმართ მათისა, რომელნი დაუტყვენ. რამეთუ სახელნი შუენიერებისათჳს წერილისა გარდაელლინებულ არიან და სიტკბოებისათჳს მიმთხუეულთასა, რამეთუ არა ჩუეულება ჩუენდა ესევეთარი სახე მათი, არამედ ერთგუარი მათი და დასასრულიცა ერთვე. ნოხოს უკუე ნოედ იწოდების და ამის სახესა ყოვლისა ზედა მცველობს გუარისა.

ხოლო ხამოს ყრმათა დაიპყრეს ქუეყანად სკრიათგან და ამანოთ და მთათათგან ლიბანისათა, მიმღებელთა მისთა, რაოდენი ზღვსა მიმართ განფენილ იყო და ვიდრე უკეანოსამდე ყოველი განითვისეს. და რომელთანიმე სახელისდებანი ყოვლად უჩინო-იქმნეს და სხუათანი, გარდაცვალებულნი და თანშეერთებულნი სხვსანი, ძნელსაცნობელ იქმნეს. ხოლო მცირენი არიან დამცველნი სრულთა სახელთანი, რამეთუ ოთხთა ყრმათა, ხამოსაგან ქმნილთა, ხუსონს ვიდრემე არაჲ ავნო წელწანდმან, რამეთუ ეთიოპელნი, რომელთა ემთავრა, მერმე და ანცა მათ მიერ და ასიას შინათა ყოველთაგან ხუსნი იწოდებიან. ხოლო დაცვულ არს მესტრელთათჳსცა სახელისდებისაებრი წსენებაჲ, რამეთუ ეგვპტესა მესტრად და მესტრალად ეგვპტელთა ყოველნი მის შინანი უწოდენ.

ალაშენა უკუე და ფუტიცა ლივკაჲ, ფუტელად მის მიერ ადგილისაჲთა მწოდებელმან. ხოლო არს მდინარეცა მავრიონთა სოფელსა შინა ამის სახელსა მქონებელი, რომლისა ძლით სახილველ არს უმრავლესთა წიგნთა შინა ელლინთასა და მოთხრობათ-მწერალთასა მოწსენებაჲ და მის თანა მდებარისა სოფლისაჲ, ფუტად სახელდებისაჲ. ხოლო გარდაცვალა, რომელი ან არს სახელი მისი, მესტრამოოს ძეთაგანმან, ლივკოდ სახელდებულისმან. არა შემდგომად უკუე მრავლისა ვთქუათ მიზეზიცა, რომლისათჳს მას აფრიკად სახელისდებაჲ შეემთხვა.

ხოლო ხანაანოს, მეოთხემან ყრმამან ხამოსმან, ან იუდეად წოდებულისა დამკვდრებულმან, მის მიერ ხანაანად სახელ-სდვა. და იქმნებიან უკუე მათგან ყრმანი: ხუსოსგან ვიდრემე ექუსნი, რომელთაგანმან სავას ვიდრემე საველნი, ხოლო ევილატოს ევილელნი ალაშენნა, რომელნი ან ეგვპტელად ითქუმიან; და სავათას – სავათინელნი, ხოლო სახელ-იდებიან ასტავარიად ელლინთა მიერ; ხოლო რელმოს

რელმელნი დაამკვდრნა და ესხნეს ორნი ყრმანი, რომელთაგანმან იუდადას იუდაელთა, ეთიოპებრივისა ნათესავისა დასავლეთისათა დამამკვდრებელმან, თანამოსახელობაჲ თჳსი დაუტევა, ხოლო საველნი – სავას. ხოლო ნევროდის, ხუსოჲს ძე, დადგრომილი ბაბჳლონელთა შორის, ემძლავრა მათ, ვითარ წინანარცა ცხადქმნილ არს ჩემ მიერ.

ხოლო მესტრეოჲსა რვათა ყრმათა, ქმნილთა ყოველთა ლაზითგან ვიდრე ეგვიპტედმდე, ქუეყანაჲ დაიპყრეს. და მხოლოდ უკუე ფილისტინოჲს ადგილმან თანმოსახელობაჲ თჳსი დაიცვა, რამეთუ ელლინნი პალესტინად კერძოსა მისსა უწოდენ. ხოლო სხუათაგან ღვემოჲსა და ენამაჲსა და ლუევიმოჲსა მხოლოდ დამკვდრებულისგან ღვკვიადასა შინა ადგილსა მის მიერ ეწოდა, ხოლო ნედემოჲსთჳს და ფითროსიმოჲსა და ქესლგმოჲსა გარეშე სახელთაჲსა არა რომელსა მეცნიერ ვართ, რამეთუ ეთიოპურმან ბრძოლამან, რომლისათჳს ცხად-ვყოთ უკუნაჲსკნელ, დაუდგრომელ ყვნა ქალაქნი მათნი.

ხოლო იქმნეს ხანან/ეოსდაცა ყრმანი: სიდონ, რომელმანცა ქალაქიცა თანამოსახელე აღაშენა ფჳნიკიას შინა, სიდონიად უკუე ელლინთა მიერ იწოდების. ხოლო ამათუსანი ამათინოსმან დაამკვდრნა, რომელი არს და ანცა მსოფლიოთაგან ამათად წოდებული, ხოლო მაკედონელნი ერთისა შობილთაგანისა მიერ ეპიფანად სახელ-სდებენ. ხოლო არადეოსს არადოჲ ჭალაკი აქუნდა და არუკიოსს უკუე – არაკი ლივანოჲს შინაჲ. ხოლო სხუათა შჳდთათჳს: ევეოჲსა, ქეტგეოჲსა, იეჳუსე-ფოჲსა, ამორეოჲსა, გერგესეოჲსა, ევდეოჲსა, სინნეოჲსა, სამარეოჲსა – თჳნიერ სახელთა საღმრთოთა წერილთა შინათაჲსა არარაჲ გჳსწავიეს, რამეთუ ებრაელთა აღჰმართნეს ქალაქნი მათნი, ესევეითარისა მიზეზისაგან განსაცდელთა შინა ქმნილნი.

ნოხოჲს, შემდგომად წყლითრღუნისა ქუეყანაჲ რაჲ დადგა ბუნებასა თჳსსა ზედა, საქმეთა მიმართ მიმართა და დაჰწერგნა მას შინა ვენაჴნი. და რაჟამს ნაყოფი სრულ-იქმნა და ჟამეულად შეკრიბა და იყო ღვწოჲ საჰმარებისა მიმართ, შემწირველი, შუებასა შინა იყო, ხოლო დამთრვალი ძილად შთავარდა და განშიშულებული უშუერად მდებარე იყო. და მხილველმან უკუე მისმან უჭაბუკესმან ყრმათამან ძმათა, მბასრობელმან, უჩუენა იგი, ხოლო მათ დაფარეს მამაჲ მათი. და ნოხოჲს, მგრძნობელმან, სხუათა ვიდრემე ყრმათა კეთილბედნიერობაჲ ულოცა, ხოლო ხამოს ნათესავობისათჳს ვიდრემე არა დააწყევა იგი, არამედ მისგან შობილნი. და სხუათა ლტოლვილობასა წყევისგანცა, ხანანოჲს ყრმათა ზედა მიიღო ღმერთმან წყევაჲ. და ამათთჳს შემდგომთა შორის ვთქუათ.

ხოლო სიმასა, ნოხოჲს მესამისა ძეთაგანისა, ხუთნი იქმნებიან ყრმანი, რომელნი მკვდრ არიან ასიასა ვიდრე ჰინდოეთამდე ევფრატით დასაწყისსა მოქმედნი. და ელამოს უკუე ელამელნი, სპარსთა მთავარნი, დაუტევნა; ხოლო ასურას ნინოსი ქალაქი დაამკვიდრა და ქუეშედამორჩილებულთა ასურიოჲს სახელ-სდვა, რომელნი ფრიად კეთილბედნიერობენ; და არფაქსადი, ან ქალდეველად სახელდებულთა, არფაქსადად სახელ-სდვა, მთავრებულმან მათ ზედა; ხოლო არამელნი არამოსს აქუნდეს, რომელთა ელლინნი სჳრად სახელ-სდებენ; ხოლო რომელთა ან ღვდად უწოდენ და მაშინ ლუდად, ლუდას აღაშენა.

და არამოჲს უკუე ყრმათა ოთხთაგანმან – უსოს ვიდრემე აღაშენა ტრახონიტი და დამასკოჲ, ხოლო საშუალი არს ესე პალესტინისა და ღელისა ასურეთისაჲ, და ულოს ვიდრემე – სომხეთი და ლათეროს – და ვაკტრიანოსნი; ხოლო მისას –

მისანეოსნი და აწინდელთაგან იწოდების პასინოჲს ხარაკი. და არფაქსადის უკუე ყრმაჲ იქმნების საღის და ამისგან ევეროს, რომლისა მიერ იუდელთა დასაბამითგან ებრაელად უწოდენ. ხოლო ევროს იუკტან და ფალეკონ შვა. ხოლო იწოდა ფალეკოდ, ვინათგან განყოფასა შინა სამკვდრებელთასა იშვა, რამეთუ ფალეკ განყოფასა უწოდენ ებრაელნი. ხოლო იუკტას, ევეროს ყრმათაგანისა, იყვნეს ძენი: ელმოდამოს, სალევოს, აზერმოთის, იერახოს, ედორამოს, უზალის, დაილიეს, ივალოს, ევმმაილოს, / საფას, სოფირას, ევილას, იოვილოს. ესენი კოფიოჲთ, მდინარით ჰინდოეთისაჲთ, და მის მიერ რომელსამე სვრიასასა მკვდრ არიან. ესენი უკუე სიმაჲს ყრმათათჳს მოითხრობოდენ.

3. მაქსიმე აღმსარებელი, ნეტარისა თალასეს მიმართ ხუცისა და მამასახლისისა მრავალთა მონასტერთაჲსა სიტყუათათჳს, რომელთა განმარტებაჲ ეთხოა ნეტარისა მაქსიმესგან³²⁸

(ექვთიმე ათონელის თარგმანი)

29-ე კითხვა:

ამას ადგილსა იტყვან უღმრთონი მანიქეველნი, ვითარმედ არასამართლად ქმნა ღმერთმან, რამეთუ მოიხუეჭა ქუეყანა იგი ქანანეველთაგან და მისცა იგი ისრაიტელთა და მკვდრნი იგი მის ქუეყანისანი მოსწყდნა და განასხნა. რაჲ უკუე ჯერ-არს თქუმად უკეთურთა მათ მიმართ?

მიგებაჲ:

მეტყუელთა მათ გმობისათა და მაბრალობელთა ღმრთისათა დაიყავნ პირი მათი, რათა არა იტყოდინ სიცრუესა, რამეთუ ზე ღებულ არს ჯორჯი მათი, ენითა მათითა ზაკუენ, საჯენ იგინი ღმერთმან! ხოლო ჩუენ ესრეთ ვეტყვთ უგუზურთა მათ და ცოფთა, ვითარმედ ღმერთი ჩუენი მართალ არს და სიმართლე უყუარს და საშჯელითა მართლითა ყოველსავე აღასრულებს და მრავალთა საქმეთა საიდუმლონი ჩუენგან დაფარულ არიან, ხოლო წინაშე მისსა ცხად არიან განკითხვანი მათ საქმეთანი. და არა უგმს კაცთა გამოძიებაჲ განკითხვათა მისთაჲ, რამეთუ უფსკრულ მრავალ არიან, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ „შენ ვინ ხარ, კაცო, რომელი სიტყუას უგებ ღმერთსა, ჰრქუასამეა ქმნულმან შემოქმედსა – რაჲსათჳს ესრეთ შემქმენ? და შემდგომი ამისი.

ხოლო წინამდებარისა ამის პირისათჳს არცა ჩუენ გლახაკნი ესე და უნდონი უმეცარ ვართ, ვითარმედ სამართლად და განკითხვითა ჭეშმარიტითა უყო ღმერთმან ქანანელთა მათ და ესე ესრეთ გულისხმა ყავ: მართალი ნოვე ნეშტად ნათესავისა კაცთაჲსა დაშთა სოფელსა ამას შინა შემდგომად წყლით რლუნისა და მოსწრაფე იყო სწავლად ძეთა მისთა წესსა ღმრთისმსახურებისასა, და კრძალულებისასა, რათა არა შთავარდენ უნესობათა მათ, რომელთა შინა იყო ნათესავი იგი პირველ წყლით რლუნისა, რომლისათვის მოვიდა მათ ზედა რისხვაჲ ღმრთისაჲ. ამისთჳსცა არა სიტყვთ ხოლო ასწავლიდა მათ წესიერებასა, არამედ ფიციცა მოჰჳდა, რათა კაცად-კაცადმან მშვდობაჲ და სიყუარული დაიცვას ძმისა თჳსისა მიმართ. და გა-

328 მაქსიმე აღმსარებლის თხზულების (Questiones ad Thallasium) ექვთიმესეული თარგმანი შეიცავს 100 კითხვა-მიგებას, ამათგან დიამერიზმებს ეხება 29-ე. შემონახულია შემდეგ ხელნაწერებში: A 636; ჯრუჭი 4, მარტვ. 1 (PG 90, 244-785; CPG III, 7688).

ნუყო სამთა მათ ძეთა მისთა ყოველი სოფელი წილგდებით და განანესა, რათა თვთოეულსა აქუნდეს თჳსი წილი ნათესავითი ნათესავად და არა მიიხუეჭოს ნაწილისაგან სხუათა ძმათასა.

იქმნა უკუე ნაწილი სემ, პირმშოასა ძისა, სპარსეთით ჰინდოეთამდის სივრცით, ხოლო სიგრძით ვიდრე რინოკურურადმდე; ხოლო რინოკურურაჲ არს შორის ეგჳტისა და პალესტინისა, დამართებით ზღჳსა მენამულისა. ხოლო ქამს, მეორესა მას ძესა, რინოკურურაჲთგან ვიდრე მათა მათ ლადერონთა, სამხრით კერძო. ხოლო იაფეთს, მესამესა ძესა, ქუეყანაჲთ უჟიკთაჲთ ვიდრე ლადერონადმდე და რინოკურურადმდე, ჩრდილოჲთ კერძო.

ესხნეს უკუე სემს შვილნი და შვილისშვილნი ვიდრე განყოფადმდე ენათა, და მიერთგან განიყვნეს ენანი, ტომნი და მთავრობანი. და სახელები ნათესავთა მათ ესე არს: პირმშო ძე სემისი ელამ, რომლისაგან იქმნნეს ელამელნი, რომელ არიან სპარსნი; მეორე – [ა]სური, რომლისაგან იქმნნეს ასურასტანელნი, მესამე არფაქსად, რომლისაგან არიან ქალდეველნი, მეოთხე არამ, რომლისაგან [არიან] ასურნი; მეხუთე ლუდ, რომლისაგან ლუდელნი; მეექუსე ებერ, რომლისაგან ებრაელნი; **ზ** ტომთაგან სემისთა ჰინდონი, **ჭ** ლაკონი, **თ** ლასაფენელნი, **ი** მასინელნი, **ია** მადიანელნი, **იბ** ბაკტრიანელნი, **იგ** არაბნი, **იდ** კედონელნი **იე** კამიალნელნი, **ივ** მარდონელნი, **იზ** კერდუსელნი, **იჭ** არამიელნი, **ით** გუთნი, **კ** ირკანელნი, **კა** ქართველნი, **კბ** შიშველ-მართალნი, **კვ** მეჭურელნი, ოცდამეოთხენი პეონელნი, ოცდამეხუთენი პართნი, ოცდამექუსენი სომეხნი, ოცდამეშუდენი გერმანელნი, ოცდამერვენი ბაბილონელნი, ოცდამეცხრენი კორდუნელნი, ოცდამეათენი შუვამდინარელნი, ოცდამეთერთმეტე პალესტინელნი, ოცდამეთორმეტე ფინიკელნი, ოცდამეცამეტე კჳრინელ-ასურნი, ოცდამეთოთხმეტე ლეკომიგელნი, ოცდამეთხუთმეტე ად[ი]აბინელნი, ოცდამეთექუსმეტე ელამასელნი, ოცდამეჩუდმეტე სარკინოზნი, ოცდამეთვრამეტე მავსურელნი, ოცდამეცხრამეტე დელემიტელნი, მეორმოცენი ქიონელნი, ორმოცდამეერთე მალუსელნი, ორმოცდამეორე ასპურაგნელნი, ორმოცდამესამე კილიკელნი, ორმოცდამეოთხე კაბადუკელნი, ორმოცდამეხუთე პონტოელნი, ორმოცდამექუსე ჰერნი, ორმოცდამეშუდე ოსნი, ორმოცდამეათე ჯიქნი, ორმოცდამეცხრე აფხაზნი, ორმოცდამეათე მეგრელნი.

ეგრეთვე ქამს ესხნეს შჳლნი და შჳლისშჳლნი და განეთესნეს ერნი და ნათესავნი. პირმშო ძე მისი ქანაან და ქუშე და ეთიოპ. ამან ქუშე შვა ნებროთ გმირი, მონადირე, რომელმან მოიპოვა პირველ მოგობა და ვარსკულავთმრიცხველობაჲ და დაიპყრა მეფობაჲ ბაბილონისაჲ. მეოთხე ძე ქამისი მე[ს]ტრან, რომლისაგან არიან მეგჳტელნი; მეხუთე ფუთ, რომლისაგან არიან ფუთელნი, რომელ არიან ლიბიელნი. ხოლო ქანაანისაგან არიან ქანანელნი და ქეთელნი და გერგესეველნი და ამორეველნი. იყვნეს სხუანი ძენი ქუშისნი რაგა და ევილა და საბათა და რებამა და ბასიმ, რომლისაგან იქმნნეს საბეანელნი, რომელ არიან ეთიოპელნი და ქეტულოსნი და ანგეველნი. და მე[ს]ტრანისაგან ლოდიმელნი და ელამიტელნი და საბიმელნი და ნეფთალემელნი და პატრუსიმელნი და ქასიპომისელნი და ფილისტიმელნი, ფინიკელნი, მარმარიდელნი კარელნი, მოსინელნი, მაკ[ედ]ონნი, სჳრტინელნი, ლებ[ტ]იტელნი, მეკარვენი, ლიკელნი, მარიანდონელნი, პანფილელნი, პისიდელნი, ავღალელნი, კრიტელნი, მაგარდელნი, ნუმიდელნი, აფრიკელნი, ნასამონელნი, ფასგიელნი, მარზიკენი, კარამელნი, გეტულელნი, ვლემიონნი, აქსუმიტელნი, რომელთა

დაუპყრ[ი]ეს ეგვპტით ვიდრე უკიანომდე.

ამათ ტომთა ქამისთა ჰქონან ჭალაკნიცა: კურსული, როპალუსა, ღავლო, როდო, მელიტონ, წენედო, იმბრო, იასო, სამო, კოონი, კერკრა, მინისი, სარდონა, გორტენე, კრიტი, პავლო, თირა, კარანთე, ასტვპალი, ქიო, ლესვო, კინდე, ნისურა და დიდი კვიპრე.

ხოლო იაფეთს ესხნეს ეგრეთვე შვლნი გამერ და მაგოგ, მადამ და იოვან, და ელისა და თობელ და მოსუქ და თირას და შვილისშვილნი მათნი. ამათგან განიყვნეს ჭალაკნი და ნათესავნი ენად-ენადი ტომებსა მათსა და ნათესავსა მათსა. პირველად უფიკნი, გარბანელნი, ლეკნი, სომეხნი ქუენანი, არეველნი, ამაზონელნი, კოლონელნი, კორზინელნი, ბენეაკნი, ფებლადონელნი, გალათელნი, მარიანდელნი, ტიბრანელნი, ქალიბელნი, მოსვნიკელნი, კოლქელნი, სავრუმბატინელნი, გერმანელნი, სარმატელნი, მეოტელნი, რუსნი, სკვთელნი, ნათესავნი ჩრდილოელნი, რომელთა ეწოდა უკუანასკნელ თურქი პენინაკ, ხაზარელნი, თრაკნი, ვასტანელნი, რომელთა ეწოდა ბორღალ, ილირიკელნი, კარტენელნი, ლუსიტანელნი, მაკედონნი, ელინნი, რომელ არიან ბერძენნი, ფრიგიელნი, პანონელნი, უენელნი, იანპიგნი, კალავრელნი, ეპიკელნი, ჰრომნი, გალიელნი, კელტნი, ლიბისტინელნი, ფრანგნი, კამპანელნი, კელტქართველნი დასავლისანი, სპანნი, აკვიტანელნი, ილირიანნი, ვასანტნი, კვრტანელნი, უაკელნი, ბრეტანელნი, [ს]კო[რ]ტელნი.

ხოლო ამათ ნათესავთა ჭალაკნი არიან: პირველი ბრეტანია, დიდი იგი ჭალაკი, მეორე სიკილია, მესამე ევრიპო, მეოთხე როდონიონ, მეხუთე ლესბო, მეექვსე ზაკითო, მეშვიდე კვთირიან, მერვე კეფალინია, მეცხრე ითაკი, მეათე კერკუნა.

ხოლო სახელები ამათ ნათესავთა უკუეთუ რომელთამე ან არა ესრეთ ეწოდების, ვითარცა აქა წერილ არს, ნუ გიკვრნ, რამეთუ ჟამთა სიგრძემან სახელნი მრავალნი შეცვალნა, ანუ ანგაჰარებისაგან კაცთასა მრავალნი ნათესავნი და ჭალაკნი აოჯრდეს და მკვდრნი მათნი სხუად ქუეყანად მიიცვალნეს. ხოლო ჩუენ აღვწერეთ, ვითარცა პირველითგან იწოდნეს და აღიწერნეს. ამათ მრავალთა ნათესავთა არა თუ ყოველთა თვისი ენა აქუს, არამედ მრავალნი ერთითა ენითა ზრახვენ, ხოლო ტომად-ტომადნი და ნათესავ-ნათესავნი აღწერილ არიან.

ესე ნათესავნი და ტომნი იშვნეს ძეთაგან ნოესთა და განიყვნეს ყოველი ქუეყანა ნილგდებისაებრ ნოესისა, რომელმან სულითა წინააღმართმეტყუელებისათა განუყო მათ სოფელი და ფიცი მოჰჴადა, რაჲთა არავინ მიიხუეჭოს ნაწილისაგან სხუათა ძმათასა, ხოლო რომელი გარდაჴდეს ფიცსა მას და შეუჴდეს ნაწილსა ზედა ძმისასა, აიჯოცენ იგი ქუეყანისაგან.

ვინაჲთგან უკუე ქამს ნაწილად ხუდა ეგვპტე და ყოველი სამხრით კერძო, რომელ არს ბლუარი, და იყო ქანაან, ძე ქამისი, კაცი ანგაჰარი, მიზეზ ყო, ვითარმედ ნაწილი იგი მისი ქუეყანა ცხელ არს და ხორშაკ და მიიხუეჭა ბრძოლითა და დაიპყრა ქუეყანა პალესტინისა, რომელ-იგი იყო ნაწილისაგან სემისსა. ხოლო ღმერთი სულგრძელ-ექმნა და მისცა ჟამი სინანულისა, რათა, უკუეთუ შეინანონ და უკუსცენ ძეთა სემისთა ქუეყანა თვისი, ყოს წყალობა და არარაჲ ძვრი აჩუენოს. ხოლო მათ არარაჲ შეიგონეს, არცა ქმნეს სამართალი. ამისთვის ეტყოდა ღმერთი აბრაჴამს, ვითარმედ არღა აღსრულებულ არიან ცოდვანი ამორეველთანი.

შვა უკუე ქანაან ამორეველი და გერგესეველი და იობოსელი და ფერეზელი

და ეველი და არუკეველი და ესენეველი და არადიელი და სიდონელი. და გარდაჲ-
დეს წელი იგი სულგრძელებისა ღმრთისანი და არა შეინანეს ნათესავთა მათ
უსამართლობაჲ იგი თჳსი. ხოლო ღმერთი შურისმძიებელი არს ჭეშმარიტებისაჲ,
ამისთჳს შემდგომად ათრვამეტისა ნათესავისა შური იძია ფიცისა მისთჳს, რომელი
იყო შორის მათსა, და აღიწოცა თესლი ქანაანისი სიტყჳსა მისებრ, რომელ დაედვა
ნოვეს. და მიიღო თესლმან სემისმან თჳსი ქუეყანაჲ.

ესე რაჲ ესრესახედ იქმნა, არარაჲ უსამართლოჲ შეამთხჳა მათ ღმერთმან, არამედ
უფროსად სამართალი საჯა სახიერმან მან და მართლმსაჯულმან მან. ცუდად უკუე
და ამოად აბრალობენ ღმერთსა ურჯულონი იგი მანიქეველნი, – დაიყავნ პირი მათი
და გჳსენინ ჩუენ უფალმან მათისა მის უკეთურებისაგან, – რამეთუ ბოროტნი არიან
და საძაგელნი. ვივლტოდით მათგან და ვადიდებდეთ მართლმადიდებლობით მამასა
და ძესა და სულსა წმინდასა, ერთარსებასა მას და სამგუამოვნებასა წმინდასა სამე-
ბასა, რომელსა ადიდებენ ყოველნი ძალნი ცათანი.

4. აპოკრიფული თხზულება, რომელიც წინ უძღვის „ქართლის ცხოვრების“ მარჯვნივს ხელნაწერს³²⁹

ხოლო აქათგან იწყეს განმრავლება ნათესავთა კაცთამან ქუეყანად და
განითესნეს ყოველთა პირთა ზედა ქუეყანისათა, და იცოცხლა ადამ ყოველ-
ნივე წელი ცხოვრებისა მისისანი ცხრა ას ოცდაათი და მიკუდა მასვე დღესა,
რომელსაცა გარდაჲდა ბრძანებასა უფლისასა, და დაუტევნა ძენი ოცდა ცამეტნი
და ასულნი ოცდა შვიდი, და კაცი იგინი მის ჟამისანი შთასცვიდეს ბოროტსა და
უკეთურსა გულის თქუმასა და საქმეთა და ურწმუნოებათა და ცდომათა, დიდებასა
და ამპარტავნებასა ესოდენ, რამეთუ დაუტევეს სარწმუნოება ჭეშმარიტისა მის
ღმრთისა, და იწყეს თაყუანისცემად კერპთა, ზოგთა მზესა და ზოგთა მთოვარეს,
ზოგთა ვარსკვლავთა, ზოგთა ქუეყანასა, ზოგთა ნათელსა, ზოგთა წყალთა, ზოგთა
ხეთა, ზოგთა კლდეთა და ლოდთა, ზოგთა თვითო ფერთა პირუტყვთა.

ხოლო მას ჟამსა შინა იყო ერთი შვილის შვილთაგანი სეითისა სახელდებული
ნოე. და ესე იყო ყოველთავე სიკეთითა სრულიად უნაკლულო და მოძულე ყოვ-
ლისავე უკეთურებისა და უსამართლობისა, და მტოლვარე ყოვლისავე ცოდვისა და
უკეთუ ვინმე იხილის უტყუარად მეცევი დაუსჯელად, ჰყვედრიდის და ამხილის მას
უკეთურება იგი მისი. და იყო მაიძულებელ მისდა, რათა მოიზიდოს იგი შიშსა და
კრძალვასა ღმრთისასა, და ვინაჲთგან ვერღარა უძლი მოქცევად მათდა, ამისათვის
რამეთუ ეშმაკსა მას ჰყუანდა ბირებულ იგინი მისდა და რწმუნებულ ყოვლისავე
ნესიერებისა მისსა ზედა.

და განიზრახა ნოე გულისა მისსა ესრეთ, რათა განაშოროს მათგან, აღდგა და
განეშორა და დაუტევა მამისა მამული იგი მისი და წარვიდა და განეშორა მათგან,
და ესრეთ იტყოდა, რამეთუ უმჯობეს არს ჩემდა ყოფად უცხოთა და უმეცართა
ქუეყანათა, ვიდრე ყოფად უღთოთა და უკეთურთა და უსჯულოთა კაცთა თანა.
მაშინ იხილა ღმერთმან მიუდრეკელი იგი გუნება მისი. რამეთუ არა მიდრეკების

329 აპოკრიფის სრული ტექსტი შეისწავლა და პირველად გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა. იხ.
თაყაიშვილი 1953 (XVII b): 25-47.

უკეთურებასა ზედან. მოუვლინა ანგელოზი მისი და ჰრქუა ნოეს ესრეთ: რამეთუ ჰნებაჲს უფალსა ესრეთ აღჴოცად ყოველთაჲე ნათესავთა კაცთასა. ხოლო ან შენ განმზადენ ულტოლველნი და მაგარნი და შემზადე კიდობანი და იყოს სივრცე მისი სამას წყრთა, ოცდაათ – სიმაღლე და უქმენ კარნი გვერდით კერძოვე და ქმენ ძირით კერძო სახლნი ორ რიგნი და სამ რიგნი და შევედ შენ და ცოლი შენი და ძენი შენნი და ცოლნი ძეთა შენთანი და ყოველთაგან საცხოვართა პირუტყვთა და ნადირთაგან და ყოველთაჲე ჴორციელთა, რაოდენიცა არიან ქვეყანათა ზედა ოროლნი მამალნი და დედალნი, შეიყვანე შენ თანა და გამოზარდენ იგინი. ხოლო შენ იზრუნე და შეიკრიბე საზდელი მათთვის.

და იწყო ნოე სიტყვისაჲბრ ანგელოზისა მის. დაიწყო შენობა კიდობნისა მის და სრულ ყო მესამესა წელსა. ხოლო ესეოდენსა წელსა შენება კიდობნისა მის სხვა არარაჲ გარნა ამისა ვინ უწყის უკეთუ შეინანონ კაცთა მათ უშჯულოვებათა მათგან ხედვითა მისითა. ხოლო ოდესცა ჴკითხვიდეს ნოესა მას კაცი, გინათუ რაჲსათვის აშენებს მას, მიუგებდა და ეტყოდა მათ, რამეთუ საძულველ იქმნა წინა[შე] ღთისა უშჯულოება ერისა ამის და უნებს უფალსა, რათა მოავლინოს წყლით რღუნა და ახოცოს პირისაგან ქვეყნის ყოველნივე კაცი და პირუტყვნი. და მკითხველნი იგი იკითხვიდეს და ემღერდეს სიტყვათა ნოესთა.

და ოდესცა აღასრულა ნოე კიდობანი იგი, მაშინ უბრძანა ღმერთმან ნოესა: შევედ შენდა ცოლი შენი და ცოლნი ძეთა შენ თანა და ძენი და შვილნი ძეთა შენ თანა და ყოველთაგან ნადირთა და პირუტყვთა და ცხოველთა და ყოველთაჲე ჴორციელთა ორ-ორნი მამალნი და დედალნი შეიყვანენ შენ თანა. აჰა შვიდ ღლეუთ არს და იწყებს წვიმა საშინელი ორმეოც ღლე და ორმეოც ღამე. და ყო ნოე ბრძანებისაჲბრ უფლისა და შევიდა კიდობანსა მას იგი და ცოლი მისი და სამნი ძენი მისნი სემ, ქამ და იაფეთ, სამნი ცოლნი ძეთა მისთანი და წულნი მათნი და თანა შეიყვანეს ყოველივე თესლადისა ცხოველსა ორ-ორნი მამალნი და დედალნი.

და დახურა კარი კიდობანისა მის ნოე და განრისხნა უფალი გულის წყრომითა მისითა უშჯულოებასა მას კაცთასა და განაღო საქონელი ცისა და ყოველნივე წიალნი უფსკრულისანი. და გარმოეცემოდა წყალი იგი ვითარცა ზღვა ორმეოც ღლე და ორმეოც ღამე და განმრავლდა წყალი იგი და ზე აღიღო კიდობანი ქუეყანით და იყო კიდობანი ზედა წყალთა და დაფარნეს წყალთა ყოველნი მთანი, ბორცვნი ქუეყანისანი. და აღჴდეს წყალნი იგი მთ[ასა] უმაღლესად, ვიდრე ათხუთმეტ წყრთა ოდენ, და მოსწყდენ ყოველნივე ჴორციელნი. რაოდენიცა იყო ქვეყანათა ზედან, ფრინველი და პირუტყვნი, ნადირნი, მჴეცნი და ყოველნი კაცი. და ყოველნივე რომელსაცა აქვნდა სული ცხოველი.

და აღიჴოცნეს სრულიად ყოვლისაგა[ან] პირისა ქვეყანისა კაცთაგან მიპირუტყვათმდე მჴეცნი და მფრინველნი ცისანი. ხოლო კიდობანი იგი დადგა მთასა ერთსა, რომელსაცა ეწოდების არარატ და ოდესცა დასცხრა სიმრავლე იგი წყალთა მათ, განაღო ნოე კიდობანი იგი და განუტევა ყორანი ერთი, რათა იუწყოს მის მიერ უკეთუ დასცხრა სიმრავლე იგი წყალთა მათ. ხოლო ყორანი იგი ვითარცა წარვიდა და ჴპოვა დამრჩეალთა მათ კაცთა და პირუტყთა მძოვრი, არღარა უკუნ იქცა მისდა, რათა აუწყოს მას რამეთუ დასცხრა წყლით რღუნა იგი, და შემდგომად ამისა იხილა ნოე რამეთუ არღარა მოიქცა ყორანი იგი მისდა, განაღო კვალად კიდობანი იგი და განუტევა სხვაღა ერთი ყორანი რათა მოიქცეს მისდავე. და მო-

ართვას მას ნიშანი რამე, უკეთუ დასცხრა წყლით ღრღუნა იგი. ხოლო არცა იგი მოიქცა მისდა დაითმინა სხვათა შვიდი დრე ნოე კიდობანსა მას.

და კვალად განალო კიდობანი იგი დღესა მას მეშვიდესა და განუტევა ტრედი ერთი და წარვიდა, ხოლო ტრედი იგი ვინათგან წმინდა არს და უმანკო არა სათნო იჩინა დაჯდომა ტალახთა და მიიღო პირით მისით რტო ერთი ზეთის ხილისა და მიიქცა კვალად მუნვე კიდობნად. და მეყუსეულად სცნა ნოე, რამეთუ დასცხრა წყლით ღრღუნა იგი, და ესრეთ გამოვიდა ნოე კიდობნისა მისგან ცოლითურთ და ძეთა მისთაჲთ და ყოველითურთ სახლეულით მისით და გამოვიდეს ცხოველიცა იგინი, რომელნიცა შესრულ იყვნეს მისთანა კიდობანსა მას ყოველთაგან თესლთა ქუეყანისათა. და მოიღო ნოე შესანიშნავი ღთის და შესწირა მას.

და იხილა უფალმან შესანიშნავი ნოესი და აკურთხა ღმერთმან კვალად ბუნება-ნი კაცთანი და ცხოველთანი. ესრეთ აღორძინდებოდა და განმრავლდებოდა ყოველსა პირსა ქუეყანისსა. და იყო წყალნი გარდაჴდომილად მისგან. ვიდრე წყლით ღრუნამდე ორიათას ორას ორმოცდა ორი. ხოლო ჟამსა იყვნეს შვილის შვილთაგანი ნოესთა: და გამოსჩნდეს გმირნი და გონება მაღალნი მესრემ და ნებროთ. ხოლო იყო სხვაცა ძის ძე ნოესი: ავნან, რომელნი შვა იაფეთ ძემან ნოესმან, და ავნან შვა თარიშის და თარიშის შვა თარგამოზ. და ესე თარგამოზ იყო მამა სომეხთა და ქართველთა და რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიელთა. და იყო კაცი გმირი და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენა ნებროთ ბაბილოვანსა გოდოლი და განუყენეს მუნ ენანი და განიბნივნეს ყოველსა ქუეყანასა, ადამს აქეთ ჩღჴწ ნელს უკან იყო ნებროთ.

5. ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ³³⁰

[ნოწსთჴს.]

ხოლო ნოე იქმნა რაჲ ხუთასი წლის, შვა სემ, ქამ და იაფეთ. ხოლო შემდგომად ასისა წლისა სამთა მათ ძეთა შობისა შევიდა იგი კიდობნად, იყო რაჲ წლისა ექუსასისაჲ, და მოიწია წყლით-რღუნაჲ; და შემდგომად წყლითრღუნისა ცხოვნდა სამას ორმოც და ათ წელ და მოკუდა ცხორებული ყოველითურთ ცხრაას ორმოც და ათ წელ.

ხოლო წყლითრღუნაჲ რაჲ მოიწეოდა ორმოცთა დღეთა, ყოველი ქუეყანაჲ დაიფარა ასოცისა დღისა ჟამთა, რამეთუ ყოველთავე მთათა მაღალთა ათხუთმეტითა წყრითთა ზეშთა აღემატა წყალი: ვინაჲცა კიდობნისა მის ნეშტნი დასამტკიცებლად მაშინ ქმნილისა მის იხილვებიან ვიდრე დღესამომდე მთასა ზედა არარატისასა, საშუალ სომეხთა და პართთა სოფლებისა და დიავინთა ქუეყანასა, ვინაჲთგან ძელთაგან ულპოლველთა, ესე იგი არს ნაძესათაჲ, შემზადებულ იყო. რამეთუ იტყჴს: „და თქუა უფალმან ღმერთმან: არა დაადგეს სული ჩემი კაცთა ამათ ზედა, რამეთუ არიან იგინი ჴორც; ხოლო იყვნენ დღენი მათნი ას ოც წელ“.

და ზედა-დაჰრთავს წერილი ვითარმედ „ჰრქუა ღმერთმან ნოეს: ჟამი ყოვლისა კაცისაჲ მოიწია წინაშე ჩემსა, რამეთუ აღივსო ქუეყანაჲ უსამართლობითა მათგან: და აჰა მე განვხრწნენ იგინი და ქუეყანაჲ“. გარნა დაღათუ ასოცთა წელიწადთა შინა

330 ყაუხჩიშვილი 1920: 17-20.

შესაზღვრნა ჟამნი ცხორებისა მათისა დღეთანი, არამედ იხილა რაჲ აღორძინებულად და განმრავლებულად ცოდვად, არღარა დროოსცა აღსრულებასა მათსა, არამედ შეამოკლა პაემანი და მესასეა წელსა ყოველთა ზედა მოჰჰადა წყლით-რღუნად რომლისათვისცა იტყვს ვითარმედ „ქმენ თავისა შენისა კიდობანი მოთხვილი ძელთაგან უღბოლველთა, ბუდედ-ბუდედ ჰქმნა და მოჰკირო იგი კირითა შინადთ და გარეთ და ესრეთ ჰქმნა კიდობანი სამას წყრთა სიგრძე მისი და ერგასის წყრთა სივრცე და ოც და ათ წყრთა სიმაღლე. შემრეცად ჰქმნა და წყრთასა ზედა შეასრულო იგი ზედა კერძო. ხოლო კარი გუერდით კერძო მისსა და ორსართულად და სამსართულად ჰქმნა იგი.

გარნა წარმართთაგანთა ვიეთმე საეჭუელ მყოფელთა ამის სიტყვასათა თქუეს, ვითამედ უღონო იყო დატევნად კიდობნისა მისგან, ვინაფთგან მხოლოდ სამასი წყრთა იყო სიდიდე მისი, ესოდენ მრავალ სახესა და აღურიცხველსა ნათესავსა ცხოველთასა. და ვერ აგრძნეს რეცა ბრძენთა მათ უგულისწმოებით მსმენელთა უსწავლელობით გამომეძიებელთა საღმრთოთა სიტყუათასა, ვითარმედ აღმწერელი წიგნისაჲ ამის ქუეყნისმზომელ იყო, რამეთუ თქუმულ არს ვითარმედ „განისწავლა მოსე ყოვლითა სიბრძნითა მეგვტელთაჲთა“. ამისთვის ქუეყნისმზომელობითი წყრთაჲ თქუა, ესე იგი არს მჴარი ერთი. რამეთუ ქუეყნის მზომელობისასა უპირატეს მეგვტელთაგან იტყვან მოპოვნებასა, რომელთაგან დაისწავეს ნათესავთა სხუათა. რომლისთვისცა ფრიად ცნობილად და ბრძნად იწოდნეს იგინი საკვრველისა მისთვის ჯელოვნებისა და სიბრძნისა.

და ამას თანა არს სხუადცა წამებაჲ კეთილად გამომაჩინებელ წყლით-რღუნისათვის, ვითარცა იტყვს იოსაბოს. „რამეთუ ვიდრე აქამომდე მათათა ზედა მაღალთა და ძნელად სავალთა ქუეყანასა და ზღვსათა ნიშანნი იპოებიან კოხლიოთა და ომიდთა და სხუათა ეგევითართანი მქადაგებელნი საშინელისა მის და მსოფლიოჲსა ნავთდანთქმულეებისანი“.

[სემ ქბ წელ]

ხოლო სემ შემდგომად ორისა წლისა მოწევნულისა მის წყლითრღუნისა იქმნა რაჲ წლისა ას და ორისაჲ შვა არფაქსად; და მერმე ცხოვნდალა ხუთას წელ და მოკუდა ცხორებული ყოვლითურთ ექუსას და ორ წელ.

[არფაქსად ფლჴ წელ]

ხოლო არფაქსად იქმნა რაჲ წელთა ას ოცდაათორმეტთაჲ, შვა კაინან და შემდგომად ამისსა ცხოვნდა ოთხას და სამ წელ და მოკუდა ცხორებული ყოვლითურთ ხუთას ოც და ათვრამეტ წელ.

[კაინანა უფზ წელ]

ხოლო კაინან იქმნა რაჲ წელიწადთა ას ოცდაათშუდმეტთაჲ შვა სალა; და ცხოვნდა შემდგომად ამისსა სამას ოც და ათ წელ და მოკუდა ყოვლითურთ ოთხას სამეოც და შუდ წელ.

[სალა ფლგ წელ]

ხოლო სალა იქმნა რაჲ წელიწადთა ას ოცდაათთაჲ შვა ევერ; და ცხოვნდა შემდგომად ამისსა ოთხას და სამ წელ და მოკუდა ცხორებული ყოვლითურთ ხუთას ოც და ათსამეტ წელ.

[ებერისთვის.]

ებერ იქმნა რაჲ წლისა ას ოცდაათოთხმეტისაჲ, შვა იეკტან და ფალექ. რომლი-
სა-ზე ერთხმა იყო ნათესავი კაცთაჲ, ვითარცა იტყვს იოსიპოს. ამისთვის შეკრბეს
ერთსა ადგილსა სენარად სახელდებულსა და ვიდრე ცადმდე გოდლისა აღშენე-
ბაჲ მოიგონეს. რომელთა საქმე უსრულად დაშთა, ვითარცა ამაოდ ჯელმყოფელთა
ოცნებასა ზეცად აღსლვისასა. ხოლო ნავით-მავლობაჲ უფსკრულთა ზედა ნოწს
კიდობნისაგან ისწავეს კაცთა.

ხოლო რომელთა იგი გოდლისა და ქალაქისა შენებად ჯელ-ყვეს, მთავრად
აქუნდეს კაცნი სამეოც და ათნი, რომელთასა მხოლოდ ებერ ოდენ არა თანა-
შეერთო პირუტყულსა მას განზრახვასა. ამისთვისცა ყოველთავე მათ შეთქმულ-
თანი შეირინეს რაჲ ენანი, და სამეოც და ათორმეტ ენად განიყვნეს რიცხვსაებრ
წინამძღუართა მათთაჲსა. მხოლოდ იგი ოდენ არა დააკლო ღმერთმან პირველთა-
განისა მის მამულისა ხმისაგან, რომლისათჳს ებრაელად სახელ ისხნეს პირველსა
მას ენასა ზედა დაშთომილნი ნათესავსა ზედა ებრაელთასა წოდებულისა მის სახ-
ელისაებრ. რომელნიცა სახელმამულობით და სეხნაობით ებრაელად სახელდებულ
იქმნეს, ხოლო რამეთუ ებრაული ენაჲ მოქალაქობდა ადამისითგან, ცხად არს
და აბრაჰამისგანცა და ნათესავთა მისთა, ხოლო უფროჲსლა მეორისა ადამისგან
უფლისა იესუ ქრისტეჴსსა, ვითარ იგი სხუასა ყოველსავე პირველისა ადამისსა
ეგრეთვე ენასაცა მისა მიმთუალველსა და ებრაულად მოუბნარისაგან, ვითარ იგი
ვითარმედ „ეფუათა, და ტალითა ყუმ, და ღიმა სავახთანი“, და ესე ვითართაგან;
ამასთანა ძუელთაცა სახელთაგან ბევრეულთა და აღურიცხველთა.

რამეთუ არა რომლითა სხვთა ენათა შესაძლებელ არს ძალისაებრ მათისა
შემოხუმაჲ მათი, ვითარ იგი ადამ და მსგავსი მისნი ებრაულნი სახელნი არა ითარგმ-
ნებიან სხვთა რომლითავე ხმითა თვნიერ ხოლო ებრაულისა. დაღათუ ვიეთნიმე
უსწავლელობით წინააღმდეგომობენ და იტყვან, ვითარმედ არა ებრაული, არამედ
ასურული არსო პირველი ენაჲ. რომელთა ისმინედ მთარგმნელობაჲ უფროჲსად
ბრძნისა და მრავალ სწავლულისა ორიგენისი განმარტებასა შინა მართლისა იობის
წიგნისასა, სადა იგი წერილ არს ვითარმედ „ესე ითარგმნა წიგნისაგან ასურები-
სა“, რამეთუ იტყვს ვითარმედ „ასურებად ებრაულსა სიტყუასა უწესს, ვინაჲთგან
ასურეთი არს ჰურიასტანიცა და ასურცა სახელ სდებდეს ძუელნი პალესტინელთა.

ესრეთ უკუე ორმეოც წელ აღშენებული გოდოლი უსრულად დაშთა შემდგო-
მად შერევნისა ენათაჲსა. ხოლო ღმერთმან ქართთა საშინელითა დაარღჳა იგი, და
არს შორის ასურეთისა და ბაბილოვნისა ჯერტცა დამცველი ნეშტსა რასმე ნაკუ-
ლევათა თჳსთასა.

6. ცხორებაჲ ვახტანგ გორგასლისა მშობელთაჲ და თჳთ მის დიდისა და ღმრთის- მსახურისა მეფისაჲ, რომელი უმეტესად სხუათა განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა³³¹

ხოლო თქუენ, მკვდრნი ქართლისანო, რომელნი დღეს მთავრობასა ზედა
დადგინებულ ხართ ჩუენ მეფეთაგან, რომელნი ვართ ნათესავნი ნებროთ გმირი-
სანი, რომელი უწინარეს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა გამოჩნდა ქუეყანასა ზედა,

³³¹ყაუხჩიშვილი 1955: 162-163.

რომელი ლომსა ძალითა, ვითარცა თიკანსა, მოიყვანებდა, კანჯართა და ქურციკთა ქუეითი იპყრობდა. რამეთუ ეზომ განდიდნა ძალი მისი, რომელ დაემორჩილნეს ყოველნი ნათესავნი ნოესნი, ვიდრემდის შეუძლო ქალაქი ქმნად, რომლისა ქვად შექმნა ოქრო და ხარისხად ვეცხლი, და გარემოჲს მისა მოიქმოდა აგურითა და კირითა. ხოლო ქუდნი კართა და სარკუმელთანი იაკინთისა და ზურმუხტისანი შექმნა, რამეთუ მათისა ნათლისაგან ვერ შეუძლებდა ღამე დაბნელებად.

და ქმნა მას შინა ტაძრები და კოშკები, რომელი ვერ შესაძლებელ არს გაგონებად თქუენდა. მოუგონებელ არს თვთეულსა სიბრძნე მისი, რომელი მიეცა მას, ვიდრემდის აღმართა სამისა დღისა სავალსა, რომელი ექმნა აღსავლად ხარისხად ზღუდეთა ზედა და ენება, რაჲთა აღვიდეს ცად და იხილნეს მყოფნი ცისანი. ხოლო ვითარცა განვლო საზღვარი ჰაერისა და შევიდა საზღვარსა ვარსკვლავთასა, ვერლარა უძლებდეს საქმედ მოქმედნი, რამეთუ დადნებოდა ოქრო და ვეცხლი, რამეთუ მუნიტგან ვინამე არს ჴელმწიფებაჲ ცეცხლისა ეთერისაჲ მის, რომელი ეგზების მძაფრად სამყაროჲსა ქცევისაგან. და ესმა მუნით საზრახავი შვდთა გუნდთა ზეცისათაჲ, რომლისაგან შესულბეს ადამიანნი, და იქმნა ყოველი კაცი – თვთოჲ ნათესავი – მეტყუელ თვთოსა ენასა და არლარა ერჩდეს ურთიერთას, პირსა მოყულისა თვსისასა, და წარვიდეს.

ხოლო ნებროთს ენითა სპარსულითა ჰრქუა: „მე ვარ მიქაელ ანგელოზი, რომელი დადგინებულ ვარ ღმრთისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავლისასა. განვედ ქალაქით მაგით, რამეთუ ღმერთი დაჰფარავს მაგას ვიდრე გამოჩინებადმდე სამოთხისა, რომელი, ესერა, დგას მახლობელად ნაშენებსა მაგას შენსა, რომელსა შორის არს მთაჲ ესე, რომლისაგან აღმოვაღს მზე და გამოვლენ ორნი მდინარენი: ნილოსი და გეონი; რამეთუ გეონს გამოაქუს სამოთხით ხე სულნელი და თივაჲ, რომელი შეეზავების მუშაკსა. ან წარვედ შენ და დაჯედ ორთავე მდინარეთა შორის ეფვრატსა და ჯილასა და განუტევენ ნათესავნი ესე, ვითარცა ვინ ინებოს, რამეთუ წარუვლინებიან უფალსა.

ხოლო მეფობაჲ შენი მეფობდეს ყოველთა ზედა მეფეთა. არამედ ჟამთა უკუანაჲსკენელთა მოვიდეს მეუფე ცისაჲ რომლისაჲ შენ გნებაჲს ხილვაჲ მისი, ერსა შორის შეურაცხსა. შიშმან მისმან განაქარვნეს გემონი სოფლისანი: მეფენი დაუტეობდენ მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკესა. მასინ გიხილოს შენ ჭირსა შინა და გიჴსნეს.

და დაუტევეს ყოველთა ქალაქი და წარვიდეს. და დაუტევნა ჰინდოურად მზრახვალნი ჰინდოეთს, სინდნი – სინდეთს, ჰრომნი – ჰრომს, ბერძენნი – საბერძნეთს, აგ და მაგუგ – მაგუგეთს, სპარსნი – სპარსეთს. ხოლო პირველი ენა ასურებრი იყო. და ესე არიან შვდნი ენანი, რომელ ნებროთისამდე ზრახვიდეს. ამისთჳს მოგითხარ, რომელ მამათა ჩუენთა ფარულად ეპყრა ნიგნი ესე, ხოლო მე შურმან საღმრთოჲმან მაიძულა თქუმაჲ ესე.

LANGUAGE, IDENTITY, AND HISTORICAL CONCEPTS

(An attempt to interpret sources of religious historiography)

This work is an attempt to look into the genealogy of the “guiding” texts that were written in the eleventh and twelfth centuries and that gave shape to the idea of the language, history, and self-awareness of the Georgians. It analyzes the sources of religious historiography of the Late Antiquity written in foreign languages and the reception of these sources in the foreign and Georgian medieval historiography.

These sources reflect the Georgian language, or more precisely Iberian, as one of the languages with ancient literary traditions and the life of the Georgian “kin” as an inseparable part of universal history. They are presented in this work from the viewpoint of historic sociolinguistics, not palaeography or historiography. I am not experienced and competent enough to look into the likely features of the writing system of the Caucasus Iberians, which the sources of religious historiography, or more precisely, the universally recognized *topoi* and *diemerismos* of the universal history of the Late Antiquity and the Middle Ages, mention from 235 AD as one of the first among 15 literary languages of the world (Cf. οἱ ἐπιστάμενοι γράμματα; *qui litterati sunt*). I don’t attempt to put under scrutiny the letters it consisted of, the well-known writing system it was based on or related to (from the paleographic point of view), how authentic these sources were, what methods are to be used to verify their reliability, and to what extent these *topoi*, which took shape in the religious context reflect reality, etc. As stated before, I am interested in them from the point of view of general history of culture, or more precisely, of historic sociolinguistics. Therefore, the work discusses the following issues:

- The assessment of the problems of interrelationship between language and nation by the authors of these sources and the religious context, or, to be more correct, the criteria on the basis of which they confer the status of being culturally distinguished on languages and nations, placing them within the scope of “the sacred history” (Cf. *historia sacra*);
- The cultural and historic reality the texts are related to and trends their compilers were trying to reflect;
- The sources about the Iberians that religious historiography of the Late Antiquity and the Middle Ages plausibly relies on;
- The historic, cultural, and religious environment, where the *topoi* of universal history were elaborated, and reflection of the latter in the Georgian historic literature;
- The principles and models, which the process of the legitimization of Georgian as a language having a special and universal mission was based on;
- The manner of legitimization of the initial stories as inseparable parts of universal history reflecting the life of Georgians and the principles, which Leonti Mroveli’s concept (that of universal history, the idea of a divinely blessed king, the idea of

being allotted to the Virgin Mary, the idea of the distinction of the language, and so forth) is based on.

These issues are one part of the problems, which have become outlined in Georgian sources in various aspects (historical, philological, religious, and so forth) on the basis of the discussion of raised questions in a broad context and, correspondingly, the topological analysis of Georgian material. The latter is based on the concepts elaborated for related problems in the historiography of the Late Antiquity and the Middle Ages.

A comprehensive research in the problems aimed at studying hitherto unknown or little known Greek, Latin, Syrian, Coptic, and Armenian sources of religious historiography of the Late Antiquity and the Middle Ages, as well as at finding and studying viewpoints expressed and shared around these sources in European historical discussions (mostly on the verge of the nineteenth and twentieth centuries).

The results of the study are presented in this work in two parts. The **first part** mostly deals with the theoretic concepts elaborated by the religious historiography of the Late Antiquity and the Middle Ages on the problems of interrelationship between language and nation. It also analyzes the main opposition of religious historiography - universalism and historical method, which the concept of universal history is directly linked to: *diamerismos* and Moses' tablets of nations, i.e. the formation of the *topoi* of 72 sacred ethnic groups and languages (according to some traditions, there were 70 of them).

The work also deals with the structure and typology of *diamerismos* as texts and their reception in various cultural, historical, and religious traditions. The work deals with the main sources of Judaic and Christian historiography, which shaped in universal history the *topos* of 72 ethnic groups of Biblical origin and 15 groups distinguished among them with their culture and, correspondingly, language (the Ethiopian Apocrypha, the so-called *Little Genesis*, *Antiquities of the Jews* by Josephus Flavius, *Chronicles* by Hippolytus of Rome and versions deriving from it, *Chronicles* by Sextus Julius Africanus and sources directly based on this work, and the Syrian, Coptic, and Armenian versions of the oriental tradition).

The **second part** of work deals with the texts legitimizing the identity of the Georgian language and history. It also presents the major redactions of the Greek *diamerismos* texts (to be more correct, the rubrics relevant to the issues addressed) with Georgian translations.

The point of view on peoples with writing or knowledge, taking shape in a definite theological context, namely in Classical times and in medieval church historiography, is preserved in ancient catalogues or *diamerismos* on the division of peoples and languages (*Διαμερισμὸς τῆς γῆς εἰς τοὺς τρεῖς υἱοὺς τοῦ Νῶε*, *Terrae divisiones tres filios Noe*, or *Divisio terrae tribus filiis Noe*). The oldest recension of *diamerismos* survives in the Chronicle of Hippolytus of Rome, whose complete title is *Συναγωγή χρόνων καὶ ἐτῶν ἀπὸ κρίσεως κόσμου εἰς τῆς ἐνεστῶσης ἡμέρας*. The Greek original of this Chronicle of Hippolytus (235-238 A.D.) was for a long time believed lost. It was discovered by A. Bauer among the Greek manuscripts of the National Library of Madrid (For the Greek text with parallel Latin translations see: A. Bauer, *Die Chronik des Hippolytos im Matrinensis 121*, in: *Hippolytus, Werke*, Bd. IV (GCS 36), Leipzig). Only a Latin translation, more precisely a Latin adaptation of Hippolytus' *diamerismos*, the so-called *Liber generationis*, was known.

This view on the fifteen peoples possessing or with knowledge of writing found reflection in Judaistic historiography as well; beginning with the 3rd century, while discussing various exegetic issues, in commentaries on the text of the Talmud, scholia to manuscripts and marginal notes evidence occurs repeatedly on peoples possessing writing, including the Iberians. Along with Christian, I shall touch briefly upon Talmudic-midrashic sources. Here I shall introduce to the reader one of the fairly popular discussions in early-twentieth century European scholarship, dealing with questions regarding of the identification of the peoples (especially of little-known peoples) and their scripts, named in this and other sources. The Iberians and their writing turned into a subject of intensive and controversial debate. Papers reflective of this discussion were published in the theological journal *Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft*.

The sources, presented in the work, will be discussed from sociolinguistic and generally culturological positions: What concrete cultural-historical reality do these texts reflect or echo and in what religious context, more precisely, according to what features are languages and peoples awarded the status of chosenness are accorded a place in „holy history“ (cf. *Historia sacra*). As is known, in interpreting the events of Babylonian times, religious historiography divided the world's peoples into two parts: into the true children of history or seventy-two (according to some sources seventy) peoples involved in “Holy history“ and the remaining world, whom Western scholars, fond of justice and equality, call the “stepchildren of history” (A. Borst).

The lists of the biblical division of peoples and languages, or diamerismos, described the developments of Babylonian times in a clearly-defined framework. The list of the descendants of Noah's three sons, or tablets of Moses' peoples, surviving according to chapter 10 of Genesis and respectively the Book of Chronicles (I, 4-24), paved the way in the early period to the rise of numerous recensions. The diamerisms created in the 3rd-18th centuries have a more or less common structure. These are chronicles with eight headings; in the present work I shall touch upon two subtitle of the second heading:

- a. the general list of the peoples of the descendants of Shem, Ham, and Japheth,
- b. the list of the peoples of the descendants of Shem, Ham, and Japheth, who have alphabetic writing.

Created in a religious context, this topos turned into the most interesting part of the diamerismos about the fifteen written languages, spreading almost unaltered in 3rd-18th centuries sources as a universally accepted point of view.

The sources containing this heading raise many problems of our interest. Here I shall single out one question that allows us to make an important conclusion from the sociolinguistic, and generally culturological, point of view: the existence of traditions of the Iberian script or Iberian written traditions is a clearly defined and accepted view in the ancient cultural world, reiterated almost unaltered in the 3rd-18th centuries Christian as well as Judaistic sources, in texts remote from one another religiously, chronologically and geographically.

Of the numerous specimens containing this topos, by way of an example, I shall present four recensions created in different periods.

1.Hippolytus' Greek recension of 235-238, whose full title is Τῆς γῆς ὁ διαμερισμὸς τοῖς τρισὶν υἱοῖς τοῦ Νῶε μετὰ τὸν κατακλυσμὸν ἐγένετο τῷ Σὴμ, τῷ Χὰμ καὶ τῷ Ἰάφεθ.

2. The 6th century Greek recension, based on the Church History of Epiphanius.

3. The 7th century Latin recension, the so-called *Excerpta utilissima Latine conversa ab homine barbaro*, known under the name of *Excerpta latina Barbari*. Its anonymous Greek original was compiled in the time of Anastasius I (491-518). The Latin translation was made not later than the 7th century (the oldest manuscript containing this text of the 7th century: *Codex Puteanus*)

4. Comparatively later, an 11th-12th centuries recension, ascribed to Eutychios vel Sa' id ibn Batrik; the text has survived in Arabic, Greek and Latin recensions.

Here are the fragments of our interest in the text:

1.

Οἱ δὲ ἐπιστάμενοι αὐτῶν γράμματά εἰσιν

(From Japheth):

Ἰβηρες, Λατῖνοι, οἷς χρῶνται οἱ Ῥωμαῖοι, Σπανοί, Ἕλληνες, Μῆδοι, Ἀρμένιοι.

[Cham]:

Φοίνικες, Αἰγύπτιοι, Παμφύλοι, Φρύγες.

[Sem]:

Ἑβραῖοι οἱ καὶ Ἰουδαῖοι, Πέρσαι, Μῆδοι, Ἰνδοί, Χαλδαῖοι, Ἀσσυριοί,

(of these, those that's have a script /are literate/ are:

[from Japheth]:

Iberians, Latins, called Romans, Spaniards, Greeks, Medes, Armenians)

2.

Οἱ δὲ ἐπιστάμενοι αὐτῶν γράμματά εἰσιν οὗτοι

[Japhet]:

Ἰβηρες οἱ καὶ Τυράννοι, Λατῖνοι, Σπανοί, Ἕλληνες, Μῆδοι, Ἀρμένιοι.

[Cham]:

Φοίνικες, Παμφύλοι, Φρύγες.

[Sem]:

Ἑβραῖοι, Ἰνδοί, Συροί, Πέρσαι, Χαλδαῖοι.

(of those who have a script /are literate/ are:

[from Japheth] :

Iberians, who are also [called] Tirannians, Latins, Spaniards, Greeks Medes, Armenians).

3.

Qui autem sapient ex ipsis litteris hii sunt

[Japheth]:

Ibirii, Latini, qui utuntur Romei, Spani, Graeci, Midi, Armenii.

(of these, those who have a script /are literate:

[from Japheth]

Iberians, Latins, usually called Romans, Spaniards, Greeks, Medca, Armenians)

4

Qui autem literati sunt:

[Japheth]:

Graeca, Romana, Armenica, Gu(a)rzanica/Jarzanica/, Hispanica.

(of these, those who are literate

[from Japheth] :

Greek, Roman, Armenian, Gurdz(i)anian, Spanish).

In the first place, several notes should be made in connection with the sources:

a) The Ἰβηρες οἱ καὶ Τυράννοι («Iberians or the same Turannoï»), mentioned in the 6th century Greek recension (here number two): this is how the Caucasian Iberians¹ are referred to in ancient sources, unlike the Iberians of the Iberian peninsula, known to historians under various names: Celtiberians, Gauls or Iberians. cf. Κελτοί, Γάλλοι, οἱ καὶ Κελτίβηρες (see Gutschmid).

b) The Ja(u)rzanica/Gu(a)rzanica, mentioned in the source of Eutychios: one of the first students of this source, A. Gutschmid, believes that Jarzanica-Gurzanica is used here to denote the Iberian script. He quotes (Jâqût's Lexicon Geographicum, p. 249), which refers to numerous foreign-language sources according to whose evidence, Gu(a)rzan-Jarzan is the name of the region where Tbilisi lies. In Gutschmid's words, in these sources Gurzan is occasionally used to denote Tbilisi as well (cf. Gurzan = Tiflis, und ersetzt hier die iberische Schrift).

Therefore the literate peoples of the descendants Japheth are:

1. Ἰβηρες, Λατῖνοι, οἷς χρῶνται οἱ Ῥωμαῖοι, Σπανοί, Ἕλληνες, Μῆδοι, Ἀρμένιοι.
2. Ἰβηρες οἱ καὶ Τυράννοι, Λατῖνοι, Σπανοί, Ἕλληνες, Μῆδοι, Ἀρμένιοι.
3. **Ibirii**, Latini, qui utuntur Romei, Spani, Graeci, Midi, Armenii
4. Graeca, Romana, Armenica, **Gurzanica**, Hispanica.

S. Kraus noted correctly that, owing to the clearly defined structure of the headings of the diamerismos, texts greatly distanced from one another chronologically and geographically repeat, almost unaltered, the view once established. „Some old law does seem to have existed according to which, the existence of 15 literary languages must have been accepted. This is a scheme worked out at a definite time, which was preserved even after the relations on whose basis the scheme was drawn had changed”.

The texts of the diamerismos are primarily interesting for their cultural-historical perspectives. Determination of the names of little-known peoples and their identification appears to have been most popular.

Early in the 20th century discussion of the language and writing of the Iberians seems to have been topical enough. The well-known scholars G. Müllenhof, A. Gutschmid, S. Poznanski, S. Kraus, S. Berger, W. Bacher, M. Steinschneider devoted special studies to these questions. Their views on the antiquity of Iberian writing is conflicting: some believed it impossible to identify the Iberians mentioned in the diamerisms with Caucasian Iberians

- a semi-barbarian people at that time. Cf. „Reading in ancient sources that peoples of such ancient culture, as Hebrews, Greeks, Romans, Syrians, and others have their own writing is no surprise to us, but how do such semi-barbarian peoples as Iberians, Phrygians and others, whose identification in the cultural world of that period is rather hard to understand, enter the list of peoples having their writing according to the sources of the third century”.

The authors of this view point out also that the Ἰβηρες (Ibiri, Iberii) of these sources do not imply the Iberians of the Iberian peninsula either; the Spaniards (Hispani), considered to be descendants of Japheth, are listed after the Iberians and, on close observation, they are variously distinguished from each other.

An absolutely opposed view has also been put forward in connection with the identification of the Iberians; the well-known researcher S. Kraus, making a special study of the evidence on the Iberians and their writing both in Christian and Judaistic tradition, showed convincingly that the mention of the Iberians and their script in such early texts was quite legitimate. Kraus believed that, notwithstanding their erudition in medieval studies, his colleagues did not know much about the little-known peoples, including the writing traditions of Iberians, hence their mention in such ancient sources seemed curious to them. In connection with the Iberians he wrote:

“In the catalogues of diamerisms of alphabetic scripts the Iberian script is not missing anywhere, and it is noteworthy that in the 15 scripts of the biblical 70 or 72 respective languages Iberian is always mentioned in the first place. We are for some reason accustomed to imagine the Iberians inhabiting the Caucasus to have been a savage people, hence we are surprised at the fact that in such early sources they [the Iberians] are mentioned among the 15 distinguished cultural peoples. Our studies of ancient sources appear to be rather meager and deficient if we consider the evidence of such sources [in this case the evidence on Iberia writing] to be a puzzle and wonder. Laying all other things aside, the sources reviewed by us are so trustworthy that all doubts around the writing of the Iberians is unjustified.”

